# კვირის პალიტრა

№ 44 (505) ◆ 1 – 7 ნოემბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



...ხელისუფლება, ისევე როგორც მისი ძალოვანი უწყებები, ხალხს უნდა ემსახურებოდეს – ყოველ შემთხვევაში, ასეთი სისტემა გვაქვს დეკლარირებული ჩვენს კონსტიტუციაში. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ დაპატიმრებულზე სასამართლოს გზით ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს, საზოგადოებას ანგარიში უნდა ჩააბაროს – რატომ დაიჭირა, ან რატომ გაათავისუფლა ესა თუ ის პირი...

...საგადასახადო კოდექსმა და რეფორმებმა ეკონომიკაში ქართული მედიის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზეც უნდა იმოქმედოს...

გვ.3

## საზარელი მკვლელობები კონსტიტუციით „დაცული" დანებით



გვ.5

სისხლის სამართლის კოდექსიდან შესაბამისი მუხლის ამოღების შემდეგ დანა „ჩვეულებრივ" პირად ნივთად იქცა, მაგრამ ცხადია, რომ მას სიკვდილი ყველა სხვა ნივთზე ხშირად მოაქვს...

***სამხედრო თემაზე:***

## აი, ვინ ამარაგებს სეპარატისტებს სერიოზული იარაღით!

გვ.8,9

რუსული „შმელები" აფხაზური დროშებით



... „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა გრძელდება. აშშ 37 მლნ დოლარს გამოყოფს 8 ახალი ქართული ბატალიონის დასაკომპლექტებლად.

გვ.2

მგონია, რომ ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების ტექსტები ზოგჯერ ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რატომ-მეთქი, ჩემს თავს ვეკითხები და ამაზე პასუხი ჯერჯერობით ვერ ვიპოვე. შესაძლოა თანამდებობა და სავარძელი ისეთი ჯადოსნური რამ არის, რაც ადამიანებს ცვლის.

გვ.7

სახელისუფლებო გუნდში მართლაც არის სხვადასხვა ჯგუფი.

*ელენე თევდორაძე*

## დავით მირცხულავას სასამართლო იწყება

„მირცხულავასთვის მნიშვნელობა არა აქვს, ერთ მილიონს მოსთხოვენ თუ ასს"

გვ.6

## „ჩვენ თუ დაგვხოცავ, იფიქრებენ, რომ ზვიადი ჩვენ მოვკალით და მერე ერთმანეთი დავხოცეთო"





**პასუხგაუცემელი კითხვები**

**„თქვენთან პირველად ვახმაურებ ფაქტს, რომ „სტეჩკინის" გარდა კიდევ არგენტინული იარაღი არსებობდა..."**

თავში სროლისთანავე კაცი ითიშება, ზვიად გამსახურდია ვერ შეძლებდა „სტეჩკინიანი" ხელი გულზე დაედო...

ამ ადამიანების ერთადერთი გასამართლებელი საშუალება პისტოლეტი იყო, რომელზეც, თუკი მართლა ზვიადს ეჭირა ხელში, უთუოდ მისი თითების ანაბეჭდი იქნებოდა. ამ პისტოლეტის დათვალიერებით შეიძლებოდა გარკვევა, იყო თუ არა იქიდან ტყვია ნასროლი. მაგრამ წარმოგიდგენიათ, იარაღი გაწმინდეს და სადღაც „შეინახეს"(?!).

**„ზოგ ოჯახში, სადაც პრეზიდენტი თავს აფარებდა, მას უშიშროების აგენტები მასპინძლობდნენ"**

იმ პირებმა, რომლებიც ზვიადის ლიკვიდაციის გეგმას ხელმძღვანელობდნენ, როგორც კი გაიგეს, საწამლავმა ზვიადი არ მოკლა, პირიქით, მომჯობინდა და აქტიურ ქმედებაზე გადასვლას აპირებსო, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იგი მოეკლათ...

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცას არ უნდა პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიება.

გვ.7,24

სკანდალური ინტერვიუ საგამოძიებო კომისიის წევრთან

## უშიშროების მაღალჩინოსანს თაღლითობაში ადანაშაულებენ



**ოლიმპიური აფერა ქართულად**

გამუდმებით გვიტრიალებდა თვალწინ უშიშროების „კნიჟკას", თვალებზე აფარებდა ყველას, თუკი ვინმე დაეჭვდებოდა...

გვ.5,13



***მიხეილ კობახიძე —***

## „არავის არაფერს ვაბრალებ, ეს ბედისწერა იყო"

გვ.18

საშინელი ქვეყნისგან თავის დაღწევის სურვილი მარტო ჩვენს ოჯახს კი არა, ბევრს ჰქონდა.

## რას წარმოადგენს „კანონი ამნისტიის შესახებ"

გვ.27

***ბორის აკუნინი —***

მე არც ქართული ენა ვიცი, არც კულტურა და, რაც თქმა უნდა, არავითარი ქართველი აღარ გახლავართ, მაგრამ არ შემიძლია ქართველების მიმართ მთლად ობიექტური ვიყო...

გვ.20

# თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს!

## ჟვანია კოკოითს შეხვდება

ამ კვირაში პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ოსეთის არალეგიტიმური პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ერთმანეთს სოჭში შეხვდებიან. კულუარებში გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ჟვანია კოკოითთან სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ სტატუსზე ილაპარაკებს. არ არის გამორიცხული, ოსებს ფართო ავტონომია, ეკონომიკური ურთიერთობები და რეგიონის დემილიტარიზაცია შესთავაზონ. სააკაშვილის აზრით, შესაძლოა სამხრეთ ოსეთს ისეთივე სტატუსი ჰქონდეს, როგორიც ჩრდილო ოსეთს აქვს რუსეთში. ოსების „რისხვა" მიშა ქარელი სამხრეთ ოსეთისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას ასე თუ ისე ეგუება (რადგან ეს პრეზიდენტის ნებაა), თუმცა ამბობს, რომ ამ „ფართო ავტონომიას" სამხრეთ ოსეთი არ უნდა ერქვას.

## პენსიები გაორმაგდება

საქართველოს პრეზიდენტს დანაპირები გაახსენდა და 2005 წლის 1-ელი იანვრიდან პენსიებს გააორმაგებს. როგორც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია აცხადებს, პენსიები მხოლოდ თბილისელებს კი არა, ყველა რეგიონში მცხოვრებ პენსიონერებს გაეზრდებათ.

## ამერიკელები ისევ გვეხმარებიან

საქართველოს პრეზიდენტმა და აშშ-ის ელჩმა რიჩარდ მაილსმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად შტატები კვლავ გააგრძელებს საქართველოსთვის დახმარების გაწევას სამხედრო სფეროში. რვა ახალი ქართული ბატალიონის მოსამზადებლად 37 მილიონი დოლარი გამოიყოფა. ასევე დასრულდება ვაზიანის მე-11 ბრიგადის ფორმირება და მთლიანად დაკომპლექტდება 21-ე ბრიგადა ქუთაისში. როგორც ქართველი ექსპერტები ამბობენ — ნაადრევი აღმოჩნდა რუსების სიხარული — აშშ-მ დაასრულა „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" და ახლა „მიგაგდებენო". ამერიკელები კვლავ აგრძელებენ საქართველოს დახმარებას — „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ახალი ეტაპი დაიწყო. სასიამოვნო ინფორმაციებია ნატოდანაც, ევროატლანტიკური ალიანსი საქართველოში ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამას იწყებს, რაც ქართველი სამხედროებისთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევას ითვალისწინებს.

## „კვირის პალიტრას" მიმდევარი გამოუჩნდა

ფოთში საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები სტუმრობდნენ. თელაველები მასპინძლებთან ხელცარიელი არ ჩასულან. კახური ნობათი — ხილი, ყურძენი, ჩურჩხელები, კახური ღვინო და ბიბლიოთეკა ჩაუტანეს და თავიანთი განზრახვაც გაუმხილეს, — საარტილერიო კატარღა „ახმეტისთვის" შეფობის გაწევა გვსურსო.

თელაველ სტუდენტებს ისე მოეწონათ თავიანთი ზრუნვის ობიექტი „ახმეტა", რომ რამდენიმეს სამხედრო-საზღვაო ძალებში სამსახურის სურვილიც გაუჩნდა...

თავის დროზე ეს ინიციატივა „კვირის პალიტრამ" წამოიწყო, როდესაც სარაკეტო კატარღა „თბილისზე" აიღო შეფობა. კარგ და კეთილ საქმეში, რომ მიმდევარი გამოგვიჩნდა, გასახარია.

## კრწანისის რეზიდენცია მალე გაიყიდება

საქართველო განსაკუთრებული და არაორდინარული ქვეყანაა თუნდაც იმიტომ, რომ მისი პრეზიდენტი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და საკუთარი რეზიდენცია არ აქვს. მას შემდეგ, რაც პირველმა ქალბატონმა ბერიასეულ აგარაკზე უარი თქვა, პრეზიდენტის რეზიდენციის აშენება დადგა დღის წესრიგში. მაგრამ რეზიდენციის აშენება ძვირი ჯდება, ამიტომაც მთავრობაში გადაწყვიტეს, კრწანისის რეზიდენცია გაყიდონ და ავლაბარში მშენებარე ადმინისტრაციულ კომპლექსს მიაშველონ სახსრები.

ეკონომიკისა და განვითარების მინისტრ კახა ბენდუქიძეს თურმე მყიდველებიც ჰყავს ნაპოვნი — რომელიც მეტს გადაიხდის, რეზიდენციაც მას დარჩება. ბენდუქიძეს შანსი აქვს ერთიორად ასწიოს მაზანდა, თუ იტყვის, ცკ-ის ყოფილი პირველი მდივნის აჩრდილი თავის სამყოფელს ზოგჯერ სტუმრობსო. მით უმეტეს, რომ მინისტრს ტყუილში ვერ გამოიჭერენ, რადგან კრწანისის მომსახურე პერსონალი ამაზე ხშირად ხუმრობს, პრეზიდენტმა კი ერთხელ „კვირის პალიტრასთან" საუბრისას თქვა — ბერიას სახლში სანდრამ ერთხელ გაათია ღამე და გაიქცა, არც მე მინდა ბერიასა და მისი ნივთების გარემოცვაში ყოფნაო.

## ლეიბორისტების თბილისის ომი

ლეიბორისტები მაქსიმალურად ცდილობენ გამოიყენონ დედაქალაქის საკრებულოს ტრიბუნა და იქ გასულ კვირასაც დაანთეს ცეცხლი — ამჯერად ისინი სამსახურის ხელმძღვანელობის კრიტიკას არ დასჯერდნენ და იერიში მერსა და პრემიერზე მიიტანეს და მათი თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვეს. ლეიბორისტები ზურაბ ჭიაბერაშვილს ძველ ცოდვებსაც უხსენებენ და ამბობენ, რომ მერი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა" და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობის პერიოდში გაწეული საქმიანობისთვის „სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას იმსახურებს". ლეიბორისტები ქალაქის პრემიერისაგან საკრებულოს წინაშე თბილისის მთავრობის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენას მოითხოვენ. მათი თქმით, ქალაქის მთავრობის ხელმძღვანელი „იმდენად არაკომპეტენტურია, რომ პასუხისმგებლობას კადრების შერჩევის საკითხშიც ვერ გრძნობს".

ბიძინა ბრეგაძის იმპიჩმენტის საკითხთან დაკავშირებით ლეიბორისტებმა ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს, თუმცა მოთხოვნაზე ხელი თავად ლეიბორისტების გარდა, არავის მოუწერია.

## ახალი პარტია

ისედაც ჭრელ ქართულ პოლიტიკურ პალიტრას, სავარაუდოდ, მალე კიდევ ერთი ფერი შეემატება „ქართული მოძრაობის" სახით, რომელშიც როგორც ამბობენ, „გაშვეიცარიელებული" კოკო გამსახურდია, „გაამერიკელებული" გია მაისაშვილი და ზუგდიდელი „უშბელი" გოჩა ფიფია იქნებიან.

ახალი ორგანიზაცია გარდა იმისა, რომ ლამის სააკაშვილის პარტიის სეხნიაა, მალე სრულფასოვან პარტიადაც აპირებს ჩამოყალიბებას. „ქართულ მოძრაობას" ქართული ატრიბუტები — გერბი, დროშა და ლოზუნგიც ექნება.

ორიოდე კვირაში პარტიის ყრილობა ჩატარდება და როგორც გოჩა ფიფია ამბობს, მაშინ შეიტყობს ხელისუფლება ახალი ოპოზიციური ძალის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. მან კონსტანტინე გამსახურდიასა და გია მაისაშვილის „ქართულ მოძრაობაში" გამოჩენაზეც გააკეთა მინიშნება — შესაძლოა ეს მართალიც იყოსო.

მაისაშვილმა ერთ დროს სააკაშვილს სტკიცა უარი „განაციონალებაზე" და შესაძლოა, ფიფიასაც უარი უთხრას.

## მოსმენებისთვის დაისჯება

სულ მალე განსასჯელის სკამზე ასლან აბაშიძის კიდევ ერთი „ძველი კადრი" აღმოჩნდება. აჭარის სადაზვერვო სამსახურის ყოფილი უფროსის, გოჩა თავდუმაძის დაკავების შემდეგ აჭარის შს სამმართველოს უფროსმა გია პაპუაშვილმა სკანდალური ინფორმაცია გაახმაურა — თავდუმაძე პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საიდუმლოინფორმაციებს რაციით ისმენდაო. რისთვის და ვისი დავალებით იყო „მზვერავი" ოპერატიულ ინფორმაციებზე მიყურადებული, ამას გამოძიება დაადგენს. გოჩა თავდუმაძის ბრალეულობას გამოძიების მიერ ამოღებული მეტისმეტად საინტერესო ნივთმტკიცებები: 56 დასახელების სპეციალური სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურა და რადიოსადგურებიც ამძიმებს.

## ქართულ ტაძრებზე სომხური მინაწერებია

ასპინძის რაიონში ფოკას სამონასტრო კომპლექსის დათვალიერებისას ეთნოლოგმა თინა იველაშვილმა აღმაშფოთებელი ვანდალიზმის კვალი აღმოაჩინა — მონასტერში ქართული წარწერები ნადგურდება. თურმე ჯერ კიდევ სამი თვის წინ გაჩნდა ტაძრის კედლებზე სომხურენოვანი ამონაფხაჭნები. „ამჟამად აღმოჩენილი სომხური ნაკაწრები შესაძლოა მალე უფრო დიდ წარწერებად იქცეს, რაც სამომავლოდ ეკლესიის წარმომავლობის საკითხს სადავოს გახდის", — აცხადებს აღშფოთებული პროფესორი. აღნიშნული ფაქტების შესახებ ასპინძის პოლიცია გამოძიებას ატარებს, მაგრამ როგორც ჩანს, ბოროტმოქმედებს მათი დიდად არ ეშინიათ — სომხურენოვანი წარწერების რიცხვი დღითი დღე იზრდება. დღემდე კი არც ერთი დამნაშავე არ არის მხილებული.

## საზარელი ფაქტი

საზარელი ფაქტი მოხდა მარტყოფში — თანასოფლელები ცოლ-ქმარ გოჩიაშვილებს შვილის, 5 თვის გოგონას მკვლელობას სდებენ ბრალად. თვითმხილველების თქმით, გოჩიაშვილების ოჯახში ხშირად იყო აყალმაყალი, მეუღლეები სასმელს ეძალებოდნენ. თანასოფლელების ვარაუდით, ცოლ-ქმარს მორიგი აყალმაყალისას ეტყობა ბავშვი ხელიდან გაუვარდა (გვამს სხეულზე სისხლჩაქცევები აღენიშნება), ან სულაც შესაძლოა შიმშილით მოუკვდათ(!).

## „მოიპარეს იდეა..."

კულტურის მინისტრ გოკა გაბაშვილს იდეის მითვისებას ედავებიან. მოდავე „ვაზის ფესტივალის" ავტორი ლალი მიქავაა, რომელიც ჩივის — გოკა გაბაშვილმა მაშინ „დამაყაჩაღა", როდესაც მასთან მივედი და ფესტივალის ჩასატარებლად დაფინანსება ვთხოვე. გაბაშვილმა პროგრამა მომატანინა, მერე მას სახელი შეუცვალა და ღვინის ფესტივალი დაარქვა, რომელიც უჩემოდ ჩაატარაო. რას იზამენ „ღვინის" და „ვაზის" ფესტივალების ავტორები, მომავალი გვიჩვენებს.

## პატრული 15 ლარზე „დაიჭირეს"

ეტყობა, ირაკლი ოქრუაშვილი ფულის სიყვარულს თავისიანსაც და სხვასაც კოჭებშივე ატყობს. სულ ცოტა ხნის წინ თქვა — ზოგი პოლიციაში ისევ ფულის საკეთებლად მოდის, მაგრამ ასეთებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათო. ჰოდა, რამდენიმე დღის წინ საპატრულო პოლიციის ერთ თანამშრომელს 15 ლარის გამო მოუხდა სამსახურის დატოვება.

„15-ლარიანი მექრთამე" საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელობამ თავად გამოავლინა, როდესაც საჯარიმო ქვითრები გადაამოწმა და რამდენიმე გადაკეთებული „ჩეკი" ნახა. ნივთმტკიცების აღმოჩენის შემდეგ აღარც პატრულის კორუფციული სქემის ამოხსნა გასჭირვებიათ — თურმე საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის პოლიციელს სათანადოდ დაუსჯია დამნაშავე — 30 ლარი გამოურთმევია და ამ თანხის ქვითარიც გამოუწერია. ქვითრის მეორე პირზე კი, რომელიც მასთან რჩება, „30" „15"-ად გადაუკეთებია და 15 ლარი ჩაუჯიბავს. როდესაც შს გენერალური ინსპექცია გადაკეთებულმა ციფრმა დააეჭვა, დაჯარიმებული მძღოლი მოძებნეს, რომელსაც 30-ლარიანი ქვითარი ისევ ჯიბეში ჰქონდა. პოლიციელებმა ამჯერად პოლიციელის „ტყავი დახიეს" და უღირს თანამოძმეს სამსახური დაატოვებინეს. რა ხდება? გამოდის, რომ საქართველოში მაღალანაზღაურებადი ხელფასი არაკორუმპირებულობის გარანტია ჯერაც ვერ გახდა. თუმც ისიც ითქვა — პატრულს კი დაუნიშნეს კარგი ხელფასი, მაგრამ მისი გაცემა გვიანდებაო. არ გვინდა, ეს სიმართლე იყოს — უხელფასო, დამშეული და გამგელებული პოლიციელების სიკეთე ჯერაც გვახსოვს.

## სამხედრო და ყაჩაღი?

სამართალდამცველების განცხადებით, „კომანდოს" ბატალიონის ოფიცერმა სოსო მაჭავარიანმა თანმხლებ პირთან ერთად ტაქსის მძღოლი დააყაჩაღა. მას შემდეგ, „სამხედროფორმიანმა" ყაჩაღმა მძღოლი მანქანიდან გადასვა, დაზარალებულმა საშველად საპატრულო პოლიციას უხმო, რომელიც გატაცებულ მანქანას დაედევნა და გზა ორივე მიმართულებით გადაუკეტა. ალყაში მოქცეულმა მაჭავარიანმა პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა(!), ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა პატრულის ერთი თანამშრომელი, იქვე მყოფმა მეორე პატრულმა კი მაჭავარიანი სასიკვდილოდ დაჭრა. როგორც შს სამინისტროში ამბობენ, ყაჩაღობისას მაჭავარიანს სახეზე სამხედრო ნიღაბი ჰქონია აფარებული, სამკერდე ნიშანი კი, რომელზეც მისი ვინაობა იყო მითითებული, ჯიბეში ედო...

## ნავსიანი პოსტი...

სამშვიდობო ძალების ექსსარდლის, ქებაძის შემდეგ უსიამოვნებაში მისი მემკვიდრე და სამშვიდობო ძალების „მოქმედი" ხელმძღვანელი კიკნაძე გაეხვია.

კარალეთის საგუშაგოსთან ქართული სამშვიდობო ძალების სარდალს, ალეკო კიკნაძეს ავტოავარია შეემთხვა, რომლის დროსაც 23 წლის მეღვრეკისელი ზარდიაშვილი დაიღუპა. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, კიკნაძე სამშვიდობო ძალების კუთვნილ „ნივას" ნასვამ მდგომარეობაში მართავდა. ზარდიაშვილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, კიკნაძე კი სხეულის დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც უკვალოდ გაუჩინარდა(?!).

## ისევ ტრეფიკინგი

უშიშროების სამინისტრომ ფირმა „ნაკო გოგთაშის" თანამშრომლები: თინათინ ბურძენიძე და ნანა ნოზაძე დააკავა. როგორც აღმოჩნდა, „ნაკო გოგთაში" ტრეფიკინგს ეწეოდა და საქართველოს მოქალაქეები თურქეთში პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით გადაჰყავდა.

ბურძენიძეს და ნოზაძეს მოტყუებით მიჰყავდათ ჩვენი მოქალაქეები მეზობელ ქვეყანაში და თურქებზე ჰყიდდნენ(!). როგორც ჩანს, ერთ-ერთმა დაზარალებულმა შურისძიება გადაწყვიტა და ფირმის საქმიანობის შესახებ სამართალდამცველებს აცნობა. ქალბატონები „საქმეზე" დაიჭირეს, მაშინ, როდესაც ორი ქალბატონის თურქეთში გადაყვანას ცდილობდნენ.

## აზმაიფარაშვილი დააკავეს

ესპანეთში, პალმა დე მალიორკაზე მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ქართველი მოჭადრაკე ზურაბ აზმაიფარაშვილი პოლიციამ დააკავა. როგორც აზმაიფარაშვილის ოჯახის წევრები ამბობენ, ოლიმპიადის ორგანიზატორები ტურნირის მსვლელობისას ქართველი მოჭადრაკეების უფლებებს ლახავდნენ. ასევე, ასპარეზობაზე არ დაუშვეს ნონა გაფრინდაშვილი, მაშინ, როდესაც ოლიმპიადაზე მისი სახელობის თასი გათამაშდა. პრიზის გარეშე დატოვეს ქართველი მოჭადრაკე ბაადურ ჯობავაც... ამის გამო ზურაბ აზმაიფარაშვილმა პროტესტი გამოხატა, მაგრამ ესპანელებმა სტუმართმასპინძლობით ვერ გამოიჩინეს თავი, არც ფიდეში აზმაიფარაშვილის მაღალ სტატუსს გაუწიეს ანგარიში და ქართველი მოჭადრაკე არასაჭადრაკო წესებით დააშამათეს — პოლიციაში გაამწესეს. ესპანური მხარე თავს იმართლებს — აზმაიფარაშვილის დაპატიმრება მიზნად არ გვქონია, მაგრამ მან სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია და ამიტომ აიყვანესო. პოლიციელებთან შეხლა-შემოხლისას აზმაიფარაშვილმა ფიზიკური დაზიანება მიიღო. როგორც მისი მეუღლე ამბობს, მოჭადრაკე ნაცემია და თავი და თვალი აქვს დაზიანებული, რის გამოც აუცილებელი გახდა მისი საავადმყოფოში გადაყვანა.

## აფხაზეთში ვითარება კვლავ დაძაბულია?

საქართველო აფხაზეთის წინააღმდეგ ომს იწყებსო, — განგაშის ზარი შემოჰკრეს აფხაზეთის არალეგიტიმურ მთავრობაში. არადა, სოხუმში დენთის კასრზე თავად დასხდნენ როდესაც ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების დამტკიცებას ვერ მოაბეს თავი.

სოხუმში ვითარება ძალზე დაძაბულია. მილიციის გაძლიერებული დანაყოფები სამთავრობო შენობებს იცავენ. თვითმარქვია პარლამენტი ვერ იკრიბება, რომ კენჭი უყაროს არძინბას გადაწყვეტილებას არჩევნების ხელახლა ჩატარების შესახებ... თუმც, იმასაც ამბობენ — რომელ ხელახალ არჩევნებზეა ლაპარაკი, სერგეი ბაღაფში ინაუგურაციისთვის ემზადებაო.

## რამიშვილი „მუსკულების" გარეშე დარჩა

„გადაწყვეტილია, მივდივართ, მაგრამ სად, არ ვიცით", — თქვეს ტელეარხ „202"-ის „მუსკულებმა" და წავიდნენ... ამბობენ, ტელეკომპანიის „შემოქმედებითი კუნთები" შალვა რამიშვილს სიძუნწეს სწამებენ და მცირე ხელფასებს აპროტესტებენო. „მუსკულები" თურმე კარგა ხნის წინ ამუნათებდნენ „202"-ის ხელმძღვანელს, — ანაზღაურება გაგვიზარდე, თორემ მიგატოვებთო. რამიშვილს კი ყურიც არ შეუბერტყავს — უთავოდ „კუნთები" რას იზამენო...

მიტოვებული შალვა რამიშვილი იხტიბარს არ იტეხს — შოკირებული სულაც არ ვარო და დასერიოზულებამდე (ანუ სერიოზული ტელევიზიის გაკეთებამდე) კვლავ ახალი ძალით აპირებს გასართობი გადაცემების მომზადებას.




## ვიქტორი ვიქტორის წინააღმდეგ

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელსაც 45 ქართველი დამკვირვებელი ადევნებდა თვალს, მძაფრი დაპირისპირების ფონზე წარიმართა. კიევში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იქნა მიღებული, ცესკოს შენობასთან მილიციამ 1,5მ-ის სიმაღლის მეტალის ფურცლებისგან დამზადებული ღობეები დაამონტაჟა. არჩევნების უსაფრთხოებას 140 ათასი მილიციელი იცავდა.

სოციოლოგები არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის პროგნოზს მისი შედეგების გამოქვეყნებამდე აკეთებდნენ — ვერც პროდასავლური ორიენტაციის ოპოზიციის ლიდერი ვიქტორ იუშჩენკო და რუსეთის ფავორიტი, ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი ხმათა 50%-ზე მეტს ვერ მიიღებენო.

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უკრაინისთვის ეს ყველაზე ხმაურიანი და მნიშვნელოვანი არჩევნებია, რომელიც ქვეყნის ორიენტაციას განსაზღვრავს. არჩევნების შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც. უკრაინაში ჩვენი პრეზიდენტის სტუდენტობის დროინდელი მეგობრის, პროდასავლელ იუშჩენკოს გამარჯვება ძალზე შეასუსტებს რუსეთის გავლენას შავი ზღვის აუზის ქვეყნებზე.

## რუსეთს ემუქრებიან

„80-ზე მეტმა კამიკაძე-ტერორისტმა რუსეთში ტერაქტების მოწყობისთვის სპეციალური მომზადება საზღვარგარეთ გაიარა", აცხადებენ რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურში. რუსეთში კვლავ შიშით ელიან ტერაქტების მორიგ სერიას. უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელის, ნიკოლოზ პატრუშევის თქმით, ტერორისტთა ნაწილი გაუვნებელყოფილია, მაგრამ დანარჩენების ძებნა ძნელდება, რადგან ზოგიერთ კამიკაძეს პირადობის დამადასტურებელი რამდენიმე საბუთი აქვს.

პატრუშევის თქმით, ბოევიკებისა და კამიკაძეების მომზადება შუა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს უშუალო მხარდაჭერით და გასაიდუმლოებული რელიგიური და სამხედრო-რელიგიური ორგანიზაციების მეშვეობით ხდება.

პატრუშევმა მხარი დაუჭირა „ტერორიზმისგან დაცვის განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმების" შემოღების წინადადებას. კანონი, რომელიც ტერორისტული საფრთხის დონეთა სისტემას აწესებს, წლის ბოლომდე იქნება მიღებული. ტერორისტული საფრთხის რეჟიმი, კერძოდ, მოქალაქეთა და ავტოტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვასა და საბუთების შემოწმებას ითვალისწინებს. არ არის გამორიცხული, რომ სპეცსამსახურებმა სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის უფლებაც მიიღონ.

საგადასახადო კოდექსის განხილვას ქართველმა კანონმდებლებმა ცდა არ დააკლეს — კურორტზეც სცადეს, დედაქალაქის ფეშენებელურ სასტუმროებშიც და თვით პარლამენტის შენობაშიც. საბოლოო ჯამში, დიდი წვალების შემდეგ საგადასახადო კოდექსი პირველი მოსმენით მიიღეს... ალბათ, მეორე და მესამე მოსმენა უკვე უმტკივნეულოდ ჩაივლის(!). სხვა საქმეა, რამდენად იოლად მოხერხდება კოდექსით გათვალისწინებულ ცვლილებათა რეალურ ცხოვრებაში გატარება — ჩვენთან ხომ კანონები თაროზე „ძილს" არიან მიჩვეულნი... გასული კვირა კორუფციასთან ბრძოლითაც გახალისდა — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბოროტმა ძალებმა თბილისის მერის „შეცდენა" მოინდომეს და სცადეს, მისთვის საჩუქრად ძვირად ღირებული საათი შეეპარებინათ(?!). პარალელურად, ახალმა ხელისუფლებამ ძველისთვის კიდევ ერთხელ მოიცალა და სამართალდამცველთა ბადეს „პოლიტიკური იატაკქვეშეთიდან" ამჯერად ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და საქართველოს ყოფილი „ზავხოზი", ირაკლი ანდრიაძე ამოჰყვნენ. თუმცა, ბადეში მანამდეც ბევრი გვინახავს, სასამართლო კი ჯერ ერთიც არ გამართულა — ალბათ, ერთი-ორი კაპიკი მათაც მოეძევებათ — გადაიხდიან და გამოუშვებენ...

როგორც ჩანს, ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფალთ ერთფეროვნება მოჰბეზრდათ — გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის ე. წ. რესპუბლიკის შემოგარენში კადიროვის მომხრე ჩეჩნური შეიარაღებული დაჯგუფებები გამოჩნდნენ. ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, სცენარი უცვლელი იქნება — სამაჩაბლოს რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის განახლება და მასში ქართული საარმიო ნაწილების ჩათრევა. და ეს ყველაფერი მანამ — სანამ ამერიკელებს ჩვენთვის არ სცალიათ...

გასულ კვირასვე, დასავლეთის მედიაში ერთობ კომპეტენტური და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის — „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" — რეიტინგი გამოქვეყნდა. საქართველომ პრესის თავისუფლების მიხედვით, 167 ქვეყანას შორის 94-ე, „საპატიო" ადგილი მოიპოვა — ან უკვე ყველაფერს მივაღწიეთ და ამიტომ შევარდნაძის დროინდელი შემართება დაიკარგა, ან... მოკლედ, 94-ე ადგილზე ვართ.

კვირის მნიშვნელოვან მოვლენებზე საუბარი პოლიტოლოგ **გია ნოდიასთან** სწორედ მედიის თავისუფლების თემით დავიწყეთ:

— შესაძლებელია, ამის აღიარება ვინმეს ძალიანაც არ სურდეს, მაგრამ ფაქტია, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდში მედიის თავისუფლების ხარისხი საქართველოში საგრძნობლად გაუარესდა. ამას ორი ძირითადი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: — პირველი ის გახლავთ, რომ ჩვენთან მედია ეკონომიკურად იმ დონეზე არ არის განვითარებული, რეალობას შეღავათი არ გაუწიოს და ხელისუფლება მოზომილად არ აკრიტიკოს. იდეოლოგიის მთავარ გამტარებელ საშუალებად საქართველოში კვლავაც ტელევიზიები რჩება. ტელებიზნესი კი ჩვენთან მსხვილი ბიზნესმენების ხელშია და მათთვის ტელევიზია შემოსავლის წყაროს კი არ წარმოადგენს, არამედ ხელისუფლებასთან ურთიერთობის საშუალებას. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ქართული მედიის სტრატეგია მაშინდელი ხელისუფლების არაპოპულარობასა და არალეგიტიმურობაზე იყო აგებული. დღეს განსხვავებული სიტუაცია გვაქვს, ამიტომაც ზემოთ ნახსენები ბიზნესმენები იძულებული არიან, არსებულ ხელისუფლებას გუნდრუკი უკმიონ, რათა მასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნონ. საქართველოში მედიის თავისუფლებას დიდი დარტყმა მიაყენა „რუსთავი 2"-თან დაკავშირებულმა მოვლენებმაც — რევოლუციამდე ეს იყო ერთადერთი ტელეკომპანია, რომლისთვისაც ტრანსლაცია შემოსავლის ძირითად წყაროს, ანუ რეალურ ბიზნესს უკავშირდებოდა. სამწუხაროდ, რევოლუციის შემდეგ მისმა მფლობელმა,ეროსი კიწმარიშვილმა ცდუნებას ვერ გაუძლო — განსაკუთრებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდა და რევოლუციური დივიდენდების გამოყენება დაიწყო. ამას კი „რუსთავი 2"-ის დამოუკიდებლობა შეეწირა.

მეორე მხრივ, როგორც ჩანს, დღევანდელ ხელისუფლებასაც აქვს სურვილი, მედია კონტროლის ქვეშ ჰყავდეს. კონკრეტული ფაქტების მოყვანა ამ თვალსაზრისით არ შემიძლია, თუმცა არსებობს მონაცემები და წყაროები იმის შესახებ, რომ პატრიოტული მოტივაციისა და „სახელმწიფო ინტერესების" მოშველიებით, ხელისუფლება უშუალო ზეწოლას ახდენდა მასმედიაზე — თუნდაც, ცხინვალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

**— სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, საგადასახადო რეფორმებმა წესით, მედიის თავისუფლებასაც უნდა შეუწყოს ხელი. ალბათ, მესამე მოსმენამდე და ახალი კოდექსის დამტკიცებამდე მასში მრავალი ცვლილება შევა, თუმცა ძირითადი ნიუანსები არ შეიცვლება. ერთ-ერთი სიახლე ამ მხრივ საგადასახადო ომბუდსმენის შემოღება იქნება. რამდენად გამართლებული და ქმედითი შეიძლება იყოს ყველა სფეროში ცალკე ომბუდსმენის არსებობა, ან რამდენად შეუწყობს ხელს ქართული ეკონომიკის განვითარებას ახალი კოდექსი?**

— იმის გამო, რომ ეკონომიკა ჩემს კომპეტენციას სცილდება და იმის გამოც, რომ კოდექსის საბოლოო სახე ჯერ მაინც უცნობია, მასზე დეტალურად მსჯელობა გამიჭირდება. რაც შეეხება ომბუდსმენს, ევროპაში არსებობს ქვეყნები, სადაც ცალკეულ სფეროს თავ-თავისი ომბუდსმენი ჰყავს — მაგალითად, შვეციაში. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ევროპაა და ჩვენ მისი განვითარების დონემდე ბევრი გვიკლია. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, უფრო ყოფითი საკითხებისთვის მიგვექცია ყურადღება — რასაკვირველია, საგადასახადო კოდექსმა და რეფორმებმა ეკონომიკაში ქართული მედიის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზეც უნდა იმოქმედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულფასოვანი საზოგადოება არ გვეყოლება...

**— რამდენად იმოქმედებს სრულყოფილი საზოგადოების შექმნაზე კორუფციასთან ბრძოლის ის მეთოდი, რომლის „პრეზენტაციაც" გასულ კვირას თბილისის მერმა, ზურაბ ჭიაბერაშვილმა მოაწყო. მოგვიანებით, ქრთამზე უარის თქმის შემდეგ, პრეზიდენტმა მერი საათით დაასაჩუქრა, თუმცა არავის გასჩენია კითხვა, იყო თუ არა მისი ხელფასი საკმარისი ამ საათის შესაძენად...**

— ვიმედოვნებ, რომ პრეზიდენტის ანაზღაურება ამ საათის ყიდვის შესაძლებლობას იძლევა.

# ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚᲖᲔ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲝᲡ...

## საგადასახადო კოდექსმა და რეფორმებმა ეკონომიკაში ქართული მედიის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზეც უნდა იმოქმედოს



გარდა ამისა, ასეთი ჟესტი სრულებით მისაღებად მიმაჩნია — ამას ხომ ქრთამის სახე არანაირად არ ექნებოდა, რადგან პრეზიდენტს თავისი დანიშნული მერის მოსაქრთამი არაფერი სჭირს. მეორე მხრივ, მისაღებია ჭიაბერაშვილის საქციელიც, როდესაც მან თავისი ხელქვეითისგან ბოძებულ ძვირად ღირებულ საჩუქარზე უარი თქვა. თუმცა ერთგვარი ნიუანსები აქაც არის — როგორც ერთ-ერთი ტელეგადაცემიდან გაირკვა, ჭიაბერაშვილის პრაქტიკაში კოლეგებისგან საჩუქრების აღების შემთხვევები მანამდეც ყოფილა. ამას თავად მერი იმით ამართლებს, რომ ის კოლეგებისგან სუნამოებისა და ჰალსტუხების მიღებაზე უარს არ ამბობს. გამოდის, რომ თავადვე გაუკეთებია ქრთამისა და უწყინარი საჩუქრის კლასიფიკაცია... თუმცა, დამეთანხმებით, ჰალსტუხიც და სუნამოც, საათზე გაცილებით ძვირი შეიძლება ღირდეს — ყველაფერი ხომ ფარდობითია. შესაძლებელია, ამან ირონია გამოიწვიოს, მაგრამ ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, ჩინოვნიკისგან საჩუქრის აღების კრიტერიუმები ოფიციალურად, უფრო მაღალ დონეზე მომხდარიყო. სხვათა შორის, ამერიკაში მცხოვრებმა ერთმა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ასეთი რამ მიამბო: მას რეიგანი დაუხატავს და ნახატის მისთვის ჩუქება მოუნდომებია. გაუგზავნია კიდეც, თუმცა, მცირე ხნის შემდეგ საჩუქარი მოსაბოდიშებელი წერილის თანხლებით უკანვე დაბრუნებია — როგორც აღმოჩნდა, ექსპერტთა ჯგუფს ეს სურათი 1000 დოლარზე მეტად შეუფასებია. ასეთი „ძვირფასი" საჩუქრის მიღების უფლება კი, კანონის თანახმად, ამერიკის პრეზიდენტს არა აქვს!

**— საკუთარ რიგებში კორუფციასთან ბრძოლის პარალელურად, ახალმა ხელისუფლებამ წინამორბედებსაც შეუტია. ალბათ, ნარჩემაშვილისა და ანდრიაძის ბრალეულობას სასამართლო დაადგენს. თუმცა მაინც უცნაურია, რატომ გადაწყვიტეს ასეთი დაგვიანებით ყოფილ საკმაოდ მაღალჩინოსანთა დაპატიმრება, მით უმეტეს, თუ მათი ბრალეულობა ეჭვს არ იწვევდა...**

— ბუნებრივია, საზოგადოებას გაუჩნდება კითხვა — რა პრინციპით აპატიმრებენ ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს, როდესაც მეორე სრული თავისუფლებითა და ხელშეუხებლობით სარგებლობს. თუმცა ამ შემთხვევაში, ადრე ან გვიან დაპატიმრებაზე მნიშვნელოვნად სხვა რამ მიმაჩნია — ტენდენცია, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ დაამკვიდრა. ეს ამა თუ იმ ყოფილი ჩინოვნიკის უცერემონიო დაპატიმრებას და შემდეგ განსაზღვრული თანხის საფასურად მათ ასევე უცერემონიო გათავისუფლებას ეხება. ხელისუფლება, ისევე როგორც მისი ძალოვანი უწყებები, ხალხს უნდა ემსახურებოდეს — ყოველ შემთხვევაში, ასეთი სისტემა გვაქვს დეკლარირებული ჩვენს კონსტიტუციაში. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ დაპატიმრებულზე სასამართლოს გზით ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს, საზოგადოებას ანგარიში უნდა ჩააბაროს — რატომ დაიჭირა, ან რატომ გაათავისუფლა ესა თუ ის პირი. არავითარი პრეტენზია არა მაქვს ისეთი ადამიანის დაპატიმრებაზე, ვინც საკუთარი კეთილდღეობა თავისი ხალხის უბედურებასა და სახელმწიფო ქონების ხარჯზე მოიწყო — მაგრამ როდესაც ადამიანს ასეთი მძიმე ბრალდებით იჭერ და სამართლიანობაზე გაქვს პრეტენზია, მაშინ სასამართლოს გვერდის ავლით რაღაც შეთანხმებები და ფულის გადახდა არ უნდა ხდებოდეს — თუნდაც ეს ფული ბოლო კაპიკამდე ბიუჯეტში იყოს ჩარიცხული. რამდენადაც მახსოვს, ასეთი კანონი, ციხიდან ხალხის გამოშვებაზე — ჩვენს პარლამენტს არ მიუღია. იგივე ითქმის ნარჩემაშვილთან და ანდრიაძესთან დაკავშირებითაც — მათ დამნაშავეობა-უდანაშაულობაზე ვერაფერს ვიტყვი, თუ სასამართლო არ გაიმართა და მხარეებმა თავისი არგუმენტები არ წარმოადგინეს — ბრალმდებელმაც და დამცველმაც. ეს ხომ ძალიან მარტივი რამ არის. მიუხედავად ამისა, მოლაშვილის საკითხი უკვე საქართველოს ფარგლებს გასცდა და ლამის ევროსაბჭო ეხვეწოს საქართველოს მთავრობას, ამ კაცს სასამართლო გაუმართეთო — ამ შემთხვევაშიც, როგორც რიგით მოქალაქეს, არავითარი პრეტენზია არ მაქვს მისი ბრალეულობის ან უდანაშაულობის მტკიცებაზე, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ხელისუფლებამ მისი აზრით, თუნდაც ძალიან კორუმპირებული ჩინოვნიკის პატიმრობაში ყოფნა ლამის მთელი სახელმწიფოს უსამართლობის სიმბოლოდ აქციოს მხოლოდ იმიტომ, რომ სასამართლო არ ან ვერ იმართება...

> ხელისუფლება, ისევე როგორც მისი ძალოვანი უწყებები, ხალხს უნდა ემსახურებოდეს – ყოველ შემთხვევაში, ასეთი სისტემა გვაქვს დეკლარირებული ჩვენს კონსტიტუციაში. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ დაპატიმრებულზე სასამართლოს გზით ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს, საზოგადოებას ანგარიში უნდა ჩააბაროს – რატომ დაიჭირა, ან რატომ გაათავისუფლა ესა თუ ის პირი.

> საქართველოში მედიის თავისუფლებას დიდი დარტყმა მიაყენა ,,რუსთავი 2"-თან დაკავშირებულმა მოვლენებმაც – რევოლუციამდე ეს იყო ერთადერთი ტელეკომპანია, რომლისთვისაც ტრანსლაცია შემოსავლის ძირითად წყაროს, ანუ რეალურ ბიზნესს უკავშირდებოდა. სამწუხაროდ, რევოლუციის შემდეგ მისმა მფლობელმა, ეროსი კიწმარიშვილმა ცდუნებას ვერ გაუძლო – განსაკუთრებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდა და რევოლუციური დივიდენდების გამოყენება დაიწყო. ამას კი ,,რუსთავი 2"-ის დამოუკიდებლობა შეეწირა.

**— დედაქალაქში განვითარებულ პროცესებთან ერთად, სიტუაცია იძაბება კონფლიქტურ რეგიონებშიც — ცნობილი ხდება, რომ აფხაზეთის ტერიტორია გაურკვეველ ვითარებაში დატოვა კრემლის ემისარმა, ხაჯიმბამ, რომელიც მოსკოვმა სოხუმში პრემიერ-მინისტრად გაგზავნა. სიტუაცია იძაბება ცხინვალის რეგიონშიც, სადაც გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსკოვის ერთგული კადიროვის ჩეჩენი მებრძოლები გამოჩნდნენ — რამდენად წაადგება ქართულ სახელმწიფოებრიობას ერთი ან მეორე შემთხვევა?**

— ის, რაც აფხაზეთში ხდება, ძნელი გასაგები არ არის — წლების მანძილზე მოტყუების შემდეგ აფხაზებში თავმოყვარეობამ გაიღვიძა და მათ უარი თქვეს პრორუსულ განწყობაზე, რადგან მიხვდნენ, რომ რუსეთის მონური მორჩილება კარგს არაფერს უქადით და კრემლი აფხაზთა ეროვნულ აღტყინებას კვლავაც საზარბაზნე ხორცად თუ ვაჭრობის საგნად გამოიყენებს. თუმცა დანარჩენ საქართველოს არც კმაყოფილების და არც თვითდამშვიდების საფუძველი არ უნდა ჰქონდეს. გვაქვს კი, გარანტია, რომ აფხაზთა შეგნებაში პრორუსულ განწყობას პროქართული შეცვლის? არა მგონია, ასე ფიქრი და მსჯელობა სერიოზული იყოს. თავისთავად, კარგია, რომ პრორუსული ძალები სოხუმში სუსტდება, მაგრამ საქართველო-აფხაზეთის მეგობრობის მარცვალი არათუ გაზრდილი და გახარებული, ჯერაც დასათესი გვაქვს. რაც შეეხება ცხინვალში მოვლენათა შესაძლო განვითარებას — თუ ინფორმაცია კადიროვის რაზმების შესახებ დადასტურდა, ვფიქრობ, კრემლის შორს გამიზნულ სცენართან უნდა გვქონდეს საქმე. ცხინვალელი სეპარატისტები დაქირავებულ მებრძოლებთან ერთად, ყველანაირად ეცდებიან, ახლო მდებარე ქართული სოფლების ეთნიკური წმენდა მოაწყონ და საქართველო კვლავ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაითრიონ. როგორი ძლიერი არმიაც არ უნდა გვყავდეს, დღეს მოვლენათა ასეთი განვითარება ქართულ რეალობას უბრალოდ, არ წაადგება. საბოლოო ჯამში კი, ყველაფერი სააკაშვილის და მისი გუნდის რეიტინგზე იმოქმედებს ცუდად და შესაბამისად, ის ვეღარ შეძლებს იმ უამრავი რეფორმის გატარებას, რასაც დღეს ცდილობს...

**— ალბათ, ამ სიტუაციაში დიდ პოლიტიკურ მხარდაჭერად უნდა აღვიქვათ ის ფაქტი, რომ ევროატლანტიკური ალიანსი თბილისში ოფიციალურ წარმომადგენლობას ხსნის. თუმცა, რამდენად ქმედითი იქნება ბერკეტები, რომელსაც ევროპა ან ამერიკა რუსეთის მიმართ საქართველოს დაცვის მიზნით გამოიყენებს, მეორე საკითხია...**

— დასავლეთი რომ საქართველოს უდიდეს მხარდაჭერას უცხადებს, ფაქტია. თუმცა ისეც ნუ გავიგებთ, რომ ამ მხარდაჭერის ნიშნად თუ დასტურად, უპირობოდ გაგვაწევრებენ ჩრდილოატლანტიკურ გაერთიანებასა ან ევროკავშირში. ერთსაც და მეორესაც საქართველოს მხრიდან უზარმაზარი ძალისხმევა და რეფორმების ობიექტურად გატარება სჭირდება. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც დიდ მხარდაჭერას უცხადებდნენ, რაც არა მხოლოდ მორალურ თანადგომაში, არამედ საკმაოდ სოლიდურ ციფრებშიც გამოიხატებოდა. მოხდა ისე, რომ მაშინ მაღალჩინოსნებმა ქვეყნის შენებას საკუთარი ეზო-კარის შენება ამჯობინეს — ამიტომაც დაკარგა ნდობა მაშინდელმა ხელისუფლებამ და დასავლეთში ვარდების რევოლუციას დიდი მოწონებით შეხვდნენ. დღევანდელ ხელისუფლებაში კორუფციის საფრთხე შესაძლებელია ნაკლები იყოს, მაგრამ ძალიან დიდია ცდუნება ძალაუფლების რევოლუციური ნიშნით გამოყენებისა. ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ ბავშვი ნაბან წყალს გადავაყოლოთ. ქვეყანაში, პირველ ყოვლისა, კანონის უზენაესობას უნდა იცავდეს ხელისუფალიც და არახელისუფალიც. თავად ხედავთ — უკრაინა ჩვენზე გაცილებით ძლიერია, გნებავთ ეკონომიკური, გნებავთ სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ მისი ხელისუფლების მიერ ძალაუფლების უზურპაციამ შესაძლოა, მოვლენები ტრაგიკულად წარმართოს.

**— უკრაინაში არსებულ ვითარებას ექსპერტები ხშირად თბილისში განვითარებულ მოვლენებს ადარებენ და რევოლუციას, ოღონდ ამჯერად „წაბლების რევოლუციას" წინასწარმეტყველებენ. რამდენად მგავსია დემოკრატიისთვის ბრძოლის ქართული და უკრაინული სახალხო დამოკიდებულება, რამდენად რეალურია, რომ ეს ბრძოლა სისხლის ღვრაში გადაიზარდოს?**

— საქართველოსთან პარალელის გავლება არარეალურად მიმაჩნია, რადგან ნოემბრის თვეში, საქართველოში მაშინ არსებული ხელისუფლების რეიტინგი არათუ ნულის ტოლი იყო, არამედ მინუს ნიშნულებში იყო გადასული. ამას კიევზე ნამდვილად ვერ ვიტყვით — შესაძლებელია, იქ საზოგადოების აზრი ორად იყოს გაყოფილი, მაგრამ ასე ვთქვათ, ცალსახა სახალხო პოზიცია ნამდვილად არ არსებობს. გარდა ამისა, ისიც ფაქტია, რომ საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების წინ სამთავრობო ძალები აშკარად კონსოლიდირებული და ქმედითია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთის ეგრეთ წოდებულ არჩევნებშიც, რუსეთის კანდიდატის დამარცხებას არავინ ელოდა, უკრაინაშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს — იმ შემთხვევაში, თუ იუშენკო სამთავრობო კანდიდატზე გაცილებით მეტ ხმას მოაგროვებს, კიევში მოვლენები შესაძლოა უმართავიც გახდეს. ეს კი არც ისე უმტკივნეულოდ დამთავრდება, როგორც თბილისში იყო. ნუ დაგვავიწყდება, რომ კიევის ქუჩებში მძიმე ტექნიკა და ჯარები იყო გამოყვანილი.

*დაჩი გრძელიშვილი*

CMYK

# როგორ ამღერდა „უავტომატოდ“ პატარა ერისიონელი...

ზაფხულში ვინც ბორჯომში ისვენებდა, დაამახსოვრდებოდა სასტუმრო „თბილისიდან“ გამომავალი ქართული ხალხური სიმღერის ხმა. ეს მომაჯადოებელი ხმა ერთბაშად ავსებდა ირგვლივ ყველაფერს და არც იმ უცხოელებს დაავიწყდებათ, სასტუმროს კედელთან რომ შეჩერდნენ და გაოცებულები კითხულობდნენ, ვინ მღერისო? ამასობაში სიმღერა შეწყდა, როგორც ჩანს, შესვენება გამოცხადდა და მომღერლები... ჟრიამულით დაეშვნენ კიბეზე. საქართველოს სტუმრებმა (გერმანელები აღმოჩნდნენ) ერთმანეთს გადახედეს: ესენი ხომ ბავშვები არიან! დაუჯერებელია!..

ბიჭებს ყურადღება არც მიუქცევიათ კედელს აკრული ორი გერმანელისთვის, რომლებიც მცირე ხნით იყვნენ ბორჯომში და ჩქარობდნენ, ჯგუფის წევრებს უნდა დავეწიოთო. მათ სასწრაფოდ ჩაიწერეს მომღერალ ბიჭუნათა ანსამბლის სახელი „პატარა ერისიონელები“... მეც დავიმახსოვრე და ამჯერად უკვე თბილისში ვეწვიე „პატარა ერისიონელებს“, რომელთაც მომღერალი **დავით კერესელიძე** ხელმძღვანელობს. მისთვის სრულიად ჩვეულებრივი ამბავი აღმოჩნდა ბავშვების სიმღერით აღტაცებული უცხოელების ნახვა:

— ჩვენს რეპეტიციას რომ ესწრებიან, ზოგჯერ ტირიან კიდეც. მით უმეტეს, საქართველოს სტუმრები, რომლებისთვისაც ქართული მრავალხმიანობა ბოლომდე „ეგზოტიკად“ დარჩება.

**— დიდი ხანია, რაც ანსამბლი ჩამოყალიბდა?**

— უკვე ორი წელია.

**— რთულია ბიჭებთან მუშაობა?**

— ამათ უყვართ ხალხური სიმღერა. მართალია, ცელქობენ, მაგრამ სიმღერა მაინც ყველაფერს ურჩევნიათ. თავიდან ვფიქრობდი, ჩვეულებრივ რეპეტიციაზე შესვენებას გამოვაცხადებ, ბავშვები არ დაიღალონ-მეთქი, მაგრამ რომ ვნახე, შესვენებებზე როგორ დარბოდნენ (ლამის კედლებზე გადიოდნენ), უარი ვთქვი. ახლა გადაბმულად ვმეცადინეობთ. ჯერ ხალხური სიმღერების რეპეტიცია გვაქვს, მერე ხალხურ საკრავებზე — ფანდურზე, სალამურსა და ბასფანდურზე დაკვრას ვასწავლი...



**— თქვენი ერთ-ერთი მომღერალი საუცხოოდ უკრავდა სალამურზე.**

— სალამურზე ბექა ბუჩუკური, გიორგი ცხადაძე და გელა ტაბაშიძე უკრავენ. აქამდე მეც კი არსად მომისმენია ისეთი იმპროვიზებული შესრულება, ბექამ რომ შეძლო. თან მელოდიას უკრავს, თან საკუთარი ხმით მეორე ხმას აძლევს...

**— ისეთი ბიჭი თუ გყავთ, სიმღერა რომ არ უნდოდა, მაგრამ ძალით ატარებდნენ და ისწავლა?**

— არა, ასეთ ბავშვებს არ ვიღებ. ბავშვს თუ სიმღერა არ უყვარს, არაფერი გამოვა, თუ უყვარს, პატარასაც შეუძლია კარგად იმღეროს. ერთი ოთხი წლის ბიჭი მომიყვანეს. კარგად მღეროდა, მაგრამ მხარზე აუცილებლად „ავტომატი“ უნდა ჰქონოდა გადაკიდებული, ისე ხმას არ იღებდა. სულ მალე ისე შეგვეჩვია, სიმღერამ ისე გაიტაცა, თავისი განუყრელი „იარაღი“ გადაავიწყდა და ახლა უკვე უავტომატოდ მღერის. ისე, თქვენ რომ თქვით, ვისაც ხალხური სიმღერა არ უნდოდა, ისეთი თუ გყავთ ვინმეო... თავიდან მე არ მინდოდა ხალხური სიმღერა, მაგრამ ანსამბლში მოვხვდი და ისე შემიყვარდა, დღეს აღარაფერში გავცვლი.

**— თქვენი არაჩვეულებრივი სმენის შესახებ ამბობენ: ბავშვები თუ ცელქობენ, ხმაურზე არჩევს, ვინ რას აშავებსო...**

— ეგ მართალია. ბორჯომშიც, სასტუმროს ნომერში როცა ვიყავი, ვიცოდი, დერეფანში რომელი დარბოდა, რომელი ხტებოდა, რომელი... კისერს იტეხდა! სმენა არ მატყუებს!

დათო მასწავლებელს გუნდად დასდევენ ბიჭები, რომლებიც ანსამბლში სიმღერასთან ერთად ქართველობის სიყვარულსაც სწავლობენ... უნდა ნახოთ, როგორ დასჭექენ — „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!..“

***ლელა ჯიყაშვილი***

# ცირკის „კამილიას“ ღამეები

## ჩემს ძმებს უნდა ვუჩივლო, რომ არ მომკლეს...

სულაც არ მინდა ამ წერილით ვინმეს გული ავუჩუყო. უბრალოდ, მინდა კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, როგორ შეიძლება დაეცეს ადამიანი. ისე კი ალბათ დიქტოფონზე ჩანაწერს როცა გადავშლი, მეც მაშინვე მიმავიწყდება თბილისელი „კამილია“, რომელიც ექსტრავაგანტური „კოლგოტით“, წარმოუდგენლად დამოკლებული ბოლოკაბით, იაფფასიანი თოჯინითა და საცოდავი ღიმილით ამოვიდა მიკროავტობუსში და მაინცდამაინც მე მომიჯდა გვერდით. ფანჯარაში გავიხედე და თავში დრამატურგ რეზო კლდიაშვილის „ჩემი კამილია“ დამიტრიალდა: „ისიც ხომ ბავშვი იყო, მასაც უმღეროდა დედა იავნანას, ის ჩვენ შევქმენით“... ეს სიტყვები ისე „მკბენდნენ“, „კამილიას“ გაჩერებაზე ჩამოვყევი და სანამ ცირკის მხარეს გადავიდოდა, მოსალოდნელი პასუხით ცოტა არ იყოს შეშინებულმა ვთხოვე, დამელაპარაკებოდა.

— რად გინდა?!

— შენზე მინდა დავწერო, თუ გინდა, გვარს და სახელს სულაც არ ვახსენებ...

— დაწერე, მერე, ვინ გიშლის! — აშკარა ბრაზით მიპასუხა.

არა მგონია, მორიგი მეძავის ვინაობა ვინმეს აინტერესებდეს, არც ის მინდა, ეს წერილი მომავალში დედის მამხილებლად იქცეს მისი შვილისთვის, ამიტომ მხოლოდ თბილისის ცირკის კამილიას მონათხრობს შემოგთავაზებთ...

— ვინ ხარ, საიდან ჩამოხვედი, ნათესავები არ გყავს?

— რატომ არ მყავს! ძმები მყავს და შვილი, 12 წლის ბიჭი!..

— შენმა შვილმა იცის, რას აკეთებ?

— არ იცის, ჩემი ძმები არ ეტყვიან, არც სოფელი ეტყვის...

— როდესმე გაიგებს... შენთან ყოფნა არ უნდა?

— უნდა, მაგრამ არ შეიძლება, ვერ ჩამოვიყვან. მე რა უნდა ვასწავლო? ისე, ყველაფერს მისთვის ვყიდულობ, ფულსაც ვუგზავნი.

— ძმები რას გეუბნებიან?

— არ მელაპარაკებიან, სახლში არ მიშვებენ. რამდენი წელია არც ერთი არ მინახავს... სოფელში რომ ჩავდივარ, მეზობლები შვილს ჩუმად მომიყვანენ ხოლმე.

— მეზობლებმა რაო?

— მარიგებენ, ასე ნუ ცხოვრობო, ვეუბნები, თქვენ მარჩინეთ და აღარ ვიზამ-მეთქი.

— სხვისი რჩენა რად გინდა, მიწას თუ დაამუშავებ, საჭმელი შენც გექნება...

— არა, ვერ წავალ სოფელში, კაცები მაინც არ მომასვენებენ, შვილი გამიფუჭდება... აი, აქ რომ სამსახური მომცენ, გეფიცები აქ აღარ გამოვალ...

— რამდენს შოულობ დღეში?

— 30-40 ლარს...

— რამდენი წელია ასე ცხოვრობ?

— 15... 37 წლის ვარ...

— რაღა მაინცდამაინც ეს გზა აირჩიე, სხვა ვერაფერი მოიფიქრე თუ ვინმემ გირჩია?

— არავისაც არ ურჩევია. ჩავჯექი მატარებელში და წამოვედი. სხვა რა უნდა მომეფიქრებინა?

— ვის გამოექეცი?

— ოჯახს. 17 წლის გავთხოვდი. ჩემი ქმარი ორ თვეში დაიჭირეს, რომ გამოვიდა, ისევ დაიჭირეს... ძმებთან ვცხოვრობდი და გამოვიპარე...

— პირველად სად მიხვედი?

— ვაგზალზე დავდექი. გოგოები გავიცანი. მითხრეს, ბაითებში არ წაყვე კაცებს, შეიძლება მოგკლან და სადმე გადაგაგდონო...

— კლავენ ვინმეს?

— ჩემისთანებს, კი... მოკლედ, ბაითებში არ დავდივარ... აი, ვენდისპანსერში ყოველთვის მივდივარ, სუფთა ვარ, გეფიცები!



— ვინმე არ შეგხვდა, ვინც გეტყოდა, ამას ნუ აკეთებო?

— ეგ ადარდებთ? ე, მაგრა მომბეზრდა ეს ცხოვრება!.. არ მინდა, რასაც ვაკეთებ, შვილს გეფიცები... ფული მინდა ვიშოვო.

— რა კატეგორიის ხალხს ხვდები?

— ნარკომანებს, ჯიბის ქურდებს, ლოთებს, ექიმებს, ადვოკატებს, პროკურორიც მყოლია...

— შენ რა იცი, რომ პროკურორი იყო?

— ტელევიზორში ვერ ვხედავდი? რომ დათვრებიან, თვითონაც მეუბნებიან...

— როგორ დავიჯერო, ამდენ ხალხში ერთი კარგი ადამიანი არ შეგხვდა.

— იყო ერთი... მითხრა, ცოლად წამომყევიო...

— არ გაყევი?

— არა. მოვბეზრდებოდი და გამომაგდებდა, ან მცემდა. პატრონი უნდა გყავდეს, რომ არავინ არაფერი გაგიბედოს.

— ცემით, მგონი, ისედაც გცემენ.

— თავში მირტყამენ ხოლმე. რამდენჯერ გული წამსვლია. გონზე რომ მოვალ, ფული აღარ მაქვს, მპარავენ... იცი, რამდენი მანქანის ნომერი მაქვს ჩაწერილი? ვერ ვეუბნები მილიციას, რომ ვუთხრა, ცოცხლად მაწამებენ.

— თუ მარტო ფულისთვის გცემენ, მიეცი, თავს რად აკვლევინებ...

— მარტო ფულისთვის კი არა... ეგრე უნდათ! ცემით გულს რომ მოიჯერებენ, ფული მერე მიაქვთ. ფულს ძალიან თუ შემეხვეწება ვინმე, თვითონ ვაძლევ. რამდენჯერ მიმიცია მათხოვრებისთვის და პატარა ბიჭებისთვის 20-30 ლარი. მეცოდებიან, მეუბნებიან, წაგებული გვაქვს, რომ არ მივიტანოთ, მოგვკლავენო.

— ერთხელაც შეიძლება ისე გცემონ, შენც მოგკლან...

— მომკლან მერე!

— ეს თოჯინა რატომ გიჭირავს?

— არ ვიცი... წუხელ ერთ ბიჭთან ვიყავი და მაჩუქა. ბავშვობაში, მამა ყიდულობდა ჩემთვის თოჯინებს... ძალიან კარგი დედ-მამა მყავდა... მეტყობა რამე?..

— აქ რომ დგახარ, ბევრ ლამაზ, წესიერ ქალს დაინახავ, არ გინდა სხვებივით იცხოვრო?

— იცი, როგორ მინდა? მშურს... შვილს გეფიცები, ბევრჯერ მითქვამს გულში, ნეტა, მეც ასეთი დავბადებულიყავი-მეთქი...

— გარდა კაცებისა, არავინ გამოგელაპარაკება ხოლმე?

— რამდენჯერაც გინდა. არ გრცხვენია, ასე რომ ცხოვრობ, ცოდო ხარ, სოფელში დაბრუნდიო... ვის დავუბრუნდე, ჩემს ძმებს(?)... არ მიყვარს ჩემი ძმები... რომ შეიძლებოდეს, ვუჩივლებდი...

— რატომ?

— ასე რომ გამომიშვეს და არ მომკლეს ამ დღეში მაინც არ ვიქნებოდი!..

— ასე ცხოვრებას დიდხანს მაინც ვერ გაუძლებ...

— რა დამემართება, მოვკვდები? მერე რა! ასე სიარულს სიკვდილი არ მირჩევნია?.. მაინც ბევრი დარჩება ჩემნაირი. იცი, ყოველდღე ცირკთან რამდენი ქალი მოდის? არ აჩერებენ გოგოები, აგდებენ..

— რას ერჩიან?

— კონკურენციაა, რა!

— რითი დაგეხმარო?

— რით და დაწერე, რაც გითხარი, ასეთ ცხოვრებას სიკვდილი ჯობია-თქო!

— აბა, კარგად იყავი!

— კარგად იყავი, დაიკო. ჯერ შენ წადი, მე მერე წავალ, ჩემთან არ დაგინახონ, ვინმეს ჩემნაირი არ ეგონო, არ მინდა, ცუდი რამე დაგემართოს...

— ნუ გეშინია...

— რა ნუ მეშინია! შენ არ იცი, რა არის ცხოვრება!..

***ეთერ ერაძე***

# „ცხოველთა სამყარო“... მინისქვეშა დარბაზში

ინჟინერმა **ნუგზარ ჯანაშიამ**, ანუ ნუზი პაპამ ნახევარ საუკუნეზე მეტი მოანდომა „ცხოველთა სამყაროს“ შექმნას. მერე ეს სამყარო მუზეუმში „დაასახლა“ — სასტუმრო „ივერიის“ მიწისქვეშა კომპლექსში. მოზრდილ დარბაზში 500-მდე სახეობის ცხოველი და ფრინველია წარმოდგენილი. — ასეთი რამ მხოლოდ უცხოურ ფილმებში თუ მინახავსო, — მითხრა ერთმა დამთვალიერებელმა, თუმცა მე უფრო პატარების აზრით დავინტერესდი.

*ნინიკო კაპანაძე:* — დედას ზოოპარკშიც დავყავარ, ცირკშიც. იქ ბევრი ცხოველი და ფრინველია, მაგრამ ასეთები არსად მინახავს. ცუდია, რომ ცოცხლები არ არიან... ისე, თავიდან მეგონა, რომ ცოცხლები იყვნენ...



— ეს რა ცხოველია? —ეკითხება ნუზი პაპას 8 წლის ზურიკო კალანდაძე.

— ეს ჯიხვია, რომელიც კლდეზე ამაყად დგას...

— ვინ დაიჭირა?

— მე. დიდ კლდეზე ავედი და დავიჭირე...

— როგორ ახვედი დიდ კლდეზე?

— მონადირის დიდი ჩექმები მეცვა...

პატარა ზურიკომ ჩექმების ნახვაც მოინდომა, მაგრამ მაშინვე გადაავიწყდა, როცა ბავშვებმა ცხოველებთან ფოტოების გადაღება დაიწყეს.

დარბაზში „ჩხიკვთა ქორწილის“ მთელი კომპოზიციაა წარმოდგენილი. აგერ ნეფე-პატარძალი — ჩხიკვი ზაქარა და ქეთევანი მეჯვარეებით. თამადა არწივია. კოდალაც აქვეა (გახარებულმა „ამოიცნო“ ერთმა პატარა ბიჭმა, სოფელში ხეზე უკაკუნებდაო). ვის არ შეხვდებით აქ: პოპულარულ ბუს — თამადის მოადგილეს, გვრიტებს, კოლხურ ხოხბებს, ბელურას, ანუ ჩიტი-ჩიორას, მელიასთვის რომ ბარტყები არ ემეტება... ერთი სიტყვით, ყველანი აქ არიან — პატარების საყვარელი ზღაპრების გმირები...

— ფიტულები ჩემი ჰობი იყო, — ამბობს ნუზი პაპა, — მუზეუმზე არც მიფიქრია. რამდენიმე ექსპონატი მოსკოვში გამოიფინა, ბატონ ზურაბ წერეთელს უნახავს და... ეს დარბაზი მაჩუქა. მას შემდეგ უკვე რვა წელი გავიდა. დარბაზი „ცხოველთა სამყაროდ“ იქცა. ყოველდღე უამრავი ბავშვი მოდის... უხარიათ... მალე 75 წლისა ვხდები, ჩემს „ცხოველთა სამყაროს“ თბილისს ვუტოვებ, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ...

ბატონი ნუგზარი განთქმული მონადირე ყოფილა. სად არ ყოფილა სანადიროდ. თითოეული „ექსპონატი“ (ცხოველი თუ ფრინველი) მეგობრებთან ერთად, მრავალჟამიერით და ჭიქა ღვინით აქვს დალოცვილი.

— ამ საქმეს ბევრი რამის ცოდნა სჭირდება. კერვაც უნდა შეგეძლოს, ხელოვანის თვალიც უნდა გქონდეს და... ქიმიაშიც უნდა გაგეგებოდეს რამე, რომ სწორად შეაზავო ფიტულების დასამზადებელი წამლები. ბუნებაში რაც მინახავს, იმ ყაიდაზე ვქმნიდი თითოეულ ექსპონატს. აქ ხატვაცაა ჩაქსოვილი, ძერწვაც, ქანდაკებაც, დიზაინიც... — ამბობს ბატონი ნუგზარი.

მუზეუმის შესასვლელში ხის მომცრო ზომის ყულაბა დევს. ვისაც რამდენის საშუალება აქვს, იმდენს იმეტებს. განსაკუთრებით ბავშვები აქტიურობენ... უნიკალური ექსპონატების „სიცოცხლე“ ხომ ამ ყუთზეცაა დამოკიდებული.

***თეა ცაგურიშვილი***

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი**, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს**. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „სიკვდილთან თამაში... ყვავის ტუზით“ — 147 ხმა
2. **ზვიად სეხნიაშვილი** — „მამის მკვლელი მეფობას ვერა იქმს...“ — 36
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „რა შეიცვალა ქართულ ენერგეტიკაში“ — 34

მკითხველის სახელით პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **ვაჟა გავაშელს,** მეორე პრემია — 20 ლარი — **ზვიად სეხნიაშვილს,** ხოლო მესამე — 15 ლარი — **ზვიად ჩაკვეტაძეს.**

***მკითხველის პრემიის მფლობელები 373-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# უშიშროების მაღალჩინოსანს თაღლითობაში ადანაშაულებენ



## ოლიმპიური აფერა ქართულად

„კვირის პალიტრის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, გენპროკურატურა ერთ სკანდალურ საქმეს განიხილავს: ცეზარ ხარხელსა და ნინო გაგნიძეს მოქალაქეთა ჯგუფი თაღლითობაში ადანაშაულებს. თაღლითობის მექანიზმი მარტივია: ხარხელი და გაგნიძე მოქალაქეებს განსაზღვრული გასამრჯელოს სანაცვლოდ საბერძნეთში ჩაყვანას დაჰპირდნენ. ზოგმა პროცენტიანი ვალი აიღო, ზოგმაც ბინა გაყიდა და გასამგზავრებელი თანხა გაიღო. თუმცა, დღემდე თბილისში სხედან და ფულის დაბრუნებას ამაოდ ელიან.

ასეთი ისტორიები საქართველოში ძალზე გახშირდა. სკანდალური კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის არის, რომ ვიცე-პოლკოვნიკი ცეზარ ხარხელი უშიშროების მაღალჩინოსანია და ამ სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა.

**გამუდმებით გვიტრიალებდა თვალწინ უშიშროების „კნიჟკას“, თვალებზე აფარებდა ყველას, თუკი ვინმე დაეჭვდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევხვდით, უკვე ნინო გაგნიძესთან ერთად. მოლაპარაკების დროს ხარხელი აქტიურობდა, გაგნიძე ჩუმად იყო. მხოლოდ დაგვამადლა: ცეზარის ხათრით გამოვნახე ადგილები, თორემ ამ ფასად გამგზავრება არც ისე ადვილიაო.**

გენპროკურატურის მასალების მიხედვით, იზა ბექაურმა, ნინო მამინეიშვილმა, ზინა ბუჩუკურმა და ნაირა ძულაშვილმა სულ რვა ათას დოლარზე მეტი გადაიხადეს. ხარხელს და გაგნიძეს ისინი ოლიმპიური ნაკრების დელეგაციაში უნდა ჩაესვა და ისე ჩაეყვანა საბერძნეთამდე. ოლიმპიური თამაშები კარგა ხანია დამთავრდა, მოტყუებულებმა კი ვერც სანატრელი ათენი იხილეს და ფულიც დაკარგეს. როგორც ერთ-ერთი დაზარალებულის ახლობელი **მამუკა ბაკურაძე** ამბობს, ხარხელი არც მალავდა, უშიშროების თანამშრომელი რომ იყო. მეტიც, ყველას აიმედებდა, რომ როგორც უშიშროების ოფიცერს, წინ ვერაფერი გადაეღობებოდა.

— დაზარალებულთაგან ერთ-ერთი ჩემი მეგობარია. საბერძნეთის ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დამირეკა და მითხრა, საბერძნეთში წასვლის შანსი გამოჩნდა, ოღონდ ფული არ მაქვს და მასესხეო. ფულის სესხება კი აღვუთქვი, მაგრამ ვთხოვე, ჯერ ის ხალხი მანახვე და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი.

ასე შევხვდი ცეზარ ხარხელს. მან ჩემს მეგობარს უთხრა, ოფიციალურად ჩახვალ, სასტუმროც „დაბრონილი“ დაგხვდება და ყველანაირი კომფორტი გექნებაო. ოღონდ ერთი კაცის გამგზავრებაზე ჩალიჩი არ ღირს, იქნებ კიდევ მომიგროვოთ ხალხი და ბარემ ყველას ერთად გავუშვებო. საბოლოოდ ოთხი მსურველი შეგროვდა. თავიდან ეჭვი არაფერში შეგვპარვია. ვიცოდით, რომ ხარხელი უშიშროებაში მუშაობდა. თანაც ამბობდა, ნინო გაგნიძე, ვისთან ერთადაც საქმეს ვაკეთებ, ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობს და ადრეც არაერთხელ გაგვიმგზავრებია ხალხი საზღვარგარეთო.

— **გამგზავრების სანაცვლოდ რამდენი მოითხოვა?**

— თითოეულს 2.200 დოლარი უნდა გადაეხადა. თავდაპირველად 1.200 დოლარი უნდა მიეცათ, დანარჩენი — შემდეგ.

— **იმის გარანტია თუ მოსთხოვეთ, რომ ფული არ დაიკარგებოდა?**

— რა ვიცი, გამუდმებით გვიტრიალებდა თვალწინ უშიშროების „კნიჟკას“, თვალებზე აფარებდა ყველას, თუკი ვინმე დაეჭვდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევხვდით, უკვე ნინო გაგნიძესთან ერთად. მოლაპარაკების დროს ხარხელი აქტიურობდა, გაგნიძე ჩუმად იყო. მხოლოდ დაგვამადლა: ცეზარის ხათრით გამოვნახე ადგილები, თორემ ამ ფასად გამგზავრება არც ისე ადვილიაო.

— **საზღვარგარეთ რა საბაბით უნდა წასულიყავით?**

— მაშინ ოლიმპიური დელეგაცია მიემგზავრებოდა ათენში და ამ ხალხსაც დელეგაციის წევრებად გაასაღებდნენ. ერთი სიტყვით, პირობები ყველასთვის მისაღები იყო და ხელი ხელს დავკარით.

მეორე დღეს ჩემი მეგობარი მირეკავს და მეუბნება: ცეზარი ფულს მთხოვს და იქნებ მასესხოო. იმ საღამოს ხარხელი ნინო გაგნიძესთან ერთად მოვიდა. ჩავუჯექი მანქანაში და სახლში მიმიყვანეს. 1.200 დოლარი გამოვუტანე და გადავეცი.

მითხრა, ერთ კვირაში იქნება ვიზები და დანარჩენს მერე ავიღებთო. სხვა ქალებისთვის კი ამასობაში თანხა მთლიანად გამოურთმევია. ერთი კვირის შემდეგ, როცა გასამგზავრებლად ემზადებოდნენ, ცეზარ ხარხელმა დაგვირეკა და გვითხრა, რომ რაღაც დაბრკოლებები შეიქმნა და გამგზავრება კიდევ ერთი კვირით გადაიდო.

— **მიზეზი არ გითხრათ?**

— პრეზიდენტი რომ შეხვდა ოლიმპიადის მონაწილეებს, მიზეზად ეს დაასახელა. ყველაფერი გამკაცრებულია და მეორე დელეგაციაში ჩაგსვამთო. გავიდა ის ერთი კვირაც, მაგრამ ვიზები არ ჩანდა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***

# საზარელი მკვლელობები კონსტიტუციით „დაცული“ დანებით




საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2-დან 6 წლამდე სასჯელით ემუქრებოდა ყველას, ვინც ცივი იარაღის ტარებას გაბედავდა. დღეს დანის (თუნდაც ხანჯლის) ტარება დანაშაულად აღარ ითვლება. დანის ტარებას მოზარდებმაც „გაუგეს გემო“ და ახალგაზრდობას შორის დაჭრისა და მკვლელობის ფაქტებმა საგრძნობლად იმატა.

ცივი იარაღის ტარებას მოზარდები სკოლის ასაკიდან იწყებენ. დანის ჩამორთმევის უფლება კი არავის აქვს, რადგან დანა უკვე „ჩვეულებრივი“ პირადი ნივთია. საკუთრების უფლება კი კონსტიტუციის ძალით არის დაცული. მართალია, დანა სისხლის სამართლის კოდექსიდან შესაბამისი მუხლის ამოღების შემდეგ „ჩვეულებრივ“ ნივთად იქცა, მაგრამ ცხადია, რომ მას სიკვდილი ყველა სხვა ნივთზე ხშირად მოაქვს.

### 18 წლის დავით ოთხმეზური დანით მოკლეს

28 ოქტომბერს მიცკევიჩის ქუჩის დასაწყისში, საკუთარ სახლთან ახლოს აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის შვილიშვილი და პროფესორ გიორგი ოთხმეზურის შვილი დავით ოთხმეზური ჯერჯერობით უცნობმა პირებმა დანით დაჭრეს. 18 წლის დავით ოთხმეზური საავადმყოფოში, ოპერაციის მსვლელობისას გარდაიცვალა. მიყენებული სამი ჭრილობიდან სასიკვდილო გულმკერდის ღრუში შემავალი დაზიანება აღმოჩნდა. ინციდენტი გვიან ღამით მოხდა. ერთ-ერთი ვერსიით, დავით ოთხმეზური იმ საბედისწერო ღამეს სახლიდან სატელეფონო ზარის შემდეგ გავიდა. გამოძიება არც სავარაუდო ვერსიებს ახმაურებს. გარდაცვლილის ოჯახის წევრები და მეგობრები გაოგნებული არიან მომხდარით, მათთვის გაუგებარია, რატომ შეიძლებოდა მოეკლათ დავით ოთხმეზური.

მძიმედ დაჭრილი დავით ოთხმეზური ტაქსის მძღოლმა მიიყვანა საავადმყოფოში. იგი მეორე დღეს თავად გამოცხადდა პოლიციაში და სამართალდამცველებს ახსნა-განმარტება მისცა. მისი თქმით, დაჭრილი შველას ითხოვდა. მიცკევიჩის ქუჩის მცხოვრებთა განცხადებით, დაჭრილი დავით ოთხმეზურის საავადმყოფოში მიყვანაც კი პრობლემა გახდა, რადგან მანქანას დიდხანს არავინ აჩერებდა.

ვინ მოკლა დავით ოთხმეზური, ალბათ მალე გაირკვევა, რადგან პროკურატურის ფრიად გასაიდუმლოებული ტონი ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრის არსებობაზე მიუთითებს. (ჩვენი გაზეთი დასაბეჭდად უკვე მზად იყო, როდესაც შევიტყვეთ, რომ ოთხმეზურის მკვლელობის საქმე „კვირის პალიტრის“ გამოსვლის დღისთვის შესაძლოა გახსნილიც იყოს). ამასთან, მოზარდების მიერ ჩადენილი მკვლელობები დიდი სირთულით არ გამოირჩევა და სამართალდამცველები ასეთ დანაშაულს ძალზე იოლად ხსნიან.

დავით ოთხმეზური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. როგორც მისი თანაკურსელები ამბობენ, იგი კონფლიქტურ სიტუაციებში არასოდეს უნახავთ. ზრდილ, წესიერ და კეთილ ახალგაზრდად მოიხსენიებენ დავით ოთხმეზურს მისივე საცხოვრებელ კორპუსთან განთავსებული ჯიხურების გამყიდველები და მეზობლები. ასევე ახასიათებენ მას მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანატშიც.

4 წლის წინ დავით ოთხმეზურის უფროსი ძმა კონსტანტინე ოთხმეზური თავისსავე სადარბაზოში „მაკაროვის“ სისტემის იარაღით დაჭრეს. მას ხუთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. კონსტანტინე ოთხმეზური გადარჩა, თუმცა დანაშაული ჯერ კიდევ გაუხსნელია. უკავშირდება თუ არა კონსტანტინე ოთხმეზურის დაჭრა და დავით ოთხმეზურის მკვლელობა ერთმანეთს, უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ოთხმეზურის მკვლელობაში დანა და ორი პირი მონაწილეობდა.

### საპატრულო პოლიციის თანამშრომელი დანის წართმევისას დაიღუპა

27 ოქტომბერს, გვიან ღამით, საპატრულო პოლიციის თანამშრომელიც დაიღუპა. ეს ინციდენტიც ცივ იარაღს უკავშირდება. თუმცა რასთან გვაქვს საქმე, მკვლელობასთან თუ უბედურ შემთხვევასთან, ჯერჯერობით, გაურკვეველია. გლდანი-ნაძალადევის საპატრულო სამსახურის ოცეულის ინსპექტორი ენვერ გუსოევი თავისსავე ტაბელური იარაღით ნასროლი ტყვიის მსხვერპლი გახდა. მას ტყვია მუცლის არეში მოხვდა და მეორე დღეს გარდაიცვალა.

იგი პირველი საპატრულო პოლიციის თანამშრომელია, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა. პოლიციამ უკვე დააკავა ინციდენტში მონაწილე ლევან გიგაური. გიგაური წარსულში ქურდობისთვის არის ნასამართლევი.

წინასწარი მონაცემებით, პატრულმა ნასვამი მოქალაქე შენიშნა. პოლიციელებმა მას მანქანიდან გადმოსვლა მოსთხოვეს, რასაც წინააღმდეგობა მოჰყვა. საპატრულო პოლიციის უფროსის, ზურაბ მიქაძის განცხადებით, მძღოლი პოლიციელებს დანით ემუქრებოდა. გუსოევმა მძღოლის დაშოშმინების მიზნით იარაღი ამოიღო, თუმცა, რა მოხდა შემდეგ, ჯერჯერობით, ვერავინ ამბობს. გუსოევის მეწყვილე გიორგი ცინცაძემ გიგაურის მანქანასთან მისვლა მაშინ გადაწყვიტა, როცა შენიშნა, რომ პოლიციელი და მოქალაქე ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ. როცა ცინცაძე მოქალაქის მანქანასთან მივიდა, გუსოევი უკვე დაჭრილი იყო. იგი ქალაქის მე-4 საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ამჯერად სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის ფაქტზეა აღძრული, თუმცაღა გიგაურს ჯერჯერობით მხოლოდ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას ედავებიან. გამომძიებელ კახა ჩუბინიძის თქმით, წინააღმდეგობის გაწევას რაც შეეხება, გიგაურმა აღიარა დანაშაული, მაგრამ პოლიციელის მკვლელობასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს. როგორც დაკავებული ამბობს, პატრულმა იმ დანის წართმევა მოუნდომა, რომლის ტარების უფლება მას კანონით ჰქონდა მინიჭებული(!). გიგაურისავე მტკიცებით, მას დანა არ ამოუღია და არც პოლიციელებს დამუქრებია. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება დაადგენს, რომ გიგაური პოლიციელებს არ დამუქრებია, ამ უკანასკნელმა კი მისთვის დანის წართმევა თუნდაც კეთილშობილური მოსაზრებით გადაწყვიტა, კანონდამრღვევი პოლიციელი გამოდის, რადგან მან მოქალაქის „პირადი“ ნივთის წართმევა განიზრახა...

***ხათუნა პაიჭაძე***

მოისმინეთ ამერიკის ხმის

გადაცემები ქართულ ენაზე

ყოველდღიურად 19:30-დან 20:00

საათამდე "მთავარი რადიოს"

და "რადიო 2-ის" ტალღებზე

MORE >

www.VOAnews.com

# რომ გეკითხათ, საიდან გაქვს 1.500-დოლარიანი საათიო, რა უნდა მეთქვა?

## პრეზიდენტს საათი ბრეგაძისთვისაც უჩუქებია



ამ დროში ვის რას გაუგებ და მით უმეტეს, ფილოსოფოს (მას უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი ჰქონია დამთავრებული) მერს. თუმცა, ქიაბერაშვილის ერთი შეხედვით უცნაურ გაბრაზებას მაინც მოეძებნა ახსნა. ამბობენ, ამ ჟესტით მერმა მის წინააღმდეგ დაგეგმილი ინტრიგა ალკვეთაო, ეს არგუმენტი უკვე გასაგებს ხდის საჩუქრის აღებიდან მეორე დღეს ქიაბერაშვილის გაწიწმატებას. მაინც ვინ უწყობდა ინტრიგას ქიაბერაშვილს? ამბობენ, ბიძინა ბრეგაძის მომხრეებიო... პრემიერისა და მერის დაძაბულ ურთიერთობაზე ბევრ რამეს ჰყვებიან — ერთმანეთის კადრებს არ ინდობენ და არ ენდობიანო.

„1.500-დოლარიან“ სკანდალზე კი ასეთი ხმა გავრცელდა — ზურაბ ადამიას საჩუქარი სულაც არ ყოფილა უანგარო, ეს ფაქტი მერის მოწინააღმდეგეებს მის „გასაფუჭებლად“ სჭირდებოდათ, მაგრამ ეს ამბავი ბრეგაძის გარემოცვაში „დანერგილი“ აგენტურის წყალობით ქიაბერაშვილმა გაიგო, უკვე აღებული საჩუქარი ყველას დასანახად დააბრუნა, „ჩაფლავების“ ნაცვლად საქმეც გაიკეთა და პრეზიდენტისგანაც მიიღო მადლობა და საჩუქარი, რომელიც ქრთამად არ ითვლება. ქიაბერაშვილის ამ ოსტატური მანევრის შემდეგ თბილისში ამბობენ — უუფლებო, მაგრამ გამოცდილი ქიაბერაშვილი ახალგაზრდა ბრეგაძეს ჯაბნის, პრეზიდენტის წინაშე ანგარიშით წარდგომის წინ მერი უკეთეს სვლას ვერ მოიფიქრებდაო. თბილისში კი მათ დაპირისპირებაზე ზოგი ასეც ხუმრობს — ერთმანეთის ჯიბრით თუ მეტს გააკეთებენ დედაქალაქისთვის, ნურც შერიგებულანო. ვინ აჯობებს ამ ორთაბრძოლაში: ფილოსოფოსი ქიაბერაშვილი თუ ავიატორი ბრეგაძე, მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი მეტოქეებს მოვუსმინოთ:

**ზურაბ ქიაბერაშვილი:** — ზურაბ ადამიამ გასულ სამშაბათს, საღამოს, კაბინეტში მომიტანა პოლიეთილენის პარკით საჩუქარი. მაშინვე ვუთხარი — ეს იყოს უკანასკნელი, საჩუქრების მიღება არ მიყვარს-მეთქი. ღამის თორმეტის ნახევარზე, შინ წასვლის წინ გავხსენი ყუთი. საათებში ვერ ვერკვევი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ეს ძვირფასი ნივთი იყო. დავურეკე ჩემს ნაცნობს, ვკითხე, „ომეგა“ რა ღირს-მეთქი. რაკი ზეპირად ვერ მიპასუხა, მასთან მივედი და ვაჩვენე საჩუქარი. მაშინვე მიპასუხა, 1.500-დოლარიანი ნივთიაო. გადავწყვიტე, ადამიას საჩუქარი აღარ დამეტოვებინა და ეს ფაქტი გავახმაურე კიდეც.

— **რატომ გადაწყვიტეთ საჩუქრის საჯაროდ დაბრუნება?**

— მე საჯარო პირი ვარ და ჩემი ყველა გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს. სწორედ ამიტომ მივიჩნიე საჭიროდ ამის გაკეთება პრესკონფერენციაზე. ვინც ამბობს, რომ ასეთი ამბის გახმაურება ქართულ და კაცურ მენტალიტეტში არ თავსდება, კრიმინალური, მეშჩანური მენტალიტეტი აქვს, რომელიც ხრუშჩოვის დროს ჩამოყალიბდა.

— **ამბობენ, ადამიამ ქიაბერაშვილს მისი მოწინააღმდეგეების დავალებით მიუტანა საჩუქარი, ეს მერმა შეიტყო და ამიტომ ატეხა ერთი ამბავიო.**

— არა მგონია, ჩემს წინააღმდეგ ვინმეს შეთქმულება მოეწყო. მე არ ვარ შეთქმულების თეორიისა და არც ადამიანების კატეგორიებად დაყოფის მომხრე. ჩემთვის გაუგებარია შეხედულება, ეს ჩემი კაცია და ის — სხვისიო. სანამ ეს ფაქტი მოხდებოდა, ადამიასთან ერთად ვიყავი ისანი-სამგორის რაიონში და გეგმებიც კი დავსახეთ ერთად. მე ყველასთან ვიმუშავებ, ვინც კანონის ფარგლებს არ გასცდება... რომ დამეტოვებინა 1.500-დოლარიანი „ომეგა“ და თქვენ, ჟურნალისტს, გეკითხათ — საიდან გაქვს ეს საათიო, ან ტყუილი უნდა მეთქვა, ან სიმართლე — გამგებელმა მაჩუქა-მეთქი. რას დაწერდით მერე ჩემზე? ქიაბერაშვილმა ქრთამი აიღო თუ საჩუქარიო. კანონმდებლობის თანახმად, თქვენ უნდა დაწეროთ, რომ მე ქრთამი ავიღე.

— **ბევრს ლაპარაკობენ თქვენსა და ბიძინა ბრეგაძეს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. ისიც ითქვა, ქიაბერაშვილის კადრი ხიზანეიშვილი (კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი) სწორედ ადამიას გათავისუფლების გამო დატუქსა ბრეგაძემო...**

— ზოგჯერ მართლაც ვერ ვთანხმდებით მე და ბიძინა იმიტომ, რომ მერისა და პრემიერის კომპეტენციები აღრეულია. საჭიროა კომპეტენციების კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრა და აღარც გაუგებრობები იქნება. მერწმუნეთ, მერიაში არც გუნდები არსებობს და არც გუნდებს შორის არის რაიმე დაპირისპირება. არავინ არავის ერჩის იმის გამო, ვინ ვისი კადრია. პრობლემები, ძირითადად, ამა თუ იმ საკითხის მიმართ განსხვავებული მიდგომის გამო ჩნდება და არა იმიტომ, ვინ რომელი კადრი წარადგინა თანამდებობაზე. სხვათა შორის, ზურაბ ადამია თავის დროზე მე წარვადგინე გამგებლის პოსტზე.

**ბიძინა ბრეგაძე:** — ვერ გეტყვით, მომეწონა ან არ მომეწონა მერის საქციელი-მეთქი, ამას საზოგადოება უკეთ განსჯის.

— **რაც დედაქალაქის პრემიერი ხართ, თქვენთან თუ მოუტანიათ საჩუქარი და თუ მოაქვთ, როგორ იქცევით ხოლმე?**

— როდესაც ადამიანი საჩუქარს გიკეთებს, მიმაჩნია, რომ პატივისცემისა და ყურადღების გამოჩენა სურს. რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როდესაც ამის გაკეთება უნდოდათ ჩემს თანამშრომლებსაც და სხვებსაც, მაგრამ საჩუქარზე დელიკატურ უარს ვეუბნები და მადლობით ვისტუმრებ. საჩუქარი რომ ავიღო, ძველებურად ველარ შევძლებ იმ ადამიანთან თანამშრომლობას, დაძაბული ვიქნები.

— **არც სუნამოს და ჰალსტუხებს იღებთ საჩუქრად?**

— დაბადების დღეზე სუნამო მეუღლემ მაჩუქა, ჰალსტუხი კი მეგობარმა, რომელიც ჩემი თანამშრომელი არ არის. თანამშრომლებისგან ამ ნივთებსაც ვერ მივიღებდი. წელს თბილისობაზე მეგობარმა ჩამომიტანა აზერბაიჯანიდან სუვენირი, მინაში ჩასმული ბაქოს ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. ეს იყო და ეს, სხვა საჩუქარი არ მიმიღია.

— **ამბობენ, ადამიას ქიაბერაშვილისთვის საჩუქრის გაკეთება ბიძინა ბრეგაძემ „ურჩიაო“.**

— ამაზე კომენტარსაც არ გავაკეთებ... მე რა შუაში ვარ?!

— **ახლა ისიც არ მითხრათ, — მე და ქიაბერაშვილი შეხმატკბილებულად ვმუშაობთ.**

— შეხმატკბილებულად ვერავისთან ვერ ვიმუშავებ, იმიტომ, რომ ყველა ადამიანს თავისი აზრი აქვს — ორი აბსოლუტურად ერთნაირი აზრი ორ კაცს თავში არც მოუვა. სისულელე იქნებოდა, ვინმესთვის მეთხოვა, — ჩემნაირად იფიქრე-მეთქი. მე და ზურაბს გვაქვს განსხვავებული შეხედულებები და კიდეც ვკამათობთ, რაც ჭეშმარიტების გარკვევაში გვეხმარება.

— **არ ფიქრობთ, თავი მეც გამოვიჩინო, რომ პრეზიდენტისაგან საჩუქარი მივიღეო?**

— ახლა ხელზე სწორედ პრეზიდენტის ნაჩუქარი საათი მიკეთია (მაჩვენებს „ტისოტის“ მარკის შვეიცარიულ საათს). ორი წლის წინ მაჩუქა, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ ადგილობრივ არჩევნებში მოიპოვა წარმატება. ასე რომ, პრეზიდენტისგან საჩუქარი გაცილებით ადრე მივიღე...

— **ინციდენტის შემდეგ თქვენ ქიაბერაშვილის პროტეჟე, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ტარიელ ხიზანეიშვილი გააკრიტიკეთ, ეს შურისძიება იყო?**

— „დინამოს“ სტადიონთან გარე მოვაჭრეების პრობლემის გამო მივედი და მოულოდნელად აღმოვჩნდი ფაქტის წინაშე, — სტადიონზე სკამები არ იყო გამოცვლილი. არადა, დავალება კარგა ხნის წინ იყო გაცემული. ნამდვილად ვერ ვეტყოდი მადლობას კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს ორ რიგზე სკამების აღებისთვის და ვუსაყვედურე. თუმცა მან მოგვიანებით აგვიხსნა შეფერხების მიზეზი და დამატებით 100 ათასი ლარი გამოვუყავით. გაუგებარი ის იყო, ამის შემდეგ რომ მან ბრიფინგი ჩაატარა და თქვა, ჩემს დისკრედიტაციას ცდილობენ, პრემიერი ისეთი გადაწყვეტილების მიღებას მავალებს, რაც კანონს ეწინააღმდეგებაო. იმდენი საქმეა ქალაქში, რომ ინტრიგებისთვის არ მცალია. არ მინდა ყველას ნათქვამი ძირის გამოთხრად მივიჩნიო. საკრებულოში „ახალი მემარჯვენეები“ პრემიერის პოსტის გაუქმებას ითხოვენ და იმაზე მკითხაობა დავიწყო, ვინმემ ხომ არ წააქეზა-მეთქი? ამას ნამდვილად არ აღვიქვამ ჩემს წინააღმდეგ ბრძოლად... დედაქალაქის პრემიერობა ჩემი თვითმიზანი არ არის, სადაც პრეზიდენტი ჩათვლის საჭიროდ, იქ წავალ...

— **ამბობენ, რომ თქვენს უფროს მეგობარს, ვანო მერაბიშვილს თავის მოადგილედ მიჰყავხართ.**

— მე სხვა მეგობრებიც მყავს, არ ვარ კონფლიქტური და ბოღმიანი ადამიანი. ყველასთან გულღია ურთიერთობა მაქვს. თუკი ჩათვლიან საჭიროდ, რომ უშიშროების სამინისტროში უნდა ვიმუშაო, პრობლემა არ არის.

— **უსამართლოდ დაჩაგრულად ხომ არ მიგაჩნიათ ისანი-სამგორის გამგეობის თანამშრომლები, რომელთაც გამგებლის გამო სამსახური დაკარგეს?**

— ვინც თავს კორუმპირებულად არ მიიჩნევს, არ უნდა დაწეროს განცხადება წასვლაზე. კანონმდებლობით, მერს არ აქვს უფლება, გამგეობის თანამშრომლებს, თუ მათ რაიმე კანონდარღვევა არ აქვთ ჩადენილი, სამსახურიდან წასვლა მოსთხოვოს. პატიოსანი თანამშრომლების უსამართლოდ დასჯას არ დავუშვებ. ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჩვენი წინაპრების სიბრძნეში. ხომ არის ნათქვამი, — ნაჩუქარის გაჩუქება არ შეიძლებაო — ეს მაინც უნდა გაეხსენებინა ადამიას. ამასთან, უნდა იცოდეს კაცმა, ვის და რა უნდა აჩუქო.

*იზო რუკაძე*

მე საჯარო პირი ვარ და ჩემი ყველა გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს. სწორედ ამიტომ მივიჩნიე საჭიროდ ამის გაკეთება პრესკონფერენციაზე. ვინც ამბობს, რომ ასეთი ამბის გახმაურება ქართულ და კაცურ მენტალიტეტში არ თავსდება, კრიმინალური, მეშჩანური მენტალიტეტი აქვს, რომელიც ხრუშჩოვის დროს ჩამოყალიბდა.

# დავით მირცხულავას სასამართლო იწყება

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა პირველი „ელიტური“ ჩინოვნიკია, რომლის საქმე განსახილველად სასამართლოს უკვე გადაეცა. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო 3 ნოემბერს მირცხულავას საქმის განხილვას იწყებს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მირცხულავას ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. „მირცხულავამ საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენისა და უპირატესობის მისაღებად არაერთგზის გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად, პირადი მოტივით ჩაიდინა დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო გადამალვა, რამაც საზოგადოებასა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია“, — ასეთია იმ ბრალდებათა ჩამონათვალი, რომელზეც დავით მირცხულავას პასუხის გაცემა სასამართლოში რამდენიმე დღეში მოუწევს.

საქმე ეხება დავით მირცხულავას საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრობის პერიოდში „არმენერგოსთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელსაც გამოძიება კაბალურს უწოდებს და მირცხულავას 12-წლიანი პატიმრობით ემუქრება. გამოძიების ვერსიით, მირცხულავამ „არმენერგოს“ 4-მილიონიანი ვალი შეგნებულად, „სხვისთვის გამორჩენის („ენერგომანქკორპორაციის“) მიზნით“ 6 მილიონ დოლარამდე ხელოვნურად გაზარდა; ხელი შეუწყო შუამავალ კომპანია „ენერგომანქკორპორაციას“ მიეთვისებინა „საქართველოს რკინიგზიდან“ გადარიცხული 6 მილიონი დოლარის 90%, ვალის დაბრუნების ვალდებულება კი მირცხულავას მიერ გაფორმებული კაბალური ხელშეკრულებით ისევ საქართველოს დარჩა. გამოძიებისავე ვერსიით, მირცხულავას დანაშაულებრივი საქმიანობა ამით არ ამოწურულა. მან საქართველო-სომხეთის ურთიერთობების ამსახველი დანაშაულებრივი დოკუმენტაცია სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროდან წაიღო და ენერგეტიკის ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ოფისში გადამალა.

საბრალდებო დასკვნა, რომლის შედგენასაც გენერალურ პროკურატურაში 10 თვე მოანდომეს, მრავალი კითხვისა და ეჭვის საფუძველია. რა ან ვინ იმალება მირცხულავას მიერ განხორციელებული ბუნდოვანი ქმედებების უკან, ჯერ კიდევ საკითხავია. უპასუხებს კი სასამართლო პროცესი იმ კითხვებს, რომლებზეც პასუხი არც გამოძიებას და არც მირცხულავას ოჯახის წევრებს არ სურთ?

ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, თავად მირცხულავა თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებით მან ქვეყანას ნახევარი მილიონის დაზოგვის საშუალება მისცა. მიუხედავად ასეთი დაჟინებული მტკიცებისა, მირცხულავა აკაკი ჩხაიძის მიერ გარემონტებული ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს საკანში 10 თვეზე მეტია ზის და სასამართლოს განაჩენს ელოდება. ადვოკატების მტკიცებით, მირცხულავას ღრმად სწამს, რომ სასამართლო რომელიმე ეტაპზე — რაიონულიდან სტრასბურგამდე — მას აუცილებლად გაამართლებს.

დავით მირცხულავას გარდა, ყველა მაღალი რანგის კორუფციაში ბრალდებულმა ჩინოვნიკმა, თავისუფლების სანაცვლოდ, გამოსასყიდი გადაიხადა. მირცხულავა კი ფულს ჯიუტად არ იხდის. ადვოკატ **ეკა ბესელიას** მტკიცებით, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ის თანხა, რომელსაც მას პროკურატურა თავისუფლების სანაცვლოდ სთხოვს, უბრალოდ არ გააჩნია:

— **მაინც რამდენს ითხოვდა პროკურატურა?**

— ზუსტი ციფრი არ დაუსახელებიათ, მაგრამ ლაპარაკი მილიონებზე იყო. მირცხულავასთვის მნიშვნელობა არ აქვს, ერთ მილიონს მოსთხოვენ თუ ასს. მან ითხოვა შეესწავლათ მისი ქონება და შემოსავლები და აქედან გამომდინარე ემსჯელათ ე. წ. „გამოსასყიდზე“, მაგრამ პროკურატურამ რატომღაც უფრო მარტივი გზა ამოირჩია და პირდაპირ მილიონები მოსთხოვა.

— **დავით მირცხულავას სხვა პატიმარი კოლეგების მსგავსად მილიონერი მეგობრები არ დაეხმარნენ?**

— არა მგონია, მირცხულავა მეგობრებით დაჩაგრული იყოს, უბრალოდ, მას სხვებივით არ უმართლებს — მილიონერი ნათესავებითა და მეგობრებით განებივრებული არ არის. ისე კი მირცხულავას რომ ქონება ჰქონოდა, მას პროკურატურა უკვე ასჯერ ჩამოართმევდა.

— **სასამართლო პროცესისგან რას ელით?**

— მირცხულავას უპირობო რეაბილიტაციას.

— **ასეთი თვითდაჯერების საფუძველს რა გაძლევთ? ენერგოსექტორში მილიონები „ტყდებოდა“, მინისტრი კი მირცხულავა იყო...**

— არსებობს კანონი ენერგეტიკისა და გაზის შესახებ, რომლის თანახმად ენერგეტიკის მინისტრს ევალებოდა ამ სფეროში ზოგადი პოლიტიკის წარმართვა. მას ეკრძალებოდა სხვა ენერგოსუბიექტების სამეურნეო საქმეებში ჩარევა და კონტროლი, ხოლო თუ

„მირცხულავასთვის მნიშვნელობა არა აქვს, ერთ მილიონს მოსთხოვენ თუ ასს“



ვინმე მილიონებს იპარავდა, კონტროლი შესაბამის სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებს უნდა განეხორციელებინათ, რადგან მირცხულავას სხვებზე კონტროლის მექანიზმი არ გააჩნდა.

— **იმ კაბალურ ხელშეკრულებაზე რას იტყვით, რომელიც მირცხულავას ძალისხმევით „არმენერგოსთან“ გაფორმდა?**

— ეს ხელშეკრულება კაბალური არ ყოფილა, პირიქით. მარტივი არითმეტიკული გამოთვლებითაც კი აშკარაა, რომ საქართველომ ამ ხელშეკრულებით ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი დაზოგა.

— **გამოდის, პროკურატურაში თვლა არ სცოდნიათ.**

— შეიძლება ასეც ითქვას, თუმცა პროკურატურაში ყველაფერი კარგად იციან, მაგრამ აბა მილიონები ვის უნდა გადაახდევინონ? ეს ხერხი მირცხულავას შემთხვევაში არ გამართლდა, რადგან მან ფული არ გადაიხადა, თორემ ბრმა უნდა იყო კაცი, რომ ამ საკითხში მირცხულავას სიმართლე ვერ დაინახო. მან 1998-99 წლებში მიიღო სომხეთიდან დეფიციტური ელექტროენერგია, რისი გასტუმრებაც შემდგომში ვერ მოხერხდა არა ენერგო, არამედ ფინანსური კრიზისის გამო. სახელმწიფოში რეალურად არ სრულდებოდა ბიუჯეტი, არ მიმდინარეობდა ენერგოსექტორიდან თანხის ამოღება და ფულს საიდან გადაიხდიდა? პროკურატურაში საქმის რეალური არსი არავის აინტერესებს. მთავარი იყო თანხის გადახდა, თორემ სხვა რას შეიძლება მიეწეროს ის ფაქტი, რომ მძიმე ავადმყოფს, რომელსაც ინფარქტი, ინსულტი, სიმსივნური უჯრედები და ყველაფერი ერთად განუვითარდა, საკანში ამყოფებენ და ციხის საავადმყოფოში ჯიუტად არ გადაჰყავთ. რომ არა ევროსაბჭოს ექსპერტები და მონიტორინგის ჯგუფი, მირცხულავა დღესაც მე-7 საპყრობილეში იქნებოდა. ვერაფრით გავაგებინეთ პროკურატურას, რომ განსხვავებით მისი რანგის პატიმრებისგან, მირცხულავას მილიონობით თანხები არ გააჩნია.

*ხათუნა პაიჭაძე*

# შეწყალების კომისიასა და პრეზიდენტს შორის გაურკვეველი რგოლი წარმოიშვა

## სახელისუფლებო გუნდში მართლაც არის სხვადასხვა ჯგუფი

ადამიანებს ველარ ვიცავ, ველარ ვეხმარები და ამიტომ ვფიქრობ, ხომ არ წავიდე პარლამენტიდანო, — **ელენე თევდორაძისგან** ასეთი განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, „უცნაურად“ ჟღერს. რამ აიძულა ამის თქმა დეპუტატს, რომელიც შევარდნაძის დროინდელ სტაგნაციის პერიოდშიც კი ახერხებდა ადამიანების უფლებების დაცვას, რა შეიცვალა ქვეყნის სათავეში რევოლუციური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ და რატომ უჭირს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს თანაგუნდელებთან თანამშრომლობა; რატომ აღარ ენდობიან ელენე თევდორაძეს და მისი განცხადება ხომ არ მეტყველებს სახელისუფლებო გუნდში არსებულ დაპირისპირებაზე? — ამას ინტერვიუდან შევიტყობთ.



**კორუფციულ გარიგებებზე ლაპარაკი ნაცნობი, ძველი და გაცვეთილი თემაა, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლებისგან მესმოდა... მაღიზიანებს, რომ ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების ტექსტები ზოგჯერ ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რატომ-მეთქი, ჩემს თავს ვეკითხები და ამაზე პასუხი ჯერჯერობით ვერ ვიპოვე. შესაძლოა თანამდებობა და სავარძელი ისეთი ჯადოსნური რამ არის, რაც ადამიანებს ცვლის.**

— ვერ ვიტყვი, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა-მეთქი, მაგრამ გაუარესდა ჩემი საქმიანობა. ისინი, რომელთაც დღეს ადამიანის უფლებების დაცვა ევალებათ, ჩემი მეგობრები არიან, ჩვენ ერთად ვუტევდით შევარდნაძის რეჟიმს და ერთიანი გუნდით მოვედით ხელისუფლებაში. განვიცდი, რომ ჩემს თანაგუნდელებთან მიხდება დაპირისპირება. როდესაც ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებში იყვნენ, ბევრ საკითხზე ერთნაირი შეხედულება გვქონდა. მეგონა, თანამდებობა მათ არ შეცვლიდა და იმას, რაც ძველი ხელისუფლების ქმედებებში არ მოსწონდათ, თავად არ გაიმეორებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მიჭირს მათზე ასე ლაპარაკი. მიუხედავად იმისა, რომ მეც და ისინიც ადამიანის უფლებების დამცველები ვართ, დღეს სხვადასხვა პოლუსზე აღმოვჩნდით...

**— ახლახან გენერალურმა პროკურორმა განაცხადა — ზოგი პარლამენტარი კორუფციულ გარიგებაშია შემჩნეული და ამიტომ მათ პატიმრებთან ურთიერთობის საშუალებას არ მივცემთო. ხომ არ იცით, ვინ იგულისხმა?**

— ჩემ გარდა რომელი დეპუტატი ხვდება პატიმრებს, არ ვიცი... ქალბატონმა ნინომ სასჯელთაღსრულებით დაწესებულებებში დაუბრკოლებლად შესვლის უფლებამოსილება მე გადმომცა. კორუფციულ გარიგებებზე ლაპარაკი კი ნაცნობი, ძველი და გაცვეთილი თემაა, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლებისგან მესმოდა... მაღიზიანებს, რომ ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების ტექსტები ზოგჯერ ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რატომ-მეთქი, ჩემს თავს ვეკითხები და ამაზე პასუხი ჯერჯერობით ვერ ვიპოვე. შესაძლოა თანამდებობა და სავარძელი ისეთი ჯადოსნური რამ არის, რაც ადამიანებს ცვლის.

ზურაბ ადეიშვილის ზემოხსენებული განცხადება არ მომისმენია, მაგრამ მეწყინა, რომ ბრიფინგზე მან სახალხო დამცველი და გიგა ბოკერია მიიწვია და მე არაფერი შემატყობინა. მაშინ ისიც ვიფიქრე, ამით ხაზი ხომ არ გაუსვეს იმას, რომ საკუთარი გუნდის წევრად აღარ მთვლიან-მეთქი. ამას ძალზე მტკივნეულად განვიცდი.

**— მაინც რატომ აღარ გთვლიან?**

— მათაც ვამხელ, თუ რაიმე ცუდს ჩაიდენენ. შესაძლოა მათ აღიზიანებთ, რომ მე ყველა დანაშაულზე საჯაროდ ვლაპარაკობ, ხალხი კი მისმენს და სჯერა ჩემი.

**— ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ სახელისუფლებო გუნდი ერთიანი არ არის და მასში უკვე სხვადასხვა ჯგუფია?**

— სახელისუფლებო გუნდში მართლაც არის სხვადასხვა ჯგუფი და არ ვფიქრობ, რომ ეს ცუდია. არ შეიძლება ამხელა ფრაქციაში ყველა ერთი აზრისა იყოს. ზოგჯერ ძალიან ემოციურად ვაცხადებ ხოლმე — აღარ შემიძლია აქ ყოფნა-მეთქი, მაგრამ რომ ვწყნარდები, ვფიქრობ, — ჯერ ძალიან ცოტა ხანია, რაც ერთად ვართ და ფრაქციაში მალე ყველაფერი დალაგდება-მეთქი. ალბათ დროა საჭირო, რომ ერთმანეთს შევეჩვიოთ, გავუგოთ.

**— ამას წინათ თქვენ პარლამენტიდან წასვლაზეც ლაპარაკობდით, რატომ?**

— ეს მოლაშვილთან დაკავშირებული ინციდენტის გამო მოხდა... ღამის პირველ საათზე პატიმართან საავადმყოფოში მისვლით მისი უფლებები შეილახა. ღამის სამ საათზე მოლაშვილის პატიმრობის ვადა გადიოდა და მერე იძულებული გახდებოდნენ, მოლაშვილი გაეთავისუფლებინათ. ეტყობა, ეს არ უნდოდათ და მოსამართლე ამიტომ მივიდა ციხის საავადმყოფოში, რითაც დაირღვა კანონი პატიმრობის შესახებ, რომლის თანახმად საღამოს 7 საათზე საგამოძიებო იზოლატორშიც კი წყდება დაკითხვები, რომ არაფერი ვთქვათ საავადმყოფოზე, სადაც ჯანმრთელობაშერყეული ადამიანები არიან.

რაკი ამას წინ ვერ აღვუდექი, საოცარი უსუსურობა ვიგრძენი, იმწუთას მართლა მინდოდა პარლამენტიდან წასვლა. ჩემს ასეთ ემოციურ განცხადებებსაც ალბათ აქვს საფუძველი, ნათქვამია, Дым без огня не бывает. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ვეცადე ადამიანის უფლებების დარღვევა აღმეკვეთა და არ გამომივიდა... და ბოლო წვეთი ალბათ სწორედ მოლაშვილის ამბავი გახდა.

**— როდესაც პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს აქვს ასეთი განცდა, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საკანონმდებლო ორგანოს როლი დაკნინდა?**

— პარლამენტარის მოვალეობა კანონის შექმნა, მისი მიღება და ამ კანონის შესრულების მონიტორინგია, მაგრამ ჩემი 9-წლიანი მუშაობა ისე აეწყო, რომ ხალხი ადამიანის უფლებების დამცველად აღმიქვამს. ზოგჯერ მეუბნებიან ჩემი კოლეგები, — შენ სხვა მოვალეობა გაკისრიაო. კი, ბატონო, მაგრამ, როდესაც ადამიანი მირეკავს ან წერილს მწერს — თქვენთან მინდა მოსვლაო, როგორ ვუთხრა — ჩემი ფუნქცია თქვენთან შეხვედრა, მოსმენა და დახმარების გაწევა არ არის-მეთქი.

**— რამდენადაც ცნობილია, შეწყალების კომისიაში, რომლის თავმჯდომარეც ბრძანდებით, რაღაც პრობლემებია და პოსტიდან გადადგომაც იფიქრეთ, რა მიზეზით?**

— კომისიასა და პრეზიდენტს შორის რაღაც გაურკვეველი რგოლი წარმოიშვა და ვერ გავარკვიე, ეს რა რგოლია. ფაქტი ის არის, რომ ჩვენი კომისიიდან პრეზიდენტისთვის გაგზავნილი მასალების გადახედვა ხდება და ვიღაც წყვეტს, ვინ უფრო ადრე უნდა შეიწყალონ და ვინ — გვიან. ჩვენ პრეზიდენტს 75 შესაწყალებლის სია გადავუგზავნეთ, მაგრამ მისი მითითებით 13 კაცი გაათავისუფლეს. დავინტერესდი, რის საფუძველზე, იქნებ მათ შედარებით მსუბუქი დანაშაული აქვთ-მეთქი. ასე არ აღმოჩნდა, რადგან გაცილებით მსუბუქი ბრალდების მქონენი ისევ პატიმრობაში დარჩნენ. ვეჭვობ, ხომ არ არიან ამ შუალედურ რგოლში ისეთი ადამიანები, რომლებიც პირადი დაინტერესებით მოქმედებენ? ეს რგოლი კანცელარიაშია. თუკი ეს ჯგუფი ჩვენი კომისიის გადამოწმების მიზნით შეიქმნა, მაშინ ჯობს ისეთი ხალხი შეიყვანონ კომისიაში, რომლებსაც ენდობიან. ამიტომ გადავწყვიტეთ, პრეზიდენტთან შეხვედრა. ჩვენი კომისიის შემადგენლობა პრეზიდენტის მიერ არის დამტკიცებული, მას თავის დროზე ნდობა გამოუცხადა პრეზიდენტმა. თუ ჩვენ რამე შეგვეშალა, უნდა გვითხრან, რომ გამოვასწოროთ შეცდომა. არ შეიძლება ასეთ გაურკვევლობაში მუშაობა.

**— ხომ არ აპირებთ ყოფილი შს მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის უფლებების დაცვასაც?**

— დამნაშავეს არასოდეს ვიცავ, მაგრამ თუ ნარჩემაშვილის მიმართ უკანონობას ჩაიდენენ, მაშინ ავიმაღლებ ხმას. ვაპირებ მე-5 იზოლატორში მისვლას, რათა ვნახო, რა პირობებში იმყოფება ნარჩემაშვილი. მისი მდგომარეობით განსაკუთრებით იმიტომ დავინტერესდი, რომ კობა ნარჩემაშვილიც დღეს იმ ადამიანებთან აღმოჩნდა, რომლებიც მისი მინისტრობისას დააპატიმრეს. გუშინ ველაპარაკე მასზე იუსტიციის მინისტრს — მითხრა, როგორ საკანში ზის და ვისთან ერთად. ცოტა დავმშვიდდი, მაგრამ პირადად ვნახავ მას, რათა ანგარიშსწორების საშიშროება გამოირიცხოს.

*იზო რკაძე*

# „ჩვენ თუ დაგვხოცავ, იფიქრებენ, რომ ზვიადი ჩვენ მოვკალით და მერე ერთმანეთი დავხოცეთო“

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბურუსით მოცული გარდაცვალება უკვე 10 წელზე მეტია, აწუხებს ქართველ საზოგადოებას. იმ ადამიანების მონათხრობმა, რომლებიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ზვიად გამსახურდიას გვერდით იყვნენ, დღემდე ვერ მოჰფინა ნათელი 1993 წლის 31 დეკემბრის ღამის ტრაგედიას. ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა თუ მოკლეს? ამ კითხვებზე პასუხი ჯერაც გაუცემელია. პერიოდულად თვითმხილველთა მონათხრობი კი უფრო ამძაფრებს ემოციას, ძაბავს ადამიანთა ურთიერთობებს, სიმართლის დადგენას კი ნაკლებად ემსახურება. საზოგადოებას ერთმანეთისთვის გადაბრალების ტაქტიკა არაფერში სჭირდება. მან პირუთვნელი სიმართლე უნდა იცოდეს მისი პრეზიდენტის გარდაცვალებაზე, რომელსაც გაკვეთილად გაიხდის, რათა მსგავსი შეცდომები აღარასოდეს გაიმეოროს.

გაითვალისწინა რა ამ თემისადმი საზოგადოების ინტერესი, „კვირის პალიტრა“ ყველაზე მიუკერძოებული მხარის, საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის მიერ შექმნილი სახელმწიფო კომისიის წევრის, პროფესორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, **მერაბ რაფავას** შეფასებებს გთავაზობთ. ჩვენი რესპონდენტი იმ კომისიის წევრია, რომელიც 1991-93 წლების მოვლენებისა და სახელმწიფო გადატრიალების, ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციისა და ამ მოვლენების თანამდევ პროცესებს იკვლევს და ვფიქრობთ, მისი მონათხრობიდან მკითხველი ბევრ, მისთვის უცნობ და საგულისხმო ფაქტს შეიტყობს:

— ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ საქმე სამშობლოს ღალატის, დიდი ოდენობით თანხის მიტაცებისა და ერთა შორის შუღლის გაღვივების ბრალდებით არასწორად აღიძრა 1992 წლის 3 იანვარს, როდესაც თბილისში ომი მიმდინარეობდა კანონიერ ხელისუფლებასა და



მერაბ რაფავა

კრიმინალებს შორის.

**— ვინ აღძრა ეს საქმე?**

— პენსიაში გასულმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, რომელიც 2 იანვარს, ღამით, შეიარაღებული ჯგუფის თანხლებით შეიჭრა გენერალური პროკურორის კაბინეტში. მეორე დღესვე მან გენერალური პროკურორის სტატუსით (არადა, ამ დროს გენპროკურორი ვაჟა აბაკელია იყო) ხელი მოაწერა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. ასე რომ, პრეზიდენტის წინააღმდეგ საქმე აღძრა უფლებამოსილების არმქონე პირმა, მისი დანაშაულებრივი ბრძანებულება კი შეასრულეს ანზორ ბალუაშვილმა, როლანდ გილიგაშვილმა და აკაკი ბუდაღაშვილმა. საქმე ერთი მოქალაქის, ვინმე ლაბარტყავას განცხადების საფუძველზე აღიძრა, რომელიც ვითომდა პროკურატურაში ჩიოდა — ზვიად გამსახურდიამ დიდი ოდენობით თანხა გაიტაცაო (არადა, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის წინააღმდეგ საქმის აღძვრა მხოლოდ სამშობლოს ღალატის შემთხვევაში შეიძლებოდა და ისიც საკანონმდებლო ორგანოს თანხმობით). მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენმა კომისიამ საქმის მასალებში ლაბარტყავას განცხადება ვერ იპოვა. ამდენი წლის შემდეგ მოვძებნეთ ლაბარტყავა, რომელმაც ჩვენგან შეიტყო, რომ 1992 წელს განცხადება „დაუწერია“ პროკურატურაში. ისეთი ელდა ეცა, სასწრაფო დახმარების გამოძახება დაგვჭირდა... უკანონოდ აღძრული საქმიდან გამომდინარე გაასამართლეს გურამ აბსანძე, ლოთი ქობალია, ვალტერ შურღაია, ზაურ ქობალია, ზვიად ძიძიგური და კანონიერი ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი, რომელთაც მრავალწლიანი სასჯელი მოიხადეს, რაც კიდევ უფრო დიდი უკანონობაა. ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ შეთითხნილი ბრალდებები ჩვენ მიერ დაკითხული მოწმეების ჩვენებით გაბათილდა. დღეს პრეზიდენტ გამსახურდიაზე საქმე შეწყვეტილია, ის რეაბილიტირებულია. საქმის მასალების საფუძველზე პრეზიდენტს სისხლის სამართლის დანაშაული კი არა, ისეთი ადმინისტრაციული გადაცდომაც არ აქვს ჩადენილი, რის გამოც მისი 1 ლარით დაჯარიმებაც კი იქნებოდა შესაძლებელი. კომისიამ დაჰკითხა სხვა ეროვნების ადამიანებიც, რომლებიც ვითომ საქმეში ფიგურირებდნენ და ყველამ უარყო, გამსახურდიას წინააღმდეგ ასეთი ჩვენება არ მიგვიციაო; ანუ ზვიად გამსახურდიას ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივებაც არ უმტკიცდება.

**— რა დაადგინა სახელმწიფო კომისიამ პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების ძიებისას?**

— საპროცესო ნორმების თანახმად, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით გვამია ნაპოვნი, სისხლის სამართლის საქმე მაშინვე უნდა აღიძრას. ანზორ ბალუაშვილს კი ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებ-

**„ზოგ ოჯახში, სადაც პრეზიდენტი თავს აფარებდა, მას უშიშროების აგენტები მასპინძლობდნენ“**



**„თქვენთან პირველად ვახმაურებ ფაქტს, რომ „სტეჩკინის“ გარდა კიდევ არგენტინული იარაღი არსებობდა ..“**

ის ფაქტზე საქმე ისე აქვს აღძრული, რომ მუხლიც არ აქვს მინიშნებული. ასეთ პარადოქსსა და ნონსენსს განვითარებადი ქვეყნების საქმის წარმოებაში კი არა, ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაშიც ვერ იპოვით. საქმის აღძვრა შესაბამისი მუხლის მითითების გარეშე არ შეიძლება. ეს იგივეა, კაცს რომ მეტრიკა მისცე და შიგ სახელი არ ჩაუწერო.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ზვიად გამსახურდიას მისდევდა შევარდნაძის ხალხი. თანაგუნდელები, რომლებიც მას ახლდნენ, აცხადებენ, შევარდნაძის მსტოვრები გვედგნენ კვალშიო. რამდენიმე ხანში ზვიადს აღმოაჩნდა მოწამვლის სინდრომები, რაც თავადაც აღიარა და იმ ექიმმაც, რომელიც მასთან მალულად მიიყვანეს. თავად ზვიადი ამბობდა, არ ვიცი სად, მაგრამ ალბათ დარიშხანით მომწამლესო და გადაწყვიტა, ეშიმშილა და ამ გზით განეკურნა თავი. ჩვენებიდან ირკვევა, რომ ხანგრძლივი სისუსტის შემდეგ ის 31 დეკემბერს მომჯობინდა, ჩაი დალია და მაწონი შეჭამა. მერე კი თანმხლები პირები შეკრიბა და გამოუცხადა — ხვალიდან ადგილს ვიცვლით და აქტიურ მოქმედებებზე გადავდივართო... იმ ღამეს კი პრეზიდენტი მოკლული იპოვეს. მისი დაცვის წევრები ბაჩუკი გვანცელაძე და რობინზონ მარგველანი ადასტურებენ — არ გვინახავს როგორ მოხდა ეს, მაგრამ ზვიადმა თავი მოიკლაო. მარგველანის ჩვენება — რაღაც ხმა მომესმა და პრეზიდენტთან რომ მივედი, სისხლი სდიოდა და გულზე ხელი ედო, რომელშიც „სტეჩკინი“ ეჭირაო — არ ადასტურებს თვითმკვლელობის ფაქტს. აქ უამრავი ეჭვი და შეკითხვა ჩნდება. 20 ტყვიით გატენილი „სტეჩკინი“ საკმაოდ მძიმეა. როდესაც წარმოვიდგინეთ პრეზიდენტის პოზა გასროლის მომენტში, გავოცდით — აკრობატული ილეთის ჩატარება იყო საჭირო, რომ წამოწოლილ ზვიად გამსახურდიას იმ კუთხით გაესროლა, როგორითაც ეს გასროლა მოხდა (ამის დადგენის საშუალება საწოლის დაფაზე დარჩენილმა ნატყვიარმა მოგვცა). თანაც ადამიანი თავში სროლისთანავე ითიშება, ზვიად გამსახურდია ვერ შეძლებდა „სტეჩკინიანი“ ხელი გულზე დაედო. მინახავს თავში გასროლით თვითმკვლელობები. ხელი ყველას განზე ჰქონდა გადავარდნილი. ამ დროს თითებიც იხსნება და წარმოუდგენელია, გასროლის შემდეგ იარაღიანი ხელის გულზე დადება.

(გაგრძელება იხ. გვ. 24)

ექსკლუზივი

# აი, ვინ აშარაგებს სეპარატისტებს სერიოზული იარაღით!

## რუსული „შმელები“ აფხაზური დროშებით

ცხინვალის აგვისტოს მოვლენებმა ერთგვარად ჩრდილში მოაქცია ის სამხედრო სწავლებები, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა ოჩამჩირესთან გამართეს. ამით სოხუმი ცდილობდა, მორალურად დაეჭირა მხარი მოძმე




ცხინვალელი სეპარატისტებისთვის და ერთგვარად დაეშინებინა ოფიციალური თბილისი.

დაშინებისა რა გითხრათ, მაგრამ აფხაზი სეპარატისტების ამ სწავლებაზე იარაღის ის სისტემა გამოჩნდა, რომელიც სოხუმს მანამდე არ ჰქონია — სწავლების რაიონთან, ნაპირის ახლოს დაცურავდა ტანკის ქვემეხით აღჭურვილი სამხედრო კატარღა...

„კვირის პალიტრამ“ ამ ფაქტთან დაკავშირებით შეკრიბა ცნობები და მკითხველს სთავაზობს ექსკლუზიურ ინფორმაციას: იმ დროს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთში უკანონოდ შესულ დამსვენებელთა კატარღებს ჩაძირვით ემუქრებოდა, კრემლის ბრძანებით, რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურისა და შავი ზღვის ფლოტიდან აფხაზ სეპარატისტებს შეჯავშნული და შეიარაღებული „შმელის“ ტიპის 4 სადარაჯო კატარღა გადაეცა!

სეპარატისტებისთვის გადაცემული ისეთი სერიოზული ტექნიკა, როგორიც კატარღები და თვითმფრინავებია, ძნელი დასამალია.

რუსეთის ხელისუფლების ზოგიერთი ყოფილი წარმომადგენელი მხოლოდ დღეს აღიარებს — 1992 წლისათვის ჩეჩნეთის პრეზიდენტ დუდაევს მოსკოვმა იმიტომ დაუტოვა დიდძალი იარაღი, რომ ის შემდგომში „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ მეშვეობით აფხაზი სეპარატისტების ხელში მოხვედრილიყოო!

ამ აზრს ადასტურებს კიდევ ერთი, დღემდე გაუხმაურებელი ფაქტი — მოსკოვის მიერ ჩეჩნეთის სამ აეროდრომზე (ხანკალა, კალინოვსკაია და გროზნი-სევერნი) დატოვებული 265-ზე მეტი სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავიდან ნაწილი მალე აფხაზეთში აღმოჩნდა. უკვე 1992 წლის 27 აგვისტოს გუდაუთის ახლოს (სავარაუდოდ, საავტომობილო გზაზე) დაჯდა ჩეჩნეთიდან გადმოფრენილი ორი სამგზავრო-სატრანსპორტო ბიპლანი Ан-2, რომლებმაც მალე „საჰაერო ხიდი“ გააბეს გუდაუთასა და სეპარატისტებს მოწყვეტილ ტყვარჩელს შორის. ამასთან, ეს „კუკურუზნიკები“ სისტემატურად დაფრინავდნენ ჩეჩ-



რუსულ „შმელებზე“ აფხაზური დროშები აღმართეს (ფოტოსურათების ხარისხზე იმოქმედა იმ ფაქტორმა, რომ გადაღება შორი მანძილიდან ხდებოდა)

ნეთში, საიდანაც მებრძოლები გადმოჰყავდათ და იარაღი გადმოჰქონდათ აფხაზეთში (მაგალითად, 1993 წლის 1-7 მარტს სოფელ ჯგერდაში ექვსჯერ დაჯდა ჩეჩნეთიდან გამოფრენილი თვითმფრინავი). ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უსიტყვო თანხმობის გარეშე ასეთი რამ მომხდარიყო.

საბრძოლო მოქმედებების განვითარების შემდეგ მოსკოვის თანხმობით, აფხაზმა სეპარატისტებმა გროზნოდან უკვე რამდენიმე სასწავლო-საბრძოლო L-39 „ალბატროსიც“ მიიღეს, რომლებსაც დაბომბვა შეეძლოთ. ერთ-ერთი „ალბატროსი“ 1993 წლის დასაწყისში ისევ რუსულმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა Бук-მა შეცდომით ქვემო ეშერასთან ჩამოაგდო. იმ „ალბატროსით“ ქართული პოზიციების დასაბომბად აფხაზეთის მთავარი პილოტი — აფხაზეთის „სამხედრო-საჰაერო ძალების“ სარდალი მაიორი ოლეგ ჭანბა მოფრინავდა, მაგრამ რუსი მეზენიტეების რადიოშეკითხვას ადგილობრივი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის აფხაზმა ოპერატორმა უპასუხა, რომ ჰაერში აფხაზური თვითმფრინავები არ იყვნენ. შესაბამისად, რუსმა მეზენიტეებმა „ალბატროსს“, როგორც ქართულ თვითმფრინავს, რაკეტა ესროლეს — ჭანბას „ალბატროსის“ ნამსხვრევებზე კარგად მოჩანდა გაშლილხელისგულიანი „კონფედერანტთა“ დროშა!

სხვათა შორის, ჭანბას ახლობლები მიეჭრნენ იმ აფხაზ ოპერატორს, რომელმაც არასწორი ინფორმაცია გადასცა და მძიმედ დაჭრეს. დაჭრილი გვარად არძინბა აღმოჩნდა. მოსკოვში საოპერაციოდ გადასაყვანად ოპერატორ არძინბას ახლობლები თვითმფრინავს ეძებდნენ. ინფორმაციას რადიოგადამცემი სადგურები ღია

სწორედ ამის შემდეგ გავარდა თბილისში ხმა, არძინბა მძიმედაა დაჭრილი და ალბათ ველარ გადარჩებაო. თბილისმა დაჭრილი არძინბა რატომღაც მაინცდამაინც ვლადისლავ არძინბად იგულისხმა, რითაც ამ უკანასკნელმა ისარგებლა და ცოტა ხნით მიყუჩდა. ქართველებმა დაიჯერეს, რომ პირველი სეპარატისტი სიცოცხლეს გამოასალმეს. მოგვიანებით, სრულიად საღ-სალამათი არძინბას ტელეკამერების წინ გამოჩენამ კი ქართულ საზოგადოებრიობას შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ იმედი გაუცრუა.

ტექსტით ავრცელებდნენ, რაც ქართულმა რადიოდაჭერის ტექნიკურმა სამსახურმაც დააფიქსირა. სწორედ ამის შემდეგ გავარდა თბილისში ხმა, არძინბა მძიმედაა დაჭრილი და ალბათ ველარ გადარჩებაო. თბილისმა დაჭრილი არძინბა რატომღაც მაინცდამაინც ვლადისლავ არძინბად იგულისხმა, რითაც ამ უკანასკნელმა ისარგებლა და ცოტა ხნით მიყუჩდა. ქართველებმა დაიჯერეს, რომ პირველი სეპარატისტი სიცოცხლეს გამოასალმეს. მოგვიანებით, სრულიად საღ-სალამათი არძინბას ტელეკამერების წინ გამოჩენამ კი ქართულ საზოგადოებრიობას შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ იმედი გაუცრუა.

დავუბრუნდეთ მოსკოვის მიერ სეპარატისტებისთვის მიძღვნილ ახალ მცურავ საჩუქრებს. ეტყობა, სოხუმს შეშურდა ის, რომ საბერძნეთი, თურქეთი თუ ბულგარეთი ქართულ სამხედრო-საზღვაო ძალებს ერთმანეთზე ძლიერ კატარღებს ჩუქნიან და ხვეწნა-მუდარა დაუწყო კრემლს. პასუხმაც არ დააგვიანა — აფხაზების საბრძოლო კატარღების რიცხვი სავარაუდოდ ოთხი „შმელით“ გაიზარდა.

აფხაზები აცხადებენ, ეს „შმელები“ ვიყიდეთო, თუმცა არ აკონკრეტებენ, ვისგან. მაგრამ თუკი რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობას გადავხედავთ, იქ მითითებულია „შმელის“ ტიპის 14 სამდინარო კატარღა ნომრებით AK-209-დან დაწყებული. ეტყობა, ოთხი ახლანდელი აფხაზური „შმელი“ აქედანაა.

„შმელი“ 1967 წლისთვის სპეციალურად КГБ-ს შეკვეთით შეიქმნა, რადგან შეჯავშნულ „შმელებს“ ამურისა და უსურიის იმ მდინარეებში უნდა ეცურათ, სადაც მაშინ საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ტერიტორიულ პრეტენზიებს ერთმანეთთან შეიარაღებული შეტაკებებით არკვევდნენ.

„შმელი“ შეიარაღებულია 76,2 მმ კალიბრიანი სატანკო ქვემეხით, რომელიც მცურავ ПТ-76 ტიპის ტანკზეც დგას. ტანკის კოშკურა, ქვემეხითურთ და ერთი 7,62 მმ კალიბრიანი ტყვიამფრქვევით, „შმელის“ ცხვირზეა განთავსებული. კატარღის ბოლოში კი შვეულად დაყენებული ორლულიანი 25 მმ კალიბრიანი საზენიტო ავტომატია მოთავსებული, მის წინ კი დამონტაჟებულია „გრადის“ სასროლი 18 ლულა. კატარღიდან 8 ცალი საზღვაო ნაღმის გამოყენებაც შეიძლება.

„შმელი“ ძირითადად მდინარეებში საცურაოდაა განკუთვნილი და იმიტომაა შეჯავშნული, რომ ნაპირიდან ნასროლმა ტყვიებმა კატარღის კორპუსი არ გახვრიტონ და ეკიპაჟი არ დააზიანონ.

სამაგიეროდ, მდინარეზე საცურაოდ განკუთვნილი „შმელების“ ზღვაოსნობის უნარი მცირებალიანი ღელვის დროსაც შეზღუდულია. მაგალითად, ქართულ „დიოსკურიას“ 4-5-ბალიან ღელვაშიც შეუძლია საბრძოლო დავალების შესრულება, „შმელისთვის“ ეს ძნელად წარმოსადგენია.

მიუხედავად ამისა, აფხაზი სეპარატისტებისთვის, რომლებიც აქამდე, ძირითადად სწრაფმავალი, მაგრამ სუსტად შეიარაღებული სასაზღვრო „გრიფების“ იმედად იყვნენ, „შმელები“ მნიშვნელოვანი შენაძენია. სეპარატისტებს შეუძლიათ „შმელებით“ დაიცვან საზღვაო პორტი და ხელი შეუშალონ სანაპიროზე მოწინააღმდეგის საზღვაო დესანტის გადასხმას.

ჩვენი ცნობა: 1204 პროექტის Шмель-ის ტიპის შეჯავშნული კატარღები საბჭოთა კავშირმა 1967 წლისთვის შეიმუშავა და მათ 7 წლის განმავლობაში აშენებდა ქერჩისა და ნიკოლაევის გემთმშენებელ ქარხნებში. „შმელის“ წყალწყვა 78 ტონამდეა, სიგრძე — 28 მ, სიგანე 4,3 მ, ხოლო წყალჩაჯდომა — 90 სმ. ეკიპაჟი 14 კაცისგან შედგება.



ასე გამოიყურებოდა რუსი მესაზღვრეების მდინარეზე მოცურავე საარტილერიო კატარღა „შმელი“ აფხაზებისთვის გადაცემამდე


საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის პროექტი

უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით

ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75

პროექტის ფარგლებში გამოიცა გზამკვლევი "როგორ მივიღოთ მშენებლობის ნებართვა"

გზამკვლევი უფასოა

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ვ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; ე-მაილ: office@economists.ge

IRIS პროექტი ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით

USAID

უძრავი ქონების სეზონი გრძელდება

უძრავი ქონება REAL ESTATE НЕДВИЖИМОСТЬ ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ЖУРНАЛ

ყოველკვირეული სარეკლამო ჟურნალი

ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ჟურნალშია — ორი სუპერრუბრიკა

განცხადება

ფართი

ყველაზე რეალური ინფორმაცია

# „მფრინავი" კარტოფილები — მესაზღვრეებისთვის

## ხევსურეთის სასაზღვრო საგუშაგოზე კარტოფილის შვეულმფრენით ჩატანა „ოქროს" ფასი ჯდება...

ზამთრის მოახლოების გამო სასაზღვრო ძალებმა დაიწყო ძნელად მისადგომი საგუშაგოების სურსათ-სანოვაგით მომარაგება.

„საფარი-2004"-ის ეგიდით სასაზღვრო ძალების შვეულმფრენები პროდუქტებით ამარაგებენ დაშორებულ და მაღალმთიან საგუშაგოებს. ჩანს, სასაზღვრო ძალების შესაძლებლობები საკმაოდ მწირია, რადგან ბევრი მესაზღვრე თბილი სამხედრო ტანსაცმლის გარეშეა დარჩენილი. ღამით კი მთებში უკვე ცივა, ქარიც ქრის, მალე კი თოვლიც მოვა და დათბილული ტანსაცმლის გარეშე მესაზღვრეები მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდებიან.

ცოტა ხნის წინ სასაზღვრო ძალების ხელმძღვანელობამ ქართველ ბიზნესმენებს მიმართა „ჩაფრენილი" 1 კგ კარტოფილის ფასი (ჩვენი გამოთვლებით) 3 ლარამდე(!) აღწევს იმის გათვალისწინებით, რომ Ми-8МТ ტიპის მესაზღვრეების შვეულმფრენი 1 სთ ფრენისას 800 ლ საავიაციო ნავთს ხარჯავს, 1 ლ საავიაციო ნავთი კი დაახლოებით 1 ლარი ღირს.

არადა იმ დროს, როდესაც ახიელსა თუ ამღაში საგუშაგოზე კოცონთან მიყუჟული შეციებული მესაზღვრე იძულებულია, 3-ლარიანი კარტოფილი (თან არც ისე კარგი ხარისხის) მიირთვას, იქვე მეზობლად, ადგილობრივ მცხოვრებს უხვად აქვს სრულიად ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. აქაურებს ძალიან უჭირთ მოყვანილი კარტოფილის გასაყიდად ბარად ჩამოტანა და ცხადია, დიდი სიხ-



შვეულმფრენით კარტოფილის „სეირნობა" ძვირი სიამოვნებაა...

თხოვნით, დახმარებოდნენ მესაზღვრეებს, მაგრამ თხოვნას თითქმის არავინ გამოხმაურებია.

ან რომელი ბიზნესმენი გამოიღებს ხელს, თუ გაიგო, რომ მესაზღვრეები კარტოფილს მაღალმთიან საგუშაგოებზე შვეულმფრენებით თბილისიდან ეზიდებიან; არადა იმავე საგუშაგოს ღობის იქით ადგილობრივ მოსახლეობას უკეთესი... კარტოფილი მოჰყავს!

ჩვენი ყურადღება ერთმა გაუგებარმა და გასაოცარმა ამბავმა მიიპყრო — მესაზღვრეთა შვეულმფრენმა, სხვადასხვა პროდუქტთან ერთად, კარტოფილიც წაიღო ჭიმღასა და ახიელში, გამოფრენის წინ კი ცარიელ შვეულმფრენში ასევე კარტოფილით სავსე რამდენიმე ტომარა ჩატვირთეს, რომელიც ადგილობრივ მოსახლეს ბარში მოჰქონდა(?!).

ცნობისმოყვარეობის გამო საგანგებოდ გავსინჯეთ თბილისიდან ამოტანილი და ხევსურული კარტოფილი. ისინი ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა, როგორც შესახედავად (ბარიდან ატანილი კარტოფილის უმეტესობა დამჭკნარი და წყლიანი იყო, ადგილობრივი კი სრულიად საღი), ისე გემოთი.

ჩვენი გაოცება და აღშფოთება მაშინ გენახათ, როდესაც მესაზღვრეებმა გვითხრეს, რომ თბილისიდან წამოღებული 1 კგ კარტოფილი მათ 68 თეთრად აწერიათ!

ამ, ისედაც ხელოვნურად გაბერილ ფასს აუცილებლად უნდა დავუმატოთ შვეულმფრენით ტრანსპორტირების ხარჯებიც, რის შემდეგ პირიქითა ხევსურეთსა ან თუშეთში განთავსებულ სასაზღვრო საგუშაგოებზე თბილისიდან არულით მიჰყიდიან მესაზღვრეებს, თანაც არა უმეტეს 30-35 თეთრად.

ამით მოიგებდა აქ დარჩენილი თითო-ოროლა მოსახლე — მათთვის ნაღდი ფულის ქონა დიდ პრობლემას წარმოადგენს; რაც მთავარია, მესაზღვრეებს აღარ მოუწევდათ კარტოფილის შვეულმფრენებით ზიდვა და ზედმეტი ხარჯის გაწევა. ეს ეხება არა მარტო კარტოფილს, არამედ ხახვს, ნიორს და კომბოსტოსაც, რომლებიც ასევე ხშირად „დაფრინავენ"...

კარტოფილთან დაკავშირებული აბსურდული სიტუაცია ახალი ამბავი არ არის. წლების განმავლობაში ფოთში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებს თბილისის ცენტრალური ბაზიდან სწორედ იმ თევზით ამარაგებდნენ, რომელიც მანამდე ფოთიდან თბილისში იყო გამოგზავნილი.

ყოველივე ამის მიზეზი ცენტრალიზებული შესყიდვებია; ანუ ნაწილის მეთაურს არა აქვს უფლება, არათუ კარტოფილის ან ხორცის ადგილზე იაფად შეძენისა, არამედ ელექტრონათურის გამოცვლისაც კი — მას წინასწარი მოთხოვნის საფუძველზე ცენტრალიზებულად მიაწვდიან, ოღონდ როდის და რა ხარისხისას და, რაც მთავარია, რა ფასად, არავინ უწყის.

პირდაპირ საკვირველია — თუკი სასაზღვრო სამმართველოს უფროსს ანდობენ სახელმწიფო საზღვრის მნიშვნელოვანი მონაკვეთის უსაფრთხოებას, რატომ არ უნდა ანდონ ის თანხა, რომლითაც უფრო იაფად და იოლად შეიძლება ჯარისკაცების გამოკვება?!

# ამზადებენ კახელ რეზერვისტებს და... საზენიტო რაკეტებს


თავდაცვის მინისტრი ბარამიძე კახელი და იმერელი რეზერვისტების მომზადების შეფასებისას

გასულ კვირას, საჩხერეში, ერთთვიანი მომზადება დაამთავრა რეზერვისტთა კიდევ ორმა ბატალიონმა. მათ ბოლო, გამოსაშვებ დღეს თავდაცვის მინისტრი და პარლამენტართა ნაწილი დაესწრო. ხალხის რჩეულთა რამდენიმე წარმომადგენელმა კი რეზერვისტებთან ერთად გაიარა ერთთვიანი მომზადების კურსი.

თუ ასე გაგრძელდა, ალბათ ყველა პარლამენტარი გაივლის მომზადებას, მით უმეტეს, რომ ამის სურვილი რამდენიმე დეპუტატმა მანდილოსანმაც გამოთქვა.

იმ დღეს კი საჩხერეში, მოსამზადებელ ბანაკში, ერთმანეთის პირისპირ იმერეთის და კახეთის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ორი რეზერვისტთა ბატალიონი იდგა, 700 კაცზე მეტი. საუკეთესო რეზერვისტებმა საჩვენებელი სწავლება მოაწყვეს მდინარის გადალახვითა და პირობითი მოწინააღმდეგის ბანაკის განადგურებით.

ვერაფერს იტყვი. ცუდი საქმე ნამდვილად არ კეთდება — საქართველოს ყველა ფიზიკურად ჯანმრთელმა მოქალაქემ უნდა გაიაროს დაწყებითი სამხედრო მომზადება. ოღონდ ერთი პირობით — ის არც ისე მცირე ფინანსები, რაც რეზერვისტების მოსამზადებლად იხარჯება, გამართლებული უნდა იყოს.

რაღა დასამალია, რომ რეზერვისტთა პირველი ბატალიონების სამხედრო და ფიზიკური მომზადების დონე არც ისე სახარბიელოა, მაგრამ ამას გამართლება აქვს — ეს პირველი ეტაპია. შემდგომში, რეზერვისტთა ბატალიონების ხელახალი შეკრების დროს, უფრო უნდა დაიხვეწოს მათი მომზადება, წინააღმდეგ შემთხვევაში, უპრიანი იქნება, ეს თანხები ისევ რეგულარულ საბრძოლო დანაყოფებზე დაიხარჯოს.

და ერთიც — რეზერვისტებს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა თავიდანვე უნდა აუხსნან, თუ სად და როგორ დასაწყობდება ერთთვიანი შეკრების შემდეგ რეზერვისტთა სამხედრო ფორმები, თორემ გაუგებრობა უხერხულობას ქმნის.

რეზერვისტების მომზადების პარალელურად ფოთში გამზადდა, უფრო სწორად კი, გარემონტდა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და რადიოლოკატორები.

C-125 სისტემის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები დღეს ქართული საჰაერო თავდაცვის ყველაზე „გრძელი" ხელია და მათ მწყობრში ყოფნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ იმის გამო, რომ ეს კომპლექსები საკმაოდ ხანდაზმულია და შექმნილია ძველ რადიოელექტრონულ ბაზაზე, ხშირად გამოდიან მწყობრიდან, განსაკუთრებით კი ფოთის დივიზიონში,



ბუნებრივი მაღალი სინესტის გამო.

პირველი საჩვენებელი სროლები ფოთის დივიზიონმა ჯერ კიდევ ვარდიკო ნადიბაიძის მინისტრობის დროს, 1997 წლის დეკემბრის ბოლოს განახორციელა. ოთხი საზენიტო რაკეტა ერთმანეთის მიყოლებით აიჭრა ცაში გამაყრუებელი ხმაურით და ღრუბლებში ჩაიკარგა. ამას ერთი კურიოზული შემთხვევაც მოჰყვა: რაკეტების სტარტისთანავე ერთი ჟურნალისტი გოგონა დიქტოფონმომარჯვებული მიეჭრა თავდაცვის მინისტრს და ექსკლუზიური ინფორმაციის გასაგებად კეკლუცად ჰკითხა, — რა გვარისანი არიან ის პილოტები, შიგნით რომ სხედანო. თვალებგაფართოებული ვარდიკო ნადიბაიძე სხვა მხარეს შეტრიალდა, მაგრამ იქვე მოტრიალე ჟურნალისტებმა მაინც გაიგონეს ნადიბაიძისეული „გემრიელი" რუსული შეკურთხება...

*რუბრიკა მოამზადა*
*ირაკლი ალადაშვილმა*

# რუსების ერთადერთი ავიამზიდი კატასტროფას ბეწვზე გადაურჩა

მხოლოდ ახლა ხდება ცნობილი, რომ 18 ოქტომბერს რუსეთი მორიგ დიდ კატასტროფასა და, შესაბამისად, დიდ სირცხვილს გადაურჩა.

ამ დღეს ატლანტის ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთში სამხედრო-საზღვაო მანევრებს ახორციელებდა სამხედრო ხომალდების ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა რუსეთის ერთადერთი ავიამზიდი „ადმირალი კუზნეცოვი", ყოფილი „თბილისი".

სწავლებების დროს, ავიამზიდის გემბანზე დაჯდომისას, Су-25УТГ ტიპის ორადგილიან მოიერიშე თვითმფრინავს მოულოდნელად გაუტყდა მარჯვენა შასი და 15-ტონიანი მფრინავი აპარატი კინაღამ სამეთაურო ხიდურას დაეჯახა — ბოლო მომენტში თვითმფრინავი სპეციალურმა ბაგირმა დაიჭირა.

ავიამზიდზე დაჯდომა პილოტისთვის ერთ-ერთი რთული ელემენტია — 210 კმ/სთ სიჩქარით, ავიამზიდის გემბანზე დაჯდომისას, თვითმფრინავის კუდში დაყენებული სპეციალური კაუჭი გემბანზე გაბმული ოთხი ბაგირიდან ერთ-ერთს უნდა წამოსდოს, რომ მანქანა გააჩეროს.


გემბანზე უხეშად დაჯდომისას ამ თვითმფრინავის ავარიამ კინაღამ უზარმაზარი ავიამზიდი იმსხვერპლა

დაჯდომისას ერთ-ერთმა პილოტმა უხეში შეცდომა დაუშვა და მოიერიშე დიდი აჩქარებით „დაახეთქა" გემბანს, რის გამოც გატყდა მარჯვენა შასი. ეს მოიერიშე კაუჭგამოდებულ ბაგირს რომ არ შეეჩერებინა, მთელი სისწრაფით დაეჯახებოდა ავიამზიდის სამეთაურო ხიდურას და აფეთქება გარდაუვალი იქნებოდა. ხანძრის ჩაქრობა კი, შუა ზღვაში თუ ოკეანეში მყოფი ავიამზიდისთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საზღვაო ხომალდისთვის, ძალზე რთულია.



# ერთჯერადი ბანდიტები

*„დამნაშავეთა კატეგორიას, რომლებიც გაემიჯნენ ქურდულ „ობშჩიაკს“, კანონიერი ქურდები „ერთჯერად ბანდიტებს“ უწოდებენ.“*
*კრიმინალური ჟარგონების ლექსიკონი*

## ჯერ ააგდე, მერე კი...

ივან ნოვიკოვმა დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ააწყო ბიზნესი და რომ ეგონა, წელში გავიმართებიო, ერთ საღამოს ტელეფონით შეატყობინეს — თუ დიდ ფულს არ გადაიხდი, ერთ მშვენიერ დღეს შენი საამქროების ადგილას მხოლოდ ნაცარტუტა დაგხვდებაო. ივანი არც ისე გამოუცდელი კაცი იყო, თავიდანვე რომ არ გაეთვალისწინებინა რეკეტის ხარჯები, მაგრამ მოთხოვნილმა თანხამ შემოსავალს რომ გადააჭარბა, მოსაუბრეს პირდაპირ მიახალა, რომ ამ თანხაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მხოლოდ მის მეათედს გადაიხდიდა და თან იმ შემთხვევაში, თუ ფულის მიმღები მხარე მის ქონებას სხვა რეკეტიორებისგან დაიცავდა. ამ გარანტიის მისაღებად კი პირისპირ შეხვედრა იქნებოდა საჭირო.

— კარგი, მოვდივართ, — გამოცრეს იქიდან.

— გელოდებით, — იყო ხმაგაბზარული ივანის პასუხი. რამდენიმე წუთის შემდეგ საამქროს ჯერ კიდევ მოუასფალტებელ ეზოში ისეთი სიჩქარით შემოიჭრა სამი ავტომანქანა, რომ მტვრის ბული ავარდა. დაზაფრულმა ივანმა ამ კორიანტელში მანქანიდან გადმოსული შვიდი ზორბა ახალგაზრდა დაითვალა და როცა მათთვის განსაზღვრული თანხა შვიდზე გაყო, შვებით ამოისუნთქა — არცთუ ისე მცირე გასამრჯელო გამოდიოდა და თუმცა ძალიან ცდილობდა მოსულებს მისი შეშფოთება არ შეემჩნიათ, თავს მაინც ვერ მოერია და გაიყიდა.

— შენ, ეი, წრუწუნავ! რა ვაჭრობა გაგვიმართე. ჩვენ ის ხალხი არ ვართ, სტავკები კლიენტების ნიხრებით რომ ვარეგულიროთ. აი, ჩვენი ტელეფონის ნომრები. ან ხვალ ფულს ჩაგვაბარებ, ანდა აქაურობას ცეცხლში გავხვევთ, გაიგე?

ივანმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვინ აცალა.

— ხმა არ ამოიღო, თავის დაქნევით გვიპასუხე, თორემ... — და ამათი ატამანი რომ უნდა ყოფილიყო, იმან პისტოლეტის ლულა ამოსცხო ნიკაპქვეშ.

ივანს ამით არაფერი დაშავებია, გარდა იმისა, რომ კიდევ უფრო შეეშინდა და უნებურად თავი რამდენიმეჯერ დაუქნია მომხდურებს... თანხმობის ნიშნად. თუმცა როგორც კი ისინი იქაურობას გაეცალნენ, ერთი ვაი და ვიში ატეხა — ეს რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, სამართალი აღარსად არის. გამოდის, რომ წარმოება დღესვე უნდა დავხურო და აქაურობას გავეცალო, მაგრამ როგორ, რაც მქონდა, ამ საამქროს გამართვას შევალიეო...

ის ღამეს თვალზე რული არ მიჰკარებია ივანს. ცხადად წარმოიდგინა, რაც მოხდებოდა მეორე დღეს. რაკი ფულს ვერ მისცემდა, ის შვიდეული მისსავე თვალწინ დალეწავდა სისხლის ფასად ნაყიდ უცხოურ დაზგა-დანადგარებს და საჭირო აპარატურას. ჯერ ყველაფერს მიანგრმოანგრევდნენ, მერე კი მასაც შესდგებოდნენ და... „ერიჰაა, ცოტაც და გავგიჟდები...“ — გაიფიქრა და სიგარეტის კოლოფს დასწვდა, რომელიც წინადღეს ივანის რომელიღაც სტუმარს დარჩენოდა მაგიდაზე. ივანს აქამდე არასდროს მოუწევია, მაგრამ ახლა ისე მოქაჩა, გეგონებოდათ, მისგან სიცოცხლის ელექსირს იღებსო...

მეორე დღეს ჩვეულებისამებრ თავისი მეუღლე და ექვსი წლის ბიჭუნა საბავშვო ბაღამდე მიაცილა, მაგრამ იქ სულ წაუხდა ნირი. ვიღაც სახენაიარევმა ახმახმა ბავშვს დახედა და ივანის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— რა კარგი ბიჭუნაა. დღეს საღამოს ამის ყურებს გავუგზავნი მამიკოს, თუ შუადღემდე ფულს არ გადაიხდის.

ივანი ძლივს მილასლასდა საამქრომდე. ცოტა ხნის შემდეგ კი ერთი წარმოსადეგი, წვერიანი კავკასიელი დაადგა თავს.

## „ხელის ბიჭი“

— თქვენთან საქმიანი წინადადებით მოვედი, მაგრამ ისეთი დათრგუნვილი ჩანხართ, ჯობს, შეხვედრა სამომავლოდ გადავდოთ. იქნებ რამით შემიძლია დაგეხმაროთ, ვინმე ხომ არ გაწუხებთ?

— მაწუხებენ და მერე როგორ, — გული გადაუშალა ივანმა უცნობს. ახლა მას სულაც არ აინტერესებდა, ვინ იყო კავკასიელი. მისი იმისთვისაც მადლობელი იყო, რომ თანაგრძნობა გამოამჟღავნა.

— გასაგებია, — ჩაიღიმა უცნობმა, — თუ ასეა, კარგ დროს მოვსულვარ. რამდენადაც ვიცი, მაგ მეთოდით სოლნცევოს დაჯგუფება მოქმედებს, — უცნობმა ჯიბეზე გაიკრა ხელი, უბის წიგნაკი ამოიღო და გულდასმით ჩაათვალიერა.

— მაინცდამაინც მაგათი ტელეფონის ნომრები არ მაქვს. თორემ ახლავე მოვაგვარებდი ყველაფერს.

— ნომრები? — გამოცოცხლდა ივანი, — ტელეფონების ნომრები მე მაქვს, თვითონვე ჩამაწერინეს. აი, ინებეთ, ოღონდ...

— ერთი წუთით, ერთი წუთით... — უცნობმა ზუსტად ის ნომერი აკრიფა, რომელიც მიაწოდეს. ივანი თვალებს არ უჯერებდა.

— გამარჯობა! ააა, ნიკოლკა, ეს შენ ხარ, ჩემს ტერიტორიაზე ხალხს რომ აშინებ? არა, არ გამოვა, ძმაო. შენებს უთხარი, აქეთ აღარ გამოიხედონ, თორემ ხომ იცით, მეც მომიწვდება ხელი თქვენკენ.

უჩინარი მოსაუბრის ხმა ისე კარგად ისმოდა, რომ ივანმა აშკარად გაიგონა — ბოდიშს გიხდით, შეგვეშალაო.

— აი, სულ ეს იყო, თქვენ კი ყურები ჩამოგიყრიათ. ამიერიდან თქვენს უსაფრთხოებას ჩვენ უზრუნველვყოფთ და ამისთვის მცირეოდენ გასამრჯელოს ავიღებთ.

როცა უცნობმა რეკეტიორების ტელეფონის ნომერი ითხოვა, ივანი მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. თუმცა, კავკასიელი სულაც არ ჰგავდა იმ ბანდიტებს, რომელთა გამოც ჩავარდა ამ დღეში. გარეგნულად არცთუ უსიმპათიო ახალგაზრდა ეტყობა, საქმეშიც მარჯვე იყო. ივანმა შვებით ამოისუნთქა, თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოიხსნა.

— რამდენს ითხოვთ ჩემგან?

უცნობმა სწორედ



იმდენი დაასახელა, რამდენის მოგებასაც გეგმავდა ივანი ყოველთვიურად. ასე რომ, თუ შეწერილ ფულს გადაიხდიდა, კაპიკიც აღარ დარჩებოდა, მაგრამ დღეს ამ კაცმა ისეთ განსაცდელს გადაარჩინა, რომ ვაჭრობას ველარ დაიწყებდა, მოგებას კი ალბათ მომავალ თვეებში გაზრდიდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა. ყოველ შემთხვევაში, ცოლ-შვილზე სადარდებელი აღარ ექნებოდა, მით უმეტეს, აღარც ნატუსიაზე. ნატუსია ივანის პირველი ქორწინებიდან ჰყავდა და ახლა იმ ასაკში იყო, აგერ-აგერ, კავალერი რომ უნდა გაეჩინა.

„ვის შეხვდება, ვინ იქნება მისი საბედო ამ არეულ დროში, როცა ადამიანებმა მარტო ზნე კი არა, ფერიც იცვალეს და ხშირად კურდღლის ტყავიდან ზოგჯერ მგელი იცქირება, ზოგჯერ კი მგლის ლეკვი“, ფიქრობდა ხშირად ივანი და რას აღარ აკეთებდა, რომ როგორმე ქალიშვილს უმამობა არ ეგრძნო...

მთელი თვე ისე გავიდა, კავკასიელი არ გამოჩენილა. ივანმა იცოდა, რომ ამგვარ დავალებებს ეგრეთ წოდებული „ხელის ბიჭები“ ასრულებდნენ, მაგრამ იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ ბაქარი (ამ მოთხრობაში მხოლოდ ეს ერთადერთი სახელია შეცვლილი მიზეზთა გამო) იმ კატეგორიის ხალხს არ ეკუთვნოდა, ვისაც იოლად მართავენ და მართლაც ასე იყო.

ბაქარი ციხიდან ახალი გამოსული იყო და „ბეზპრედელშჩიკებს“ იმიტომ მიეკედლა, რომ ქურდებს არ ენდობოდა. ერთჯერადი ბანდიტებივით მასაც გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ქურდებს თავის ხარჯზე არ აცხოვრებდა და ამდენად, არც „ობშჩიაკში“ შეიტანდა ფულს. არადა, ქურდებს შეეძლოთ, გაენადგურებინათ „ბეზპრედელშჩიკები“, რომელსაც ვინმე შამანოვი, მეტსახელად „ბარადა“ მეთაურობდა. მაგრამ ქურდებსაც აძლევდა ხელს მათი არსებობა, — „ბეზპრედელშჩიკები“, ისეთ შიშს თესავდნენ ფულიან ხალხში, იმხელა გადასახადს უწესებდნენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ მისულ ქურდებს გაცილებით უადვილდებოდათ თავიანთი ოდნავ დაბალი „გადასახადის“ ამოღება. სამაგიეროდ, ორივე მხარე კმაყოფილი იყო. ერთი ეს იყო, თუ „ბეზპრედელშჩიკებს“ ქურდები თავიანთ ტერიტორიაზე, საქმეზე წაასწრებდნენ, კინწისკვრით ყრიდნენ ყველას. სოლნცევოდან შამანოვი და მისი ხალხი კანონიერმა ქურდმა, სილვესტრმა გამოყარა, მიტიშჩიდან პაშა ცირულმა. მაგრამ, როცა 1996 წელს ცირული ლეფორტოვოს ციხეში გარდაიცვალა, შამანოვმა დაიკავა მისი ადგილი და ხელთ იგდო წინამორბედის მთელი სიმდიდრე. მოგვიანებით „ბარადამ“ თავისი ბიჭები მიუსია მიტიშჩის, ზაგორსკის და სოლნცევოს კრიმინალურ დაჯგუფებებს.

„ბეზპრედელშჩიკები“ არც კილერობას თაკილობდნენ. მოსკოველი ქურდები მწარედ ხუმრობდნენ ხოლმე: თუ გადაუხდი, საბავშვო ბაღებსაც ბომბებს დაუშენენო.

აი, ასეთ ხალხში ტრიალებდა ბაქარი და მართალია, ბუნებით ისიც „ბეზპრედელშჩიკი“ იყო, მაგრამ თავის დაჭერა მაინც ეხერხებოდა სხვებთან შედარებით და ამით იგებდა კიდეც. მხოლოდ ის მიხვდა, რომ ქურდები სათავისოდ იყენებდნენ „ბეზპრედელშჩიკების“ სისასტიკეს...

თვის ბოლოს, ანგარიშის გასწორების დრო რომ მოვიდა, ბაქარმა ნოვიკოვს დაურეკა და შეახსენა, ფული მოიტანეო. ივანს უარი არ უთქვამს, სადაც გინდა, იქ შეგხვდებიო.

— არა, ივან, ჩვენ ჩვენი წესები გვაქვს, კარგი კაცი ჩანხარ, მაგრამ ნუ გეწყინება და ვერ გენდობი. შენთან ახლა ერთი კაცი მოვა და იმას მიეცი, დანარჩენი მე ვიცი.

— კი ბატონო, როგორც გენებოთ, — უპასუხა ივანმა და ყურმილი დადო თუ არა, კარი გაიღო და ოთახში ქერა, პატარა ბიჭმა შეაბიჯა.

— ბაქარმა გამომგზავნა, თავისი პროდუქციის ნიმუშებს გამოგატანსო.

ეს პაროლი იყო და ივანმაც ფულის შეკვრა გაუწოდა შუამავალს. გზად იმ დასტამ კიდევ რამდენიმე კაცის ხელში გადაინაცვლა და ბოლოს დიდი სიჩქარით მიმავალ ბაქარს შეუგდეს მანქანიდან მანქანაში. ეს მექანიზმი მისი შემუშავებული იყო და ასპროცენტიან გარანტიას იძლეოდა, რომ ფულის აღების ფაქტზე არ დაიწვებოდნენ.

— ერთკვირიანი შვებულება მჭირდება. „ხარკი“ მთლიანად აკრეფილია. ცოტას გავერთობი და შესაძლოა ცოლიც შევირთო, — გამოუცხადა ერთ საღამოს ბაქარმა შამანოვს.

— წადი, მაგრამ ეგ წვერი გაიპარსე, თორემ ერთმანეთში ვეშლებით.

— თუ ასეა, უნდა გიხაროდეს კიდეც, შენ ჩემზე მეტი მტრები გყავს და სამიზნედ გამოვდგები.

— ეგეც მართალია. ფრთხილად იყავი, ხომ იცი, ძაღლები გვითვალთვალებენ. თუმცა შენ უფრო კარგად იცნობ მათ, ყოფილი თანამშრომელი ხარ.

— სამაგიეროდ, ამ „გრეხს“ იმით ვანაზღაურებ, რომ მილიციას არც ერთი ქულა არ აუღია ჩვენთან თამაშში. დღეს კი აი, ეს აპარატურა ჩამომიტანეს უცხოეთიდან. თუ ფული არ დაგვენანება, ჩვენს სატელეფონო საუბრებს ვერავინ მოისმენს. სამაგიეროდ, ნებისმიერი კომერსანტის ტელეფონებს დავაყურადებთ...

ამ ტექნიკური სიახლის დანერგვამ მიუწვდომელი გახადა „ბეზპრედელშჩიკები“. შამანოვმაც ღირსეულად დააფასა ბაქარის თავგამოდება და ერთი კვირის ნაცვლად ორკვირიანი დასვენების უფლება მისცა.

ბაქარიც ერთი გრძელფეხება ქალიშვილის კამპანიაში ატარებდა დღეებს და მართალია, უფულობას სულაც არ უჩიოდა, მაგრამ საკბილოზე მაინც ფიქრობდა. ნატაშას, ქალს, რომელსაც უკვე თავისად თვლიდა, გამოუტყდა და შესთავაზა, თუ შენს რომელიმე დაქალს ფულიანი მამიკო ჰყავს, შემიძლია „დავაწერო“ და მერე თანაბრად გავიყოთო.

— ჩემი დაქალების მამიკოების ჯიბეებში არასოდეს ჩამიხედავს. აი, მამაჩემს, თუ არ მეშლება, ფული ბლომად აქვს, შეგიძლია „გამიტაცო“ და ფული დააწერო. დაახლოებით ერთ მილიონ დოლარს ალბათ შესწვდება. ოღონდ სიტყვა სიტყვაა. ნახევარს მე მომცემ. აუ, რა კარგია. მთელ ევროპას მოვივლი, ამერიკასაც, მერე კი ავსტრალია და ვიდრე კენგურუს ჩანთაში არ ჩავხედავ, უკან არ დავბრუნდები.

— მამაზე გაჯავრებული ხარ, ნატაშა? ასე მკაცრად რატომ ექცევი?

— არა, მამა არაფერს მაკლებს. პირიქით, მაგრამ სხვა ცოლი რომ მოიყვანა, ამას ვერ ვაპატიებ.

— კარგად დაფიქრდი, მერე სანანებლად არ გაგიხდეს შენი საქციელი.

— სანანებელი კი არა, პირიქით, ცოტა გულს მოვიფხან დედაჩემის მაგივრად.

— კარგი, მოსულა, ოღონდ მამაშენს შენ აცნობე, რომ გაგიტაცეს, — უთხრა ბაქარმა. ქალს თვალი ჩაუკრა და ქალაქგარეთ, ოდინცოვოში, იმ აგარაკზე წაიყვანა, რომელიც ერთი მდიდარი მოსკოველი ქალბატონისგან იქირავა. „ბეზპრედელშჩიკები“, თითქმის ყველანი, ასეთ ძვირად ღირებულ აგარაკებზე ცხოვრობდნენ. მათი ფული აგარაკებსა და კოკაინის ყოველდღიურ ორგრამიან დოზებს ხმარდებოდა. ბაქარს ნარკოტიკს ვერ უხსენებდი, აი, ქალები კი ძალიან უყვარდა და მათთვის არც ფულს ზოგავდა. თუმცა ამჯერად ისე ჩანდა, რომ ფულს აქეთ გადაუხდიდნენ.

— ბაქარ, სასწრაფოდ უნდა შემხვდე, — სასოწარკვეთილი ხმით ჩასძახა ივანმა ტელეფონში მას შემდეგ, როცა აკრეფილ ნომერზე უპასუხეს.

— რა მოხდა, ივან, ისევ სოლნცევოელები მოვიდნენ? — ჰკითხა ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა ბაქარმა, რადგან დასტურის შემთხვევაში შეტაკებას ვერაფრით აიცილებდა თავიდან.

— არა, არა, უფრო უარესი, ჩემი გოგონა გაიტაცეს. უნდა მიშველო.

— არ ვიცოდი, რომ გოგონა გყავდა.

— ეს ცოტა გრძელი ისტორიაა, მერე მოგიყვები, ახლა კი უნდა მიშველო, — შეევედრა ივანი.

— კარგი, მოვდივარ...

ბაქარს ნამდვილად შეებრალა ივანი და მზად იყო, დახმარებოდა. ამავე დროს არაფრად აგდებდა იმ გარემოებას, რომ ახლა, ამ წუთში, ნატაშას მამაც ასეთსავე დღეში იყო. ბაქარი რატომღაც ამ შემთხვევას გართობად, თამაშად აღიქვამდა თუნდაც იმიტომ, რომ ნატაშას მამა თუ ფულს არ გადაიხდიდა, სადამსჯელო ღონისძიებას არც გეგმავდა. აქ კი ან მამას დასჯიდნენ, ან შვილს და ამის დაშვება არ შეიძლებოდა.

— ივან, აბა, მიამბე ყველაფერი. თუ რამე შემიძლია, თავს არ დავზოგავ, — შეხვედრისთანავე გაამხნევა ბაქარმა ივანი.

— ბაქარ, მე და დედამისი დიდი ხანია განქორწინებული ვართ, მაგრამ ამქვეყნად არავინ მიყვარს ჩემს გოგონაზე მეტად. მილიონს მთხოვენ ის ოხრები, სად უნდა ვიშოვო. ყველაფერი რომ გავყიდო, ნახევარსაც ვერ მოვაგროვებ, უნდა მიშველო, ხომ იცი, შენ გარდა არავისთან მიმესვლება.

— კარგი, მაგრამ იცი ვინ გაიტაცა?

— რვა საათზე დაარეკვინებენ ჩემს გოგონას. იქნებ თვითონაც დაგველაპარაკონ. ახლა რვას ათი წუთი აკლია. იქნებ აგერ, კაფეში შევსულიყავით და ცოტა დაგვეცადა, — ერთიანად აცახცახებული ივანი როგორც მხსნელს, ისე შეჰყურებდა ბაქარს.

— არა, მანქანაში დაველოდოთ, ღამეა, ვერავინ დაგვინახავს.

ზუსტად რვა საათზე გაისმა ზარი. ივანი აპარატს ჩააფრინდა.

— ჰო, მე ვარ, შვილო, არ შეგეშინდეს, ჩემო გოგონა. მამაშენი ყველაფერს გააკეთებს და გამოგიხსნის. აბა, აგერ, ჩვენს მეგობარს ელაპარაკე და კარგად აუხსენი, რას მოითხოვენ ეგენი. ივანმა ტელეფონი ბაქარს გადასცა, საიდანაც ცხადად ისმოდა ქალის ისტერიული კივილი: — ჩქარა ფული, თორემ ამაღამ მომკლავენ, მამა! ბაქარმა ერთხანს უსმინა ამ მოთქმას, მერე კი ივანს გადახედა და ტუჩზე იკბინა. ეს ნატაშა იყო. ამ წუთში ისე არავინ ეზიზღებოდა, როგორც ეს გრძელფეხება გომბიო და ისე, რომ არც დაფიქრებულა, ივანს გადაულაპარაკა: — წავედით!

— საით? — იკითხა ივანმა.

— ოდინცოვოში... — და მანქანა ადგილს მოსწყდა.

თითქოს წუთები ტაატით გადიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ბაქარმა ერთ-ერთ აგარაკთან გააჩერებინა ავტომანქანა.

— აი, ამ სახლში შედი, ოღონდ არ დააკაკუნო, ყველაფერს თავად მიხვდები, — უთხრა ივანს. თვითონ კი თითქოს არც აპირებდა მანქანიდან გადასვლას, სავარძელზე მიწოლილი გარინდებულიყო. დაბნეულმა ივანმა ამჯერადაც ვერაფერი იკითხა. ავტომანქანიდან ფრთხილად გადმოვიდა, სახლის რამდენიმესაფეხურიანი კიბეც ასევე ფრთხილად აიარა და აივანზე გაშეშდა. ღამის პერანგისამარა ნატაშას მაგიდაზე კარტი გაეშალა, მკითხაობდა და თან ყავას წრუპავდა. მის შევარდისფერებულ ლოყებს წეღანდელი ისტერიისა არაფერი ეტყობოდა. ივანი ყველაფერს მიხვდა. აივნის ბოძი რომ არა, ალბათ წაიქცეოდა. უკანვე დაეშვა კიბით. ბაქარი მანქანიდან გადმოსულიყო და ახლა მისკენ ზურგშექცევით იდგა. ივანი უხმოდ გაემართა ავტომანქანისაკენ. თოვლი რაღაც უსიამოვნოდ უჭრიალებდა ფეხქვეშ.

— არ ვიცოდი, უნდა მაპატიო, ივან, — მუდარასავით წარმოთქვა ბაქარმა.

— შენ საპატიებელი არაფერი გაქვს. აი, იმას კი ნამდვილად ვერ ვაპატიებ. მადლობელი ვარ, რომ თვალები ამიხილე.

— სად მიდიხარ, ნატაშას აქ მიტოვებ? მე ამნაირი ქალი არ მჭირდება, ივან, წაიყვანე. მამა ხარ, ეგებ გზაში გულიც მოიბრუნო, ვინ იცის.

— კარგი, დაუძახე, შენ მაინც გაგათავისუფლებ მისგან.

## ეპილოგის ნაცვლად

მეორე დილით, ოდინცოვოს გზატკეცილზე ვეებერთელა ხეს შეხეთქებული ავტომანქანა იპოვეს გამვლელებმა. მანქანაში ორი გვამი იყო. მამა-შვილი მაგრად ჩაჰკვროდა ერთმანეთს.

ორი დღის შემდეგ კი „ბეზპრედელშჩიკების“ ბანდაც აიყვანა მოსკოვის მილიციამ. ამბობდნენ, ქურდების დახმარებითო, მაგრამ შეიძლება, ქურდებს ამ საქმეში წვლილი არც მიუძღოდათ. უბრალოდ, მილიციამ „ბეზპრედელშჩიკების“ შტაბს მიაგნო. იქვე შეუმჩნეველ ადგილას გათხარეს ორმო, შიგ თავისი ხალხი ჩასვეს, ზემოდან ბრეზენტი წააფარეს და ზედ თოვლი დააყარეს. თებერვალი იყო. რამდენიმე ოპერმუშაკს ფეხები მოეყინა იმ ნესტიან ორმოში. სამაგიეროდ, ტექნიკამ სანაქებოდ იმუშავა და „ბეზპრედელშჩიკების“ ისეთი საუბრები ჩაწერეს, რომ სამხილად საკმარისი იყო. მერე კი სათითაოდ აიყვანეს ყველანი. მაგრამ მათ შორის ბაქარს ვერ ნახავდით. ის თავის აგარაკზე „შვებულების“ დარჩენილ დღეებს ატარებდა... სხვა ქალთან ერთად.

***ვაჟა გავაშელი***

# მოსკოვში გარდაბნელები ჩავარდნენ

ამ რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის მფლობელს, ჩემს მეგობარს, სამშენებლო მანქანების (ამწე, ბეტონამრევი, გრეიდერი და სხვა ტექნიკა) ყიდვაში ვეხმარებოდი. თითქმის ყოველდღე დავდიოდით დიღომში მდებარე ავტობაზრობაზე, არ დაგვიტოვებია არც ერთი ბირჟა, სადაც კი სამშენებლო მანქანები იდგა, მაგრამ უშედეგოდ. ცოტად თუ ბევრად გამოსადეგ ამწეს ისეთ ფასს ადებდნენ, რომ ვაჭრობას აზრი არ ჰქონდა, არადა, დრო არ ითმენდა — სამშენებლო კომპანიას დროულად უნდა წარედგინა საბუთები სატენდერო კომისიისთვის. ამ კომპანიას მონაწილეობა უნდა მიეღო კონკურსში, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტის აშენებისთვის ტარდებოდა.

ერთ დღეს ავტობაზრობაზე გვითხრეს, რომ გარდაბნის რაიონში მდებარე აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ აღთაქლაში ვიშოვიდით საჭირო ტექნიკას. მანქანაში აზერბაიჯანული ენის მცოდნე მეგობარი ჩავისვით და იმავე დღეს აღთაქლაში ჩავედით. იქვე, სოფლის ბირჟაზე თავმოყრილ რამდენიმე კაცს ჩასვლის მიზეზი გავანდეთ. აღთაქლელებმა ეჭვიანი მზერა მოგვაპყრეს, მერე თავები უარის ნიშნად გაიქნიეს და ზურგი შეგვაქციეს. ისევ ჩვენმა აზერბაიჯანულად მოლაპარაკე მეგობარმა გვიხსნა — მშობლიური ენის გაგონებაზე ყველა შემობრუნდა. რამდენიმე წუთი გაგრძელდა მათი საუბარი. ჩვენი მეგობარი ხელს მალიმალ სამშენებლო კომპანიის პატრონისკენ იშვერდა. ბოლოს რამდენიმე კაცმა მობილური ტელეფონები მოიმარჯვეს და ერთმანეთს ასწრებდნენ სადღაც დარეკვას. მივხვდით, საქმე იჩარხებოდა. რამდენიმე წუთში ლურჯად შეღებილ რკინის კართან ვიდექით. ეზოში შეგვიპატიჟეს. შუახანს გადაცილებულმა მამაკაცმა ქვის მაგიდასთან მიგვიწვია. ქალებმა სუფრაზე ცხელი ჩაით სავსე ჭიქები დაახვავეს, არც აღმოსავლური ტკბილეული დავიწყებიათ. მოლაპარაკება ოჯახის უფროსთან მათ ენაზე მოლაპარაკე მეგობარს მიჰყავდა. როდესაც მასპინძელი დაარწმუნა, რომ სამშენებლო ტექნიკის შესყიდვა მართლა გვინდოდა, მხოლოდ მას შემდეგ იკადრა ჩვენთან რუსულ ენაზე საუბარი. მისი განცხადებით: „ჩემი ძმისშვილები მოსკოვში ცხოვრობენ და ნახმარი ავტომანქანებით ვაჭრობენ. თუ შეკვეთა იქნება, ზოგჯერ სამშენებლო ტექნიკასაც ყიდულობენ და შემდეგ კავკასიაში ყიდიან. მეძვირეები არ არიან. როგორც „ზემლიაკებს“, ნახევარ ფასად ჩამოგიყვანენ მანქანებს, ოღონდ ბე უნდა დატოვოთ“.

მასპინძელს დავთანხმდით, მაგრამ დავინტერესდით, რამდენ დღეში შესრულდებოდა ჩვენი შეკვეთა. მასაც დიდხანს არ უფიქრია, მოსკოვში დარეკა, ძმისშვილს ესაუბრა და გვითხრა, რომ მინიმუმ ერთი თვე დასჭირდებოდათ. რაც შეეხება ფასს, მაგალითად, რამდენიმე თვის ნახმარ ამწეს 20 ათას დოლარად (ანუ ნახევარ ფასზე იაფად მოგვცემდა). მართლაც, იმავე მარკის თითქმის ხუთი წლის ნახმარი ამწე 40 ათასი დოლარი დაგვიფასეს ბაზრობაზე. ერთი სიტყვით, ფასზე არაფერი გვეთქმოდა, მაგრამ დრო არ გვაძლევდა ხელს, ერთი თვის შემდეგ ტენდერი დამთავრებული იქნებოდა. ჩვენმა მასპინძელმა კიდევ ერთხელ დარეკა მოსკოვში და ტელეფონი ჩვენ გადმოგვცა. ვაგიფ მუსაევმა (ასე გაგვეცნო) გვითხრა: „მანქანების საბუთებს ორ დღეში გამოგიგზავნით. ტენდერზე საბუთებს მოგთხოვენ და არა მანქანებს. სანამ ტენდერში გაიმარჯვებთ და მშენებლობას შეუდგებით, ერთი თვეც გავა და მანქანებიც ადგილზე გეყოლებათ, სიტყვას გაძლევთ. თუ ტენდერში გამარჯვებისთვის სხვა მანქანებიცაა საჭირო, იმ მანქანების საბუთებსაც გამოგიგზავნით, ოღონდ თითო მანქანის საბუთი 1.500 დოლარი დაგიჯდებათ. მეტი რა გინდათ, „ზემლიაკები“ ვართ და ხელს შეგიწყობთ“.

თბილისში იმ განწყობით დავბრუნდით, რომ მეორე დღეს აღთაქლაში ბე უნდა ჩაგვეტანა, მაგრამ ჩემი მეგობრის კომპანიას მოულოდნელად სხვა სამშენებლო კომპანიასთან გაერთიანება და ტენდერში ერთად მონაწილეობა შესთავაზეს. საბედნიეროდ, პარტნიორს საჭირო სამშენებლო ტექნიკა უკვე ჰქონდა. მე კი მას მერე ნათესავ-მეგობრებში ხშირად ვტრაბახობდი — ისეთი ადგილი ვიცი, რომ ნებისმიერ ავტომობილს მსურველს ნახევარ ფასად ვაყიდვინებ-მეთქი. ტრაბახი მანამ ვერ მოვიშალე, სანამ ავტოინსპექციის ერთმა თანამშრომელმა არ ამიხსნა: მოსკოვში გარდაბნელი მაფიოზები მოპარულ მანქანებს ყიდულობენ და სამშენებლო ტექნიკას ნახევარ ფასადაც სწორედ ამიტომ გთავაზობდნენო. სიმართლე გითხრათ, ამ ინფორმაციამ დამაინტერესა, მაგრამ გარდაბნელი მაფიოზების ასავალ-დასავალს ვერაფრით მივაკვლიე. ეს ამბავი მაშინ გამახსენდა, როცა მოსკოვის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობამ ახლახან თავმომწონედ განაცხადა, რომ მოსკოვში დააკავეს გარდაბნის მაფიოზური დაჯგუფების წევრები და „ნათლიები“. მოსკოვის სამძებროს ოფიციალური განცხადებით, გარდაბნის მაფიოზური დაჯგუფება მოსკოვსა და მის ოლქში, ძირითადად, მანქანების გატაცებით იყო დაკავებული. ეს ბანდა აკონტროლებდა რუსეთის ევროპულ ნაწილში ავტომობილების გატაცებისა და შემდგომ მათი გაყიდვის ბიზნესს. აყვანილია მაფიოზური ჯგუფის ოცდაათამდე წევრი. ჩვენ დავუკავშირდით მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ **ვადიმ სოლოვიოვს**, რომელმაც განაცხადა: — რუსეთში, განსაკუთრებით კი მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში, ძალიან გახშირდა ავტომობილების გატაცების ფაქტები. ყოველწლიურად დაახლოებით ასი ათასი მანქანა იკარგება უკვალოდ. თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციას გატაცებული მანქანა ეპოვოს და პატრონისთვის დაებრუნებინოს, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევებს, როდესაც ავტომობილს გამოუცდელი ქურდი იპარავდა. აქედან გამომდინარე, მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ავტოტრანსპორტის გატაცების ბიზნესს კარგად ორგანიზებული მაფიოზური დაჯგუფება აკონტროლებდა. წინასწარი ოპერატიული ინფორმაციებითაც დასტურდებოდა, რომ ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ რამდენიმე წლის წინ საქართველოდან რუსეთში ემიგრირებული აზერბაიჯანელი პირები. ოპერატიულმა დაზვერვამ ე. წ. გარდაბნელ მაფიოზურ დაჯგუფებაზე გაგვიყვანა. ბანდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან იღებდა შეკვეთებს სხვადასხვა მარკის მსუბუქ ავტომობილზე, ძირითადად, ბოლო მოდელის „ჟიგულის“ მარკაზე. ასევე დიდი მოთხოვნილება იყო „მერსედესის“, „ფოლკსვაგენისა“ და „ბეემვეს“ მარკებზე. შეკვეთის მიღების შემდეგ ავტომობილის გატაცებას „პროფესიონალ“ მანქანის ქურდებს ავალებდნენ. სხვათა შორის, იშვიათად მიმართავდნენ ყაჩაღობას, მაგრამ ზოგჯერ არც ამაზე ამბობდნენ უარს. გამტაცებლებსა და გარდაბნელ ბანდიტებს დადებული ჰქონდათ გარიგება — თუ მილიცია ქურდს ფაქტზე ან იმ დროს დააკავებდა, როდესაც მას ავტომანქანა შემკვეთთან მიჰყავდა, საქმეში გარდაბნელი მაფიოზები ჩაერეოდნენ. ისინი მილიციელებს ქრთამავდნენ და გამტაცებელს ათავისუფლებდნენ. გატაცებული ავტომობილები მოსაზღვრე სახელმწიფოებში იყიდებოდა. შემკვეთამდე მათ ჩასაყვანად მაფიოზებს მძღოლები ჰყავდათ დაქირავებული. გატაცებული ავტომანქანის საზღვარგარეთ გადაყვანისთვის თითოეულ მძღოლს 1.500 დოლარს უხდიდნენ.



„თქვენმა „ზემლიაკებმა“ ავტომობილების გატაცების ყველა რეკორდი მოხსნეს“

> დიდი მოთხოვნილება იყო „მერსედესის“, „ფოლკსვაგენისა“ და „ბეემვეს“ მარკებზე. შეკვეთის მიღების შემდეგ ავტომობილის გატაცებას „პროფესიონალ“ მანქანის ქურდებს ავალებდნენ. სხვათა შორის, იშვიათად მიმართავდნენ ყაჩაღობას, მაგრამ ზოგჯერ არც ამაზე ამბობდნენ უარს. გამტაცებლებსა და გარდაბნელ ბანდიტებს დადებული ჰქონდათ გარიგება – თუ მილიცია ქურდს ფაქტზე ან იმ დროს დააკავებდა, როდესაც მას ავტომანქანა შემკვეთთან მიჰყავდა, საქმეში გარდაბნელი მაფიოზები ჩაერეოდნენ.

**— გარდაბნელი მაფიოზების მოვალეობა მხოლოდ შეკვეთების მიცემა, დავალების შესრულების კონტროლი და ავტომობილის შემკვეთამდე ჩაყვანა იყო?**

— დიახ, მაგრამ სწორედ ავტომობილის გატაცების შემდეგ იწყებოდა მათი დანაშაულებრივი საქმიანობა. ავტომობილს უპრობლემოდ რომ დაეტოვებინა რუსეთის ტერიტორია, ამისათვის საჭირო იყო ყალბი საბუთები: ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, ყიდვა-გაყიდვის ანგარიშფაქტურა, სხვა სატრანზიტო საბუთები, მათ შორის, სატრანზიტო ნომრებიც. გარდაბნელებს ყალბი საბუთების გასაკეთებლად საჭირო კომპიუტერული ტექნიკაც ჰქონდათ. მათ განკარგულებაში იყო აგრეთვე იატაკქვეშა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სტამბა. დამნაშავეების აღმოჩენას ართულებდა ისიც, რომ ყალბ დოკუმენტებზე პროფესიონალი მხატვრების მიერ ზედმიწევნით კარგად დამზადებულ ბეჭდებსა და შტამპებს იყენებდნენ.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*


# ლეგალური დოპინგი ჯანმრთელი ცხოვრებისთვის

*გრძნობთ, რომ დაიღალეთ და არაფრის სურვილი არ გაქვთ? თქვენსა და თქვენს ხასიათზე ამინდიც მოქმედებს? სწორედ ლეგალური „დოპინგის“ - ვიტამინების მიღების დროა! ისინი შეგმატებენ სიმხნევეს, ენერგიასა და ხალისს. თქვენი აზრით, ეს შეუძლებელია? ე.ი. თქვენ ჯერ კიდევ არაფერი იცით ვიტამინების ძალის შესახებ.*

სიმხნევის ეს ხაზები – მინი-სტიმულატორები - ერთდროულად გაგაჯანსაღებენ, ხოლო თქვენს სხეულს – ენერგიულს გახდიან. აგრეთვე ისინი კარგ გუნება-განწყობას განაპირობებენ. ვიტამინებს ადამიანებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ, უპირველესად აღსანიშნავია, B ჯგუფის ვიტამინები – ისინი სასიცოცხლო ენერგიის გარანტს წარმოადგენენ.

ვიტამინები ნივთიერებათა ცვლას აჩქარებს. ადამიანს მილიარდობით უჯრედი გააჩნია. იმისათვის, რომ ყველამ იმუშაოს, ისინი თავისებურ საზრდოს - „დოპინგს“ საჭიროებენ.




ნორმალურ შემთხვევაში ეს შეუფერხებლად ხდება: ჩვენ ვკბიჩავთ ხილს და უკვე რამდენიმე წუთში ნაწლავის ტრაქტში გამოიყოფა ვიტამინები და სისხლში მიემართებიან.

თუ ჩვენს ორგანიზმს მცირე რაოდენობის ვიტამინებს ვაწვდით, მაშინ უჯრედებში განსაზღვრული ბიოქიმიური რეაქციები შეფერხებულად მიმდინარეობს. უჯრედები იფიტება და კვდება. ამიტომ ჩვენს ორგანიზმს საკმარისად უნდა ვამარაგებდეთ გარედან არა მარტო ყოველ კვირას თუ თვეს, არამედ ყოველდღიურად.

განსაკუთრებით მიზანშეწონილია ვიტამინების მიღება შემოდგომაზე, როდესაც ადამიანის ორგანიზმი მილიონობით ვირუსების შემოტევის მოსაგერიებლად ემზადება.

ადამიანის ორგანიზმისთვის ვიტამინების მნიშვნელობა პირველად 80 წლის წინ იქნა აღმოჩენილი („VITA“ - ლათინურად „სიცოცხლეს“ ნიშნავს, „AMIN“ - აზოტის ნაერთებს). სწორედ მაშინ, იდენტიფიცირებულ იქნა პირველი ვიტამინი, უფრო ზუსტად კი ვიტამინი A.

აღმოჩენათა სერიის შემდეგ, მომდევნო წლებში, ვიტამინებს სახელი ლათინური ანბანის მიხედვით დაერქვათ. დღეისათვის ცნობილია 13 ვიტამინი. ისინი ორ ნაწილად იყოფა: წყალში ხსნად (B-კომპლექსი, ვიტამინი C, ...) და ცხიმში ხსნად (A,D,E,K) ვიტამინებად. წყალში ხსნადი ვიტამინები ორგანიზმში არ რჩება, ისინი ოფლსა და შარდთან ერთად გამოიყოფა. ცხიმში ხსნადი ვიტამინები კი ორგანიზმის მიერ აითვისება ცხიმებთან ერთად და მათი შენარჩუნება განსაზღვრული პერიოდის მანძილზე შესაძლებელია. ამიტომ მათი მიღება განსაზღვრული დროით შეიძლება.



ყოველდღიურად, ჩვენს მიერ მიღებული საჭირო ვიტამინების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მისი მოთავსება დანის წვერზე შეიძლება. მაგრამ ეს მცირე რაოდენობაც ძალზედ მნიშვნელოვანი და საჭიროა.

ცივილიზებული ადამიანების ხშირად არაჯანსაღი ცხოვრების სტილი, სტრესები, თამბაქო, ალკოჰოლი, დიეტები, ფიზიკური უმოძრაობა, მედიკამენტები, აგრეთვე ადამიანების განსხვავებული ფიზიოლოგიური მდგომარეობები – ორსულობა, ბავშვების მოზარდი ორგანიზმი, ხანდაზმული ასაკი, სხვადასხვა დაავადებები – ყველაფერ ამას მივყავართ ორგანიზმის მოთხოვნილებისკენ ვიტამინებში, მინერალებში, მიკროელემენტებში. გარდა ამისა, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა პროდუქტების თერმული გადამუშავების პროცესი, მათი შენახვა და ქიმიური დანამატების გამოყენება შენახვის ვადის გაზრდისათვის, ბლოკავენ ვიტამინების ეფექტს საკვებში და ამიტომ იქმნება პირობები მათი დამატებითი მიღებისთვის.

ამერიკულ კომპანია „შიფ“-ს კარგად ესმის, რომ ვიტამინების შერჩევისას, თქვენ მხოლოდ ნატურალური კომპონენტების მიღება გსურთ. კომპანია გთავაზობთ სხვადასხვა ასაკისთვის ვიტამინების ექსკლუზიურ შემადგენლობას („ჩილდრენზ ჩივეინლ“ - 4-15 წ.წ. ბავშვებისთვის, „სინგლ დეი“ - 16-54 წ.წ. მოზრდილებისთვის, „ფრაიმ იარზ“ - 55 წლის ზევით). სწორედ ამიტომ, 60 წელზე მეტია ხალხი ენდობა „შიფ“-ს – კომპანიას, რომელიც ნატურალურ ვიტამინებს გვთავაზობს და რომელთა ხარისხიც GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების სისტემითაა შემოწმებული.

*ცხოვრებაზე მთავარი მხოლოდ მისი ხარისხია!*

„შიფ“-ის ვიტამინები – ცხოვრების ახალი ხარისხი!

ჯეოვიტი GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრებში:
ქ. თბილისი, აბულაძის 8, ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით 9.00=17.00
www.schiffvitamins.com

# როგორ მოიხატა ქვაშვეთის ეკლესია


ლადო გუდიაშვილი ეკლესიის მოხატვის დროს

შვიდი წლისამ ქართულ გიმნაზიაში დავიწყე სწავლა. აღმზრდელებს შორის იყვნენ ცნობილი პედაგოგები: ლუარსაბ ბოცვაძე, დავით კარიჭაშვილი, პეტრე მირიანაშვილი, თამარ ლომოური, ნინო ბაქრაძე, იაკობ ნიკოლაძე და ზაქარია ფალიაშვილი. ამ პლეადას ამშვენებდა ფიზიკური და სულიერი სილამაზით შემკული პიროვნება, რომელშიც ჰარმონიულად იყო შერწყმული სასულიერო და საერო კაცობა. ეს მომხიბვლელი ადამიანი დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე გახლდათ, რომელიც გიმნაზიაში არა მარტო საღვთო სჯულს ასწავლიდა, არამედ მაღალი ზნეობის, კეთილშობილი ქცევის უხმო მქადაგებელი იყო. მე კარგად მახსოვს ის წლები, როდესაც ქართული გიმნაზიის შენობაში კალისტრატე ცინცაძემ დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი დააარსა და ამ ტაძრის გუნდის ლოტბარი (რომელშიც მეც ვგალობდი) დიდი ზაქარია ფალიაშვილი იყო. აი, მოკლედ, ის შთამბეჭდავი ეპიზოდები ჩემი მასწავლებლის შესახებ, რომლებიც მეხსიერებამ დღემდე შემომინახა.

მართალია, ამის შემდეგ დროვითარება შეიცვალა, დიდი ისტორიული ძვრები მოხდა, მაგრამ ჩვენ ერთიმეორის მხედველობის არიდან არ მოვცილებულვართ. 1938 წელს დედაჩემთან ერთად ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში დავსახლდით, სწორედ ტაძრის ჩუქურთმებით მორთული აღმოსავლეთის კედლის მხრიდან, ბუნებრივად აღდგა წარსულის მოგონების ხატები: ეკლესიის წარსული და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, შემდეგ უკვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ეკლესიის ეზოში, ეპისკოპოს დიმიტრისთან (ლაზარიშვილთან) მოსულ მის უწმინდესობას ხშირად ვესაუბრებოდი. ვეწვეოდი აგრეთვე სიონში, კათოლიკოსის ძველ ბინაზე. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი მოვლენა მის უწმინდესობასთან ურთიერთდამოკიდებულებაში ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატვა იყო. ყოველთვის ვფიქრობდი, ტაძარი როგორ დარჩა მოუხატავი-მეთქი. მახსოვს, ლადო გუდიაშვილი პარიზიდან რომ ჩამოვიდა, ვხვდებოდით, ვსაუბრობდით, ტერიტორიულად ახლო მეზობლობამაც უფრო დაგვაახლოვა. ხშირად მისი ბინის აივნიდან აღტაცებით გავცქეროდით მთვარიან ღამეებში შუქჩრდილით მოცულ ქვაშვეთის ეკლესიას. ერთ-ერთ ასეთ საღამოს ლადოს ვკითხე: მოსახატავი რომ შეიქნეს ეკლესია, მოხატავდით? ლადო აენთო. მისი შემოქმედების ცეცხლმა იფეთქა. იმ დღიდან სულიერი სიმშვიდე დაკარგა.

უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის (1946-48) ასეთი იდეის ხორცშესხმა თითქმის გამორიცხული უნდა ყოფილიყო, თუმცა რუსეთში ზოგიერთი ტაძრის რესტავრაცია, მხატვრობის აღდგენა ხდებოდა...

ამრიგად, ერთ საღამოს, სავსე მიზანსწრაფვით და მტკიცე რწმენით, რომ მის უწმინდესობას დავითანხმებდი, მის სამუშაო კაბინეტში მშვიდად მოვახსენე ჩემი განზრახვა.

ჩემი ძვირფასი მასწავლებელი, მისი უწმინდესობა გაჩუმებული, გაოცებული იყო, არ მოელოდა, თუ შეიძლება ითქვას, ასეთ „სინამდვილეს“ მოკლებულ ამბავს. საუბარი დიდი მღელვარებით მიმდინარეობდა. დაბოლოს, დამშვიდებულმა მითხრა: „მე ფული არა მაქვს, წადი, დიმიტრი ნახე, მოელაპარაკე მას“ და კარგად მახსოვს, ასე დამემშვიდობა: „Благославяю тебя“.

წარმოიდგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსი დიმიტრი ხასიათით დინჯი პიროვნება იყო, ჩვენი საუბარი შედეგიანად დაგვირგვინდა. ხეტყე შეიძინა და ხარაჩოებიც აიგო.

ლადო შეუდგა ესკიზების დამზადებას.

პირველ რიგში, საკურთხევლისას და შემდგომში კი, როგორც ჩვენი საუბრიდან გამოირკვა, სურდა ტაძარი მთლიანად ქართული ეკლესიებისათვის დამახასიათებელი ეპიზოდებით მოეხატა. მაგრამ რომ გაგვეგო, მის უწმინდესობას, როგორც შემკვეთს, ფრესკების როგორი სტილი მოეწონებოდა, წამობრძანდა ნიმუშების გამოფენაზე, რომელიც საქართველოს მუზეუმის დარბაზებში ბატონ ივანე ჯავახიშვილის მიერ იყო მოწყობილი. მის უწმინდესობას მოეწონა ახტალის სერობა, რომელმაც მხატვარს გარკვეული ორიენტაცია მისცა. კონსულტანტად, გუდიაშვილის სურვილით, მოწვეული იყო შალვა ამირანაშვილი.

ერთ მშვენიერ დღეს ქვაშვეთის ეკლესიაში შედგა იმ ესკიზის განხილვა, რომელიც დღეს საკურთხევლის კედელზეა ასახული. განხილვას დაესწრნენ: მისი უწმინდესობა, დიმიტრი ეპისკოპოსი, შალვა ამირანაშვილი, დავით ლომაძე, მხატვარი და მე. ესკიზი მოიწონეს და ლადო გუდიაშვილი ხარაჩოებზე ავიდა. მისი უწმინდესობა დიდ ენთუზიაზმს იჩენდა. იგი ქვაშვეთის ეკლესიაში ხშირად მობრძანდებოდა ხოლმე.

ერთ დღეს მისმა უწმინდესობამ დამიბარა და გამოთქვა სურვილი, რომ მოციქულთა სახეებში ამ საქმეში მონაწილეთა სახეები გამოსახულიყო. ლადოს მე მივუტანე მისი უწმინდესობის ახალგაზრდობის სურათი და ქრისტესთან მდგომი პირველი მოციქული გამოსახა კალისტრატე ცინცაძის სახით.

აი, ძალზე მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა მოხატვა. მე აქ არ მინდა დაწვრილებით გადმოცემა იმისა, თუ რატომ შეწყდა ეკლესიის მოხატვა, როგორი რეზონანსი ჰქონდა მას და სხვა. ერთი რამ უდავოა — მისმა უწმინდესობამ დიდი ღვაწლი დასდო ჩვენი საუკუნის ქართულ საეკლესიო სახვით ხელოვნებას და თავისი სახელი საქართველოს საუკეთესო და რჩეულ კათალიკოსებს შორის ამ მხრივაც უკვდავყო.

*ერასტი ვაჩნაძის მოგონებებიდან*

# მაცხოვრის გარეგნობა გადმოცემათა მიხედვით

**„რომელ იყო პირველითგან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი ვიხილეთ და ხელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა... გითხრობთ თქუენ“**

***(1 იოანე 1, 1,3)***



იესოს გარეგნობის ყველაზე ადრეული აღწერილობანი უკვე საკმაოდ გვიანდელ ხანას განეკუთვნება, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი თუნდაც სუსტად ეხმაურებოდნენ წმ. იოანე ღვთისმეტყველის, ირინეოს ლიონელისა და პაპიუსის დროინდელ გადმოცემებს. წმ. ნიკიფორეს მოჰყავს მე-8 ასწლეულის საეკლესიო მამის, იოანე დამასკელის აღწერილობა და ამბობს, რომ იესო ჰგავდა ქალწულ მარიამს; იგი იყო ლამაზი და განსაცვიფრებლად მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი, ღია ფერის რამდენადმე დახვეული თმებით, რომელსაც არასოდეს შეჰხებია ხელი დედისა მისისა; ჰქონდა მუქი წარბები, ოვალური სახე, ფერმკრთალი და შავგვრემანი იერით, ნათელი თვალები და გამოხედვა, რომელშიაც იხატებოდა მოთმინება, კეთილშობილება და სიბრძნე.

აი, აგრეთვე, მაცხოვრის აღწერილობა წერილიდან, რომელიც იერუსალიმის თემის თავმჯდომარემ გაუგზავნა რომის სენატს:

ჩვენს დროში, — ნათქვამია ამ წერილში, — გამოჩნდა უდიდესი სათნოების ადამიანი, სახელად ქრისტე იესო... ის ტანმაღალია, მშვენიერი, აქვს კეთილშობილური სახე, ისე რომ, ვინც მას უყურებს, ერთდროულად სიყვარული და შიში იპყრობს. აქვს ღვინისა და თაფლისფერი დატალღული თმა, დახუჭუჭებულიც კი, რომელიც მხრებზე დაცემისას ბზინავს, ნაზარეველთა ჩვევისამებრ შუაზე აქვს გაყოფილი. შუბლი სუფთა და სწორი აქვს, სახეზე არც ერთი ლაქა და ნაოჭი არ აქტყვია, არამედ ვარდისფერი დაჰკრავს. ცხვირ-პირი უნაკლო სილამაზისა აქვს: წვერი ხშირი და ფართო, შედარებით მოკლე, ისიც შუაზე ორად გაყოფილი, თვალები ცისფერი და ძალიან ნათელი (ეს აღწერილობა რამდენადმე გვაგონებს დავით მეფეს ახალგაზრდობაში და სიძეს სოლომონის „ქება-ქებათა“-დან). ის შიშის მომგვრელია, როცა კიცხავს და სიყვარულით აღსავსე, როდესაც შეაგონებს; მხიარულია, მაგრამ ღირსებას ყოველთვის ინარჩუნებს. ის არასდროს უნახავთ მომცინარე, არამედ მტირალი. ტანი და ხელ-ფეხი იერით მშვენიერი აქვს. საუბრის დროს სერიოზულია, თავმდაბალი და ზომიერი, ის უმშვენიერესია კაცთა მოდგმაში.

გულითადი განდობანი

# „ეს ფული ანგელოზებმა გიწყალობეს“



ორმოციანი წლები იდგა და ცხადია შეჭირვებული ყოფა იყო, თუმცა არა უიმედო და მეც გავიმეორებ ბევრჯერ თქმულს, რომ მაინც უიშვიათესად შეხვდებოდით ხელგაწვდილ ქართველს და არც ეკლესიაში დედასთან ერთად ჩემი და ჩემი დის სიარულისთვის შეუშლია ხელი ვინმეს. ახლა კი ერთ პატარა, მაგრამ ჩემი აზრით, მრავლისმთქმელ ამბავს გიამბობთ და მიხვდებით, რატომ დამჭირდა ამგვარი შესავლის გაკეთება.

აღარ მახსოვს (დიდი დრო გავიდა), რომელი საეკლესიო დღესასწაული იყო. დედამ, საოცრად მორწმუნე ადამიანმა, მე და ჩემი მეგობარი გოგონა, ჩვეულებრივ, დიდუბის ეკლესიაში წაგვიყვანა და იქ ნანახმა, როგორც ჩანს, ჩვენი პატარა გულები ააფორიაქა: ეკლესიის კართან ქართველი ქალი მათხოვრობდა, თან ჩვილი ბავშვი ჰყავდა. აკი გითხარით, რომ ასეთ რამეს იშვიათად ნახავდით და ალბათ ამიტომაც, ეკლესიაში შესულებმა, როდესაც ტაძრისთვის შესაწირი ყუთის გვერდით დაყრილი ფული დავინახეთ, რომელიც როგორც ჩანს, შიგ აღარ ჩაეტია(!), არ დავფიქრებულვართ, ავკრიფეთ, გავიქეცით და იმ ბავშვიან ქალს ჩავუყარეთ კალთაში. ჩვენი საქციელის სამართლიანობაში ეჭვი არ შეგვპარვია, მით უფრო, რომ ტაძარში მყოფ ადამიანებს ჩვენთვის ხელი არ შეუშლიათ...

ეკლესიაში შემობრუნებულებმა დედას მოვუყევით ყველაფერი (მას არ დაუნახავს, როგორ ავკრიფეთ და გავიტანეთ ფული). გვეგონა შეგვაქებდა, პირიქით კი მოხდა, ძალიან გაგვიჯავრდა. ყველა მორწმუნემ იცის, რამდენად დიდი ცოდვაა შენაწირის ხელყოფა. შემდეგ ორივეს ხელი მოგვკიდა და იმ დროს, ტაძარში მყოფ მაშინდელ კათალიკოსთან, კალისტრატე ცინცაძესთან მიგვიყვანა მოსანანიებლად. სწორედ იმ დროს, როდესაც დედა უყვებოდა მას, თუ რა „ჩავიდინეთ“, მოგვიახლოვდა ის ქალი, რომელსაც ცალ ხელში ფულით სავსე კაბის კალთა ეჭირა, მეორეში კი ბავშვი. მას უნდოდა ფული უკან დაებრუნებინა(!), მაგრამ ამ დროს კათალიკოსმა მე და ჩემს მეგობარს თავზე ხელი დაგვადო და დაგვლოცა, ქალს კი უთხრა: „ეს ფული შენ ანგელოზებმა გიწყალობეს“ და ისიც დააყოლა, რომ როდესაც გამოელეოდა, მასთან მოსულიყო...

დღეს, როდესაც უკან მივიხედავთ, იქნებ ღირდეს იმ სოციალისტური ურწმუნოების სიბნელეში აქა-იქ მოციმციმე, სანთლებად დანთებული სულებიც დავინახოთ, რომლებმაც გაგვიადვილეს ტაძრისკენ მიბრუნება და სახვალიოდაც მათი შეწევნის იმედი გვაქვს.

*დალი მაცაბერიძე*

## რას გვეტყვი, მამაო?

**— ამბობენ, რომ ნაკურთხ სახლში ძაღლის, კატის და ფრინველების ყოფნა არ შეიძლება. რამდენად სწორია ეს აზრი?**

— გაუგებარია, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს ნაკურთხ სახლში იმ ცხოველთა და ფრინველთა ყოფნა, რომლებიც გვიყვარს. რიგი ცხოველები უწმინდურებად მხოლოდ ძველი აღთქმის დროს ითვლებოდნენ იმის მიხედვით, მათი საკვებად გამოყენება შეიძლებოდა თუ არა. იმ დროს მხოლოდ იმ პირუტყვის ხორცს იღებდნენ, რომელთაც ჩლიქები გაყოფილი ჰქონდათ და ცოხნა შეეძლოთ. ახლა ასეთი დაყოფა აღარ არსებობს. შინ ისეთი ცხოველის ყოფნაა არასასურველი, რომელმაც შეიძლება ადამიანს რაიმე ავნოს... ნაკურთხ სახლში ქრისტიანული წესით იცხოვრეთ, შინ შინაური ცხოველის ყოლა არაფერს დაგიშავებთ..

**— ხშირად მინახავს, რომ ტაძარში შესვლისას ტაძრის შესასვლელ კარს ან ტაძრის კედლებს ეამბორებიან. ეს აუცილებელია?**

— საუკუნეების მანძილზე არსებობს ტაძარში შემსვლელთათვის ტაძრის მიმართ თაყვანისცემის გამომხატველი სიტყვები: „შევიდე სახლსა შენსა და თაყვანი ვცე ტაძარსა შენსა“... ტაძრის კარსა თუ კედლებზე ამბორი ამ თაყვანისცემისა და მოკრძალების გამომხატველია. ასე შინაგანად ვემზადებით ღვთის სახლში შესასვლელად. ეს თქვენს შინაგან სურვილზეა დამოკიდებული, — სასურველია, თუ ტაძარში შესვლისას ასეთი სურვილი გაგიჩნდებათ.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***






CMYK

# უშიშროების მაღალჩინოსანს თაღლითობაში ადანაშაულებენ

## ოლიმპიური აფერა ქართულად

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

ახლა ნინო გაგნიძეს დაურეკეს. ეს საქმე აღარ გამოდის, მაგრამ სექტემბერში ფეხბურთელები მიდიან საბერძნეთში და იმათ გაგაყოლებთო, — გვანუგეშა. სწორედ ამან დამაეჭვა. ჯერ ფეხბურთის ფედერაციაში დავრეკე. მითხრეს, ასეთი ვინმე აქ არც მუშაობს და არც არასოდეს უმუშავიაო.

ჩემმა მეგობარმა ხარხელსა და გაგნიძეს ფულის დაბრუნება მოსთხოვა. ამ დროს ასპარეზზე ახალი პირი — ალეკო გურამიშვილი, ნინო გაგნიძის ქმარი გამოჩნდა. დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. მეც შევხვდი, ფული გვაქვს და დაგიბრუნებთ, მაგრამ გამოდის ეს საქმე და ლუკმას პირიდან ნუ გამომაცლითო. ამ ქალებსაც გავუშვებ საბერძნეთში და ჩვენც ვიხეირებთო. ამისთვის ორი დღის ვადა მოითხოვა. ბევრი ორი დღე გავიდა ასე. ხან რას იმიზეზებდა და ხან — რას. ბოლოს მითხრა: შენი ფული ტოტალიზატორში წავაგე(?!). ახლა სახლი უნდა დავაგირავო და გადაგიხდიო.

— **შემდეგ?**

— ავდექი და ცეზარს დავურეკე. ვუთხარი, ფული შენ მოგეცი და შენვე დამიბრუნე-მეთქი. მეორე დღესვე დამიკავშირდა. აუცილებლად გადმოგცემენ შენს ფულსო. დავემუქრე, რომ უშიშროების სამინისტროში მივიდოდი და იქ გავარკვევდი ყველაფერს. ხარხელმა მითხრა: თუ მაინც არ დაიშლი, ჩემი სახელი მაინც არ ახსენო. თქვი, ვითომ გაგნიძის ქმარმა გააკეთა ყველაფერიო. ეს უკვე მეტისმეტი იყო და უშიშროებაში წავედი. აბა, რა მექნა, უშიშროების ვიცე-პოლკოვნიკს ქურდებს ხომ არ მივუყვანდი საქმის გასარჩევად. თან, როგორც გავიგე, იმ პერიოდში დმანისის რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსად დაუნიშნავთ.

— **რა გითხრეს უშიშროებაში?**

— უშიშროების გენერალურმა ინსპექციამ ქალებს ჩვენება ჩამოართვა და დაგვპირდნენ, რომ ყველაფერს იღონებდნენ. ეს ხარხელმაც შეიტყო და დამირეკა: ოღონდ ჩემი სახელი ამოაღებინე გენერალურ ინსპექციას, ყველაფერი გაგნიძეს დააბრალე და შენს ფულს აუცილებლად დაგიბრუნებო.

არადა, უშიშროებაში დაკითხვისას ნინო გაგნიძემ ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ უშიშროებამ ეს არ „ჭამა“ და საქმე გენპროკურატურას გადასცა. ამასობაში ისევ დამირეკა ხარხელმა და დამპირდა, — ოღონდ გენპროკურატურიდან საჩივარი გამოიტანე, „მერსედესს“ გავყიდი და ფულს მოგცემო. შემდეგ კი ეტყობა, გადაიფიქრა და მითხრა: სულ არ მეშინია პროკურატურის, მაინც ვერაფერს მიზამენ და სადაც გინდა, იქ მიჩივლე, მაინც სუფთად გამოვძვრებიო(?!).

— **საოცარია, ხარხელს ხომ უნდა სცოდნოდა, რომ ეს აფერა მისთვის მეტისმეტად რისკიანი იყო?**

— შეიძლება მას ქალების დაშინება უნდოდა. ერთხელ მეც მითხრა, თუ საქმე გამიხეთქე, იცოდე, სისხლი დაიღვრებაო...

რა ფორმულირება მიეცა ხარხელი-გაგნიძის საქმეს, ამის გასარკვევად „კვირის პალიტრამ“ გენერალურ პროკურატურას მიმართა. ჩვენი ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე ამ აფერის მხოლოდ მეორეხარისხოვან პერსონაჟზე, ალეკო გურამიშვილზე აღიძრა(!), ხარხელი და გაგნიძე კი რიგით მონაწილეებად არიან გამოყვანილი.

სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორის, ანზორ ხვადაგიანის თქმით, ვინაიდან თაღლითობის ფაქტს ჰქონდა ადგილი, საქმე გადაეცა ფინანსურ პოლიციას. სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება არა ერთ, არამედ თაღლითობის ყველა მონაწილეზე.

ერთი სიტყვით, სამართლიანობის აღსადგენად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. თაღლითობაში ეჭვმიტანილი უშიშროების თანამშრომელი ცეზარ ხარხელი კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს. უშიშროების სამინისტროში კი „კვირის პალიტრას“ განუცხადეს, რომ ამ ფაქტის გამო ხარხელი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან და გამოძიების დასრულებამდე კადრების განკარგულებაში იმყოფება.

P. S. ასეთია ერთი თაღლითობის ისტორია. სამწუხაროა, რომ მისი სულისჩამდგმელი ისეთი პირი აღმოჩნდა, ვინც, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, დანაშაულს უნდა ებრძოდეს. თუმცა ასეთი სახის თაღლითობის აღმოსაფხვრელად მაინც სოციალური მდგომარეობის გამოსწორება არის მთავარი. ასეთ შემთხვევაში აღარც საზღვარგარეთ სამუშაოდ წამსვლელთა სიმრავლე იქნება ქვეყანაში და საშუალებაც აღარავის ექნება, რომ ხელი ამ ადამიანთა „გადაგდებით“ მოითბოს.

***დავით დევიძე***




# მოსკოვში გარდაბნელები ჩავარდნენ

## „თქვენმა „ზემლიაკებმა“ ავტომობილების გატაცების ყველა რეკორდი მოხსნეს“

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*

გარდაბნელებს ყველა ნიუანსი ჰქონდათ დამუშავებული. ისეთ ავტომობილებსაც იტაცებდნენ, რომლებიც საგზაო შემთხვევების შემდგომ შეკეთებას აღარ ექვემდებარებოდა და მხოლოდ ჯართად თუ გამოდგებოდა. ასეთი ავტომობილების ტექნიკურ მონაცემებს შეკვეთილი ავტომანქანების საბუთებში იყენებდნენ. უდავოა, ინფორმაციას დამტვრეული ავტომობილების შესახებ, ასევე მათ ტექნიკურ მონაცემებს ან ავტოინსპექციიდან იღებდნენ განსაზღვრული საზღაურის ფასად, ან ავტოინსპექციის კომპიუტერში ჰაკერის მეშვეობით მოიპოვებდნენ.

— **რა იყო ის ძირითადი სამხილი, რომლის საფუძველზე გარდაბნელი მაფიოზები გაიშიფრნენ?**

— ძალზე დაგვაეჭვა ბელორუსიის რესპუბლიკის ერთი მოქალაქის ხშირმა სტუმრობამ მოსკოვში. იგი რამდენიმე თვის განმავლობაში დაახლოებით ოცჯერ ჩამოვიდა და ამდენჯერვე სხვადასხვა მარკის ავტომობილით გაემგზავრა ბელორუსიაში. ერთხელ, როდესაც კვლავ ახალი ავტომობილით ტოვებდა მოსკოვს, გავაჩერეთ. შევუმოწმეთ საბუთები და თითქოს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, მაგრამ მაინც მოვითხოვეთ ავტომობილის ყველა საბუთზე ექსპერტიზის ჩატარება. მართლაც, ექსპერტიზის მონაცემებმა ჩვენი ეჭვები დაადასტურა — ყველა საბუთი ყალბი აღმოჩნდა. ამის შემდეგ დავკითხეთ ბელორუსი მოქალაქე. მან აღიარა დანაშაული და იმ შუამავალზე გაგვიყვანა, რომელიც მოპარული ავტომობილებით ამარაგებდა. მალე შუამავალიც დავაკავეთ. იგი გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაქლაში დაბადებული რამზი შადიევი აღმოჩნდა. დაკითხვაზე მან ყველაფერი დაფქვა და პარტნიორების მისამართებიც დაასახელა. რამდენიმე ხანში ყველა დავაკავეთ. ბანდის ხელმძღვანელიც და მისი წევრებიც გარდაბნელები არიან, ეროვნებით აზერბაიჯანელები. როგორც დადგინდა, დამნაშავეებს მოსკოვში სხვადასხვა ადგილზე ჰქონდათ ავტოსარემონტო სახელოსნოები — ერთ-ერთი მოსკოვის მუნიციპალიტეტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო. ამ სახელოსნოში აღმოვაჩინეთ იატაკქვეშა სტამბაც. აქ მაღალკვალიფიციური ხელოსნები ჰყავდათ — უპრობლემოდ წაშლიდნენ ავტომობილის საქარხნო ნომრებს და თავიანთთვის საჭიროს დააწერდნენ. იმდენად ხარისხიანად მუშაობდნენ, რომ გამადიდებელი შუშითაც კი ვერ შეამჩნევდი ნაყალბევს. ყველა დაკავებული პირის საცხოვრებელი ბინებიდან ამოვიღეთ დანაშაულის დამამტკიცებელი დოკუმენტები, აგრეთვე, კომპიუტერული ტექნიკა მონაცემთა ბაზით. ბანდას სხვადასხვა ადგილზე, ძირითადად, ავტოფარეხებში სამალავები ჰქონდა, სადაც „შავი დღისთვის“ ასიათასობით დოლარი, ძვირფასი ლითონები და სხვა ძვირფასეულობა ინახებოდა.

აი, ასე გადიოდა სხვა სახელმწიფოებში ათასობით მოტაცებული მანქანა. ახლა თუნდაც დავაზუსტოთ მოტაცებული ავტომანქანების დღევანდელი პატრონები, კანონით მათ ავტომობილს ვერ წავართმევთ, რადგან შემსყიდველმა ყველაფერი კანონიერად გააკეთა.

— **როგორც ამბობენ, გარდაბნელთა დანაშაულებრივი დაჯგუფება სამშენებლო ტექნიკასაც იპარავდა.**

— დიახ, დიდი მოთხოვნა იყო სამშენებლო ამწეებზე, ბეტონამრევებზე, გრეიდერებზე. იტაცებდნენ საქონლით დატვირთულ ტრაილერებსაც. მძიმეწონიანი ავტომანქანების გატაცების ფაქტები განსაკუთრებით ბოლო ორ წელიწადში მომრავლდა. ეს უფრო სარფიანი იყო გარდაბნელებისთვის. მაგალითად, ამწის მოტაცება და მისი შემკვეთთან ჩაყვანა 15 ათასი დოლარი უჯდებოდა დანაშაულებრივ სინდიკატს, მაგრამ აზერბაიჯანში მას მინიმუმ 45 ათას დოლარად ყიდდნენ. სუფთა მოგება 30 ათასი დოლარი რჩებოდა.



**გარდაბნელებს ყალბი საბუთების გასაკეთებლად საჭირო კომპიუტერული ტექნიკაც ჰქონდათ. მათ განკარგულებაში იყო აგრეთვე იატაკქვეშა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სტამბა. დამნაშავეების აღმოჩენას ართულებდა ისიც, რომ ყალბ დოკუმენტებზე პროფესიონალი მხატვრების მიერ ზედმიწევნით კარგად დამზადებულ ბეჭდებსა და შტამპებს იყენებდნენ.**

როგორც მოსკოველი მილიციელები ვარაუდობენ, გატაცებული მანქანების უმრავლესობა დაღესტნის გავლით შედიოდა აზერბაიჯანში, მცირე ნაწილი კი საქართველოშიც საღდებოდა...

დღეს მსოფლიოში ავტომობილების გატაცების ბიზნესი კრიმინალურ სამყაროში ერთ-ერთ შემოსავლიან საქმედ ითვლება. იგი მეოთხე ადგილზე დგას იარაღით უკანონო ვაჭრობის, ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის შემდეგ. საქართველოში კი მას შემდეგ, რაც უცხოური მარკის ავტომანქანები მომრავლდა, გატაცების შემთხვევებმა იმატა. ჩვეულებრივ, თბილისიდან გატაცებული ავტომობილები საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე გადაჰყავდათ, იქიდან კი რუსეთში გაედინებოდა. ასე რომ, ის ხერხები, რომლებსაც მოსკოვში გარდაბნელები იყენებდნენ, ქართველი სამართალდამცველებისთვისაც კარგად იყო ცნობილი.

P.S. დასასრულ, მოსკოველ და თბილისელ სამართალდამცველთა და ავტომფლობელთა საყურადღებოდ ვიტყვით, რომ ე.წ. გარდაბნელთა მაფიოზური დაჯგუფების წევრების დაპატიმრებამ არ უნდა დაგვამშვიდოს. გარდაბნელთა გარდა ყველა ქალაქში მოიძებნებიან ავტომობილის გატაცებაში დაოსტატებული ქურდები, რომლებმაც შეიძლება თქვენს ავტომობილსაც დაადგან თვალი. დღეს საქართველოში არცთუ ცოტა ადამიანი უზის მოპარული ავტომობილის საჭეს, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მათ შორის მაღალი რანგის ჩინოვნიკებიც არიან.

***ზვიად ჩაკვეტაძე***



# თბილისმა რუსეთის წვევამდელებს საზღვარი დაუკეტა

სომხეთის ქალაქ გიუმრის სამხედრო ბაზაში დაბანაკებული რფ-ის 400 სამხედრო საქართველოში შესასვლელ ვიზებს ელოდება. წვევამდელებმა ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზაში უნდა გაიარონ სამსახური. ამიერკავკასიაში მდგარი რუსეთის ჯარების სარდლობამ არაერთხელ მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, დააჩქაროს პროცესი, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. საქართველოს მხარე აცხადებს, — ვიზების გაცემა იმიტომ ფერხდება, რომ გულდაგულ ვადგენთ ჯარისკაცთა სიას და რაოდენობასო. „ჩვენ სკრუპულოზურად ვიკვლევთ, რამდენად შეესაბამება რუსეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტები ამ საკითხზე ადრე ხელმოწერილ ხელშეკრულებას. ლაპარაკია მოსამსახურეთა რაოდენობის შესაძლო გადამეტებაზე", — განაცხადეს საქართველოს საგარეო უწყებაში, მაგრამ არ დაუზუსტებიათ, როდის გადაწყდება ეს პრობლემა და ურჩიეს რუსულ მხარეს, ამ საქმეში არ ეძებოს ქვედა დინებები. „თუმცა რუს სამხედროთა გარკვეულ რაოდენობას უკვე მივეცით ვიზები", — დასძინა სამინისტროს წარმომადგენელმა.

განსხვავებული დამოკიდებულებაა მეორე როტაციის მიმართ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ნოემბრის პირველი ნახევრისთვის დაგეგმა თავისი სამშვიდობოების მორიგი შეცვლა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, რაზედაც გენერალ-მაიორ მარატ ყულახმეტოვს შეატყობინეს. შერეული სამშვიდობო ძალების შტაბში ქართული მხარის ამ იდეას არავინ შეწინააღმდეგებია. „მიუხედავად იმისა, რომ როტაცია ნახევარ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს, ჩვენ თანხმობა განვუცხადეთ ქართულ მხარეს. რუსული და ოსური სამშვიდობო ბატალიონების როტაცია გეგმის მიხედვით მოხდება", — თქვა რუსეთის გენერალმა. ამ წელიწადში ქართველების რიგით მეხუთე როტაციაზე განსხვავებული აზრი აქვთ ცხინვალში: „დარწმუნებული ვართ, რომ კონფლიქტის ზონაში თავისი შენაერთების ხშირი ცვლით საქართველო, სამხრეთ ოსეთში შემდგომი აგრესიის მიზნით, სამხედრო დათვალიერებას ეწევა. სამშვიდობოების გაუთავებელი ჩანაცვლების პროცესში კონფლიქტის ზონის ტერიტორია უკვე ორი ათასამდე ქართველმა სამხედრომ დაზვერა", — განაცხადა სამხრეთ ოსეთის მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის წევრმა ბორის ჩოჩიევმა.

*ნეზავისიმაია გაზეტა*

# მოუსყიდავი ბიუროკრატები

**თბილისის ისანი-სამგორის რაიონის ადმინისტრაციის მეთაურმა ზურაბ ადეიშვილმა მას შემდეგ გაითქვა სახელი მთელ საქართველოში, რაც თბილისის მერს საათი უფეშქაშა. მერმა მრისხანედ ჰკრა ხელი გამგებლის ძღვენს, რისთვისაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან არანაკლებ ძვირფასი საჩუქარი დაიმსახურა. ბ-ნ ადეიშვილს კი სერიოზულად ეშინია — გისოსებს მიღმა არ აღმოჩნდეს.**



თბილისის მერი — ყველაზე მოუსყიდავი კაცი საქართველოში და... ...პრეზიდენტის საჩუქარი

თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ქრთამს არ იღებს არც ფულად, არც ჯიშიანი ლეკვებით, არც 1500-დოლარიანი შვეიცარიული „ომეგას" მაჯის საათებით. თუ როგორ გაუფუჭა კარიერა, ახლა უკვე ყოფილ გამგებელს ამგვარმა საათმა, არა მარტო ქართული, არამედ რუსული პრესაც ლაპარაკობს — ქვეშევრდომის ძღვენმა ისე აღაშფოთა შეფი, რომ ადამია ჯერ საჯაროდ შერისხა, მერე კი თანამდებობიდანაც გაისტუმრა — ქალაქის თავმა პირდაპირ ეთერში დაუბრუნა საჩუქარი და ისეთი სიტყვები მიაყოლა, რომ არა მარტო „დამნაშავე", არამედ მთელი მერიის აპარატიც გადაფითრდა: — 160 ლარი ხელფასის პატრონი კაცი მსგავს ნივთს მხოლოდ უპატიოსნო გზით ნაშოვნი ფულით თუ შეიძენსო. დაზაფრული ზურაბ ადამია იფიცება — რა ქრთამზეა ლაპარაკი, მაჯის საათი სავსებით ცივილიზებული საჩუქარია, ოქროსი ხომ არ იყო. საათი არ მიყიდია, მაჩუქესო და აფრიალებს დამამტკიცებელ საბუთს — საათის საგარანტიო ტალონს, რომელსაც აწერია „30 ნოემბერი, 2003 წელი".

ადამიას დამაქცევარმა საათმა ჭიაბერაშვილს ბედნიერება მოუტანა. საქმე ის არის, რომ თურმე ქალაქის მერის ბრიფინგს მიხეილ სააკაშვილი ტელევიზორში უყურებდა... მეორე დღეს, მთავრობის სხდომაზე, მოიხსნა მაჯიდან საათი (ისიც შვეიცარიული, მაგრამ სხვა ფირმის — GALERY, მოსკოვის მაღაზიებში 700 დოლარი ღირს) და მოუსყიდავ მერს გადასცა — ატარეო და უთხრა, — სანაცვლოდ, პატიოსანი მუშაობის გარდა, არაფერს მოგთხოვო. სხვათა შორის, სააკაშვილი ადრეც იოლად იმეტებდა საათებს. შარშან საათი აფხაზეთიდან ლტოლვილს აჩუქა, თან დაჰპირდა — შინ ამ საათის ელემენტის დაჯდომამდე დაბრუნდებიო.

ადამია ძალიან შეშინებულია — საქართველოს ახლანდელი მთავრობა ხომ დასჯას არ აყოვნებს. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ბოლო 10 თვის განმავლობაში მაღალი თანამდებობის პირებმა სახელმწიფო ხაზინას მოპარული ნახევარი მილიარდი დოლარი დაუბრუნეს. აღსანიშნავია, რომ აქამდე ჩინოსნებს ჯერ იჭერდნენ, ფულის გადახდის შემდეგ კი უშვებდნენ. მაგრამ გახმაურებული დაჭერების დრო წავიდა: საქართველოს პარლამენტმა ფინანსური და საგადასახადო ამნისტიის კანონი მიიღო და ახლა ყველაფერი, რაც 2004 წლის 1-ელ იანვრამდე მოპარულა, დავიწყებულიცაა და ნაპატიებიც.

აღმოსავლური ტრადიციით, „მადლიერების" ნიშნად ფეშქაში საქართველოში არავის უკვირს, შევარდნაძის დროს უცხოურ მანქანებსა და ცხენებს ჩუქნიდნენ. ახალ ხელისუფლებას „ადრინდელი რეჟიმის გადმონაშთის" ამოძირკვა უნდა, ამიტომაც გულუხვად აჯილდოებს მას, ვინც მხარს უჭერს ამ ძნელ ბრძოლაში...

*ლენტა რუ*

# ბრძოლა ხელისუფლებისთვის

აფხაზეთის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას გადაწყვეტილებით, აფხაზეთში განმეორებითი არჩევნები ჩატარდება.

აფხაზეთის უმაღლესმა სასამართლომ ერთი დღე-ღამის განმავლობაში სამჯერ შეცვალა გადაწყვეტილება ამ აულიარებელი რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების თაობაზე. ჯერ იყო და სასამართლომ სერგეი ბაღაფშის გამარჯვება გამოაცხადა, რის შემდეგაც მეორე კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მომხრეები უმაღლესი სასამართლოს შენობაში შეიჭრნენ და მოსამართლეებს გადაწყვეტილების შეცვლა აიძულეს. ამასობაში ქალაქში ორივე კანდიდატის მხარდამჭერთა მიტინგები დაიწყო, სოფლებიდან ხალხმა იწყო დენა. 29 ოქტომბრის ღამეს სოხუმში სროლაც ისმოდა. დილისთვის მოსამართლეები გონს მოეგნენ, 3 ნოემბრის არჩევნები არაკანონიერად ცნეს და ორი თვის განმავლობაში განმეორებითი არჩევნების ჩატარება დაადგინეს.

სოხუმში მდგომარეობა უფრო და უფრო იძაბება. ყველა ძალოვანი სტრუქტურა, არმიის ჩათვლით, გადასულია გაძლიერებულ რეჟიმზე. შეწყვეტილია ტელე და რადიოგადაცემები.

*იტარ ტასი*

# „მიშამ" არ ივარგა

რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" ღია ეთერში ენ-ტე-ვეს მთავარმა პროდიუსერმა ალექსანდრ ლევინმა განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე შექმნილი ფილმი „მიშა", რომელიც ენ-ტე-ვეს არხზე იყო ნაჩვენები, „ჟურნალისტურ ხელმოცარვად" შეიძლება ჩაითვალოს. 29 სექტემბერს გადაცემა „სოვერშენო სეკრეტნო"-ში დემონსტრირებულმა დოკუმენტურმა სურათმა ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ქართველ პოლიტიკოსებში. ლევინის განცხადებით, მან, როგორც ტელეარხის პროდიუსერმა, ფილმი ეთერში გაშვების წინადღეს ნახა და „მისი გადაკეთება" უკვე დაგვიანებული იყო. „იქ წამოწეული თემა მნიშვნელოვანია, რადგან მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა დაიძაბა. სალაპარაკო ბევრ რამეზე იყო, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ფილმში მოხდა. ამას სულ გაჩუმება აჯობებდა", — დაასკვნა მან.

*რუსკი კურიერი*

# კოკოითს საერთაშორისო ექსპერტებმა დაუცაცხანეს



პიერ ლელუში

29 ოქტომბერს ცხინვალში, ევროკავშირის ინიციატივით, საერთაშორისო ექსპერტთა წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩავიდა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ავტორიტეტული ევროპელი პოლიტიკოსები: შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კარლ ბილდტი, საბერძნეთის და ესპანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრები: გეორგ პაპანდრეუ და ანა პალაცო, ეროვნული ასამბლეის წარმომადგენელი, საფრანგეთის პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე პიერ ლელუში, „ფრანქფურტერ ალგემაინე ცაიტუნგის" რედაქტორი კლაუს დიტერ ფრანკერბურგერი, ჯგუფ „ოლბრაიტის" წევრი ს. ო'ბრაიენი, ამერიკული მარშალის ფონდის გერმანული განყოფილების პრეზიდენტი გრეიგ კენტი, „ფაინენშლ ტაიმსის" მოსკოვის ბიუროს მეთაური ენდრიუ ჯეკი და სხვები. სტუმრები მიიღო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა.

დელეგაციის წევრებს აინტერესებდათ, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რატომ გამწვავდა მდგომარეობა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში და სამხრეთ ოსეთის აზრი პროცესის დარეგულირების პერსპექტივების შესახებ. როგორც სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის დეპარტამენტი იუწყება, ედუარდ კოკოითი შეხვედრის შედეგებით უკმაყოფილო დარჩა: როდესაც მან ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული ძალების მომრავლებასა და მხარეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დარღვევაში დაადანაშაულა, საერთაშორისო ჯგუფის წევრებმა ეს პოზიცია არ გაიზიარეს. პიერ ლელუშმა ცხინვალის ლიდერს ხაზგასმით მიუთითა, „სამხრეთ ოსეთი აუღიარებელი რესპუბლიკაა და დროა, ის თბილისს მოელაპარაკოს, რადგან საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთმინების ფიალა თითქმის აივსო". ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის განცხადებაში ნათქვამია, რომ ცხინვალი ამ შეხვედრიდან კონსტრუქციულ საუბარს ელოდა კონფლიქტის დარეგულირების პრობლემებზე, მაგრამ დელეგაციის წევრებმა არც კი ისურვეს ოსური მხარის არგუმენტების მოსმენა.

ედუარდ კოკოითმა უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეებს შესჩივლა, — საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ რამდენიმე წლით უკან დახია კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი და დაარღვია ყველა ხელშეკრულებაო. თვითმარქვია პრეზიდენტმა სტუმრებს აუწყა, — სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შედიოდა. ახლა ის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც უკვე ორჯერ ჩატარდა საპარლამენტო არჩევნებიო.

ლელუშის კითხვაზე, როგორ აპირებს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი საქართველოს მიმართ ბრალდების — საერთაშორისო ტერორიზმთან თანამშრომლობის დამტკიცებას, კოკოითმა უპასუხა, — „წარმოგიდგენთ უტყუარ საბუთებს. მეტსაც გეტყვით — ბესლანზე თავდამსხმელ ტერორისტებს შორის ერთი საქართველოს მოქალაქე იყო. ვიცით მისი გვარი, სახელი, მისამართი და დაბადების წელი. დაღუპვის შემდეგ პანკისში, მშობლიურ სოფელში, პანაშვიდიც გადაუხადეს".

ლელუშმა ისიც ჰკითხა, — ტერორისტები ბესლანში მართლა სამხრეთ ოსეთის ნომრიანი მანქანით შევიდნენო, რაზეც კოკოითმა უარი უთხრა. „საოცარია, რომ ასეთ პატივსაცემ ორგანიზაციებს საქართველო ატყუებს. საქართველოს ხელისუფალთ რომ შეხვდებით, ჰკითხეთ, აქვთ დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ქართველებმა საბრძოლო ოპერაციებში 8 კაზაკი და სამხრეთ ოსეთის დივერსიული ბანდები გაანადგურეს. რით გაამართლებენ ოსი სამშვიდობოების დახვრეტას?"

დელეგაციის წევრები შერეული სამშვიდობოების სარდალს მარატ ყულახმეტოვსაც შეხვდნენ.

*რეგნუმ.რუ*

*გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*


# სიცოცხლე — მოძრაობაშია!

ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი და სახსრებისა და ხერხემლის სხვა პათოლოგიები ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში. ყოველი ადამიანისთვის ეს დაავადებები ასოცირებულია ტკივილის შეგრძნებასთან, მოძრაობის შეზღუდვასთან და საბოლოო ჯამში სიცოცხლის ხარისხის გაუარესებასთან.

ქონდროპროტექტორები უდავოდ რევოლუციური გადაწყვეტაა
სახსრების დაავადებებისა და ტრავმების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის

ტერაფლექსი (THERAFLEX) ეფექტური კომბინირებული ქონდროპროტექტორია




1 კაფსულა ტერაფლექსი შეიცავს:
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდს – 500მგ
ნატრიუმის ქონდროიტინის სულფატს – 400მგ
ბენზოკაინს – 10,3%

ამ კომპონენტთა ურთიერთქმედება უზრუნველყოფს რეგენერაციულ (აღმდგენ), ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს.

ტერაფლექსი
- ახდენს სახსრის ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას;
- აქრობს ანთებით პროცესს სახსარში;
- ამცირებს ტკივილის ინტენსივობას სახსრებსა და ხერხემალში;
- აუმჯობესებს სახსრების მოქნილობას;
- მოტეხილობების დროს აჩქარებს შეხორცების ძვლოვანი კორძის წარმოქმნას;
- აქვეითებს (ან ზღუდავს) მოთხოვნილებას არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებებზე;
- აუმჯობესებს პაციენტის სიცოცხლის ხარისხს.

რეკომენდებული მინიმალური თერაპიული კურსი შეადგენს 6 თვეს.
პრეპარატის მიღებამდე გულდასმით გაეცანით ანოტაციას.

ტერაფლექსი —
თავისუფლების ახალი დონე!

„საგმელ"-ი თქვენ და თქვენს ახლობლებს გისურვებთ ჯანმრთელობას და აქტიურ სრულფასოვან ცხოვრებას.




SM სე



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიცინიან

ფანჯრის რაფაზე შემოსკუპებული **მაკო** ძროხებს უყურებს და ეკითხება ბებიას:

— ლია ბებო, რას აკეთებენ ძროხები?

— ბალახობენ, — პასუხობს ბებია.

— მე კიდევ ვსუპაობ ხოლმე?

***

მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

— როგორ უნდა დაამტკიცო სამშობლოსადმი სიყვარული?

— უნდა დააცემინო, — პასუხობს 6 წლის **გიორგი ბერაია.**

***

ბავშვები გუნდურად კითხულობენ: „ვაჟამ მდინარის პირას კაჟი იპოვა“.

— მდინარეს პირი აქვს? — უკვირს 6 წლის **სულხან სუხიშვილს.**

***

6 წლის **თეონიკო ფხალაძე** პირველ დღეს ბრუნდება სკოლიდან და დაიკოს ეუბნება:

— დღეს მასწავლებლმა საჭირო ოთახში გაგვიშვა და ტუალეტიც იქ ყოფილაო...

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„დილის წინამორბედია — ვარდისა და ალისფერი, სიხარულით ეგებება იმას ყველა სულიერი“.**




# ციხე-დარბაზი

**ზღაპარი**

მეჭურჭლეს მიჰქონდა სოფელში ჭურჭელი. გზაზე დაკარგა დიდი ქილა. ქილაში შეფრინდა ბუზი და მოიკალათა. მოფრინდა კოღო და შესძახა:

— ციხე-დარბაზო, შენში ვინ ცხოვრობს?

— ბუზი ბზუილა. შენ ვილა ხარ?

— მე კოღო ბზუკუნა ვარ.

— შემოდი ჩემთანა.

შევიდა კოღო და დაბინავდა.

მოცუნცულდა თაგვი:

— ციხე-დარბაზო, შენში ვინ ცხოვრობს?

— ბუზი ბზუილა და კოღო ბზუკუნა. შენ ვილა ხარ?

— მე თაგვი წრუწუნა.

— შემოდი ჩვენთანა.

შევიდა თაგუნა და დაბინავდა.

მოირბინა კურდღელმა:

— ციხე-დარბაზო, შენში ვინ ცხოვრობს?

— ბუზი ბზუილა, კოღო ბზუკუნა და თაგვი წრუწუნა. შენ ვილა ხარ?

— მე კურდღელი ფხიზელა.

— შემოდი ჩვენთანა.

შეხტა კურდღელი და დაბინავდა.

მოცუნცულდა მელია:

— ციხე-დარბაზო, შენში ვინ ცხოვრობს?

— ბუზი ბზუილა, კოღო ბზუკუნა, თაგვი წრუწუნა და კურდღელი ფხიზელა. შენ ვილა ხარ?

— მე ვარ მელია, საწყალი, თქვენი ერთგული ძმობილი. მოველ თქვენ სანახავად, ამბის გასაგებად.

— გიცნობთ, გიცნობთ, — გამოსძახეს ციხე-დარბაზიდან, — გასწი და იქით წაეთრიე, საიდანაც მოთრეულხარ.

მელიას უნდოდა ძალად შესულიყო, მაგრამ ბუზი და კოღო მისცვივდნენ, მწარედ უკბინეს, შეაშინეს და გააქციეს. ამის შემდეგ დაიწყო ოთხივე ამხანაგმა ძმური ცხოვრება თავის ციხე-დარბაზში.

***იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“***

**II ციფრების ნაცვლად ჩასვი შესაბამისი საგნები**




**III ანა, გამოიცანი**

**1) რომელ ქართველ მეფეზე დაწერა მემატიანემ: „იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქვრივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი... ვითარცა აღმაშენებელმა, განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქონი წესნი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანათლა“..?**

ა) გიორგი V ბრწყინვალეზე; ბ) თამარზე; გ) დემეტრე II-ზე; დ) ერეკლე II-ზე.

**2) რომელი ქვეყანა არ მდებარეობს სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე?**

ა) ვენესუელა; ბ) ეკვადორი; გ) პარაგვაი; დ) სენეგალი.

**3) რა არის ფლოქვი?**

ა) უქუსლო საშინაო ფეხსაცმელი; ბ) გემების ერთობლიობა; გ) ცხენის, ვირის და მისთ. ჩლიქი; დ) თუშური ნაბდის ქუდზე შუაში დაკერებული მრგვალი ნაბდისავე ნაჭერი.

**იპოვე 9 განსხვავება**



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*



გოგი თოფაძე

# რეალური შანსი

ქართველი მეწარმეებისათვის პოლიტიკაში მოსვლა ნამდვილად არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. უფრო პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით, ეს იძულებით გადადგმული ნაბიჯი იყო.

წინა ხელისუფლების დროს აშკარად ჩანდა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა, ამოსავალ პრინციპად საბაზრო ურთიერთობების დასახვა, მხოლოდ ცარიელ სიტყვებად რჩებოდა და სინამდვილეში ამაზე არც ერთი პოლიტიკური ძალა და პარტია არ ზრუნავდა.

ადგილობრივ მეწარმეს ხელისუფლების მხრიდან ათასგვარი წინააღმდეგობა და ხელოვნური დაბრკოლება ექმნებოდა. იმ პერიოდში ბიზნესის და ხელისუფლების ურთიერთობის დასახასიათებლად ზუსტად გამოდგება უინსტონ ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამი, რომ მეწარმეში ან აგრესიულ მგელს ხედავენ, რომელიც უნდა გაანადგურო, ან ძროხას, რომელიც განუწყვეტლივ უნდა წველო და არამც და არამც იმ მუშა ცხენს, რომელმაც ტვირთი უნდა ზიდოს. არადა, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ ქვეყნის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების აუცილებელი წინაპირობა სწორედ ეროვნული წარმოების და სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებაა. ზოგადად, ეკონომიკა ჯანსაღი მაშინაა, როცა ადამიანი დასაქმებულია და შეუძლია, საკუთარი შრომის ფასად ღირსეული ადგილი დაიკავოს საზოგადოებაში.

ჩვენი, ქართველი მეწარმეების პოლიტიკაში მოსვლის უმთავრესი მიზანი იყო, დაგვერწმუნებინა ხელისუფლებაც და, რაც მთავარია, საზოგადოებაც, რომ *ბიზნესმენისგან მტრის ხატი კი არ უნდა შეიქმნას, ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ სწორედ მეწარმეების, თავისუფალი ფერმერების, ბიზნესმენების ფენაა ის ფენა, რომლის სიძლიერეზეცაა დამოკიდებული ქვეყნის რეალური სიძლიერე და კეთილდღეობა.*

მხოლოდ ამ ფენის არსებობა და ქმედუნარიანობა უწყობს ხელს სახელმწიფოს აღმშენებლობას, რაც ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის უპირველეს და უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ფორმალური დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ. ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს ისტორია და ყველა იმ ქვეყნის გამოცდილება, რომლებიც ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია სამაგალითოდ.

მოწინავე ქვეყნებში ბიზნესმენიც ისეთივე საკულტო ფიგურაა, როგორიც, ვთქვათ, ჯარისკაცი, პოლიციელი, ადვოკატი თუ მოსამართლე. მსოფლიო პოლიტიკის რუკაზე სწორედ იმ ქვეყნებმა დაიმკვიდრეს ღირსეული ადგილი, სადაც ბიზნესისა და ბიზნესმენებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემოს შექმნა სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს რანგშია აყვანილი. სწორედ ამ ქვეყნებმა შეძლეს დემოკრატიული პრინციპებისა და ფასეულობების მაქსიმალური რეალიზება. ჩვენთან კი წლების მანძილზე, ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ და ჩანასახშივე კლავდნენ იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა ფენაა სისხლხორცეულად დაინტერესებული როგორც ქვეყნის სტაბილურობით, ისე საზოგადოების კეთილდღეობის ზრდით, საშუალო ფენის ჩამოყალიბებით, ადამიანების გამდიდრებით, პოტენციურ მყიდველთა და მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდით — თუნდაც საკუთარი პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე.

მოწოდებით მეწარმე, მართლა მეურნე ადამიანი, არ შეიძლება მღვრიე წყალში თევზის ჭერით იყოს დაინტერესებული. მას სამოქმედოდ სტაბილური და ჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური გარემო სჭირდება და თუკი ხელისუფლება ხელს მაინც არ შეუშლის ამგვარი გარემოს ჩამოყალიბებას, ჯაჭვური რეაქციით იწყება ძალიან ბევრი სასიკეთო პროცესი და, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოც სახელმწიფოს ემსგავსება.

ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების, უფრო კონკრეტულად კი, პრეზიდენტის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, გააჩინა სერიოზული იმედი და მოლოდინი, რომ ვითარება ამ მიმართულებით სასიკეთოდ რეალურად შეიცვლებოდა.

ამგვარ იმედს და მოლოდინს უმთავრესად ის განაპირობებდა, რომ უკვე ხმამაღლა და თამამად ითქვა საქართველოს ღირსების აღდგენაზე, ღირსეული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე.

სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე მიუთითებდა, ერთი შეხედვით, თითქოს გარეგნული, მაგრამ სინამდვილეში ძალიან არსებითი ცვლილებები, როგორიცაა, ვთქვათ, ახალი დროშის და ჰიმნის დაკანონებაა.

თუ კაცი დღეს მართლა ჩასაფრებულის პოზიციას არ აირჩევ და შეგნებულად არ დაიბრმავებ თვალს, შეუძლებელია, არ დაინახო და არ აღიარო ბევრი პოზიტიური ტენდენცია. მარტო ის რად ღირს, რომ აჭარაში უკვე თავისუფლად შეგვიძლია ჩასვლა-ჩამოსვლა და აღარ არსებობს ის ხელოვნური, შეურაცხმყოფელი და ამაზრზენი ბარიერები.

როგორც არ უნდა აფასებდნენ ცალკეული პოლიტიკოსები თუ პარტიები ზაფხულის მოვლენებს ცხინვალის რეგიონში, ფაქტი ერთია: აუცილებელია დღის წესრიგში ამ საკითხის აქტიურად დაყენება, რადგან ეს უკვე კონკრეტული გზის ძიებაა პრობლემის მოგვარებისაკენ. ათ წელზე მეტია, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხები უიმედოდ იყო დაკონსერვებული, პრობლემა თითქოს აქტუალობასაც კარგავდა. არა მარტო რეალური ქმედებები არ ხორციელდებოდა ამ მიმართულებით, თანდათან ლაპარაკითაც თითქმის აღარ ვლაპარაკობდით ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

## ძველი შეცდომები და ახალი პერსპექტივები



**ჩვენ ღარიბი კი არა, არასწორი მართვისა და შიდა თუ გარე მტერ-მოყვრის ვერაგული პოლიტიკის შედეგად გაძარცული და გალატაკების პირას ხელოვნურად მიყვანილი ქვეყანა ვართ**

არადა, ყოველი დღე, როცა ამ თემაზე საქართველოს მხრიდან თუნდაც სიტყვიერი განცხადება არ გაკეთდება, სულ უფრო და უფრო დაგვაშორებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივას.

უაღრესად პოზიტიურია ქართული არმიის მიმართ დამოკიდებულების რადიკალურად შეცვლა, მისი მნიშვნელობის ასე გამოკვეთა და წინა პლანზე წამოწევა, ისევე, როგორც პოლიციაში მიმდინარე ცვლილებები, ამ უწყების გათანამედროვეობის და მისთვის ცივილური იერის მიცემის თვალსაზრისით.

ცხადია, არის ნეგატიური, შემაშფოთებელი მომენტებიც, რაზეც ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად და ხმამაღლა საუბრობენ. თუმცა, ბევრი ასეთი ტენდენცია მაინცდამაინც მოულოდნელად არ შეიძლება ჩაითვალოს ზოგადად პოსტრევოლუციური ეპოქისათვის.

როცა ახალ ხელისუფლებას რამდენიმე მიმართულებით ერთდროულად უწევს რადიკალური ცვლილებების განხორციელება, ბალანსის დაცვა ძალიან ძნელი ხდება და „გადახრების" არსებობაც მოსალოდნელია ხოლმე.

ძნელია, ერთდროულად კორუფციასაც ებრძოლო, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც სცადო და სოციალური მდგომარეობაც გააუმჯობესო. ძნელი კი არა, პრაქტიკულად შეუძლებელია და მსგავსი მიზნის დასახვა არც ღირს. ცხადია, აუცილებელია პრიორიტეტის გამოკვეთა და დროში გათვლილი ნაბიჯების თანმიმდევრულად გადადგმა.

ამომრჩევლის ნდობას და მაღალ რეიტინგს, დადებით მხარეებთან ერთად, საფრთხეც ბევრი ახლავს. ამ ნდობის და რეიტინგის დაკარგვის შიშმა ხელისუფლებას შეიძლება ნაჩქარევი ქმედებებისკენ უბიძგოს. ამ ეტაპზე, ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მოვლენების ფორსირებას, იქნებ სჯობდეს ყველაზე მწვავედ, ჯერ უმთავრესი, ეკონომიკური პრობლემები დადგეს დღის წესრიგში. მით უმეტეს, რომ ქვეყნის წინაშე არსებული ძალიან ბევრი საკითხის მოგვარების გზა, სწორედ ეკონომიკის გაძლიერებაზე გადის. მარტივად თუ ვიტყვით, ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანება მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ იდგება, თუკი საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა არ აღორძინდა, თუკი აფხაზებისა და ოსებისათვის განვითარებულ და წარმატებულ ქართულ ეკონომიკაზე ორიენტირება ბუნებრივად უფრო მიმზიდველი და მომგებიანი არ გახდა.

ისიც ძნელი წარმოსადგენია, როგორ გადაწყდება ხელფასებისა და პენსიების პრობლემა ეკონომიკის გაჯანსაღების გარეშე. ყველასათვის კარგად ცნობილი ქმედებების შედეგად ამოღებული თუ სხვადასხვა ობიექტის გაყიდვით შემოსული თანხები, არ შეიძლება ბიუჯეტის შევსების მუდმივი და სტაბილური წყარო იყოს, არადა, სხვა რაიმე ნოვაცია ეკონომიკის რადიკალურად გაჯანსაღების მიმართულებით, ჯერჯერობით არ შეინიშნება.

ვამბობთ, ლარი გამყარდაო, არადა ფასები ყველა სახის პროდუქტსა და მომსახურებაზე საგრძნობლად მატულობს, დაპირებული სამუშაო ადგილების ნაცვლად იზრდება უმუშევრობაც.

რეალური ეკონომიკური რეფორმების გარეშე ვერ გატარდება ვერც სამხედრო, ვერც განათლების და, საერთოდ, ვერანაირი ეფექტიანი რეფორმა. ბოლოს და ბოლოს, ვერ გაძლიერდება ვერც დემოკრატიული ინსტიტუტები, რადგან ფაქტია, რომ ძლიერი დემოკრატია მხოლოდ მდიდარი და წელგამართული სახელმწიფოების ფუფუნებაა.

სახელმწიფო ძლიერ ეკონომიკურ ხერხემალს უნდა დაეფუძნოს და ამგვარი ხედვა ნამდვილად იგრძნობოდა პრეზიდენტ სააკაშვილის საპროგრამო განცხადებებში. ნოემბრის მოვლენების შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. როგორია რეალური ვითარება?

პირდაპირ უნდა ითქვას, თუკი საჯარო განცხადებებსა და სურვილებს არ ჩავთვლით, ადგილობრივი მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის მიმართ სახელმწიფოებრივი მიდგომა, ბევრით არაფრით შეცვლილა. რაც მთავარია, არ შეცვლილა ის მანკიერი პრაქტიკა, როცა დამოუკიდებელი სახელმწიფო საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას და სტრატეგიას სხვათა კარნახით და მითითებით აყალიბებს.

ხელისუფლების მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის გადახედვის სურვილი და ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობის დაწყება, უდავოდ მისასალმებელი ნაბიჯი იყო. კოდექსის ლიბერალიზაცია მართლაც აქილევსის ქუსლად იქცა წლების მანძილზე, დღემდე არსებულმა საგადასახადო პოლიტიკამ უდიდესი ზიანი მიაყენა არა მარტო ქართულ ეკონომიკას, არამედ ძალიან ბევრი სახელმწიფო მასშტაბის მანკიერების და უბედურების მიზეზიც გახდა.

კოდექსის ახალ პროექტში, ერთი შეხედვით, თითქოს მდგომარეობის გამოსწორების სურვილი ჩანს, გადასახადების რაოდენობაც მცირდება და თითქოს, დარჩენილი გადასახადების განაკვეთებიც. თუმცა, როგორც სპეციალისტების და ექსპერტების გათვლებმა აჩვენა, საბოლოო ჯამში საგადასახადო ტვირთი არათუ მსუბუქდება, არამედ მნიშვნელოვნად მძიმდება კიდეც.

მაგრამ, ვიდრე ამ კოდექსის წმინდა ეკონომიკურ მხარეებზე ვიტყოდე რამეს, აუცილებლად უნდა შევეხო მის, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიურ სარჩულს.

ახალ კოდექსში, ისევე როგორც აქამდე არსებულში, მეწარმე კვლავ წინდაწინვე დამნაშავედ, ხალხის ხარჯზე გამდიდრების მოსურნე პარაზიტად, „ანტისახელმწიფოებრივ" ელემენტად მოიაზრება. მტკიცებულების ტვირთი მთლიანად მას ეკისრება, სახელმწიფომ კი არ უნდა დაუმტკიცოს დარღვევა თუ დანაშაული, პირიქით, მან თავად მუდმივად უნდა ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. ამავე დროს, საგადასახადო სამსახურს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დააყადაღოს ნებისმიერი წარმოება, მოკლედ, საზოგადოების თვალში მეწარმეს თავიდანვე ექმნება დამნაშავის იმიჯი.

ალბათ, მსგავსი დამოკიდებულების და ტენდენციის გამოძახილი იყო ის ფაქტიც, როცა მთავრობამ, რომლის ხელფასებით უზრუნველყოფა სოროსის ფონდის მიერ ხდება, კატეგორიულად უარყო ქართველი ბიზნესმენების ინიციატივა, იმავე ოდენობით მათ გადაეხადათ ხელისუფლების უმაღლესი პირებისათვის ხელფასი საკუთარი ფონდიდან.

ამის მიუხედავად, ჩვენი, კომპანია, რომელსაც არ სჭირდება და სანაცვლოდ არც თხოულობს არავითარ შეღავათებს სახელმწიფოსაგან, კვლავ ვახმოვანებთ ამ წინადადებას — თუ გაზრდილი ბიუჯეტისთვისაც მძიმე ტვირთი იქნება მთავრობის წევრების შრომის ანაზღაურება, მზად ვართ, საკუთარ თავზე ავილოთ ხელისუფლების უმაღლესი პირების ხელფასით უზრუნველყოფის საკითხი და გვინდა, არგუმენტირებული პასუხი მოვისმინოთ მთავრობის მხრიდან ამგვარ შეთავაზებაზე.

ის პასუხი, თითქოს ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება ამა თუ იმ ადგილობრივი მეწარმის ან კომპანიის მძევლად, მისი ინტერესების ლობისტად გადაიქცევა, მთავრობის პრინციპულობის შემთხვევაში ნამდვილად ვერ იქნება დამაჯერებელი. და ვთქვათ, ასეთი პერსპექტივა მართლაც რომ არსებობდეს, ვითომ ეს უფრო დიდი სირცხვილი და უბედურებაა, ვიდრე ხელფასის ოფიციალურად უცხოელი ბიზნესმენისაგან მიღება? ხომ ფაქტია, მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს, თვით აფრიკის ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი.

თუნდაც საერთოდ არ შევეხოთ ღირსებისა და თავმოყვარეობის საკითხს, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია, რატომ ცდილობს ხელისუფლება შეგვაგუოს იმ აზრს, რომ ვილაც, საეჭვო და საკამათო რეპუტაციის მქონე უცხოელ ბიზნესმენზე ფინანსური დამოკიდებულება რაიმე სიკეთეს მოუტანს ქვეყანას. ჩვენ ხომ არ ვიცით, რა შორსმიმავალი გეგმები შეიძლება ჰქონდეს მას საქართველოსთან მიმართებაში და მთლად ანგელოზიც რომ იყოს, რატომ გვგონია, რომ, ქართველ მეწარმეებზე მეტად გაიგებს და გაითავისებს ჩვენი ქვეყნის პრობლემებს და უფრო ახლოს მიიტანს გულთან ჩვენს სატკივარს?

დარწმუნებული ვარ, ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კარგად ახსოვთ ცნობილი გამონათქვამი, — ის, რაც კარგია „ჯენერალ მოტორსისათვის", კარგია ამერიკისათვის. თეორიულად, ალბათ, მოსწონთ და ეთანხმებიან კიდეც ამ ფრთიან ფრაზას, მაგრამ, რატომღაც, პრაქტიკულ საქმიანობაში აბსოლუტურად არ იზიარებენ ამ პრინციპის ჭეშმარიტებას.

დავუბრუნდეთ ისევ ახალ საგადასახადო კოდექსს, რომლის ირგვლივაც დიდი ვნებათაღელვაა. კოდექსის ავტორები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი მორჩილი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო), გულმოდგინედ ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ აზრი, თითქოს შემოთავაზებული დოკუმენტი უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია და მსგავსი ლიბერალური სისტემა ძნელად მოიძებნება ლამის მთელ პლანეტაზე.

სამწუხაროდ, მეც, ისევე როგორც საქართველოს საქმიანი წრეების ბევრ წარმომადგენელს, დიამეტრულად განსხვავებული აზრი მაქვს.

საგაზეთო პუბლიკაციაში ძნელია, დეტალურად გავაანალიზოთ შემოთავაზებული კოდექსი, მით უმეტეს, რომ მასში ძალიან ბევრი რამ არის მიუღებელი და ნეგატიური, რაც მალე იჩენს თავს და საბოლოოდ მოსპობს საქართველოში მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს.

ამ კოდექსის მიღება დააგვირგვინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების იმ სახის მავნებლურ მოღვაწეობას საქართველოში, რაც ტიპურია ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის, სადაც ისინი წარმატებით საქმიანობენ. კერძოდ, შემოთავაზებული სახით მიღებულ კოდექსს ნამდვილად შეუძლია ქვეყანა ეროვნული წარმოების გარეშე დატოვოს და ამით სავალუტო ფონდის მრავალწლიანი გეგმა აღასრულოს.

ფართოდ რეკლამირებული გადასახადების რაოდენობის შემცირება, ალბათ, არც ერთ საქმეში ჩახედულ ადამიანს სერიოზულად არ აღუქვია, გაუქმებული გადასახადებიდან არც ერთი არ წარმოადგენდა ბიუჯეტის შევსების წყაროს და, მაინცდამაინც, არც მეწარმეს აწვებოდა გაუსაძლის ტვირთად.

რაც შეეხება სოციალურ და საშემოსავლო გადასახადებს, მათი პარამეტრები დღემდეც იმდენად აბსურდულად მაღალი და ძნელად საკონტროლებელი იყო, რომ მათი დაწევა რეალურ, თუმცა ძალიან მაღალ ზღვრამდე, იძულებით აუცილებლობას წარმოადგენდა.

აქციზური გადასახადების მატების ხარჯზე დამატებითი ღირებულების გადასახადის 2%-იანი შემცირება იმდენად ძვირი დაუჯდება საქართველოში ჯერ კიდევ მომუშავე წარმოებებს (ღვინო, არაყი, ლუდი, შამპანური, სიგარეტი და სხვა), რომ ბევრი მათგანი გაკოტრდება და მათ ადგილს ბაზარზე იმპორტირებული საქონელი დაიკავებს.

მართლა აღტაცებას იწვევს, მაინც რა ზუსტად გათვალეს სავალუტო ფონდის ემისრებმა, რომელი დარგები უნდა განადგურდეს. ახალ კოდექსშიც მიზანში სწორედ ამ დარგების საწარმოები ამოიღეს, მით უმეტეს, რომ ღვინოც, სიგარეტიც, ლუდიც საექსპორტო საქონელია.

აქციზი ირიბი გადასახადია და ფაქტობრივად, ბიუჯეტში მომხმარებლის ჯიბიდან შედის. წარმოიდგინეთ, რამდენად გაუძვირდება ჩვენს მომხმარებელს ეს პროდუქცია, როცა ერთ-ერთი ძირითადი გადასახადი 100%-ით გაიზრდება.

მინდა, გაგახსენოთ 1995 წლის 23 ივნისი, როდესაც სავალუტო ფონდის კატეგორიული მოთხოვნით, რეალურად ადგილობრივი წარმოების გაკოტრების მიზნით, აქციზურ საქონელზე უზომოდ და ყოვლად გაუმართლებლად გაიზარდა გადასახადი. მაშინ ძალიან ბევრი საწარმო გაკოტრდა — თბილისის ორივე თამბაქოს ფაბრიკა, არყის, ღვინის, ლუდის ქარხნები და ბევრი სხვა. ეს იყო პირველი, ძალიან სერიოზული დარტყმა ეროვნულ წარმოებაზე. თუ რამდენიმე წარმოება მაინც გადაურჩა იმ პირველ დარტყმას, მხოლოდ და მხოლოდ დაუმორჩილებლობის და უდიდესი ბრძოლის ფასად. ამ ბრძოლის შედეგად ორი წლის შემდეგ აქციზური გადასახადი შეამცირეს.

ადგილობრივი წარმოებისათვის არანაკლები დარტყმა იყო დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიღებაც, მაგრამ საბოლოო და გამანადგურებელი დარტყმა ამჟამად შემოთავაზებული ვარიანტის დამტკიცება იქნება.

განა მისაღებია ახალი და ნახმარი იმპორტირებული ავტომანქანების განბაჟების ესოდენ განსხვავებული ტარიფები? ამაში ხომ თავიდანვე ჩადებულია ქვეყნის მოსახლეობის დამცირების, მისი არასრულფასოვნად მიჩნევის ტენდენცია.

ან რით უნდა აიხსნას, რომ საქართველოში ასე თუ ისე ჩამოყალიბებულ სადაზღვევო ბიზნესში, განსაკუთრებული სასათბურე პირობები უნდა შეექმნას ერთ დიდ ამერიკულ კომპანიას დანარჩენების გაკოტრების ხარჯზე.

დარწმუნებული ვარ, ქართველ ფერმერებს ძალიან მალე დააწვებათ უმძიმეს ტვირთად მიწის გადასახადის ახალი განაკვეთები, რომლებიც ოსტატურად შენიღბულია ახალ პროექტში.

მოკლედ, კოდექსის პროექტში ძალიან ბევრი რამაა მიუღებელი. მასში ჩადებული „ნაღმები" არა მარტო ეკონომიკური პრობლემების პერსპექტივას გვიხატავს, არამედ სოციალური ტრაგედიისაც. ესაა პირდაპირი გზა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებისაკენ, უმუშევრების არმიის შეუნელებელი ზრდისკენ. ძალიან სამწუხაროა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიერ ნაკარნახევი და წინა ხელისუფლების მიერ დანერგილი მავნე პრაქტიკა დღესაც გრძელდება.

***(გაგრძელება შემდეგ ნომერში)***

# ამის აღწერა კაცის გონებას არ შეუძლია...

## — შე ოხერო, რა გეთეთნულდებოდაო...

ამბობენ, როცა მთაში წასვლას გადაწყვეტ, ზურგჩანთას ჩაალაგებ და ავტობუსშიც ჩაჯდები, ყველანაირი უსიამოვნება ქრება. იმასაც ამბობენ, ვინც ერთხელ ასულა მწვერვალზე, მთა არასოდეს ავიწყდებაო. ზოგს მთები ეძახიან კიდეც. ფიზიკოსი **შოთა მირიანაშვილი** მწვერვალებს წელიწადში 5-6-ჯერ მაინც იპყრობს, — მარტო არა — 50 წელიწადში 10 000 კაცი მაინც აიყოლა უნივერსიტეტის ალპინიადებიდან... ის არაფერს ეპუება: არც ასაკს (68 წლისაა!), არც უფულობას, არც ამინდს, არც პოლიტიკას... ისეთი წელიწადი არ ჰქონია, მთებისთვის სტუდენტებით სავსე დანჯღრეული ავტობუსებით არ აეკითხა...

**— ბატონო შოთა, თქვენ საშვილიშვილო საქმეს აკეთებთ, ქართველებს მშობლიური მთები შეაყვარეთ...**

— ჩემზე მაგარი იყო ბატონი ოთარ გიგინეიშვილი, შესანიშნავი მეცნიერი და დიდი ადამიანი. მან წამიყვანა მთაში. მე სხვები მიმყავს და სულ იმას ვცდილობ, ისე ვუპატრონო ბავშვებს, როგორც ბატონი ოთარი პატრონობდა. მაგრამ, მგონი, ისე არ გამომდის...

**— რატომ, შარშან, მყინვარწვერზე მომისმენია, ბიჭები როგორი სიყვარულით ლაპარაკობდნენ თქვენზე...**

— მართლა? იცით, მე რა მეხმარება მათთან ურთიერთობაში? სული. თუ გიყვარს და შემართული ხარ, მაშინ გენდობიან. შემართულ ადამიანს ვერაფერი უშლის ხელს, ასაკიც კი... აი, შარშან, სწორედ მაგ ექსპედიციაში, ისეთი ხალხი წამოვიდა მთაში, 40-50 წლის წინ რომ ავიდა მწვერვალზე და მერე აღარ ყოფილა — ცხოვრებამ ხელი შეუშალა. ვერ ავიდნენ? ავიდნენ! შემართება ჰქონდათ და იმიტომ!

**— თქვენ იმდენჯერ ადიხართ მთაში, ალბათ ნაცნობი კენჭებიც კი „გყავთ"...**

— სულაც არა. მთა ცოცხალია და მოძრაობს, ადამიანებივით სახელი ჰქვია. თვითონაც ბევრჯერ დამირქმევია. 70-იან წლებში, ხელისუფლებაზე გაბრაზებულმა, ქაუხების მწვერვალს „გრიგოლ რობაქიძე" დავარქვი — ლანძღავდნენ და იმიტომ!

**— მაინტერესებს, როგორ აგყავთ 4000 მეტრის სიმაღლეზე ხალხი, რომელიც რუსთაველის პროსპექტს არ გასცილებია...**

— ალპინიადაში, როგორც წესი, 80% თბილისელი მოდის. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ახარებთ მწვერვალზე ასვლა!.. ვცდილობ, მათი ტემპით ვიარო. ზოგი კი მეწუწუნება, რას მივზოზინობთ, ჩქარა წავიდეთო, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ. მთა თვითმფრინავი კი არ არის, კილომეტრებზე აფრინდე და თავს ვერაფერი ცვლილება შეატყო — იქ ჟანგბადის ნაკლებობაა, სუნთქვა ჭირს. თანაც თუ კაცს არაქათი გამოაცალე, ვერც მთას დაინახავს და ვერც სამშობლოს. მივდივართ ასე, ნელ-ნელა და საბოლოოდ, საბაზო ბანაკამდე ზურგჩანთა ძლივს რომ მოათრია, სწორედ ის ადის პირველი მწვერვალზე.



**— გოგონებიც?**

— საერთოდ, ალპინიადებზე გოგონები მეტნი მოდიან. ერთხელ ყუროზე 300 კაცი წავიყვანეთ. გზაში ჟინჟვლა დაიწყო. ბავშვები დამისველდნენ და დამეყინნენ. გავშალეთ კარვები. ღამე მოთოვა. დილით ერთი მეტრი დაგვხვდა. რომელ მწვერვალზე იყო ლაპარაკი! საბაზო ბანაკში დავბრუნდით გამოამინდებამდე. ბიჭები ერთიმეორის მიყოლებით აწუწუნდნენ, დავიყინეთო. შინ წადით-მეთქი. მოკლედ, სამ დღეში 104 ადამიანი ავიყვანე მწვერვალზე და იქიდან 80-ზე მეტი გოგონა იყო. ესეც ყუროზე ასვლისას მოხდა: გზაში ერთი გოგონა გამიხდა ცუდად. ექიმი გურამ მენაბდე გვახლდა თან. გასინჯა და მითხრა: — ამისი გული ისეთ მდგომარეობაშია, გზას ვერ გაუძლებს, ბანაკში დააბრუნეო. ორი ბიჭი გავაყოლე და გავუშვი. მივიხედე და რას ვხედავ — გამოჰქცევია ბიჭებს! რომ არ წამიყვანოთ, მოვკვდებიო. ისე ტიროდა, ვიფიქრე, უარესი არ დაემართოს-მეთქი. დავთანხმდი. გზაში 6-ჯერ წაუვიდა გული. გონს მოსვლისას ცრემლიანი თვალებით მეხვეწებოდა, — არ დამტოვოო. ბოლოს, ნახევარი საათი ველარ მოვიყვანეთ გონს. მაინც არ დაიშალა! აი, ეს არის შემართება. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ვაკვირდები და ვამჩნევ, ასეთი შემართება გოგონებს უფრო აქვთ, ვიდრე ბიჭებს. არ ვიცი, რატომ... იმ დროს, როცა ჩვენი ბიჭები საბჭოთა არმიაში მიჰყავდათ, ერთმა ოფიცერმა გამაოგნა: — შოთა, არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ მგონი, კატასტროფის წინაშე ვდგავართ, ყველა ქართველი ბიჭი რუსზე, სომეხზე, უზბეკზე და... აზერბაიჯანელზეც 8-9 კილოთი მეტს იწონისო...

**— ჯარისკაცებიც ხომ არ წაგიყვანიათ ალპინიადაზე?**

— როგორ არა. ერთხანს უშიშროების აკადემიაში ვკითხულობდი ლექციებს და ამ მომენტს ხელიდან როგორ გავუშვებდი — 36 კაცი წავიყვანე, ფიზიკურად ძლიერი ბიჭები. ივლისი იყო, ვერ იტყოდი, ცივა და გზა ძნელიაო, მაგრამ 3000 მეტრი სიმაღლიდან უკან გამომიბრუნდნენ, — მეტი აღარ შეგვიძლიაო. მხოლოდ 7 კაცი ამომყვა მწვერვალზე...

**— იქ ალბათ ბევრი სიმწარეც გინახავთ...**

— მთას თუ ძალიან გაუშინაურდები, შეიძლება არც გაპატიოს. ერთხელ 10 კაცი დამეკარგა, გზა აებნათ. სწორედ იმ ათეულში მწერალ გურამ გეგეშიძის ძმისშვილი იყო. დიდი ამბით ჩამაბარა — მიხედეო. აბა, რას ვიზამ-მეთქი, — ვუთხარი. მაგრამ ყველას ვუფრთხილდები და ამიტომ მერე არც გამხსენებია ეს ამბავი... მწვერვალიდან დაბრუნებულს ბანაკში გურამი დამხვდა. რომ დავინახე, მერე დავიწყე ფიქრი, რომელ ათეულში იყო მისი ძმისშვილი... კი ვუთხარი, მწვერვალიდან ჩამოვიყვანე, კარგად არის, აგერაგერ მოვა-მეთქი, მაგრამ შევეჭვდი, არა და არ გამოჩნდნენ. მითხრეს, მაგათ გზა მოჭრეს — ბანაკში სხვებზე ადრე ჩავალთო... ტვინში სისხლი ჩამექცა, ისიც გავიხსენე, რომ იმ ათეულში მხოლოდ ერთი ბიჭი იყო. წავედით მე და მიტო დანგაძე. მთელი ღამე ვიყვირეთ, არავინ გამოგვეპასუხა. სადაც თოვლი იდო, კვალი გვხვდებოდა, თოვლი რომ იშლებოდა, აღარაფერი ჩანდა... ძალაგამოცლილები დავეყარეთ...

**— თოვლში?**

— მაგას ვდარდობდი? ბავშვები მყავდა დაკარგული, მთაში პირველად იყვნენ... საკუთარ თავს რას დავუძებდი, სიკვდილს ვნატრობდი. მოკლედ, დილის 5 საათზე ისევ დავიწყეთ ძებნა და როგორც იყო, ვიპოვეთ. უნდა გენახათ, რა გაიხარეს. ისინი ხომ ტიროდნენ და ტიროდნენ, წარმოიდგინეთ, მეც. ასეა, მთაში, ისე როგორც ცხოვრებაში, სიმწარეც შეგხვდება. ამ თემაზე ლაპარაკი მიჭირს... მხოლოდ იმას გავიხსენებ, რომ ჯუმბერ მეძმარიაშვილის ტიან-შანზე დაღუპვის შემდეგ ექსპედიციაში მისი შვილი დამელუპა. გვერდიდან არ ვიცილებდი, იმ დღეს პირველად გავუშვი დამოუკიდებლად... ეს საკუთარ დანაშაულად მივიჩნიე. არ ვიცი... დღესაც ვფიქრობ, ჩემს შვილს რომ დამართნოდა ეს ამბავი, ალბათ უფრო მძიმედ ვერ განვიცდიდი... ოდესმე დავწერ ამაზე...

**— ახლა შეგატყვეთ დაღლა...**

— ალბათ... მაგრამ ამდენი შემართული ახალგაზრდა ძალას მაძლევს. მთების მიტოვება არ შეიძლება. იცით, რა... სამშობლოს სიყვარული შესაძლოა მართლაც გენეტიკით გადაეცემა და სხვაგან რომ დაიბადო, ალბათ მაინც გიყვარს, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია სამშობლო სრულყოფილად გიყვარდეს, თუ სვანეთი, რაჭა, ფშავი, ხევსურეთი... არ ნახე... საქართველო მარტო რუსთაველის პროსპექტი ხომ არ არის? მეც მიყვარს ეს რუსთაველი, მაგრამ სამშობლოზე რომ ვფიქრობ, მთები მახსენდება... წარმოიდგინეთ, აქეთ შხარა და იქით — თეთნულდი... ერთხელ, მე და ოთარ ხაზარაძე მწვერვალიდან ჩამოვდიოდით. ვხედავ, მზე თეთნულდს უკან გადასულა, თავზე თეთრი ღრუბელი ადგას... სხივები ქვემოდან ანათებს ღრუბელს. მოვიწუსხე. სულ დამავიწყდა, ოთარ ხაზარაძის მეთვალყურე რომ ვიყავი. ვეძახი, — ოთარ, ნახე, რა სილამაზეა-მეთქი. თურმე ნაპრალში ჩავარდნილა... შე ოხერო, რა გეთეთნულდებოდაო... ზღაპარი დაგვხვდა შარშან მყინვარწვერზე „ბებრებს"... განგებამ საჩუქარი მოგვიმზადა, — გზაში ვლოცულობდი, — ნეტა, მწვერვალები არ დაიფაროს-მეთქი. არც დაიფარა... ეს ღრუბლის ფარდაგი მთელ კავკასიონს ეფარა, მხოლოდ 4000 მ-ზე მეტი სიმაღლის მწვერვალებს ამოეყოთ თავები.. აი, ეს არის მთა! არ არსებობს პოეტი ან მხატვარი, ეს რომ დაწეროს. ან კი როგორ დაწერს — შემოვა ნისლი, დახატავს ფანტასტიკურ სურათებს და იმავე წუთში წაშლის, სხვა ფანტასტიკას ხატავს... ამის აღწერა კაცის გონებას არ შეუძლია. თუ კაცის გონების ნაკეთები გინდა, წადი ხევსურეთში, სვანეთში, თუშეთში — წარმართული დროის ძეგლებს ნახავ! მეტი რაღა გინდა?.. ეს არის საქართველო! და სანამ შევძლებ, შევახედებ ამას ბავშვებს — ამაზე უკეთესს რას ნახავს კაცი!

*ეთერ ერაძე*


# გათავისუფლდით სახსრების ჭრიალისაგან

სახსროვანი დაავადებებით (ართროზი, ართრიტი, პოლიართრიტი) შეწუხებულია ბევრი ხანდაზმული ადამიანი, მაგრამ სულ უფრო ხშირად მუხლების ჭრიალი 30 წლის ასაკშიც აწუხებთ.

ართროზის დროს ზიანდება სახსრებსშორისი ხრტილი – ბუნებრივი ამორტიზატორი, და თქვენს ყოველ მოძრაობას თან სდევს ტკივილი და ჭრიალი.

ნუ ყლაპავთ ტყუილად ტკივილგამაყუჩებელ აბებს, რომლებიც მოქმედებენ შედეგზე და არა გამომწვევ მიზეზებზე. დღეს ექიმები გვირჩევენ ახალი თაობის პრეპარატებს, რომლებსაც შეუძლიათ ძირეულად შეცვალონ დაავადების სვლა – ეს არის ხონდროპროტექტორები. კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ უახლეს ნატურალურ პრეპარატს „გლუკოზამინ მსმ"-ს. იგი წარმოადგენს იმ უნიკალურ ნაერთს, რომელიც აჩერებს სახსრების ნგრევას და ხელს უწყობს ძვლოვანი და სახსროვანი ქსოვილის აღდგენას.




***რითი განსხვავდება „გლუკოზამინ მსმ" სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებისგან?***

ნებისმიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება სიმპტომურად ხსნის ტკივილს, ხოლო „გლუკოზამინი მსმ"-ით ახდენს ტკივილის გამომწვევ მიზეზებზე ზემოქმედებას.

ტკივილის შემცირება და კლინიკური გაუმჯობესება განპირობებულია აღდგენითი პროცესებით სახსრებსა და ხრტილში.

„გლუკოზამინ მსმ" მიაწვდის ორგანიზმს დაკარგულ ნივთიერებებს უშუალოდ მტკივნეულ წერტილებში. ამავე დროს მიაწვდის დაავადებულ სახსარს ანთების საწინააღმდეგო მცენარეულ კომპლექსს და რაც უფრო ადრე მოიშველიებთ „გლუკოზამინ მსმ"-ს მით უფრო სწრაფი და ეფექტური იქნება შედეგი!

***რა უპირატესობა აქვს „გლუკოზამინ მსმ"-ს სხვა მსგავსი პრეპარატებისაგან განსხვავებით?***

„გლუკოზამინ მსმ" არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, ვინაიდან მასში შედის ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისთანავე აბის გარშემო ქმნიან ჟელესებრ პროტექტორს.

***რატომ ანიჭებენ ჰიპერტონული დაავადებისას „გლუკოზამინ მსმ"-ს უპირატესობას?***

ვინაიდან ამ პრეპარატის შემადგენლობაში არის კალიუმის ქლორიდი და არა ნატრიუმის ქლორიდი, მისი დანიშვნა თამამად შეიძლება ჰიპერტონიკებისათვის, როგორც ცნობილია, ნატრიუმის იონი იწვევს ორგანიზმში სითხის შეკავებას, რაც არ არის რეკომენდებული ჰიპერტონული დაავადებებისას.

კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუს"-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

მის. დ.აღმაშენებლის 150; ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე კვირის გარდა 10.00 – 18.00

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

# „არავის არაფერს ვაბრალებ, ეს ბედისწერა იყო“

## ჩემი ფილმები ჩემი ცხოვრების ფრაგმენტებია...

**– აქედან გამოსვლა თითქმის შეუძლებელია... ცხოვრებაში რაც ხდება, შემთხვევითი არაფერია. ყველაფრის გაცნობიერება გაძლევს ძალას, რომ არ დაეცე რთულ გზაზე... ძნელი გასაზომია, ვის რა აწუხებს, ვის რამხელა დარდი დააქვს. ამ ტრაგედიამ სამუდამოდ დაამძიმა ჩვენი ცხოვრება. თქმაც კი მიჭირს. არავის არაფერს ვაბრალებ, ეს იყო ბედისწერა.**



უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ ქართველი რეჟისორები სამუშაოდ უცხოეთში მიდიან, რადგან ფილმის გადაღება საქართველოში თითქმის წარმოუდგენელია. ქართველ ხელოვანებს დიდი სიამოვნებით იღებენ ევროპაში, გაზეთებში ხშირად იბეჭდება რეცენზიები.

რეჟისორი **მიხეილ კობახიძე** პარიზში რომ ჩავიდა, თავისი ფილმებიც ჩაიტანა: „კარუსელი“, „ქორწილი“, „ქოლგა“ და „მუსიკოსები“. მაყურებელი სიმპათიით შეხვდა მის ნამუშევრებს. ეს დიდი აღიარება იყო.

მას შემდეგ არაერთი წერილი მიეძღვნა „უცნაურ“, „ორიგინალურ“ და ნიჭიერ რეჟისორს, რომელიც საქართველოდან უმძიმესი ბიოგრაფიითა და მცირერიცხოვანი ფილმებით წავიდა ევროპაში. მისი ვაჟის — გეგა კობახიძის და სხვა „თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგედია მხოლოდ მათი ოჯახების კი არა, სრულიად საქართველოს ტკივილად დარჩა.

ბატონ მიხეილს რედაქციაში მობრძანება ვთხოვეთ. დიდსულოვნად დაგვთანხმდა და დათქმულ დროს გვეწვია.

— **საფრანგეთში როდის წახვედით?** — ვკითხეთ რეჟისორს.

— 1996 წლის ბოლოს... ჩემი ფილმი საფრანგეთში კინოფესტივალზე იყო წარდგენილი. ცოტა ხანში ვენეციის კინოფესტივალზე წავედი, სადაც მოეწყო ჩემი ფილმების რეტროსპექტული ჩვენება. იქიდან კი აღარ დავბრუნებულვარ.

— **დარჩენა გადაწყვეტილი გქონდათ?**

— თავიდან არ ვფიქრობდი დარჩენას, მაგრამ საფრანგეთში ისეთი პერსპექტივა გამოჩნდა, რომ დავრჩი.

— **პირველი ფილმის გადაღება როდის გადაწყვიტეთ?**

— ინსტიტუტში სწავლისას ყველას უხარია პირველი ფილმის გადაღება. ადამიანი რომ ამოძრავდება ეკრანზე, ისიც გიხარია. პირველი ორი ფილმი სტუდენტობისას გადავიღე. საერთოდ, ყველა ჩემი ფილმი ჩემი ცხოვრების ნაწილია, ჩემი განცდებია. ისინი ჩემი ცხოვრების ფრაგმენტებია.

— **„ქორწილიც“ თქვენი ცხოვრების ფრაგმენტია?**

— დიახ, ასეა. სტუდენტობისას დიდი გეგმები მქონდა, რომლებიც არ განხორციელდა. ისეთივე იმედგაცრუებული დავრჩი, როგორც გოგი ქავთარაძის პერსონაჟი „ქორწილში“... საქმე ის არის, რომ „ქორწილამდე“ ვიღებდი ფილმს, რომელიც არ მიიღეს, მისი ნეგატივებიც კი გამქრალია. რომ არა ეს ამბავი, „ქორწილი“ არც იქნებოდა.

— **თუ გრძნობდით, რომ „ქორწილს“ ასეთი წარმატება მოჰყვებოდა?**

— თავიდან ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ რაღაც სერიოზული გამომივიდოდა. შემდეგ ფილმმა საზღვარგარეთ პრიზები მიიღო და მხოლოდ ამის მერე შეხედა ყველამ სერიოზული თვალით.

— **მსახიობთან მუშაობის თავისებური ხერხი გქონიათ.**

— მსახიობი უნდა არსებობდეს სხვა რეალობაში, ამიტომ ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო, რომ დაივიწყოს ყველაფერი და „იქ“ იყოს, სადაც შენ გინდა. ეს საკმაოდ რთულია. გოგი ქავთარაძეს, მაგალითად, ვეტყოდი ორ თანხმოვანს და ჯარისკაცივით გაჭიმული იყო, — აკეთებდა იმას, რაც მჭირდებოდა. ახლაც, რომ ჩამოვედი საფრანგეთიდან და გოგის დავურეკე, ის ბგერები ვუთხარი, იმწუთას მიცნო. როცა „ქოლგას“ ვიღებდი, მჭირდებოდა მსახიობის ისეთი გამომეტყველება, რომელსაც მხოლოდ ამ ხერხით მივაღწიე: დავალევინე 15 ჭიქა რძე, ვითომ დუბლებს ვიღებდი, სინამდვილეში მხოლოდ ერთი დუბლი გადავიღე.

— **რატომ იღებდით მხოლოდ მოკლემეტრაჟიან სურათებს?**

— ინსტიტუტში ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადავიღე. სადიპლომოდაც მოკლემეტრაჟიანი ფილმის დამტკიცება უფრო იოლი იყო. მივეჩვიე ამ ფორმას, ამის მერე გადავიღე „ქოლგა“ და „მუსიკოსები“. ეს ჩემთვის დიდი შინაგანი წინსვლა იყო.

— **ფერადი ფილმის გადაღება არ გინდათ?**

— არა, არ მინდა.

— **როგორი დამოკიდებულება იყო თქვენსა და საბჭოთა ცენზურას შორის?**

— ვიღებდი 4 ნოველისაგან შემდგარ სრულმეტრაჟიან ფილმს, სახელწოდებით „ჰოპლა“. ამ ფილმში იყო თავისუფალი აზროვნება, რომელიც საბჭოთა ცენზურას თვალში არ მოსდიოდა. დაინახეს, რომ რეჟისორი თავისუფალია და ეს არ დაუშვეს... არ მინდა ვთქვა, თითქოს მხოლოდ ეს იქცა მიზეზად. საქართველოდან მიდიოდა მოსკოვში წერილები, რომ მე არა ვარ პროფესიონალი, ვარ თავნება, ვაკეთებ იმას, რაც მინდა და არა იმას, რაც სცენარში წერია. ამ წერილების ავტორები მოითხოვდნენ ზომების მიღებას. „ქორწილის“ შემდეგ მოსკოვში კარგი თვალით მიყურებდნენ, მაგრამ ამ წერილებმა თავისი „საქმე“ გააკეთეს და საკავშირო მინისტრმა გამოსცა ბრძანება, კობახიძეს აეკრძალოს კინორეჟისორად მუშაობაო. წერილი მივწერე ბრეჟნევს, ვთხოვდი, გადაეხედა ჩემი საქმისთვის. ვიცოდი, თვითონ ბრეჟნევი არ წაიკითხავდა, მაგრამ „ქვემოთ“ ხომ გაეცნობოდნენ! გადაღების უფლება კი დამიბრუნეს, მაგრამ ჩემს სცენარებს იწუნებდნენ... ახალმა კინემატოგრაფიის საკავშირო მინისტრმა კი განმიცხადა, — თუ გინდა, ის წერილი გადაიღე, ბრეჟნევს რომ მისწერეო...



„გზა“ — მე ვბრუნდები

— **როცა მუშაობის საშუალებას არ გაძლევდნენ, როგორ ცხოვრობდით, არ დარდობდით?**

— არა... თავიდან არც ვფიქრობდი, თუ საქმე ასე სერიოზულად იყო. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. მეც მივეჩვიე ჩემს მდგომარეობას. ისიც კი გადავწყვიტე, კინოს აღარასოდეს დავუბრუნდები-მეთქი... „მუსიკოსებს“ რომ ვამთავრებდი, მოვიდა საკავშირო კინემატოგრაფიის მინისტრის ბრძანება „ჰოპლაზე“ მუშაობის შეწყვეტის შესახებ. ოთხი ნაწილიდან დარჩა მხოლოდ ერთი — „მუსიკოსები“. ფინალურ სცენაში კადრიდან გავდივარ. ეს იყო ჩანაფიქრი, მე ვტოვებ ეკრანს, ანუ მივდივარ კინოდან. ეს გახლდათ ხუმრობა, ჩემი პოზიცია... ახლა რომ ვუყურებ, მართლა კინოდან წასვლა გამოდგა. ბოლო ფილმში, „გზა“, კი მე მოვდივარ... საიდანღაც ვბრუნდები... ეს არის ჩემი კინოში დაბრუნება.

— **შიშის განცდა თუ გქონდათ საბჭოთა რეჟიმისა?**

— არასოდეს. მე შვილებიც კი არ მივაბარე სკოლაში, არ მინდოდა საბჭოთა სკოლაში ესწავლათ...

— **ეს რომელ წლებში მოხდა, ბატონო მიხეილ?**

— ერთი გოგონა 1969 წელს დაიბადა, მეორე — 1971 წელს. მათ საერთოდ არ უვლიათ სკოლაში. ჩვენ თავად ვაძლევდით ზოგად განათლებას. თავისუფლები და უშუალონი გაიზარდნენ, თუმცა კი საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ...

— **არც გეგას უვლია სკოლაში?**

— გეგა დადიოდა სკოლაში, მაგრამ უფრო მეტ დროს ანდომებდა თავის საქმეს, ძირითადად, ფილმებში მონაწილეობას.

— **ის, რაზეც შვილებს ესაუბრებოდით, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა...**

— გოგონები რომ სკოლაში არ გავუშვი, თავიდან მემუქრებოდნენ — ამაზე პასუხს აგებთო. ნელ-ნელა ჩაცხრა ეს ყველაფერი, მერე ექსტერნად ჩააბარეს გამოცდები და ატესტატები აიღეს.

— **თავისუფლების განცდა ხომ არ გახდა გეგას ტრაგედიის მიზეზიც?**

— რასაკვირველია, ამ საშინელი ქვეყნისგან თავის დაღწევის სურვილი მარტო ჩვენს ოჯახს კი არა, ბევრს ჰქონდა. ამდენი ტყუილის ატანა შეუძლებელი იყო... ფიქრობთ, ახლაა ძარცვა-ყაჩაღობა? მაშინ კანონიერი „ყაჩაღობა“ იყო.



„მუსიკოსები“

— **მარტო გრძნობდით თავს?**

— სიმარტოვეს არ ვგრძნობდი, მაგრამ ჩაკეტილ ცხოვრებას ვეწეოდი.

— **შვილები განიცდიდნენ თქვენს მდგომარეობას?**

— არა, მათ არაფერს ვაგრძნობინებდი...

— **ვიცი, ძალიან მძიმეა თქვენთვის გეგაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც მინდა „თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგედიას შევეხო... ამ ელდისგან გამოსვლა თუ შეძელით?**

— აქედან გამოსვლა თითქმის შეუძლებელია... ცხოვრებაში რაც ხდება, შემთხვევითი არაფერია. ყველაფრის გაცნობიერება გაძლევს ძალას, რომ არ დაეცე რთულ გზაზე... ძნელი გასაზომია, ვის რა აწუხებს, ვის რამხელა დარდი დააქვს. ამ ტრაგედიამ სამუდამოდ დაამძიმა ჩვენი ცხოვრება. თქმაც კი მიჭირს. არავის არაფერს ვაბრალებ, ეს იყო ბედისწერა.

— **თვითონ ფაქტი მოულოდნელი იყო თქვენთვის?**

— ეს არავინ იცოდა მათ გარდა. საბჭოთა კავშირი ისეთი იყო, საიდანაც გაქცევა არათუ არ შეიძლებოდა, ამაზე ფიქრიც კი არ უნდა გაგევლო გულში. თქვენც იცით, რომ იყო ადამიანი, რომელსაც პირადად არ მიუღია მონაწილეობა თვითმფრინავის გატაცებაში, მაგრამ ამ აზრის გამო დახვრიტეს.

— **თავისუფალი ადამიანი ხართ, არადა, თქვენც ხომ საბჭოთა კავშირში იზრდებოდით...**

— ჩემი თაობა ბევრად უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე წინა. ჩვენ აკრძალულ ლიტერატურასაც ვკითხულობდით, ინფორმაციულ ვაკუუმში აღარ ვიყავით. შინაგანი თავისუფლება სახელმწიფო მოხელეებსაც ჰქონდათ. მით უმეტეს, სხვებს.

— **როგორც კინოხელოვანს, საბჭოთა სახელმწიფომ ბევრი რამ დაგაკარგვინათ. არ ბრაზობთ ამის გამო?**

— ცხოვრებას ხომ არ შეიძლება ადამიანი გაუბრაზდეს? რაღაც უნდა შემექმნა და ვერ შევქმენი, თუმცა დანაკარგის გრძნობა არ დამრჩენია...

— **საფრანგეთში გადავინაცვლოთ. იქ როგორ ცხოვრობთ?**

— ჩვეულებრივად. საფრანგეთი საოცრად მოწესრიგებული ქვეყანაა. თუ შენ, როგორც მოქალაქე, არ ხარ მოწესრიგებული, თავად მოგაწესრიგებს. იქ ყველაფერი თავის დროზე ხდება, ყველაფერი ლოგიკურად ვითარდება. მე არაფერი მომჩვენებია უცნაურად. პირიქით, საფრანგეთში ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, ჩვენთან კი ყველაფერი ისეა, როგორც არ უნდა იყოს. აი, ეს განსხვავებაა. დანარჩენი კი, სიყვარულიც, სიძულვილიც ყველგან არსებობს.

— **ამბობენ, ქართველებს სხვანაირი ხასიათი გვაქვს...**

— არ ვიცი. მე მსიამოვნებს ფრანგებთან კონტაქტი, მათთან ცხოვრება. ზედმიწევნით უბრალო ხალხია.

— **დღეს ჩვენი პრეზიდენტი ყველას სამშობლოში დაბრუნებას სთხოვს, პირობების შექმნას ჰპირდება. თქვენ არ დაბრუნდებით, რომ შემოგთავაზონ?**

— რა უნდა შემომთავაზონ? ერთადერთი, რაც მე მჭირდება, კინოსტუდია და მუშაობის პირობებია. ამისი ფუფუნება დღეს საქართველოში არ არის. თუ იქნება, დავბრუნდები.

— **დაბოლოს, რაზე მუშაობთ?**

— ამჟამად მაქვს ორი პროექტი. ერთი ხუთი ნოველისაგან შემდგარი მხატვრული ფილმი, მეორე კი სრულმეტრაჟიანი ფილმი — „როგორც ღრუბელი“. თუ შევძელი ამ ორი პროექტის განხორციელება, შესაძლებელია ამით დავამთავრო ჩემი კინემატოგრაფიული მოღვაწეობა.

— **მომავალ ფილმშიც თქვენი ცხოვრებაა გადმოცემული?**

— რომ გითხრათ, ისეთი ამბის გადაღება მინდა, რომელიც მე არ განმიცდია-მეთქი, არ ვიქნები მართალი.

*ლელა ჯიყაშვილი*

თბილისის სანინააღმდეგო ცენტრის პოლიკლინიკური განყოფილება და შპს "ავერსი-ფარმა"
აწყობს ერთობლივ ღონისძიებას
- უფასო კონსულტაციებს ა.წ. 1.XI-დან 7.XI-მდე
მიიღება ყველა ავადმყოფი ცხელებით და გამონაყარით.
პროგრამის კოორდინატორი: ლია გოლიაძე

მაკროკომი
MACROCOM
8–13
კავშირი მსოფლიოსთან
▸▸ წამობხივი აღხისხვა
▸▸ მაღალი ხარისხი
▸▸ დაბალი ფასები
თბილისი, ხოსტავას ქ. 68ა
ტელ: 33 33 01; ფაქსი: (995 32) 33 50 80
E-mail: info@macrocom.ge
www.macrocom.ge





1 ამაღლებული ადგილი ორატორისთვის
2 ხელისგულზე მკითხაობა
3 საჯარისო ქვედანაყოფი
4 ჯოისის რომანი
5 საზღვაო პოეტი-მომღერალი აზიაში
6 ფეთქებადი ნივთიერება
7 ევროპული სახელმწიფოს დედაქალაქი
8 ამერიკელი როკ-მუსიკოსი ქალი – ტერნერი
9 ანსამბლ „ორერას“ მომღერალი
10 ჩრდ. ამერიკული გარეული ხარი
11 ზარის რეკვა ხალხის შესაგროვებლად
12 „თავისუფალი ქვის მთლელი“
13 დიდი, გრძელკუდიანი ხვლიკი
14 მღვდლის თანაშემწე
15 ამერიკელი კინორეჟისორი
16 გამხმარი ხილი
17 ჭურჭლის დასამზადებელი თეთრი თიხა
18 დამოუკიდებლად არსებული ორგანიზმი
19 ჯადოქრობა
20 იტალიელი კომიკოსი
21 ტროპიკული ხილი
22 სამორინე
23 კათოლიკური ეკლესიის მღვდელი საფრანგეთში
24 საიდუმლო სიტყვა
25 ვულკანური მასა
26 ათცენტიანი მონეტა აშშ-ში
27 სამაჯური
28 ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება
29 კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
30 კულტურის ძეგლთა გამანადგურებელი
31 შენობის წინა მხარე
32 ინგლისური ავტომობილი „როლს...“
33 დიდი ციმბირული ირემი
34 ტაძარი ბოლნისში
35 ისტორიული ხასიათის ლექსი
36 ვერდის ოპერა
37 მამაკაცის სასიმღერო ხმა
38 დიდი შალაშინი
39 უძველესი ქალაქი შუამდინარეთში
40 ტბა აფხაზეთში
41 სითხის საზომი ერთეული
42 თევზსაჭერი გემი
43 შემაღლება კორიდაზე
44 ანტილოპის სახეობა
45 პატარა, მოძრავი რადიოსადგური
46 საუბარი ორ პირს შორის
47 პერუს დედაქალაქი
48 სახელმწიფო აფრიკაში
49 ციტრუსის გამხმარი კანი
50 კამეჩის ნაშიერი
51 იაპონელი ფანტასტი
52 ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი
53 შინაური ცხოველი
54 ჟამი, ხანი
55 ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო
56 მადა
57 დედამიწის თანამგზავრი
58 ყურძნის კრეფის დრო
59 „მუდმივი ქალაქი“
60 თავისუფალი მცველი ფეხბურთში
61 აშშ-ის შტატი
62 ცხენების ჯოგი
63 ქართული მინერალური წყალი
64 ქიმიური ელემენტი
65 ვაშლის ღვინო
66 მარჯნის კუნძული





**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. სპელეოლოგია; 2. კამეა; 3. ბარი; 4. რერიხი; 5. კარაკასი; 6. მეი; 7. რემა; 8. ლიმიტი; 9. კობზონი; 10. ლეკი; 11. პრესა; 12. ბახი; 13. კოლი; 14. პიკოლო; 15. გეა; 16. საკე; 17. რეტროგრადი; 18. ნიჰილიზმი; 19. ბუნაგი; 20. გრიფიტი; 21. ზანტი; 22. ანალგინი; 23. კიმონო; 24. რობი; 25. ანოა; 26. ტანძია; 27. გია; 28. ბანკი; 29. ჯამე; 30. აგრა; 31. გალიფე; 32. განგი; 33. რალი; 34. კაპელა; 35. მაია; 36. გრიგი; 37. ერესი; 38. ფიცი; 39. ვადა; 40. ზაქი; 41. ტარპანი; 42. ადათი; 43. ნევა; 44. რაი; 45. დანტესი; 46. ილიონი; 47. მელ; 48. პრეტორი; 49. ქიმი; 50. ერბო; 51. ეგიდა; 52. ვაცი; 53. დიგრესია; 54. რესორი; 55. დოში; 56. პრიორი; 57. ვარანი; 58. ტიტა; 59. ფრე; 60. ლოტი; 61. რაში; 62. ელ; 63. რიყე; 64. ელეგია; 65. ჰარაკირი; 66. ამირანი; 67. ტირე; 68. ფრაკი.
1. პატარა ამერიკელი; 2. საფრანგეთის სიამაყე; 3. დიდი ეკონომისტი; 4. ჰოლივუდელი ლამაზმანი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები** [illegible]

# არ შემიძლია, ქართველების მიმართ მთლად ობიექტური ვიყო



*ესეისტი, მთარგმნელი და ბელეტრისტი **გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილი** დაიბადა 1956 წლის 20 მაისს ქალაქ ზესტაფონში. 1958 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში. თავის დროზე ამ ქალაქში საგასტროლოდ მყოფი იაპონური კაბუკის თეატრისგან მიღებული უდიდესი შთაბეჭდილებით შევიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფრიკა-აზიის ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და გახდა იაპონისტი.*

*არის მთავარი რედაქტორი ოცტომიანი „იაპონური ლიტერატურის ანთოლოგიისა", აგრეთვე, სოროსის ფონდის მეგაპროექტის — „პუშკინის ბიბლიოთეკის" მმართველი საბჭოს თავმჯდომარე.*

*წერს **ბორის აკუნინის** ფსევდონიმით (იაპონური იეროგლიფი „აკუნინი" ბოროტ ადამიანს ნიშნავს).*

*თავისი რომანისტული მოღვაწეობის გეომეტრიულ ფიგურად ერთგვარ სამკუთხედს თვლის, რომლის შემადგენელი გვერდები ასეთია:*

*ლიტერატურული სერია — „პროვინციული დეტექტივი"; არალიტერატურული სერია — „მაგისტრის თავგადასავლები"; ნახევრად ლიტერატურული სერია — „ერასტ ფანდორინის თავგადასავლები". ეს უკანასკნელი 10 რომანს მოიცავს. მათგან ერთ-ერთია „თურქული გამბიტი", რომელსაც ავტორი ჯაშუშური დეტექტივის ჟანრს მიაკუთვნებს.*

*ყოვლად ახირებულ შეხედულებათა და სხვადასხვა მოარული ჭორის საპირისპიროდ, რომ თითქოს ყველა კორესპონდენტს არ პასუხობს, გრიგოლ ჩხარტიშვილმა ჩემს შეკითხვებსაც უპასუხა და „თურქული გამბიტის" თარგმანის ნებართვაც მომცა. ამ პოპულარული ბესტსელერის თარგმანს გთავაზობთ „ლიტერატურული პალიტრის" მეორე (ნოემბრის) ნომერში.*

**— „ღმერთო, დალოცე ქართველები თავიანთი ფეთქებადი ბუნებით!" — გაიფიქრებს გადარჩენილი ნიკოლას ფანდორინი თქვენს რომანში „ალტინ-ტოლობასი"... მეჩვენება, რომ ამ სიტყვებში მხოლოდ ირონია არ არის. მართალი ვიქნები, თქვენს ქართულ სენტიმენტალობაზე რომ მივიტანო ეჭვი?**

— მე არც ქართული ენა ვიცი, არც კულტურა და, რაღა თქმა უნდა, არავითარი ქართველი აღარ გახლავართ, მაგრამ არ შემიძლია ქართველების მიმართ მთლად ობიექტური ვიყო, ქართული ხასიათის სიმპათიური მხარეები მახარებს, არასიმპათიური კი მაბრაზებს. მით უმეტეს, რომ პირველიც და, სამწუხაროდ, მეორეც, არცთუ იშვიათად ალმომიჩენია ჩემშიც, თუმცა უკვე ადაპტირებული სახით...

**— რამდენიმე სიტყვა თქვენს ბავშვობაზე... რამდენი წელი იცხოვრეთ საქართველოში და როგორ გამოიყურებოდა მოსკოვი, იქ რომ გადახვედით?**

— საქართველოში მხოლოდ ერთი თვე ვიცხოვრე, ისიც დაბადების შემდეგ და, საერთოდ, საქართველოშიც (ზესტაფონი) შემთხვევით გავჩნდი. ჩვენი ოჯახი მოსკოვური იყო, მაგრამ მამა სამხედრო გახლდათ და აკადემიის დამთავრების შემდეგ კავკასიაში გაანაწილეს.

**— ლიტერატურისკენ ვინ გიბიძგათ?**

— მოწყენილობამ, ყოველგვარი შემოქმედების წყარომ. სკოლაშიც წიგნებს ვკითხულობდი, მოსაწყენ გაკვეთილებსა და ინსტიტუტის თავმომაბეზრებელ ლექციებზეც. ლიტერატურაში უფრო მეტი სიცოცხლე, ინტრიგები და თავგადასავლები იყო, ვიდრე გარემომცველ სინამდვილეში.

**— ნიკოლას ფანდორინი სამშობლოში ბრუნდება! და ეს მაშინ, როცა მამამისის ფრთხილი შეგონებები ინგლისში დარჩენის უმჯობესობის თაობაზე თანდათან მატულობს (გეძახის, ეშმაკმაც წაიღოს და გიზიდავს უფსკრულის ფსკერი!). ხომ არ გეგმავთ თქვენი რომელიმე ნაწარმოების მოქმედების თბილისში გადმოტანას?**

— არა მგონია, ჩემი რომელიმე მომავალი წიგნის მოქმედება საქართველოში გადმოვიტანო (ქართულ ცხოვრებაზე ძალიან ცოტა რამ ვიცი) — უფრო ჩრდილოეთისკენ, კავკასიაში. გასაგები მიზეზების გამო, ძალიან მაინტერესებს კავკასიური ომების ისტორია.

**— რამდენიმე სიტყვა თქვენს ოჯახზე. გეხმარებიან თუ არა შინაურები მუშაობაში, უფრო სწორად, ხელს ხომ არ გიშლიან?**

— ჩემი ცოლი ერთი პატარა საწარმოს სამუშაოს ასრულებს: ჩემი ლიტერატურული აგენტიც არის, პრესმდივანიც, რედაქტორიც, რეცენზენტიც, საგადასახადო ექსპერტიც, ხანდახან — ინსცენირების ავტორიც. ეს ძალიან მძიმე სამუშაოა, რადგან საქმეები უნდა აწარმოო სამ რუსულ და ორ ათეულ უცხოურ გამომცემლობასთან, თეატრებთან, სუბაგენტებთან, ჟურნალისტებთან. თუმცა, ანაზღაურებაც მაღალი ნიხრით მიწევს — გამომუშავების ასი პროცენტი.

**— მოხდება თუ არა მთელი მსოფლიოს აკუნიზაცია?**

— რას ბრძანებთ... თარგმნიან, კითხულობენ, რეცენზიებს წერენ — ამაზეც მადლობელი ვარ. აი, ჰოლივუდში ფილმი თუ გადაიღეს, შეიძლება უფრო ფართო რეზონანსი მოჰყვეს.

**— თქვენი რომანები მხოლოდ გასართობია თუ იქ არსებობს სუგესტიკური პლასტებიც და რა დოზით? თუ შეიძლება, გულახდილად, მოკრძალების გარეშე...**

— იცით, ამაზე ხშირად მეკითხებიან, მაგრამ მართებული არა მგონია ასეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. დაწერილი ტექსტი დასრულებული ნაწარმოებია. და ისეთია, როგორიც არის. ჩემი წიგნები ისეა შექმნილი, რომ მკითხველის პროვოცირება მოახდინოს, მისი გონებისა და გულის ასამუშავებლად. ჩემი რომანების გაგება და ახსნა სხვადასხვანაირად შეიძლება (ეს ასეც ხდება, თანაც ზოგჯერ ეს ახსნები დიამეტრულად ურთიერთსაპირისპიროა). რასაკვირველია, თითოეულ წიგნში არის რაღაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი — იდეა, ხასიათი, შეკითხვა, სიტუაცია. მაგრამ მკითხველს ეს კი არა, უფრო სხვა, ჩემგან შექმნილი კონსტრუქციის ფაკულტატური ნაწილი დააბამს. და ასეც უნდა იყოს. ცხოვრება ხომ ერთსა და იმავე შეკითხვებს გვისვამს და ჩვენ, ყველანი, ჩვენებურად ვპასუხობთ.

**— 1998 წლის შემდეგ იმდენი დაწერეთ, რომ აუცილებლად უნდა გკითხოთ — თუკი ის, რასაც თქვენ ლიტერატურულ ხელობას უწოდებთ, მართლა ხელობაა, მაშინ თანამედროვე ლიტერატურული ხელოვნება რაღაა?**

— მაღალი ხელოვნება არ იწარმოება კონვეიერზე და საგამომცემლო კონტრაქტის ვადებზე არ არის დამოკიდებული, ის ნელ-ნელა მწიფდება, წვეთწვეთობით. და ეჭვი მაქვს, რომ ამ პროცესში ინტელექტი კი არ მონაწილეობს, არამედ დამხმარე ფუნქციას ასრულებს. და კიდევ: მაღალი ხელოვნება თავისი გამოჩენისთანავე შეიძლება გაგებული და შეფასებულ იქნეს არცთუ ისე ბევრის მიერ. მე მასობრივ ლიტერატურას ვაკეთებ, მაგრამ ეს სულაც არ მაკომპლექსებს. ეს წარმტაცი სამუშაოა, მაღალპროფესიული და, როგორც მეჩვენება, კიდევ უფრო საჭირო, ვიდრე ელიტურ ხელოვნებაში საქმიანობა.

**— სხვა ოსტატების მაგალითებზე თუ სწავლობდით ბელეტრისტიკის ხელოვნებას, რა წინააღმდეგობაშია აკუნინი ტრადიციულ რუსულ მწერლობასთან, რა ძირითადი თვისებები აქვს თანამედროვე რუსულ პროზას?**

— დიახ, რა თქმა უნდა. მისაბაძად ბრწყინვალე ნიმუშები რამდენიც გინდა, იმდენია. ბელეტრისტიკის შედევრი ბულგაკოვია. „ოსტატი და მარგარიტა" და „თეთრი გვარდია". ამაზე უფრო მომხიბვლელი, ჩემი აზრით, რუსულად არაფერი დაწერილა. ლამაზად და მსუბუქად, ღრმად, და, ამასთან, ქვემოთ კი არ გიშვებს, მაღლა აჰყავხარ. აი, ესეც ბელეტრისტიკის იდეალური ფორმულა: მსუბუქად, წარმტაცად და გამართულად მარადიულზე და მთავარზე. თანამედროვე რუსული ლიტერატურა საპირისპიროთი სცოდავს: მძიმეა, წარმტაცი არ არის და მეტისმეტად დალაგებულად გვაბეზრებს თავს თავისი უმნიშვნელობით.

**— არის თუ არა თანამედროვე, ანდა ისტორიული მოსკოვი თქვენი შთაგონების წყარო?**

— დიახ, მე მიყვარს დღევანდელი მოსკოვი. ჩემი აზრით, დღეს ეს ყველაზე საინტერესო ადგილია დედამიწაზე კულტურის მხრივ. ამას პატრიოტული პათოსის გარეშე ვამბობ, ვინაიდან კარგად მახსოვს ის ხანაც, როცა მოსკოვი ერთი მიყრუებული და კულტურულად მივარდნილი ადგილი იყო. დღეს ეს ცოცხალი და ხორკლიანი, სასტიკი და მშვენიერი ქალაქია, სადაც ძალიან ცუდია, თუ მოხუცი ხარ და, პირიქით, ჩინებულია აქ ახალგაზრდა იყო. ეს ვამპირია, ნიჭიერ სისხლს ყველა კაპილარიდან რომ სწოვს უშველებელ, სწრაფად ცვალებად ქვეყანას. ეს კი მთელი რუსეთისთვის, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ მოსკოვისთვის — შესანიშნავი.

**— „...გასული ასწლეულის რუსეთი, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, ერთობ რიგიანად გამოიყურებოდა..." — ეთანხმება თუ არა ავტორი შვილიშვილი ფანდორინის ამ აზრს?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ეთანხმება. ველურობა, რასაკვირველია, ცოტა არ იყო, მაგრამ იმაზე მეტი არა, ვიდრე რომელიმე ესპანეთში. ალექსანდრე მესამე რომ ცოტა უფრო გონიერი ყოფილიყო და კონსტანტინე პეტრეს ძე პობედონოსცევისთვის კი არა, უფრო შორსმჭვრეტელი მრჩევლებისთვის ესმინა, მაშინ რევოლუციის გარეშეც კი გადავრჩებოდით.

**— „პატრიოტიზმი", „ოქროს ტაძარი", „ჩემი მეგობარი ჰიტლერი" — თქვენი საჩუქარია მთელ ყოფილ საბჭოთა სივრცეზე. მე, როგორც სცენარის თანაავტორი, ვმუშაობდი სატელევიზიო დადგმაზე, რომელიც საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე განხორციელდა 1999 წელს (რეჟისორი ანდრო ენუქიძე, როლებში — ზურაბ ყიფშიძე და მიხეილ გომიაშვილი). როგორი მისიმა უფრო მოგწონთ: დასავლელი თუ იაპონელი ტრადიციონალისტი?**

— მისიმა მაინტერესებდა არა როგორც იდეოლოგი ანდა ამა თუ იმ ფასეულობის მატარებელი, არამედ, როგორც უნათლესი მაგალითი უსაზღვრო ნიჭისა, რომელიც, ღმერთმა იცის, ვის დაატყდება თავზე. სიტყვის, მეტაფორის, ფსიქოლოგიის ვირტუოზული ფლობა — აი, რას ვცემ მისიმაში პატივს და რითი ვარ აღფრთოვანებული. თვითონ მისიმა კი მებრალება: ძალიან მძიმე ტვირთი აღმოჩნდა ამ კაცისთვის ნიჭი და გასრისა კიდეც.

**— როგორია კრიტიკის დამოკიდებულება თქვენ მიმართ და პირიქით...**

— თავიდან კრიტიკა თავზე ხელს მისვამდა, წიგნები კი ცუდად იყიდებოდა. მერე წიგნები კარგად იყიდებოდა, კრიტიკოსები კი ილანძღებოდნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ცოდვა იქნება, კრიტიკაზე დავიწყო ჩივილი: პროექტის პირველ ეტაპზე მისი კეთილგანწყობა რომ არა, მაშინ, ალბათ, არც წარმატება იქნებოდა.

**— როგორ შეიტყო ჰოლივუდის რეჟისორმა პოლ ვერხოვენმა „აზაზელის" შესახებ და მერე რა მოხდა?**

— ფრანგულად წაიკითხა „აზაზელი", თავის აგენტებს დაავალა ჩემი ელექტრონული მისამართის პოვნა და წერილი გამომიგზავნა. თავიდან გადავწყვიტე, რომ ეს ვიღაცის სულელური ხუმრობაა, მაგრამ მერე ამერიკული სააგენტოდანაც მოვიდა წერილი. ახლა უკვე კონტრაქტი ხელმოწერილია, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ფილმს გადაიღებენ. მე უკვე მოვასწარი ჰოლივუდის სტატისტიკის ექსპერტად გახდომა და ვიცი, რომ ყოველი ხუთი ხელმოწერილი კონტრაქტიდან მხოლოდ ერთი გადაიქცევა გადაღებულ ფილმად.

**— როგორც ჟურნალისტები ამტკიცებენ — „ფიოდორ მიხეილის ძე დოსტოევსკის სახეს ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის წვერს აწებებთ..." ეთანხმებით?**

— მე კიდევ ბევრ სხვა რამესაც ვაწებებ: ლერმონტოვის ულვაშებს, დიუმა-მამის გრუზა და ხშირ თმას; ზემოდან ვახურავ აგატა კრისტის შლაპას, ცხვირზე კი უმბერტო ეკოს სათვალეს ვარგებ... ეშმაკმა უწყის, რა გამოდის.

***მიხო მოსულიშვილი***

იმ მკითხველმა, ვინც აკუნინის ნაშრომს აიღებს ხელში, წინდაწინ უნდა იცოდეს, რომ ვერც ერთ საქმეს ველარ გააკეთებს, ვერც ერთ ტელეპროგრამას ველარ უყურებს და ველარც დაიძინებს ზუსტად იმდენ ხანს, რამდენიც დეტექტივის ბოლო სტრიქონამდე წაკითხვას დასჭირდება. თითქოს რომელიღაც ეშმაკმა ბუდე გაიკეთა მწერლის მოუსვენარ კალამზე და რაღაც ისეთს გადმოაწერინებს ხოლმე, მანამდე რომ არ არსებულა ბუნებაში. ისეა დაწერილი, თანაც იმისთანა სუფთა, ფილიგრანული რუსული ენით, რომ მაკულატურის დამამზადებლებმა და გამოდევნებულებმა, რომლებიც თავხედურად მწერლებს უწოდებენ საკუთარ თავს, ან თავი უნდა მოიკლან „ლეპაჟის" საფეთქელში დახლით, ანდა აქვითინდნენ, მოინანიონ და სხვა ცხოვრება დაიწყონ. აკუნინის ნაწარმოები ცოცხალი მაგალითია იმისა, რომ არ არსებობს მაღალი და დაბალი ჟანრები, არის კარგი და ცუდი ლიტერატურა.

***„ეხო მოსკვი"***



## თქვენთვის ქალბატონებო

# აი, რატომ გადავდგი ეს ნაბიჯი

მან თავიდანვე პირობა ჩამომართვა, რომ არამც და არამც არ გავამხელდი მის ვინაობას. ცოტა არ იყოს, მეწყინა: მაშინ რატომ მიყვებით თქვენს ამბავს-მეთქი. ეგ ჩემი საქმეა, ანგარიში მაქვს ერთ პიროვნებასთან გასასწორებელიო.

პირობითად მას ციურის დავარქმევ. იგი ხარაგაულის რაიონის ერთ-ერთ სოფელში დაბადებულა. ხელმოკლე ოჯახი ჰქონიათ. ოთხ დაძმას შორის ციური უფროსი ყოფილა, თანაც თვალტანადი, ამიტომაც მშობლები მასზე ამყარებდნენ იმედს, ეგებ მდიდარ კაცს მოეწონოს, შეირთოს და ჩვენც გვეშველებაო. ცხადია, მაღალმთიან სოფელში ციურის გულისთვის არავინ აუტალახებდათ კარს და არ გაჭრიდა ანდაზა — ქალი იჯდეს, ბედს ელოდესო, ამიტომ დედამ თავის ძმასთან, სამტრედიაში, წაიყვანა 16 წლის გოგონა და თავისიანებს სთხოვა, მიმიხედეთო. თბილად მიიღეს, მართლაც არ აკლებდნენ მზრუნველობას.

ახლა კი თავად ციურის მოვუსმინოთ:

— სამტრედიის სკოლაში ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. არც ხარაგაულში ვსწავლობდი ცუდად, მაგრამ ახალ გარემოში განსაკუთრებულად მინდოდა თავის გამოჩენა, თანაც ბიძაბიცოლასი მერიდებოდა, ვინმემ საყვედური არ უთხრას ჩემ გამო-მეთქი. მალე მეგობრებიც გავიჩინე და თავს მართლაც კარგად ვგრძნობდი. ბევრ ბიჭს მოვწონდი. მე კი ჩემი კლასელი, სოსო მომწონდა, რომელიც არც წერილს მწერდა, არც არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ვატყობდი, მასაც გული ჰქონდა შევარდნილი ჩემზე. სკოლას ვამთავრებდით. თანაკლასელის დაბადების დღეზე, ცოტათი შემთვრალი სოსო გამომიტყდა, — ძალიან მიყვარხარო. იმ საღამოს ორივემ ერთგულება და სიყვარული შევფიცეთ ერთმანეთს. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, — ნათქვამია. ერთ საღამოს, ბიცოლაჩემმა საზეიმოდ გამოაცხადა: — ჩვენი ციური მთავარი ბუღალტრის შვილს მოეწონა. ეს ამბავი დღეს მამამისმა მითხრა და ალბათ ამ შაბათ-კვირას მოვლენ მშობლები და ვაჟი მოსალაპარაკებლადო. ხმა ვერ ამოვიღე. ისლა ჩავილუღლუღე, — სწავლის გაგრძელება მინდა და არა გათხოვება-მეთქი. ბიძაჩემმა თავზე ხელი გადამისვა და მზრუნველად მითხრა: იმისთანა ოჯახიშვილმა დაგადგა თვალი, უარს ნუ ეტყვი, მათ ხელში უსწავლელი არ დარჩები და უზრუნველადაც იცხოვრებო. სოსოს სიყვარული გულში ჩავიკალი. წერილი გავუგზავნე, — ერთმანეთის ბედი არ ვყოფილვართ, სამუდამოდ დამივიწყე-მეთქი...

საქმრო 16 წლით უფროსი იყო ჩემზე. მილიციაში მუშაობდა.

ჩემი თავი მეზიზღებოდა — სოსოს ძალიან ცუდად მოვექეცი, ჩემი საქციელით გული ვატკინე, მისი ცხოვრება ავწენ-დავწეწე. მაგრამ არც მე მქონია დალხენილი ყოფა.

...საქმროს ოჯახმა ქორწილამდე აუარებელი საჩუქარი მომიტანა, ქორწილიც დიდი გადაიხადა, მაგრამ... ჯემალი მალევე გამოიცვალა. როცა მამამისი შინ იყო, აყალმაყალს ერიდებოდა, თორემ ლანძღვას არ მაკლებდა. რას მერჩოდა 17 წლის გოგოს, ვერ გავიგე. სწავლა მინდოდა და ამაზე შავი დღე დამაწია — ეგლა მაკლია, ცოლი საბოზაოდ გავუშვა თბილისშიო, თვითონ კი საყვარელს საყვარელზე იცვლიდა. ბავშვი კარგა ხანს არ გაგვიჩნდა. ექიმმა მითხრა, — სრულიად ჯანმრთელი ხარო. დიდი რიდით გავუმხილავნე ჯემალს, მე არაფერ შუაში ვარ, შენ უნდა გაესინჯო-მეთქი. ამის თქმა და მისი გაცეცხლება ერთი იყო. მერე მამამისი ჩაერია საქმეში და მკაცრად უთხრა, იმდენთან ხარ ნაწოწიალები, შეიძლება მართლა შენი ბრალი იყოს, ხვალვე წადი ექიმთანო.



მას ველარ გაუწია წინააღმდეგობა. თბილისში იმკურნალა და მართლაც, ერთ წელიწადში ბიჭი შეგვეძინა. ბავშვი და ოჯახის მოვლა-პატრონობა იყო ჩემი საზრუნავი. ჩემმა მეუღლემ ისევ აიშვა და ხშირად შინაც არ მოდიოდა. თუ გამოჩნდებოდა, ხმამაღლა, უფრო მამამისის გასაგონად ამბობდა: — რა ვქნა, ჩემი სამსახური ასეთია, უნდა აიტანოთო. ვიტანდი, მეტი რა გზა იყო, უფრო სწორად, თავისუფლად და კარგად მაშინ ვგრძნობდი თავს, როცა ჯემალი შინ არ იყო. ასე მიილია სამი წელი. ხანდახან, როცა ბავშვთან ერთად მშობლებთან მივდიოდი, მართალია, არაფერზე ვწუწუნებდი, მაგრამ რატომღაც ისინი იწყებდნენ ჩემს დამშვიდებას: რას იზამ, თუკი სწავლა ვერ გააგრძელე, სამაგიეროდ, სავსე ოჯახში შეხვედი, საჭმელ-სასმელი არ გაკლია და ჩასაცმელ-დასახურავიო. არაფერს ვპასუხობდი. რა იცოდნენ, რომ ჩემთვის სულაც არ იყო მთავარი კუჭი, ყველაზე აუცილებელი მაკლდა — სითბო და სიყვარული. ბიჭი რომ ხუთი წლის გახდა, დედამთილი შემიჩნდა — მეორეს რატომ არ აჩენ, ცოდოა ბავშვი მარტოო. მართალი გითხრათ, მეც მინდოდა მეორე შვილი, გოგონა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე არ დავორსულებულვარ. კარგა ხნის მერე ძლივს გავუბედე დედამთილ-მამამთილს: მე კი მინდა მეორე, მაგრამ ალბათ ისევ ჯემალს აქვს პრობლემები-მეთქი. მამამთილმა კვლავ შეუტია შვილს, თუმცა ამჯერად ჯემალმაც არ დაიხია უკან. არაფერი მჭირს სამკურნალო, მაგან მიხედოს თავის თავს და უპირველესად ტვინზე იმკურნალოს, სამი შვილი მყავს სამ ქალთან გაჩენილიო. ამის თქმაზე შეჰყვა ერთმანეთს მამა-შვილი და საშინლად იჩხუბეს. ჯემალმა მიახალა მშობლებს, — სანამ ეგ დედაკაცი აქ არის, შინ ფეხს არ მოვადგამო და წავიდა. ვერ წარმოიდგენთ, რა უბედური ვიყავი იმ წუთებში. განა იმიტომ, რომ ქმარს არ ვუყვარდი, მეც ხომ არანაირი გრძნობა არ გამაჩნდა მის მიმართ, მაგრამ შეურაცხმყოფდა და გულს მიკლავდა იმაზე ფიქრი, რომ ამ ოჯახში მე უბრალო ნივთის ფასი მქონდა. მშობლებთან დავბრუნდი. ყველაფერი ვუამბე მათ. ძალიან შეწუხდნენ, მაგრამ ხელს ხომ არ მკრავდნენ? საბუთები მოვაგროვე და ორწლიან სამედიცინო სასწავლებელში შევიტანე. ცოტა ხანში სამტრედიიდან შემომითვალეს, — მამამთილი ცუდად არის და შენი ნახვა სურსო. მაშინვე წავედი. მართლაც, მწოლიარე დამიხვდა. საწყალი, კარგი კაცი იყო, არც დედამთილს ვემდუროდი. მამამთილმა მეც და მის შვილსაც სიკვდილის წინ დაგვიბარა, — ანგელოზი შვილი გვყავთ და მისი ხათრით მაინც უნდა იცხოვროთ ერთადო. ჯემალს პირობა ჩამოართვა, რომ აღარ მაწყენინებდა... ორ დღეში გარდაიცვალა უბედური. დაკრძალვის მერე კვლავ მშობლებთან დავბრუნდი. ორმოცამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემი ქმარი მეტყუმრა და მთხოვა, დავბრუნებულიყავი ოჯახში. გავყევი. შინ მისული მივხვდი, რატომაც უნდოდა ჩემი დაბრუნება. ავადმყოფ დედამისს მომვლელი ხომ ესაჭიროებოდა, ჩემი მული თბილისში ცხოვრობდა და იქიდან ხომ ვერ მიხედავდა დედას? ოღონდ არ ეჩხუბა და აღარაფერს დავეძებდი... მალე დედამთილიც გარდამეცვალა და დავრჩით მე და ჩემი შვილი ამხელა სახლში მარტონი. ჯემალი დილით ადრე გადიოდა და გვიან ღამით, უფრო ხშირად კი ორი დღის მერე ბრუნდებოდა. გაგებული მქონდა, ერთ ქვრივთან, მაღაზიის გამყიდველთან, დადიოდა, მაგრამ უკვე აღარ ვაქცევდი ყურადღებას.

მალე სრულიად მოულოდნელად დედა გარდამეცვალა. დედის დაკრძალვის მერე მამასთან და და-ძმებთან დავრჩი. ერთი თვის მერე, რახან ნათესავი სამტრედიაში მანქანით მიდიოდა, მეც გავყევი. გვიანი იყო, შინ რომ მივედი. დაღლილ-დაქანცულ ბავშვს ჩემს მკლავებში ეძინა. ზარი დავრეკე. არავინ გამომხმაურებია. ვიფიქრე, ჯემალი ალბათ არაა შინ-მეთქი. ბავშვი პირველ სართულზე შევიყვანე და ფრთხილად დავაწვინე ტახტზე, მე ზემოთ ავედი. იქ ისეთი სურათი დამხვდა, კინაღამ გული გამისკდა. ჩემი ქმარი, ეტყობა, მთვრალი იყო და ეძინა, სამზარეულოში კი უცხო ქალი, რომელსაც ჩემი ხალათი ეცვა, საქმიანად ფუსფუსებდა. ჩემს დანახვაზე დაიბნა, მერე მომიბოდიშა, საძინებელში გავიდა, თავისი ტანსაცმელი ჩაიცვა და მითხრა, — დილამდე ტრანსპორტი არ იქნება და როგორმე უნდა ამიტანოთო. უსიტყვოდ ჩავედი ქვემოთ და შვილს გვერდით მივუწექი. რა დამაძინებდა, ათას რამეზე ვფიქრობდი, ჩემს ცხოვრებას ვაანალიზებდი. განა რად მიღირდა ეს ქონება, რომ ამდენი ხანი ყველაფერს ვითმენდი, განა მხოლოდ ბავშვის გამო, კიდევ რაღაც უაზრო აჩემება — „ოჯახის მთლიანობა" არ მაძლევდა კარის გამოხურვის ნებას, არადა ხომ არსებობს ღირსება, რომლის დაკარგვის მერე ცოცხალ-მკვდარს ემსგავსები? დილით უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ დავშორებოდი ჯემალს. ჩემი და ბავშვის ნივთები ჩავალაგე და ჯემალს ვთხოვე, ფული მასესხე, თბილისში ვაპირებ ბინის დაქირავებას-მეთქი. სიცოცხლეში პირველად მთხოვა, — ოღონდ ახლა ნუ წახვალ და ცოტა ხანში მე თვითონ გიქირავებ თბილისში ბინას, რახან ასე გინდაო... ის „სტუმარი" ქალი რომ გავიდა სახლიდან, ჯემალს ცივად ვუთხარი, შეგიძლია შენც გაჰყვე-მეთქი. არაო, — თავი გადაიქნია, — ახლა სხვანაირად ვფიქრობ შენზეო. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, რამდენიმე წლის შემდეგ (როგორც თვითონ მითხრა) „ნამდვილი სიყვარული ესტუმრა" და საკუთარი ცოლი „შეუყვარდა".

თითქოს იგრძნო ჩემი სულის ფორიაქიო, ამდენი ხნის მერე პირველად შემეხმიანა სოსო:

— საქართველოდან წასვლას ვაპირებ და შემხვდიო. კი არ წავედი, გავფრინდი მასთან შესახვედრად... საღამომდე ერთად ვიყავით, არც კი ვიცი, როგორ მოვახერხე რამდენიმე საათში განვლილი წლების ჩატევა, ასე თუ ისე, ნაწილობრივ მაინც მოვიოხე გული. სოსო მალევე გაემგზავრა საბერძნეთში. იმის მიუხედავად, რომ მეორე შვილი შემეძინა, მაინც გავშორდი ჯემალს. სამი წელია სოსო უცხოეთშია, მაგრამ სულ მეხმარება, ფულს მიგზავნის. ახლა ვამბობ პირველად იმას, რასაც აქამდე ვმალავდი. ჩემი მეორე ბავშვი სოსოსია და არა ჯემალის, მას კი ეგონა, მისგან მყავდა. როდესაც ვტოვებდი, დაჩოქილი მემუდარებოდა, შევრიგებოდი. აღარ შემეძლო მასთან ცხოვრება, განა იმიტომ, რომ მის წინაშე თავს დამნაშავედ და მოღალატედ ვგრძნობდი, არამედ მთელი არსებით მძულდა!..

ახლა ორ ბიჭს ვზრდი. ქმარყოფილს კი შეუძლია აღარასოდეს შემახსენოს თავი. მის გარეშე გაცილებით ლამაზია ეს ცხოვრება...

***მარინა ბაბუნაშვილი***

### ჩვენ გვწერენ

# ქართველები სხვაგან არ უნდა ცხოვრობდნენ

ეს წერილი საბერძნეთიდან გამოგვიგზავნა ქალბატონმა ვენერა ბენიძემ. მისთვის „კვირის პალიტრა" საქართველოსთან დამაკავშირებელი ძაფია, ამიტომაც ამბობს: — თქვენს გაზეთს სულმოუთქმელად ველოდები, როცა თავიდან ბოლომდე გადავიკითხავ, დროებით ვმშვიდდები, ასე მგონია, ჩემს ქვეყანაში ვიყავი, ახლობლებს და ნაცნობ-მეგობრებს მოვეფერე და ვესაუბრე. ძალიან მინდა ჩემი ტკივილი და გასაჭირი გაგანდოთო...

მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ ქალბატონი ვენერას წერილს:

„როცა წინდაწინ ნაგებული ომი დასრულდა, ვერ გავიმეტე სახლ-კარი დასატოვებლად და დავრჩი სოხუმში. აფხაზებისა არ მეშინოდა, რადგან დედით აფხაზი ვარ, ქმარიც აფხაზი მყავს. დასასრული არ ჰქონდა აფხაზთაგან გაკონტროლებას. მათ როგორღაც ვუმკლავდებოდი, მაგრამ ყველაზე მძიმე ასატანი ე.წ. ყარაბაღის და ბაგრამიანის ბატალიონების „სტუმრობა" იყო. ბაგრამიანელებს პირზე ეკერათ: — რით ვერ გაიგეთ ამ ქართველებმა, რომ ეს მიწა თქვენი კი არა, ჩვენიაო. მერე მიგვაყენებდნენ კედელთან ხელებაწეულებს, ავტომატის ლულას კეფაზე მოგვადებდნენ და რაც მოეწონებოდათ, ყველაფერი გაჰქონდათ ოჯახიდან...

ამას დიდხანს ვერ გავუძლებდი, ამიტომაც წასვლა ვარჩიე. რის ვაი-ვაგლახით, სვანეთის გზით ჩავაღწიე ქუთაისამდე. ჩემი შვილი უფრო ადრე წამოვიდა. ჩემმა ერთ-ერთმა ძმამ, რომელსაც ინსულტი ორჯერ ჰქონდა გადატანილი, ვერ გარისკა და დარჩა სოხუმში. მოგვიანებით გავიგეთ, თავისი სახლის წინ ისე უცემიათ ბაგრამიანის ბატალიონის ვაიმებრძოლებს, რომ რამდენიმე დღეში გარდაცვლილა.

ქუთაისში ბევრი იყო ჩემნაირი. გადავწყვიტე, საბერძნეთში წავსულიყავი, სადაც ჩემი შვილი ცხოვრობდა. ენით არ ითქმის, ქართველები რამდენ შეურაცხყოფას ვიტანთ ლუკმაპურისა და ორიოდ გროშისთვის. ჩვენს ხალხს სხვაგან დიდი ხნით ყოფნა უჭირს, ჩვენთვის ხომ სამშობლო უპირველესი იყო ყოველთვის... ნაგვგლიჯეს სამაჩაბლო და აფხაზეთი და ვითომც არაფერი. მთავარი დამნაშავეები, რომლებმაც იცოდნენ, რითი დამთავრდებოდა ეს უაზრო ომი, ისევ დაუსჯელნი არიან. არასოდეს მქონია ბოროტი გული, მაგრამ გთხოვთ მიპასუხოთ, ამდენი სისხლი როგორ უნდა შერჩეს ყოფილ ხელისუფლებას? ზოგი მემუარებს წერს, ზოგი ლექციებს კითხულობს, ზოგიც ბიზნესს ეწევა... განა ეს სამართალია? მათი „დამსახურებაა", ამდენი ქართველი უცხო ქვეყნებში რომ არის გაფანტული. როდის უნდა დაუბრუნდნენ ისინი თავიანთ სახლ-კარს? ძალიან პოლიტიზებული გამომივიდა ეს წერილი, მაგრამ გამიგეთ, ეს მრავალ ათას ქართველ ქალს აწუხებს და ახლა მე იმათი სახელითაც შემოგჩივით.

მინდა გაცნობოთ, რომ აქ გამოდის რუსული გაზეთი, რომელიც დღენიადაგ ქართველების გინებაშია. ყველაზე მეტად სოხუმელი ბერძენი, გვარად ლაზარიდი, აქტიურობს. ის ადრე სოხუმის ქალაქის საბჭოში მუშაობდა. გულდასაწყვეტია, რამ აავსო ბოღმით და გესლით. ქართველებს ხომ მისთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებიათ?

აქაურ ქართველებს იმედი გაგვიჩნდა ახალი მთავრობისა, მაგრამ თუ ესენიც ვერ გამოდგნენ, თუ ჩვენი ყოფა ოდნავ მაინც არ შეიცვალა სასიკეთოდ, გამოდის, რომ საშველი აღარ ყოფილა!

***სოხუმელი ლტოლვილი, ამჟამად სალონიკში მცხოვრები ვენერა ბენიძე.***

# კონკიას ზღაპრები ქართულად

ჩემი მეზობელი, ქალბატონი მანანა ახლახან დაბრუნდა სამშობლოში, თანაც როგორც აშშ-ის მოქალაქე და სურს დაკარგული საქართველოს მოქალაქეობაც დაიბრუნოს. ქალბატონი მანანა აშშ-ში ჩასვლიდან რამდენიმე თვეში გათხოვდა და წარამარა იმაზე ლაპარაკობს, თუ როგორ აუსრულდა ოცნება. იფიქრებთ, ფრიად პრესტიჟულ ადგილზე მუშაობდა და პრინციც ასე გაიცნოო. არა, რას ამბობთ! ამერიკაში მასზე კარგა ხნით ადრე წასულმა მეგობარმა შემოუთვალა, — იმ ოჯახს, სადაც მე მზარეულად ვმუშაობ, დამლაგებელი სჭირდება. ჩამოდი, დაგიქირავებენ და შენს ობოლ შვილებსაც ეშველებაო.



სულ ბღავილით გააცილეს ბავშვებმა დედა. საწყალ მანანას ქმარი ნაადრევად გამოეცალა ხელიდან და ინგლისურის მასწავლებლობით ძლივს არჩენდა სამ შვილს და დედამთილს. მოკლედ, ჩავიდა ეს მანანა აშშ-ში. ლამაზი ქალია, ღირსეული. ერთი-ორი თვე აკვირდებოდა თურმე ასევე ქვრივი ოჯახის უფროსი ქართველ დამლაგებელს. ერთ დღეს უკითხავს, — შენ დამლაგებელს არ ჰგავხარ, ამ საქმისთვის იმხელა გზა რამ გამოგატარაო. უამბნია მანანას, რაც სჭირდა. მერე კარგა ხანი ერთად იწმენდნენ თურმე ცრემლებს მთხრობელიც და მსმენელიც. მაგარი ბიზნესმენია ის კაცი. მდივნად აუყვანია მანანა, მერე შეჰყვარებია... მოკლედ, ახლა მანანა ჩიბრასი (ეს მისი მეუღლის გვარია) ბედნიერად ცხოვრობს უკვე ოთხ შვილთან და მეუღლესთან ერთად ნიუ-ჯერსიში და ყოველთვიურად პირველ დედამთილს იმხელა პენსიას უგზავნის, რომ ქალბატონ დოდოს საქართველოს მთავრობისგან დანიშნული პენსია დიდი ხანია აღარც კი ახსოვს.

ეს ამბავი მარტო მანანას ჩამოსვლამ როდი გამახსენა. აქვე, ჩვენ გვერდით, თბილისშიც უმართლებთ თურმე დამლაგებლებს. ისეთი ამბები ხდება, მარტო ზღაპრად რომ გაგეგონებათ. 22 წლის მაკა უნივერსიტეტში უფასო სექტორზე ჩაირიცხა, მაგრამ თავის სარჩენი ფული არ გააჩნდა და ერთბაშად სამ ოჯახში დაიწყო დამლაგებლად მუშაობა. თან სწავლობდა, თან სახლებში დარბოდა და ალაგებდა. ერთ დღესაც, ერთ-ერთ „სამსახურში" მისვლისას კარი მშვენიერმა ახალგაზრდა კაცმა გაუღო. მაკას იგი მანამდე არ ენახა. თურმე ოჯახს გერმანიიდან უმაღლესგანათლებამიღებული ვაჟი დაჰბრუნებია. მაკას დიდი ყურადღება არც მიუქცევია ახალი მასპინძლისთვის, თავის საქმეს პატიოსნად აკეთებდა, ბიჭი კი თურმე იმაზე ფიქრობდა, როგორ დაახლოებოდა. ერთ დღეს, მაკა საქმეს რომ მორჩა, ბიჭს უთხოვია, იქნებ საჭმელი მომიმზადოთო. გოგონას უარი ვერ უთქვამს, არადა ლექციებზეც აგვიანდებოდა და სულ ფაციფუცით დაუწყია კერძის მომზადება. სისწრაფეში ხელიც გვარიანად დაუწვავს. შეწუხებულა ყმაწვილი — რატომ ჩქარობდი, ასე მშიერი კი არა ვარო. ეჰ, მე მეჩქარებოდა ლექციაზე, თორემ თქვენ მშიერი რომ არ იქნებოდით, მაგდენს კი მივხვდიო. ზოგი ჭირი ამ შემთხვევაშიც მარგებელი გამოდგა — მაკამ და თაზომ ახლახან დაიწერეს ჯვარი სვეტიცხოველში. თქვენი მონა-მორჩილიც (ვაჟის ნათესავი) გახლდით მათ ქორწილში, კარგადაც მოვილხინე და კიდევ ერთი კონკიას ამბავიც გავიგე, რომელიც ერთ-ერთ ცნობილ, ძალიან პოპულარულ თბილისურ სასტუმროში მომხდარა... უცხოელ სტუმარს ვერაფერი გაუგებინებია სასტუმროს ვითომ ინგლისურის მცოდნე მენეჯერისთვის. ბედად მოსამსახურე (რომელმაც ინგლისურის გარდა კიდევ სამი უცხო ენა იცის), შემოსწრებიათ. სტუმარს და მენეჯერს შორის გოგონამ მყისვე ჩამოაგდო მშვიდობა და სტუმრის ყურადღებაც დაიმსახურა. მეორე დღეს სტუმარს, ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს, სასტუმროს პატრონისთვის უსაყვედურია, კადრები არასწორად შეგირჩევიაო და განათლებული მოსამსახურისთვის პროტექცია გაუწევია. ლიკა იმ საღამოსვე დააწინაურეს. მეორე დღეს დონალდს გოგონა რესტორანში დაუპატიჟებია.

შექსპირის სონეტებით დამშვენებულმა საღამომ ლამაზი სიყვარული შვა, რომელიც, ღვთის ნებით, ოჯახად იქცა...

***ეკა ლომიძე***




# აბუ მუსაბ ალ-ზარქავი — ტერორის ახალი სახე

## „ალ-თავიდა“ – „ალ-ქაიდა“ №2

**მას შეუძლია ის, რასაც უსამა ბინ ლადენი ვერ ახერხებს...**

ერთ დროს აბუ მუსაბ ალ-ზარქავი ბინ ლადენს ეფიცებოდა ერთგულებას. მერე საკუთარი ტერორისტული ქსელი შექმნა. ერაყში ალაჰის სახელით იბრძვის, რამდენიმე უცხოელ მძევალს ყელი საკუთარი ხელით გამოღადრა.

ვიდეოჩანაწერებში, რომლებიც მსოფლიომ თავისი თვალით ნახა, კარგად ჩანს წარწერა: „Al Tawid wa Al Jihad“ („ერთობა და წმინდა ომი“) — ასე ეწოდება ზარქავის ტერორისტულ ქსელს. ეკრანზე ქსელის დროშა და გერბიც გამოჩნდა.

კადრი იცვლება: ხუთი შავნიღბიანი კაცი თოფებით ხელში კედელთან დგას, შუაში — ბეჭგანიერი და მაღალი ზარქავი დგას. ნიღბოსნების ფეხებთან თვალებახვეული, ხელფეხშეკრული მძევალი ზის. ეს 52 წლის მიჩიგანელი ინჟინერი არმსტრონგია, რომელიც ერთ-ერთი ადგილობრივი ფირმის დაკვეთით ერაყში სამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა.

ისმის ზარქავის მუქარით გაჟღენთილი ხმა: „ამერიკელებო, თქვენი ბომბები ჩვენს შვილებსა და ცოლებს ხოცავენ... თქვენს ციხეებში ჩვენი ძმები და დები იტანჯებიან. ბუშო, შენი აღსასრულის დღეც მალე დადგება! ჩვენს მამაკაცებს სიკვდილი ისევე უყვართ, როგორც შენ — სიცოცხლე. ალაჰის სახელით ურწმუნოთა დახოცვა და ალაჰისთვის სიკვდილი მათთვის უდიდესი ბედნიერებაა... ბუშო, მუსლიმანი პატიმარი ქალების გასათავისუფლებლად 24 საათს გაძლევთ. თუ ჩვენს მოთხოვნას არ შეასრულებ, სხვა მძევლებიც არმსტრონგის ხვედრს გაიზიარებენ. ჩვენ გავიმარჯვებთ!“

მერე ზარქავი შარვლის ჯიბიდან დანას იღებს, მსხვერპლს იატაკზე აწვენს და...

აბუ მუსაბ ალ-ზარქავი ტერორიზმის ანალებში ალბათ ალაჰის ჯალათის „ტიტულით“ შევა. 2004 წლის მაისიდან, მას შემდეგ, რაც მან აშშ-ის მოქალაქეს, ნიკოლას ბერგს კამერის წინ თავი მოჰკვეთა, დაჯგუფება მეტისმეტად გააქტიურდა, დღე ისე არ გავიდოდა, რომ ერაყში რომელიმე ობიექტი არ აეფეთქებინა, მძევალი არ აეყვანა, ტერორისიტული აქტი არ მოეწყო. ცოტა ხნის წინ ზარქავის თავდასხმას ბაღდადში 41 კაცი შეეწირა, მათ შორის, 35 ბავშვი. აშშ-მა ტერორისტის დაჭერისთვის დაწესებული თანხა 25 მლნ დოლარამდე გაზარდა(!).

ალ-ზარქავი იორდანიელი ბედუინია, სამშობლოში ნომერ პირველ მტრად არის გამოცხადებული და დაუსწრებლად სიკვდილი აქვს მისჯილი. როცა ნიკოლას ბერგის თავის მოკვეთის ვიდეოფირი გამოჩნდა, მისმა მრავალრიცხოვანმა ნათესაობამ არ დაიჯერა, რომ ოთხი შვილის მამა მშვიდობიან მოქალაქეებს ხოცავდა. ოუჯენ არმსტრონგის სიკვდილით დასჯის შემზარავი სცენის ნახვისას კი იცნეს მკვლელი და განაცხადეს: „ის ადამიანი არ არის, მონსტრია, ავადმყოფი, შეშლილი, რომელსაც ღვიძლი შვილების დახოცვაც შეუძლია“.

იორდანიის დედაქალაქ ამანის დასავლეთ ნაწილში განთავსებული საინფორმაციო სამსახურის JID-ის აგენტებმა პირველებმა აღმოაჩინეს ავლანეთში „ალ-ქაიდას“ საწვრთნელი ბანაკები, მოიპოვეს ზარქავის ქსელის შიდაინფორმაცია. JID-ი დასავლეთის საინფორმაციო სამსახურებთან თანამშრომლობს და ანტიტერორისტებს მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის. „ჩვენი სამსახური ცხელი უბანია, ამიტომ ზარქავი და „ალ-ქაიდა“ უპირველესად ჩვენს განადგურებას ეცდებიან“, — ამბობს JID-ის თანამშრომელი. მართლაც, 20 ტ ასაფეთქებელი და ქიმიური ნივთიერებებით დატვირთული მანქანებით შეეცადნენ ტერორისტები JID-ის კომპლექსის აფეთქებას. „რომ არა ჩვენი სიფხიზლე, მარტო ჩვენი კი არა, ირგვლივ მდებარე შენობებიც განადგურდებოდა და ათასობით ადამიანი დაიხოცებოდა. ამ ოპერაციის მომზადება ზარქავის 250.000 დოლარი დაუჯდა.“ JID-ის დახასიათებით, ზარქავი, ერთი მხრივ „არის კარგი სტრატეგი, ოპერაციებს დიდხანს და ყველა დეტალის გათვალისწინებით გეგმავს, მოქმედებს ფრთხილად და გონივრულად. იცის, ერაყში გამეფებული ქაოსის პირობებში როგორ იმოქმედოს და დაუცველი საზღვრები როგორ გადალახოს. ერაყში, ავლანეთსა და ირანში თავისუფლად მოძრაობს, რასაც უსამა ბინ ლადენი ველარ ახერხებს.

მეორე მხრივ, კი ჩვეულებრივი დამნაშავეა და ჭეშმარიტ სახეს ვერ მალავს... სულში ჩასახლებული ეშმას დათრგუნვა ვერ მოახერხა. ამის დასტურია თავის მოკვეთის ფირი. თავი გოლიათი ჰგონია, რომლის დაჭერასაც სუპერსახელმწიფო ამერიკა ვერასოდეს შეძლებს. ჩვენი აზრით, ქონდრისკაცია, თუმცა ძალიან საშიში.

ერაყში განხორციელებული ყველა ტერორისტული აქტის მისთვის მიწერა, როგორც ამას აშშ-ის მედია აკეთებს, ზარქავის სასარგებლოდ მუშაობს — პოპულარობას მატებს. ჩვენ მისი მნიშვნელობა რეალურად უნდა გავაანალიზოთ, რათა დროზე მოვიშოროთ,“ — ამბობს JID-ის ხელმძღვანელი.

აჰმედ ფაჯილ ნაცალ ქალალიაჰი (ეს არის ზარქავის ნამდვილი სახელი) ხელმოკლე ოჯახის მეხუთე შვილია. მამამისი, გონიერი, საკმაოდ განათლებული კაცი, სახელმწიფო მოხელე იყო. დედა ღრმად მორწმუნე ქალი გახლდათ.

ზარქავის პოლიტიკა და სწავლა ნაკლებად აინტერესებდა, უფრო ქუჩის ბრძოლები იტაცებდა. სულ თან დაჰქონდა დანა და სკალპელი და თავის მეგობარ ბანდიტებთან ერთად სისხლიან შეტაკებებში მონაწილეობდა. ცერა თითზე თავისი ბანდის ემბლემა — სამი მწვანე წერტილი — ამოისვირინგა, ალ-ზარქავი ანუ ზარქაველი დაირქვა და სწავლაც მიატოვა. მამამისმა ძნელად აღსაზრდელი ვაჟიშვილი ისლამისტური ფასეულობების: მეგობრობის, მოყვასისადმი დახმარების, სათნოების შესათვისებლად ალ-ჰუსეინ-ბენ-ალის მეჩეთში მიიყვანა.

მეჩეთში ავღანელებიც სწავლობდნენ და თან ცხადად თუ სიზმრად საბჭოთა დამპყრობლებზე შურისძიება ელანდებოდათ. მათი მონათხრობი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა აჰმედზე.

ზარქავი ავღანეთში წასვლაზე ოცნებობდა და მალე ცოლთან ერთად გზი იქითკენ აიღო. შეუერთდა „წმინდა მებრძოლებს“ — მოჯაჰედებს, რომლებსაც ამერიკა თავისი კომუნისტი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღითა და ფულით ამარაგებდა. აქ გაიცნო საუდელი მილიონერი უსამა ბინ ლადენი, რომელიც იმ დროს არაბი მოჯაჰედების თავისი დროშის ქვეშ დარაზმვას გეგმავდა.



1993 წელს ზარქავი შევიდა პალესტინელი აბუ მაქდიზის რადიკალურ დაჯგუფებაში. ჯგუფი ისრაელის საზღვარზე, კინო-თეატრებში, მაღაზიებში თავდასხმებს გეგმავდა. 1994 წელს პოლიციამ ზარქავის ბინაში ასაფეთქებელი ნივთიერებები და იარაღი აღმოაჩინა. მას და მაქდიზს სასამართლომ 15-15 წელი მიუსაჯა.

მაქდიზმა, ზარქავიმ და კიდევ სამმა პატიმარმა შექმნეს რადიკალთა ჯგუფი, ყველა არამუსლიმანი, მათ შორის შიიტებიც „ურწმუნოებად“ და მტრებად გამოაცხადეს.

ზარქავი ციხეში კვლავ თალიბებსა და მაჰმადიანურ ხალიფატზე ოცნებობს. ყურანის 114 სურას თავისი 6219 ვერსიით, ზეპირად სწავლობს.

1999 წლის თებერვალში გარდაიცვალა მეფე ჰუსეინი. მისმა მემკვიდრემ, აბდულაჰ II-მ, ტახტზე ასვლისთანავე პოლიტიკური პატიმრების დიდი ამნისტია გამოაცხადა. ზარქავი გაათავისუფლეს. „მისი ციხიდან გამოშვება შეცდომა იყო, — ამბობს დღეს მეფე აბდულაჰი, — მაგრამ მაშინ არავინ იცოდა, მომავალში რას ჩაიდენდა“.

ზარქავი კი ფარულად წმინდა ომის ოპერაციებს გეგმავდა. განზრახული ჰქონდა ახალი, 21-ე საუკუნის დადგომის საზეიმო დღეებში ამანში, რადისონის სასტუმროსა და ისრაელის ორ სასაზღვრო მონაკვეთზე თავდასხმა. მაგრამ იორდანიის უშიშროების სამსახურმა ათეულობით ტერორისტი იგდო ხელთ და გეგმა ჩაიფუშა. ზარქავიმ იორდანია დატოვა. 6-თვიანი ვიზით გაემგზავრა პაკისტანში, ისლამურ ფეშავარში. დაბინავდა „ყურანის სახლში“ და საკუთარი ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის დაგეგმვას მიჰყო ხელი.

ზარქავი გეგმის განხორციელებას მხოლოდ ბინ ლადენის დახმარებით შეძლებდა, მით უმეტეს, რომ საუდელი მილიონერისთვის რაღაცის შეთავაზება მასაც შეეძლო.

„ალ-ქაიდა“ განაგებს დაჯგუფებებს არაბეთის ნახევარკუნძულზე და დასავლეთის ქვეყნებში. ზარქავის კი ჰყავს თანამოაზრენი ირანში, სირიაში, იორდანიაში, ისრაელსა და ევროპაში. ის შეხვდა ბინ ლადენს და ერთგულება შეჰფიცა. შეთანხმდნენ ურთიერთდახმარებაზე. ეს მოხდებოდა ბინ ლადენის შეხედულებისამებრ და მისი ფინანსური დახმარებით. ამის შემდეგ ის უკვე ბინ ლადენის ასისტენტია და ეკუთვნის „ალ-ქაიდას“.

1999 წლის ოქტომბერში, ზარქავი, პაკისტანის ვიზის ვადის ამოწურვის შემდეგ საცხოვრებლად ქაბულში გადადის. 33 წლის ზარქავი დასავლეთ ავლანეთში, ირანის საზღვართან ახლოს იორდანიელი ექსტრემისტებისთვის საწვრთნელ ბაზას აწყობს, თეირანში მას იცავენ რევოლუციური გვარდიის „მაგარი ბიჭები“.

მოხალისეები ზარქავის „ამირას“ უწოდებენ და უსიტყვოდ ემორჩილებიან. 2001 წლის აპრილში ერთმა პალესტინელმა თანამოაზრემ ზარქავის მეორე ცოლად თავისი 14 წლის ქალიშვილი მიჰგვარა.

2001 წლის სექტემბერში ის ირანში აბუ ალის ხვდება და ისინი გერმანიაში ტერორისტული აქტების მოწყობაზე საუბრობენ.

გოლიათური აღნაგობის აბუ ალი ზარქავის საუბარში „შეიხს“ უწოდებს. ალი საჭირო კაცია, გერმანიაში ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს, ევროპაში „ალ-ქაიდას“ წევრებთან საკონტაქტოდ თავისი არხები აქვს და თანამებრძოლებს ყალბი დოკუმენტებით, საკრედიტო ბარათებით ამარაგებს.

აშშ-ში 11 სექტემბერს განხორციელებულმა ტერაქტმა მსოფლიო შეცვალა და ზარქავიც აჩქარდა: ალის დაავალა გერმანიაში ტერაქტების მოსაწყობად ობიექტები შეერჩია და ასაფეთქებელ ნივთიერებებზე ეზრუნა. თავად კი სასწრაფოდ ავლანეთს მიაშურა ამერიკის საპასუხო თავდასხმის შემთხვევაში თავისი დაჯგუფების მოსამზადებლად. გერმანიაში აბუ ალის ტელეფონით უკავშირდება და მომავალ ტერაქტზე დაშიფრულად ესაუბრება. გერმანიის უშიშროების სამსახური ამ სატელეფონო საუბრებს ისმენს და, ამერიკელებისგან განსხვავებით, ტერაქტების თავიდან ასაცილებლად მაშინვე, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, აპატიმრებს აბუ ალის. ორი დღის დუმილის შემდეგ, გამომძიებლების გასაკვირად, აბუ ალი ალაპარაკდა. მოჰყვა, ზარქავიმ როგორ დაავალა გერმანიაში ტერაქტების ორგანიზება, რომ სამიზნედ შერჩეულ იქნა დიუსელდორფის დისკოთეკა და ბერლინის ებრაელთა უბანი. დაწვრილებით აღწერა „ალ-ქაიდას“ სტრუქტურები, ავლანეთში არსებული საწვრთნელი ბანაკების გეგმებიც დახაზა და შიფრიც გაამხილა.

გერმანიაში აბუ-ალის ქსელის ჩავარდნა ზარქავისთვის მძიმე დარტყმა იყო. იმის შიშით, მისი სამყოფელიც არ გაეცათ, ირან-სირია-ჩრდილოეთ ერაყში სიარულს მოუხშირა. 2002 წლის ზაფხულში მან ბაღდადში ტერორისტული დაჯგუფება შექმნა.

„დღეს ზარქავი და მისი თანამებრძოლები მსოფლიოში ყველაზე საშიში კაცები არიან“, — ამბობს გერმანიის უშიშროების სამსახურის უფროსი. გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ 2003 წლის 5 თებერვალს ზარქავიზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. იმავე დღეს კი აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა კოლინ პაუელმა განაცხადა, — ზარქავი უმნიშვნელო შემაერთებელი რგოლია „ალ-ქაიდასა“ და სადამ ჰუსეინის რეჟიმს შორის, ბაღდადში მხოლოდ სამკურნალოდ არისო. დასავლეთის ქვეყნების ურთიერთკინკლაობის და ინერტულობის შედეგად მოხდა ის, რომ ერაყი საერთაშორისო ტერორიზმის თარეშის და ბრძოლის ველად იქცა. იქ ზარქავიმაც შექმნა თავისი საოცნებო მძლავრი ტერორისტული ქსელი. ზარქავის ჯგუფი მეამბოხეთა ბრძოლაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ის არის ტერაქტების ორგანიზატორი. ამ ბოლო ხანს ერაყში 2368 ტერაქტი დაფიქსირდა, გატაცებულია ასობით უცხოელი, აქედან სულ ცოტა, 50-მდე მოკლულია. სამ ტყვეს თვითონ ზარქავიმ მოუსწრაფა სიცოცხლე. ერაყში ზარქავის დაჯგუფებას „ალ-თავიდას“ უკვე „ალ-ქაიდა-2“-ს უწოდებენ.

17 სექტემბერს ბაღდადში რაკეტა მოხვდა ზარქავის დაჯგუფების სტრატეგის და სულიერი წინამძღოლის, აბუ ანას ალ შამის მანქანას. შეიხის სიკვდილიდან სამი დღის შემდეგ ინტერნეტში გამოჩნდა ვიდეოკადრები, რომელზეც ოუჯენ არმსტრონგის თავის მოკვეთის შემაძრწუნებელი სცენა იყო ასახული. რამდენიმე საათის შემდეგ ასეთივე სისასტიკით მოკლეს მეორე ამერიკელი. ახლა მსოფლიო კიდევ ერთი ბრიტანელი და ერთი იაპონელი მძევლის ბედზე წუხს. ზარქავი კი კვლავ იმუქრება: „ორი ამერიკელის სიკვდილით დასჯა ჩვენი პირველი გაფრთხილებაა. მომავალში კიდევ ბევრს დავსჯით“.

**„შტერნი“**

***მოამზადა დოდო თოფურიამ***


**სს «გაერთიანებული ქართული ბანკი»**
**აცხადებს კონკურსს**
***გორის ფილიალში საოპერაციო მუშაკის თანამდებობების დასაკავებლად***

თანამდებობა ითვალისწინებს ბანკის კლიენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოებას, ახალი კლიენტებისთვის ანგარიშების გახსნას და საბანკო კონსულტაციების გაწევას.

***საჭირო მოთხოვნები***

- ❑ საბანკო დაწესებულებაში საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოების ცოდნა;
- ❑ საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლებისა და ნორმატიული ბაზის ცოდნა;
- ❑ კომუნიკაბელობის მაღალი დონე;
- ❑ ინიციატივა და სხვადასხვა სიტუაციაში პრობლემების მოგვარების უნარი;
- ❑ კომპიუტერულ პროგრამებთან (MS Excel, MS Word და ა.შ.) მუშაობის გამოცდილება;

**უპირატესობა მიენიჭებათ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ საოპერაციო მუშაკის (ანგარიშების მენეჯერის) თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება და ფლობენ რომელიმე უცხო ენას.**

***დაინტერესებულმა პირებმა***

განაცხადი და CV – მონაცემები განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ უნდა გამოგზავნონ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: HR.Manager@ugb.com.ge ან წარმოადგინონ სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სათავო ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის 37, ადამიანთა რესურსების მართვის დეპარტამენტი. ტელ: 505-731; 505-736; ფაქსი: 95-60-85; 99-91-39

განცხადებები მიიღება 2004 წლის 8 ნოემბრამდე

**სს «გაერთიანებული ქართული ბანკი»**
**აცხადებს კონკურსს**
***თელავის ფილიალის მმართველის თანამდებობების დასაკავებლად***

**აუცილებელი მოთხოვნები**

- ❑ უმაღლესი განათლება (ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, ბუღალტერია ან იურისპრუდენცია კერძო სამართლის განხრით);
- ❑ საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის მინიმუმ 5 წლის სტაჟი, მ.შ. ხელმძღვანელ თანამდებობებზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე) მუშაობის 3 წლის გამოცდილება;
- ❑ სამუშაოს ორგანიზების, დაგეგმვისა და კონტროლის განხორციელების უნარი;
- ❑ კომუნიკაბელობის მაღალი დონე;
- ❑ ინიციატივა და სხვადასხვა სიტუაციაში პრობლემების მოგვარების უნარი.

**უპირატესობა მიენიჭებათ 40 წლამდე ასაკის პირებს, რომელთაც აქვთ პოპულარულ კომპიუტერულ პროგრამებთან (MS Excel, MS Word და ა.შ.) მუშაობის გამოცდილება და ფლობენ რომელიმე უცხო ენას.**

***დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინოთ***

განცხადება
- CV – მონაცემები განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ;
- დიპლომის და სხვა სერტიფიკატების ასლები; • ფერადი ფოტოსურათი;
- სარეკომენდაციო წერილები.

სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სათავო ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის 37, ადამიანთა რესურსების მართვის დეპარტამენტი. ტელ: 505-731; 505-736; ფაქსი: 95-60-85; 99-91-39 ან გამოგზავნონ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: HR.Manager@ugb.com.ge

განცხადებები მიიღება 2004 წლის 10 ნოემბრამდე

## ორშაბათი 1 ნოემბერი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი არხის პროფილაქტიკა18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „კარიბის გული" 19.00 „იმღერე რამე"19.40 ბასტი-ბუბუ20.00, 23.00 მოამბე21.05 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 22.00 ღამის მატარებელი00.00 მხ. ფილმი „ხაფანგი თანამდებობის სახით„ (U)

19.00 მულტსერიალი19.25 სერიალი „კარიბის გული"20.15 „იმღერე რამე"20.45 ბასტი-ბუბუ21.00 კონცერტი22.45 მხ. ფილმი „დიდი ოჯახები„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეიპუცები" 10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები"15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი"16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები"17.25 პერეკრიოსტოკი 18.20 „რობოტი და რობოტუნა" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები"22.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი"23.00 დოკ. ფილმი „კენედის მკვლელობა„ (ბი-ბი-სი)00.00 მხ. ფილმი „ნაძირალა" (18) (ლორენცო ლამასი)02.10 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა08.05 „იმედის" დილა09.20 „დუბლიორი"10.05 სერიალი „ტყუპები"11.15 დროება14.45, 02.35 იმედის მელოდიები15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.55 ქრონიკა15.20 სერიალი „კლონი„ 16.25, 02.05 ტვ-მარკეტი16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩენილი ქალბატონები" 17.25 ვაკაფე-ნიუსი18.05 სერიალი „ტყუპები"19.55 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი"22.50 საქმე N23.20 „არჩევანი თქვენ"00.35 სპ. პროგრამა „გოლი"01.00 სერიალი „ნეშ ბრიჯესი„

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ვუკი"11.35 ერთი ჟურნალისტის მზერა.12.05 ტელეჟურნალი „დები ტრევისის საოცარი სახლი"13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 ტელეჟურნალი „სცენა"19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „ვუკი"21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "შეურიგებელი„ (15) (ჯონ ლი მილერი)

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" 1-ლი ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.00 მხ. ფილმი „5 წლის ვიყავი, როცა თავი მოვიკალი„ (U)

11.00 ვარსკვლავები გვამცნობენ13.00 საბავშვო პროგრამა „ინკოგნიტო"14.00 ინდ. მხ. ფილმი „სიყვარული და ღალატი" (U)17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი21.00 ქართული მუსიკა22.30 „საქმე და ეკონომიკა"23.00, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 სათავგადასავლო ფილმი „როგორც მაიკი„ 11.00 მუსიკა11.10 ისტორიული ფილმი „მეფეთა მეფე„ 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 23.30 საინფორმაციო გამოშვება12.50 მუსიკა13.00 კომედია „სპორტლოტო„ 14.45 ბოევიკი „სიკვდილით დაღდასმულნი„ 16.15 მულტფილმი 17.45 მუსიკა18.00 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი„18.15 მელოდრამა „დიდი ცუდი სიყვარული„ 20.05 დოკ. ფილმი21.00 კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი „თავისუფალი წყვილი„ 22.25 დოკ. ფილმი00.00 თრილერი „ჩრდილთა ნიშანი„

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Сергей Никоненко в боевике "ШЕСТОЙ" 11.10 "Звучная фамилия Негода, или "Маленькая Вера" 15 лет спустя" 12.10 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20 Роуэн Аткинсон в комедии "МИСТЕР БИН". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 "Последний герой". Суперигра. 17.00 "Пять вечеров". Понедельник. 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. 19.00 Сериал "КЛОН". 20.00 Жди меня. 21.00 Время. 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 22.40 "Эскадроны смерти против Пабло Эскобара". 23.40 Ночное "Время". 00.00 "Фабрика звезд". 00.20 Искатели. "Святыня Смутного времени". 00.50 Петр Марченко в программе "Русский экстрим". 01.20 Брекин Мейер в комедии "ДОРОЖНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ". 02.50 Морган Фримэн в фильме "МОЛЛ ФЛЭНДЕРС" 04.50 Сериал "УБОЙНЫЙ ОТДЕЛ".

## სამშაბათი 2 ნოემბერი

07.30 ალიონი09.40 მულტსერიალი 10.00 „იმღერე რამე"10.30 მხ. ფილმი „ხაფანგი თანამდებობის სახით„ (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"13.00 „მატარებელი„14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 ლერერის შოუ15.20 „ანშლაგი" -„ლამარა„16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს"16.30 ისტორიანი17.00 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„17.25 „ამბობენ"18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „კარიბის გული"19.00 „იმღერე რამე"19.40 ბასტი-ბუბუ21.05 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"22.00 ქიმერიონი00.00 მხ. ფილმი „ხსოვნა„ (U) 1-ლი ს.

19.00 მულტსერიალი19.25 სერიალი„კარიბის გული"20.15 „იმღერე რამე"20.45 ბასტი-ბუბუ21.00 ლერერის შოუ21.40 ანშლაგი — „ლამარა„22.50 მხ. ფილმი„ათოვდა ზამთრის ბაღებს„ (U) 1-ლი ს.

07.30 დილა მშვიდობისა08.00 „ტელეიპუცები"10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი"12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები"13.30 მხ. ფილმი „ნაძირალა"15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები"17.25 „ტელეიპუცები" 18.20 „რობოტი და რობოტუნა"18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა22.45 ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა" — „მილანი"02.20 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00 ქრონიკა08.10 „იმედის" დილა09.20 „დუბლიორი"10.00 არხის პროფილაქტიკა15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.00 ქრონიკა15.20 სერიალი „კლონი„ 16.25, 03.10 ტვ-მარკეტი16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩენილი ქალბატონები" 17.25 სპ. პროგრამა „გოლი"18.05 სერიალი „ტყუპები"19.55 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი" 22.45 „პირველები"23.25 მხ. ფილმი „პოლონელი ლამაზმანი" (15) (ლ. ოლინი)01.10 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"02.05 „გოლი - სერია „A" (იტალიის ჩემპიონატი)03.40 იმედის მელოდიები

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა"11.10 სერიალი „ვუკი"11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"12.05 ტელეჟურნალი „სცენა"13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 ტელეჟურნალი „მოდა"19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „პატარა დიდი ბობი"21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "კაცი, რომელიც ტიროდა„ (18) (კრისტინა რიჩი)

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" მე-2 ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.15 მხ. ფილმი „კლიენტი„ (U)

14.00 ქართული მუსიკა16.00 „საქმე და ეკონომიკა"17.00, 19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა „დღეს"17.15 სერიალი „მილედი"19.20, 21.00 სპექტრი22.30 „საქმე და ეკონომიკა"23.00 სერიალი „მართალი გზა„ 1-ლი ს.00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 კომედია „კანადური ბეკონი10.50 მუსიკა11.00 ისტორიული ფილმი „პირველი რაინდი„ 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 23.30 საინფორმაციო გამოშვება13.25 დოკუმენტური ფილმი14.45 მხ. ფილმი„ბიჭები„ 16.10 მულტფილმი17.45 მუსიკა18.00 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი„18.15 ბოევიკი „დროს გამოდევნებული„ 19.40 დოკ. ფილმი21.00 კომედია „ტყვიაგაუმტარი ბერი„ 22.40 მსოფლიოს საოცრებანი 22.50 ფრაგმენტები ოლეგ ლუნდსტრემის ჯაზ-ანსამბლის კონცერტიდან00.00 მელოდრამა „ძარწალებულნი„ 1-ლი ს.

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 "Шутка за шуткой". 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". 13.50 Приключенческий сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20 "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем. 15.50 Сериал "СТИЛЕТ". 17.00 "Пять вечеров". Вторник. 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00 Время. 22.40 Тайны века. "Выстрелы у "Дома на набережной". 23.30 Ночное "Время". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Док. фильм "Лекарство от рака". 00.40 "Подорожник". 01.10 Джеймс Гарнер в триллере "ПОСЛЕДНИЕ ТЕЛЕДЕБАТЫ" 03.05 Жаклин Биссет в триллере "ОХОТА НАВЕДЬМ". 04.40 Сериал "УБОЙНЫЙ ОТДЕЛ".

## ოთხშაბათი 3 ნოემბერი

07.30 ალიონი09.40 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„10.05 „იმღერე რამე"10.35 მხ. ფილმი „ხსოვნა„ 1-ლი ს.12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"13.05 ქიმერიონი14.00 მოამბე ოსურ ენაზე14.15 დოკ. ფილმი „ცეკვის ენა"15.20 „საღამოს საუბრები"16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს"16.30 „ეძიე ქალი"17.00 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„17.25 დოკ. სერიალი „ამერიკის ბიოგრაფია„18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „კარიბის გული"19.00 „იმღერე რამე"19.40 ბასტი-ბუბუ21.05 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"22.00 „მიამბეთ თქვენზე"00.00 მხ. ფილმი „ხსოვნა„ მე-2ს.

19.00 მულტსერიალი19.25 სერიალი „კარიბის გული"20.15 „იმღერე რამე"20.45 ბასტი-ბუბუ21.00 დოკ. სერიალი „ცეკვის ენა"21.50 „ეძიე ქალი„22.05 ქიმერიონი22.40 მხ. ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს„ (U) მე-2 ს.

07.30 დილა მშვიდობისა08.00 „ტელეიპუცები"10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 სერიალი „ბევერლი ჰილზი„12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები"13.30 მხ. ფილმი „ბალადა ჯარისკაცზე"15.25 ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა" — „მილანი"16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები"17.25 „ტელეიპუცები"18.20 „სპაიდერ მენი"18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები"22.00 საფეხბურთო მიმოხილვა22.45 ჩემპიონთა ლიგა. „დეპორტივო" — „ლივერპული"02.20 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა08.10 „იმედის"დილა 09.20 „დუბლიორი"10.05 სერიალი „ტყუპები"11.15 სერიალი „ყავა და ლუდი"12.20, 02.35 იმედის მელოდიები12.40, 16.25, 01.55 ტვ-მარკეტი13.15 მხ. ფილმი „პოლონელი ლამაზმანი" (U)15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45 ქრონიკა15.20 სერიალი „კლონი„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩენილი ქალბატონები"17.25 საქმე N18.05 სერიალი „ტყუპები"19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 1-ლი ს.20.55 სერიალი „ყავა და ლუდი"22.50 „უცნობი საქართველო"23.20 მხ. ფილმი „გლობალური მუქარა" (U) (მ. ენიკი)00.50 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა"11.10 სერიალი „პატარა დიდი ბობი"11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"12.05 ტელეჟურნალი „მოდა"13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 შემეცნ. გასართობი პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი"19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „პატარა დიდი ბობი"21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "ღვთის ნაბოძები„ (15) (რ. რომინსტამსი)

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" მე-3 ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.10 მხ. ფილმი „ექსპერიმენტი გენეტიკური კოდის შესასწავლად„ (18)

14.00 სერიალი „მართალი გზა„15.00 ქართული მუსიკა17.00, 19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა „დღეს"17.20 სერიალი „მილედი"19.20, 21.00 სპექტრი23.00 სერიალი „მართალი გზა„ მე-2 ს.00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 კომედია „თეფში„ 10.55 ისტორიული ფილმი „იაზონი და არგონავტები„ 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 23.30 საინფორმაციო გამოშვება12.55 მუსიკა13.00 ბოევიკი „მაგარი ბიჭები„ 14.45 მელოდრამა „ჩრდილოეთის ციალი„ 16.10 მულტფილმი17.45 მუსიკა18.00 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი„18.15 თრილერი „მოკალი მოგვიანებით„ 19.40 დოკუმენტური ფილმი21.00 ვესტერნი „მკვდარი ადამიანი„ 23.00 „ზღვარი„23.15 მუსიკა00.00 მელოდრამა „ძარწალებულნი„ მე-2 ს.

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 Док. детектив. "Ограбление под заказ". Дело 2002 г. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Лило и Стич". 13.50 Сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Сериал "СТИЛЕТ". 17.00 "Пять вечеров". Среда. 18.20 "Пан или пропал". 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 Время. 22.40 Спецназ. "Часы укажут направление удара". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Сканер. "Кировская аномалия". 00.40 "Звезды эфира". Владимир Шнейдеров. 01.10 Рэй Лиотта в боевике "ПОБЕГ НЕВОЗМОЖЕН". 03.25 Жасмин Близ в боевике "СМЕРТЬ КОРОЛЕВЫ" 05.05 Неизвестная планета. "Мир богов Гоа".

## ხუთშაბათი 4 ნოემბერი

07.30 ალიონი09.40 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„10.05 „იმღერე რამე"10.35 მხ. ფილმი „ხსოვნა„ მე-2ს.12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"13.00 მიამბეთ თქვენზე14.00 მოამბე ოსურ ენაზე14.15 „იცხოვრეთ იოდდეფიციტის გარეშე" 14.40 „ფოლკლორის ფესტივალი„15.20 პოლიტიკური მკვლელობები16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს"16.30 „მრავალჟამიერ"- შვიდკაცა17.00 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„17.30 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე"18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „თავგადასავლები კარიბის ზღვაზე"19.00 „განათლების პროექტი საქართველოში"19.40 ბასტი-ბუბუ21.05 სერიალი „ცხელი ზაფხული" 1-ლი ს.22.00 ღამის მატარებელი00.00 მხ. ფილმი „მოკვეთილი„ (U)

19.00 მულტსერიალი19.25 სერიალი „კარიბის გული"20.15 „იმღერე რამე"20.45 ბასტი-ბუბუ21.00 მრავალჟამიერ -შვიდკაცა21.40 „მიამბეთ თქვენზე„ - ლ. სტურუა22.15 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე"22.40 მხ. ფილმი „დღე„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა08.00 „ტელეიპუცები"10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 სერიალი „ბევერლი ჰილზი„12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05 კურიერი12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები"13.30 მხ. ფილმი „კოსმოსური სპეცრაზმი-3"15.25 ჩემპიონთა ლიგა. „დეპორტივო" — „ლივერპული"16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები"17.25 „ტელეიპუცები"18.20 „სპაიდერ მენი"18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები"22.00 „ვის უნდა 50 ათასი"23.00 დოკ. ფილმი „ყველაზე მდიდრული სახლები„ (ბი-ბი-სი)00.00 მხ. ფილმი „რეიტინგიX". მთ. რ-ში: ჩარლი შინი (18).02.25 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა08.10 „იმედის" დილა09.20 „დუბლიორი"10.05 სერიალი „ტყუპები"11.15 სერიალი „ყავა და ლუდი"12.20, 14.50, 02.25 იმედის მელოდიები12.40, 16.25, 01.55 ტვ-მარკეტი13.15 მხ. ფილმი „გლობალური მუქარა" (U)15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 01.45 ქრონიკა15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩენილი ქალბატონები"17.25 თამაში „ათასიდან ერთი შანსი"18.05 სერიალი „ტყუპები"19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი"22.50 თამაში „ათასიდან ერთი შანსი"23.20 მხ. ფილმი „როუზების ოჯახი" (12) (კ. ბუკე)00.50 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა"11.10 სერიალი „პატარა დიდი ბობი"11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"12.30 შემეცნ. გასართობი პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი"13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 „ჰოლივუდი დღეს„19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „პატარა დიდი ბობი"21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "საქმრო ლაურასთვის„ (U) (ლოლიტა ტორესი)

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" მე-4 ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.10 მხ. ფილმი „მარიონ ჟურდანი„ (15)

14.00 სერიალი „მართალი გზა„15.00 ქართული მუსიკა17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"17.20 სერიალი „მილედი"19.20, 21.00 სპექტრი23.00 სერიალი „მართალი გზა„ მე-3 ს.00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 ფილმი „ითამაშე როგორც ბეკჰემი„ 11.10 მუსიკა11.30, 14.30, 17.30, 20.30, 23.30 საინფორმაციო გამოშვება11.45 ისტორიული ფილმი „ჰენრი V„ 13.55 დოკ. ფილმი14.45 ბოევიკი „ზღვარი„ 16.15 მულტფილმი17.45 მუსიკა18.00 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი„18.15 თრილერი „მუქი წყლები„ 19.35 დოკ. ფილმი21.00 მელოდრამა „ბალტიკური რომანსი„ 00.00 ფანტასტიკა „ბლეიდი II„

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 "Звезды эфира". Владимир Шнейдеров. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Утиные истории". 13.50 Сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Сериал "СТИЛЕТ-2". 17.00 "Пять вечеров". Четверг. 18.20 "Пан или пропал". 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 Время. 22.40 "Человек и закон" 23.50 "Фабрика звезд". 00.10 "Формула власти". Премьер-министр Малайзии. 00.40 "Гении и злодеи". Святослав Рерих. 01.10 Сериал "ИСЧЕЗНОВЕНИЕ". 02.40 Стив Борден в боевике "БЕШЕНАЯ СКОРОСТЬ". 04.30 Сериал "УБОЙНЫЙ ОТДЕЛ".

## პარასკევი 5 ნოემბერი

07.30 ალიონი09.40 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„10.00 „იმღერე რამე"10.30 მხ. ფილმი „მოკვეთილი„ (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე12.15 სერიალი „ცხელი ზაფხული" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე14.15 დოკ. ფილმი15.15 „ასე ვცხოვრობთ"16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს"16.30 „ისტორიანი"16.55 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„17.20 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე"18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „თავგადასავლები კარიბის ზღვაზე"19.00 „იმღერე რამე"19.40 ბასტი-ბუბუ21.05 სერიალი „ცხელი ზაფხული" 22.00 „აუდიტორია"00.00 მხ. ფილმი „მოლანდება„(U)

19.00 მულტსერიალი19.25 სერიალი „კარიბის გული"20.15 „იმღერე რამე"20.45 ბასტი-ბუბუ21.00 დოკ. ფილმი21.50 აფხაზეთის ტელევიზია22.20 მხ. ფილმი „ლაქა„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა08.00 „ტელეიპუცები"10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 „ვის უნდა 50 ათასი"12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.55 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები"13.30 მხ. ფილმი „პატარა ტრაგედიები"15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი"16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები"17.25 „ტელეიპუცები"18.20 „ბავშვები 402-ე ოთახიდან"18.55 სერიალი„ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები"22.00 ღამის შოუ 23.00 სერიალი „სამეფო"00.00 მხ. ფილმი „წყნარი ოკეანის სიმაღლეები". მთ. რ-ში: მელანი გრიფიტი(18).02.15 მხ. ფილმი „მე დინა ვარ". 04.25 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა08.10 „იმედის" დილა09.20 „დუბლიორი"10.05 სერიალი „ტყუპები"11.15 სერიალი „ყავა და ლუდი"12.20, 14.50, 02.55 იმედის მელოდიები12.40, 16.25, 02.25 ტვ-მარკეტი13.15 მხ. ფილმი „როუზების ოჯახი" (U) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.15 ქრონიკა15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩენილი ქალბატონები"17.25 „ათასიდან ერთი შანსი"18.05 სერიალი „ტყუპები"19.35 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.30 თოკ-შოუ „რეაქცია"23.00 „საიმედო ლოტო"23.30 თამაში „ათასიდან ერთი შანსი"00.05 ქართ. ფილმი „როცა აყვავდა ნუში" (U)01.20 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა"11.10 სერიალი „პატარა დიდი ბობი"11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"12.05 „ჰოლივუდი დღეს„13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 შემეცნ. გასართობი პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი"19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „პატარა დიდი ბობი" 21.45 ერთი ჟურნალისტის მზერა. თ. ჩიხლაძე. „საფესტივალო დღიურები ვიოლინოსთვის"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "თუნუქის დოლი„ (15) (დევიდ ბანეტი)

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" მე-5 ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.00 მხ. ფილმი „უწმინდური„ (U) 1-ლი ს.

14.00 სერიალი „მართალი გზა„15.00 ქართული მუსიკა17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი"19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „სიყვარულის გამოსამშვიდობებელი სიმღერა" 23.00 სერიალი „მართალი გზა„ მე-4 ს.00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 კომედია „აღმოსავლეთი აღმოსავლეთია„ 10.55 დოკუმენტური ფილმი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 23.30 საინფორმაციო გამოშვება11.45 ისტორიული ფილმი „რომაელი ცენტურიონის ცვარი„ 13.55 მუსიკა14.45 თრილერი „ბედის შემობრუნება„ 16.20 მულტფილმი17.45 მუსიკა 18.00 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი„18.15 დრამა „უბრალო ისტორია„ 20.00 დოკუმენტური ფილმი 21.00 კომედია „როგორ მოვიცილოთ თავიდან მამაკაცი 10 დღეში„ 22.50 დოკუმენტური ფილმი 00.00 მხ. ფილმი „სიყვარული სიკვდილზე ცივია„

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 "Кумиры". Анна Шатилова. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Алладин". 13.50 Сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20 "Фабрика звезд". 15.50 Сериал "СТИЛЕТ-2". 16.50 "Пять вечеров". Сегодня пятница. 18.20 Док. детектив. "Помогите украсть истребитель". Дело 2004. 19.00 "Основной инстинкт". Ток-шоу 19.50 "Поле чудес". Праздничный выпуск. 21.00 Время. 21.25 "Фабрика звезд". 22.40 Майкл Дуглас в боевике "СВАДЕБНАЯ ВЕЧЕРИНКА" 00.30 ЦЕРЕМОНИЯ ВРУЧЕНИЯ МУЗЫКАЛЬНЫХ НАГРАД MTV. 02.10 Мэрайя Керри в фильме "БЛЕСК" 03.55 Бонни Беделиа в мелодраме "ПИКНИК".

## შაბათი 6 ნოემბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30 მოამბე08.15 მხ. ფილმი „მოლანდება„ (U)09.20 იმღერე რამე 09.50 ამბები ჩვენზე10.15 საცირკო სანახაობა11.00 დოკ. სერიალი „ექსცენტრიკოსები"11.15 მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპი ბ.რ. ჭიდაობაში15.15 მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპი ბ.რ. ჭიდაობაში 19.15 „იმღერე რამე"19.40 „ეთნოგრაფიული ჩანახატი"20.35 მუს. ოქტაგონი21.25 დოკ. ფილმი „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო„22.15 საღამოს საუბარი23.00 სპექტაკლი „ღალატი"00.45 მხ. ფილმი „ლოლიტა" (U)

19.00 სერიალი „კარიბის გული"19.50 დოკ. ფილმი „ამერიკული კინო„20.40 საქართველო არის ესე -ზომლეთი21.10 „იმღერე რამე"21.30 დრო და ადამიანები21.45 „ეთნოგრაფიული ჩანახატი"22.00 ასე ვცხოვრობთ 22.25 მხ. ფილმი „ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან„ (U)

08.00 კლასიკა08.30 მულტსერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 „ჯეტიქსი"11.00 სერიალი „დაკარგული ქალაქის მაძიებლები"12.20 „გაიღიმეთ ფარული კამერაა"12.50 მხ. ფილმი „ბურგუნდიის სასახლის კარის საიდუმლოება" 15,20 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 17.00 სერიალი „მარკო პოლო" 18.00, 21.00, 01.00 კურიერი18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.10 მხ. ფილმი „ოსკარი"22.00 „ფსიქო" — „გოგონების ღამე„. რეჟ. ნიკ პარანი (18).01.20 მხ. ფილმი „ჩაძირულთა მდინარე„.

09.00 ანიმაციური ფილმი „მეფის ახალი ტანსაცმელი" 1-2ს.09.50 მხ. ფილმი „ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა" (U) 11.30 „იმედითა შენითა"11.45 „კლიპ-ლოტო"12.40, 16.15, 02.30 ტვ-მარკეტი13.00, 15.45, 17.00, 19.00, 22.00, 23.15 ქრონიკა13.15 „ერთხელ ჰოლივუდში"13.30, 03.00 იმედის მელოდიები13.40 ქართ. ფილმი „როცა აყვავდა ნუში" (U)15.15 „უცნობი საქართველო"15.40 „წუთისოფელში"- გუდაური16.30 პირველი ნახევარი17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ„18.05 „პირველი ნაბიჯი"19.30 ვაკაფე-ნიუსი20.00 მხ. ფილმი „ოქროს ხანა" (12) (პ. კრუსი)22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.00.20 „ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად„01.35 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 მუსიკა მზეზე09.30 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა"10.00 საბ. სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია"10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 11.30 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე, ყველაზე"12.30 შემეცნებითი-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია"13.00 სერიალი „კარაბინერები"14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"14.15 მხ. ფილმი "საქმრო ლაურასთვის„ (U) 16.15 მუსიკა მზეზე16.30 „ფარული კამერა"17.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„17.50 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე, ყველაზე"18.50 მუსიკა მზეზე19.00 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„20.30 სერიალი „კარაბინერები"21.30 კრიმ. დრამა „ტაქსის მძღოლი"22.30 მხ. ფილმი „მილიონზე მონადირენი„ (U) (რიჩარდ ტომასი)

18.00 მინისერიალი „ხაბაზები" მე-6 ს.19.40 დოკ. ფილმი20.30 სილუეტი21.30 დოკ. ფილმი22.20 მხ. ფილმი „უწმინდური„ (U) მე-2 ს.

14.00 სერიალი „მართალი გზა„15.00 მხ. ფილმი „სიყვარულის გამოსამშვიდობებელი სიმღერა"19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა „დღეს"19.20 „ცნობილი ადამიანების უცნობი წლები"19.40 „სანინდარი"21.00 მხ. ფილმი „უცნობი ქალი" (U)00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 საბავშვო კომედია „სტიუარტ ლიტლი„ 1 ნაწ.10.40 მუსიკა11.00 მელოდრამა „მამის მონატრება„ 12.40 „მსოფლიოს საოცრებანი„12.50 ვესტერნი „რაზმი„ 14.30, 17.30, 20.30, 23.30 საინფორმაციო გამოშვება14.45 ბოევიკი „მოუხელთებელი„ 16.05 „სამყარო მშვენიერია„ ბავშვთა გალერეა16.15 მულტფილმი17.45 მუსიკალური დრამა „მედოლე„ 19.45 დოკ. ფილმი 21.00 კომედია „განქორწინება„22.40 დოკ. ფილმი00.00 დრამა „ზეციური ქმნილებები„

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Динозавры в фильме "Земля до начала времен". 06.30 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 08.20 Играй, гармонь любимая! 09.00 Слово пастыря. 09.10 Здоровье. 10.20 "Смак" 10.30 "Пожилой мальчик Витя Сухоруков". Фильм из цикла "Интересное кино". 11.30 "Шутка за шуткой". 12.10 Алексей Баталов в фильме "ДЕЛО РУМЯНЦЕВА" 14.10 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". 14.40 БЕНЕФИС ЕФИМА ШИФРИНА 17.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. 18.10 Криминальная Россия. "Опасные праздники". 1-яс. 18.40 "Новые песни о главном". 20.00 Звезды юмора в программе "Кто хочет стать миллионером?". 21.00 Время. 21.20 "Последний герой". Суперигра. 22.30 "Золотой граммофон" 23.30 Стивен Сигал в боевике "ПОМЕЧЕННЫЙ СМЕРТЬЮ". 01.30 Ким Бейсингер в фильме "Я МЕЧТАЛА О БАФРИКЕ". 03.30 Сэм Беренс в фильме "БЕРМУДСКИЙ ТРЕУГОЛЬНИК"

## კვირა 7 ნოემბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.45 მოამბე08.15 მხ. ფილმი „ლოლიტა" (U)10.00 იმღერე რამე10.30 მოგზაურობა სასიტყვეთში11.00 მრავალჟამიერ11.30 სპა12.15 მხ. ფილმი „მოულოდნელი ზაფხული"14.00 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე"15.20 სპექტაკლი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი"16.30 მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპი ბ.რ. ჭიდაობაში 19.30 „იმღერე რამე"20.35 „ჩემი მშვენიერი ლედი"20.55 სატ. კინოდარბაზი22.00 ტვ-ლოტო22.45 „ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში"00.55 მხ. ფილმი „ძახილი„ (U)

19.00 ამბები ჩვენზე19.30 მოგზაურობა სასიტყვეთში20.00 მუს. ოქტაგონი21.00 სპა21.25 „იმღერე რამე"21.50 „აუდიტორია„22.35 მხ. ფილმი „ლოლიტა" (U)

08.00 კლასიკა08.30 მულტსერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"09.00, 12.00, 15.00, 00.10 კურიერი09.20 „ჯეტიქსი"11.00 სერიალი „დაკარგული ქალაქის მაძიებლები" 12.20 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი)12.50 მხ. ფილმი „ამონია" 15.20 მხ. ფილმი „ვედრება"17.00 სერიალი „მარკო პოლო"18.00, 21.00, 01.40 კურიერი18.20 პატრული — დაიჯესტი18.45 მხ. ფილმი „ვიქტორი, ვიქტორია„. მთ. რ-ში: ჯულიან ენდრიუსი (18)22.00 60 წუთი22.20 ჯეოსელის გათამაშება23.00 „გაიღიმეთ ფარული კამერაა"23.40 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „აუზი„ 877 45-79-25 რომი შნაიდერი, ალენ დელონი (18), „თეთრი ქვიშები„ 877 45-79-26 უილიამ დეფო, მიკი რურკი (18) „მახვილთა პრინცესა" 877 45-79-27 იუმიკო შაკი, ხიდეაკი იტო (18).02.00 პატრული-დაიჯესტი02.30 მხ. ფილმი „ტურბულენტობა-3: ჰევი მეტალი„ (18).

09.00 ანიმაციური ფილმი „ოსები და მოსახსამი" 1-2ს.09.50 მხ. ფილმი „ორმოები" (U)(ს. უივერი)12.30 12 პლუსი11.45 „დილის ფოსტა"12.40, 13.15, 03.35 ტვ-მარკეტი13.00, 15.00, 17.00, 19.00, 23.15 ქრონიკა13.40 მხ. ფილმი „ძაღლის გული" (U) (ე. ევსტიგნეევი)16.15, 04.05 იმედის მელოდიები16.30 სპ. პროგრამა „ასი"17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ„ 18.05 „ერთხელ ჰოლივუდში"18.20 „არტ-ბულვარი"19.45 ქართ. ფილმი „დათა თუთაშხია" მე-5 ს.21.00 „დროება"22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „მილანი„-„რომა„00.20 ეროვნ. საკალათბ. ასოციაცია „ტორონტო" — „პორტლენდი„02.40 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 მუსიკა მზეზე09.30 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა"10.00 საბ. სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია"10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„11.30 საბ. პროგრამა „ეტალონი"12.30 შემეცნებითი-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია"13.00 სერიალი „კარაბინერები"14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"14.15 მხ. ფილმი „მილიონზე მონადირენი„ (U)16.15 მუსიკა მზეზე16.30 „ფარული კამერა"17.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„17.50 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე, ყველაზე"18.50 მუსიკა მზეზე19.00 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„20.30 სერიალი „კარაბინერები"21.30 ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. 23.30 მხ. ფილმი „ბედის საჩუქარი„ (15) (ოლივია უილიამსი).

18.00 მხ. ფილმი „უდარდელი ცხოვრება" (U)20.00 დოკ. ფილმი21.00 კონცერტი22.15 მხ. ფილმი „ურიგა„ (U)

14.00 მხ. ფილმი „უცნობი ქალი" (U)17.00 ვარსკვლავები გვამცნობენ18.00 ქართული მუსიკა19.00 საბ. გადაცემა „ინკოგნიტო"20.00 ინდ. მხ. ფილმი „ძვირფასი რაჯა"23.00 „ჯაზ-პარნასი"23.30 მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 საბავშვო კომედია „სტიუარტ ლიტლი„ 2 ნ.10.35 მხ. ფილმი „ვენიოსი„ 13.05 დოკ. ფილმი13.40 მელოდრამა „მე იქ ვიქნები„ 15.20 ბოევიკი „შეშლილი ექსპრესი„ 16.55 „სამყარო მშვენიერია„ ბავშვთა გალერეა17.05 მულტფილმი18.10 სათავგადასავლო ფილმი „პლუტო ნეში„ 19.45 დოკუმენტური ფილმი20.30 საინფორმაციო გამოშვება21.00 მელოდრამა „ყველა ნამდვილი გოგონა„ 22.50 მუსიკა00.00 მისტიკური თრილერი „ანაზაპტა„

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Полнометражный мультфильм "Земля до начала времен". 06.40 Наталья Белохвостикова в фильме "ЗАКОННЫЙ БРАК". 08.20 Юрий Никулин в фильме "КО МНЕ, МУХТАР!" 10.10 Док. фильм "Костя Цзю. Быть первым". 11.00 Бокс. Костя Цзю - Шармба Митчелл. 12.10 Звезды эстрады в концертной программе "Любимые мелодии". 14.00 Рената Литвинова в фильме "НЕБО. САМОЛЕТ. ДЕВУШКА" 15.50 "Невероятный концерт итальянцев в России". 18.10 Михаил Жванецкий в юмористическом концерте. 21.00 Время. 21.20 Андрей Панин в триллере "ВСАДНИК ПО ИМЕНИ СМЕРТЬ "23.20 Алексей Гуськов в фильме "МУСОРЩИК" 01.10 Аль Пачино в триллере "ДОННИ БРАСКО" 03.35 Джек Леммон в комедии "СТРАННАЯ ПАРОЧКА" 05.10 Новые чудеса света. "100 миллионов за колесо".

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# „ჩვენ თუ დაგვხოცავ, იფიქრებენ, რომ ზვიადი ჩვენ მოვკალით და მერე ერთმანეთი დავხოცეთო“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

თქვენთან პირველად ვახმაურებ ერთ ფაქტს, რომელიც აქამდე იმალებოდა — „სტეჩკინის“ გარდა საქმეში ფიგურირებს მეორე, არგენტინული წარმოების იარაღიც, რომელშიც „გეკოს“ ტიპის მცირეკალიბრიანი ტყვიები იდება. ჩვენების თანახმად, ეს იარაღიც ზვიადს ჰქონია „სტეჩკინთან“ ერთად. საინტერესოა, რატომ იმალებოდა ამ იარაღის არსებობა, სანამ ჩვენ მივაკვლევდით?

ყველაზე მეტად დამაეჭვა ერთმა გარემოებამ — ჩვენებების თანახმად, პრეზიდენტის დაცვის ორი წევრი: ბურჯანაძე და კეკენაძე 3-4 დღით იმიტომ დატოვეს სხვაგან და არ წაიყვანეს ღურწკაიების სახლში (სადაც მკვლელობა მოხდა), რომ იქ ამდენი ხალხი არ დაეტევაო. იმ სახლში ორი კი არა, კიდევ ორმოცი კაცი დაეტეოდა. არ არის საეჭვო, რომ ზვიადის გარდაცვალებისთანავე უკვე შესაძლებელი გახდა ამ ორი კაცის გადაყვანა ღურწკაიებთან? დაცვის უფროსს არ უნდა გასჩენოდა ეჭვი, რატომ დამატოვებინეს დაცვის გამოცდილი წევრები სადღაც, როდესაც იმ სახლში გაცილებით მეტი ადამიანი დაეტეოდაო. ანდა რატომ მაშინვე არ მოიხმო ისინი, რატომ დაელოდა სამი დღის გასვლას? ჩვენებებში კეკენაძეც და ბურჯანაძეც ამბობენ, რომ იმ ოთახში, სადაც გარდაცვლილი პრეზიდენტი იწვა, მაგიდაზე ბიბლია იდო. ზვიადი ეკლესიური კაცი იყო, რამდენად ჩაიდენდა თვითმკვლელობას მორწმუნე ადამიანი, რომელიც ბიბლიას კითხულობდა და მით უმეტეს კი მას შემდეგ, რაც გამომჯობინდა, ჭამაც შეძლო და თანამებრძოლებს აქტიური ქმედებისკენ მოუწოდა?

**— თუკი პრეზიდენტი მოკლეს, რატომ ვერ გაიგო მის გვერდით მწოლიარე გუგუშვილმა, რომ ოთახში მკვლელი შევიდა (ერთ-ერთი ვერსიით, გუგუშვილი დააძინეს. — ი. რ.)**

— ჩვენების თანახმად, დაცვის წევრებთან გუგუშვილი გასულა და გაუღვიძებია (რატომ დაიძინა ყველამ?), ზვიადი ცუდად არის, მგონი, აღებინებსო. გუგუშვილი ირწმუნება — პრეზიდენტმა თავი მოიკლაო და თუკი გასროლის ხმაც გაიგო, რას ნიშნავს მისი ნათქვამი, ზვიადი აღებინებსო... არ არის ეს საეჭვო? ბაჩუკი გვანცელაძე თავის ჩვენებაში ამბობს (ის ყველაზე ბოლოს შედის პრეზიდენტის ოთახში), რომ გამაღვიძეს, ჯერ „ბატინკის“ თასმები შევიკარი, მერე შევედი ზვიადის ოთახში, ის გარდაცვლილი დამხვდა და ოდნავ გვერდულად იწვაო. იმავეს ამბობს მარგველანიც... ოჯახის უფროსი კი ამბობს — ხმა შემომესმა, რომელიც ტაშტის დავარდნას მივამსგავსეო. დავადგინეთ, რომ ოჯახის უფროსს ტაშტისა და იარაღის ხმის გარჩევა არ უნდა გასჭირვებოდა, რადგან პროფესიონალი მონადირეა.

საგამოძიებო ჯგუფის წევრები ჩავედით სამეგრელოში და გავიარეთ გზა, რომელიც განვლო პრეზიდენტმა. გადაუჭარბებლად ვიტყვი, ეს გოლგოთის გზა იყო. უამრავი ადამიანი ვნახეთ და ვესაუბრეთ, ბევრი ახალი დეტალი მოვიძიეთ. თურმე, პრეზიდენტს კუდზე ასხდნენ მსტოვრები და სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ. გავიგეთ, ვინ ტრიალებდა პრეზიდენტის ირგვლივ. ისიც შევიტყვეთ, რომ ამ საქმეში გადაცმული ქალებიც მონაწილეობდნენ. ზვიადის გარშემო უშიშროების თანამშრომლებიც იკვეთებიან...

**— კონკრეტულად, ვისი მითითებით მოქმედებდა ეს ხალხი?**

— მაშინ უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე იყო, მან ყველაფერი იცის პრეზიდენტის მკვლელობაზე, მაგრამ რამდენად მონაწილეობდა ამ საქმეში, ვერ გეტყვით (ერთ-ერთი ვერსიით, იგორ გიორგაძემ უარი თქვა ამ დავალების შესრულებაზე და ეს საქმე სხვას დაევალა). არ გამოვრიცხავ, რომ ზოგ ოჯახში, სადაც პრეზიდენტი თავს აფარებდა, მას უშიშროების აგენტები მასპინძლობდნენ და არა პატიოსანი, ჩვეულებრივი გლეხები. ამის საფუძველს იძლევა სპეცსამსახურების მაშინდელი ხელმძღვანელების განცხადებები, რაც ჩვენ აღნუსხული გვაქვს.

**— ფიქრობთ, რომ უშიშროებასთან შეეძლოთ ეთანამშრომლათ პრეზიდენტის გარემოცვის წევრებს, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე მასთან იყვნენ?**

— არ გამოვრიცხავ, ეჭვი მაქვს, მაგრამ მტკიცებულებების გარეშე ბრალს ვერავის დავდებ. რომ დავაკვირდი გზას, რომელიც პრეზიდენტმა სოფელ ძველ ხიბულამდე გაიარა, სადაც ის მოკლეს, უცნაური რამ აღმოვაჩინე — ყველაზე უსაფრთხოდ პრეზიდენტი მწყემსებთან იყო. მაგრამ იქ ერთი მოქალაქე მივიდა და უთხრა — შევარდნაძის ხალხი ტყის „აჩისტკას“ აპირებს, იციან, აქ რომ ხართ. გია გულუას მეთაურობით მალე აქ იქნებიან, უნდა წახვიდეთ, თორემ დაგიჭერენო. ამის შემდეგ ზვიადი მიიყვანეს ისეთ ოჯახში, სადაც მართლაც არ



**ამ ადამიანების ერთადერთი გასამართლებელი საშუალება პისტოლეტი იყო, რომელზეც თუკი მართლა ზვიადს ეჭირა ხელში, უთუოდ მისი თითების ანაბეჭდი იქნებოდა. ამ პისტოლეტის დათვალიერებით შეიძლებოდა გარკვევა, იყო თუ არა იქიდან ტყვია ნასროლი. მაგრამ წარმოგიდგენიათ, იარაღი გაწმინდეს და სადღაც „შეინახეს“(?!).**

გაუჭირდებოდათ მისი დაჭერა. პრეზიდენტის უსაფრთხოება თანდათან მცირდებოდა. ყოველი შემდგომი სახლი, სადაც ზვიადი მიჰყავდათ, წინაზე უფრო ნაკლებად დაცული იყო. როდესაც პრეზიდენტი რამდენიმე დღით სადმე გაჩერდებოდა, ყოველთვის მიდიოდა იქ „ვიღაც“, რომელიც ამბობდა, საცაა მდევარი აქ იქნებაო და ზვიადს იძულებულს ხდიდნენ, გაქცეულიყო. ცხადია, პრეზიდენტი განგებ მიიყვანეს ღურწკაიების სახლში. ეს სახლი იდგა სამი სოფლის გზაგასაყართან. ვინმე რომ თავს დასხმოდათ, გაქცევის არანაირი შანსი არ ჰქონდა პრეზიდენტს და მის ამალას. ჩემი აზრით, იმ პირებმა, რომლებიც ზვიადის ლიკვიდაციის გეგმას ხელმძღვანელობდნენ, როგორც კი გაიგეს, საწამლავმა ზვიადი არ მოკლა, პირიქით, მომჯობინდა და აქტიურ ქმედებაზე გადასვლას აპირებსო, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იგი მოეკლათ.

**— მაგრამ გავაქტიურდეთო, ეს ხომ სიკვდილის წინა საღამოს თქვა პრეზიდენტმა. ასე მალე მიაღწევდა ეს ხმა მდევრებამდე?**

— დიახ, ეს იმ საღამოსვე გაიგეს მათ... მართალია, მაშინ მობილური ტელეფონები იშვიათად იყო, მაგრამ სპეცსამსახურების არსენალში ხომ იყო რაციები?

**— ანუ თქვენ მოღალატის ყოფნას პრეზიდენტის თანმხლებ პირებში ვარაუდობთ, ვინ იყო ის?**

— შეიძლება მათ შორის არც ერთი არ იყოს, მაგრამ ასევე შესაძლოა ნებისმიერი მათგანი ყოფილიყო მოღალატე. ეს ძიებამ უნდა დაადგინოს. ეს გაცხადდება პრეზიდენტის ცხედრის ექსპერტიზის, ტყვიის ტრაექტორიისა და მკვლელობის იარაღის დადგენის შემდეგ.

კითხვა მიჩნდება პრეზიდენტის დაცვის წევრისა და პრემიერ-მინისტრის მისამართით: როდესაც მათ ღურწკაიების სახლში რაღაც ოქმი შეადგინეს და მასში ჩაწერეს — რამდენი მანეთი ედო ზვიადს ჯიბეში, რა ტანსაცმელი და რა ფერის წინდა ეცვა, რატომ არ ჩაწერეს რამდენი ტყვია იყო ვითომ თვითმკვლელობის იარაღში? შესაძლოა, მჭიდში ოცივე ტყვია იყო და როგორ მოიკლავდა მაშინ პრეზიდენტი ამ იარაღით თავს? სად არის გასროლილი ტყვიის გულა და მასრა? თუ ნახეს, რატომ არ შეინახეს ეს ნივთმტკიცებები? იმ ოთახში რომ შევედი, ყველგან ვეძებე, იქნებ სადმე კედელში გულა ჩარჩა-მეთქი. ვერსად ვნახეთ ნატყვიარი. მერე რომ ითქვა, ზვიადს არგენტინული წარმოების იარაღი ედო ჩანთაშიო, ის რატომ არ შეიტანეს მაშინვე ოქმში? მაშინ, როდესაც რაზმაძე და ბალუაშვილი კატეგორიულად ამტკიცებდნენ, მან თავი მოიკლაო, რატომ უდასტურებდნენ შევარდნაძის ხელისუფლებას მარგველანი და გუგუშვილი ასე თავგამოდებით — კი, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. ეს ხომ არც ერთ მათგანს საკუთარი თვალით არ უნახავს. ამით ხომ საკუთარ თავს აყენებენ ეჭვქვეშ. ჩვენებაში, რომელიც მარგველანმა მისცა, ბალუაშვილი ოთხჯერ ეკითხება და ამეორებინებს — დარწმუნებული ხართ, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლაო? მარგველანი იურისტი არ არის, პროფესიულად დასმულ კითხვას ვერ მიხვდა და პასუხობს — დიახ, დარწმუნებული ვარო. ამ საქმეში მთავარი მოწმეები სწორედ გუგუშვილი და მარგველანი არიან. ისინი აუცილებლად ერთ დღეს უნდა დაიკითხონ დ მაშინვე უნდა მოხდეს მათი დაპირისპირებაც.

**— რატომ გაქრა ტყვიის მასრა და გულა?**

— თუ იარაღი ნაგანის ტიპისაა, შესაძლოა, მკვლელმა შემთხვევის ადგილზე მასრა არ დატოვოს, სხვა შემთხვევაში კი შეიძლება სპეციალური ბადის გამოყენება — გასროლის შემდეგ მასრა ბადეში ვარდება და მკვლელს ის თან მიაქვს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ტყვიის გულა უსათუოდ შემთხვევის ადგილზე უნდა დარჩეს. ამ შემთხვევაში გულა რატომღაც არ ჩანს. პრეზიდენტის ჭრილობა გამჭოლი იყო. ტყვიის ტრაექტორია ასეთია — ის მარჯვენა საფეთქლიდან მარცხენა ყურის ზემოთ არის გამოსული, ისე, რომ ყურის ზედა ნაწილი ოდნავ წაწყვეტილია. მარცხენა ყურთან ნატყვიარი იმდენად პატარა იყო, რომ ბურჯანაძე და კეკენაძე ჩვენებაში ამბობენ, შემავალი ჭრილობა ვნახეთ, მაგრამ გამავალს ვერ ვპოულობდითო. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი წვრილკალიბრიანი იარაღით მოკლეს, თორემ „სტეჩკინის“ ტყვია ყურს მთლიანად მოაგლეჯდა და საძებარი არ გახდებოდა ნატყვიარი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს იარაღი, რომელიც ვითომდა ჩანთაში ედო ზვიადს.

**— როგორ მოიქცნენ პრეზიდენტის დაცვის წევრები, კეკენაძე და ბურჯანაძე, როდესაც მისი სიკვდილის ამბავი გაიგეს. მათ რა ჩვენება მისცეს?**

— როდესაც ისინი ღურწკაიების სახლში მივიდნენ და გარდაცვლილი პრეზიდენტი ნახეს, შეხლა-შემოხლა მოხდა. კეკენაძემ იარაღიც გადატენა და ავტომატით უნდოდა მარგველანისა და გვანცელაძის დახოცვა — თქვენი ბრალია, რატომ დამტოვეთ, რატომ მომტყუეთ, სალ-სალამათი კაცი ჩაგაბარეთ და მკვდარი დამახვედრეთო. მარგველანს უთქვამს, — ბიჭო, სისულელე არ ჩაიდინო, ჩვენ თუ დაგვხოცავ, იფიქრებენ, რომ ზვიადი ჩვენ მოვკალით და მერე ერთმანეთი დავხოცეთო, — და ამან შეაჩერა კეკენაძე.

პრეზიდენტის ლიკვიდაციის ოპერატიული გეგმა თბილისში დაიგეგმა და ეს გეგმა მაშინდელ ხელისუფლებაში ყველამ იცოდა. ეს უჭკუო კაცის დაგეგმილი და უჭკუო კაცის შესრულებული მკვლელობაა. მსროლელიც უჭკუო ბოთე იყო და დამგეგმავიც უტვინო. მათ იმდენი კითხვა დატოვეს, რომ ცხადია, კომპეტენცია აკლდათ. ამ მკვლელობის დამკვეთი რომ ედუარდ შევარდნაძეა, ეს პირადი გამოძიებით დაადგინა ვალტერ შურღაიამ. ჩემთან თვითმხილველებმაც ასევე დაადასტურეს — ზვიადს თბილისიდან ჩამოყვანილ სპეცრაზმელებთან ერთად გულუა მისდევდაო. გავარკვიე ისიც, რომ გულუას ჯგუფის გარდა კიდევ რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა ზვიადის გასანეიტრალებლად. პირად საუბრებში ხალხი ასახელებს მკვლელობის დამგეგმავის და უშუალოდ მკვლელის ვინაობასაც, მაგრამ სანამ ოფიციალურ ჩვენებას არ მომცემენ, არ შეიძლება მისი ვინაობის დასახელება. მჯერა, რომ ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკლავს, მაგრამ დავუშვათ, ასეც მოხდა, რატომ არ აღძრა ბალუაშვილმა საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით? ამ საქმის გამო დასაკითხია ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელი ედუარ შევარდნაძე. მას სულ მცირე 50 კითხვაზე მაინც მოუწევს პასუხის გაცემა...

ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული „უცნაურობები“ დღესაც გრძელდება. მას შემდეგ, რაც ჩვენი კომისიის დასკვნით შეწყდა საქმე ზვიად გამსახურდიაზე, მაშინვე უნდა აღძრულიყო საქმე იმ პირებზე, რომელთაც მასზე ბრალდებები შეთითხნეს... ეს რატომღაც არ ხდება. არაერთ ინსტანციაში გავაგზავნეთ წერილები კომისიის წევრებმა, რატომ გავჩერდით, რატომ არ ეძლევა საქმეს შემდგომი მსვლელობაო, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ... თუ გამოძიება გაგრძელდა, უთუოდ დადგება იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს. აქ იკვეთებიან ის პირები, რომლებიც დღესაც ცდილობენ საქართველოში 1991-92 წლების მოვლენების განმეორებას და მოსკოვიდან რაღაც ინტერვიუებს იძლევიან დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ.

**— ვის გულისხმობთ?**

— თენგიზ კიტოვანს... ხომ ნახეთ, რა კომენტარები გააკეთა მან „ნტვ“-ზე მომზადებულ გადაცემაში, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ეძღვნებოდა. იმ მასალებიდან გამომდინარე, რომელიც არსებობს, კიტოვანი სისხლის სამართლის დამნაშავეა და პასუხისმგებლობას ვერ აცდება.

წაიკითხეთ ჯაბა იოსელიანის „სამი განზომილება“ და ჯემალ ჭუმბურიძის „თქვენს გასაგონად, ბიჭებო“. იქ პირდაპირ წერია, ვინ რა დანაშაული ჩაიდინა და ვინ როგორ გეგმავდა ანგარიშსწორებას ზვიად გამსახურდიაზე.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცას არ უნდა პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიება. როგორც კი დავასრულეთ 600-ტომიანი მასალების შესწავლა (რაც ეხებოდა სამოქალაქო ომს, პრეზიდენტის მკვლელობას და შემდგომ მოვლენებს) და ხელი მოვაწერეთ დადგენილებას ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ საქმის შეწყვეტაზე და ის-ის იყო, პრეზიდენტის მკვლელობის დეტალების საფუძვლიანი კვლევა უნდა დაგვეწყო, რომ კომისიის წევრები, რომელთაც თავის დროზე ოთახებიც კი გამოგვიყვეს, პროკურატურის შენობაშიც აღარ შეგვიშვეს — თქვენზე საშვები არ არის დაშვებულიო. არ ვიცი, ვის და რატომ დასჭირდა ჩვენი გაჩერება შუა გზაზე...

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრს, **ვალტერ შურღაიას**. მან ჩვენთან საუბრისას რამდენიმე მომენტზე გაამახვილა ყურადღება:

— მახსენდება ბესარიონ გუგუშვილის ბოლოდროინდელი სატელევიზიო ინტერვიუ. მისი პოზიცია და არგუმენტები მეტისმეტად სუსტი მეჩვენა. როდესაც ჰკითხეს, — სად არის პისტოლეტი, რომლითაც გამსახურდიამ თავი მოიკლაო, უპასუხა — ის პისტოლეტი მიწაში რომ დაემარხათ, დაიჟანგებოდა, ამიტომ ბიჭებმა გაწმინდეს, გაპოხეს და სად შეინახეს, არ ვიცითო. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამის გაკეთება დიდ შეცდომა იყო ერის და ისტორიის წინაშე. ამ ადამიანების ერთადერთი გასამართლებელი საშუალება პისტოლეტი იყო, რომელზეც თუკი მართლა ზვიადს ეჭირა ხელში, უთუოდ მისი თითების ანაბეჭდი იქნებოდა. ამ პისტოლეტის დათვალიერებით შეიძლებოდა გარკვევა, იყო თუ არა იქიდან ტყვია ნასროლი. მაგრამ წარმოგიდგენიათ, იარაღი გაწმინდეს და სადღაც „შეინახეს“(?!).

მქონია იარაღი და ვიცი მისი გამოყენების შემდეგ რა კვალიც რჩება. ვახტანგ ბოჭორიშვილს ვკითხე — როდესაც გარდაცვლილი პრეზიდენტი ნახეთ, ნატყვიარის ადგილას თმა შეტრუსული ჰქონდა-მეთქი? არაო, — მიპასუხა. არადა, როდესაც ადამიანი მიბჯენით ისვრის თავში იარაღს (ანუ თავს იკლავს), ლულიდან ალი გამოდის, რომელიც უთუოდ შეტრუსავს თმას.

არ მინდა ვერსიებითა და ვარაუდებით ლაპარაკი. ციხეში რომ ვიჯექი, იმ პერიოდში დაიბეჭდა ვითომ ერთი ჩვენი თანამებრძოლის ინტერვიუ — ზვიად გამსახურდია 31 დეკემბერს არ მომკვდარა, ის 5 იანვარს ვნახე ტყეში და ხელი მაგრად ჩამომართვაო. ეს მაშინდელი ხელისუფლების მიერ რაღაც მიზნებისთვის გავრცელებული ინფორმაცია იყო, თორემ ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც ჰქონდა ჩამორთმეული ხელი ზვიადისთვის, იცოდა — რომ მან ხელის ჩამორთმევა რბილად იცოდა... ჯერჯერობით იმიტომ არ ვლაპარაკობ, რომ არ მინდა ხელი შევუშალო გამოძიებას, მაგრამ თუ ეს გამოძიება არ შედგა, საფლავში ისე არ ჩავალ, სანამ ზვიადის მკვლელს არ გამოვააშკარავებ.

*იზო რკაძე*



# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*



**ვარ 38 წლის. ორი წელია, გულის არეში მაქვს ტკივილი, რომელიც ხელს გადაეცემა. ფიზიკური დატვირთვის დროს ტკივილი ცხრება. მტკივა თავიც. კარდიოგრამა ნორმალურია. იქნებ ამიხსნათ, რა ტკივილებია ეს?**

***პატივისცემით, მკითხველი***

ტკივილის მიზეზი გულის პათოლოგია რომ იყოს, ფიზიკური დატვირთვის დროს კი არ დაცხრება, არამედ უფრო გაძლიერდება — სწორედ დატვირთვის ტესტს იყენებენ სტენოკარდიის სადიაგნოსტიკოდ. ნაკლებად სავარაუდოა აგრეთვე ნეკნთაშუა ნევრალგია და ოსტეოქონდროზიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფრის მიზეზი ნეიროცირკულაციური დისტონია ე.წ. „გულის ნევროზია“. გირჩევთ, კონსულტაციისთვის მიმართოთ ნევროლოგს.

**ვარ ასაკოვანი. დამჩემდა მძაფრსუნიანი ოფლიანობა. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

***მკითხველი***

გაძლიერებული ოფლიანობის დროს პირველ რიგში უნდა გამოვრიცხოთ ქრონიკული დაავადებები (მაგალითად, ტუბერკულოზი, რევმატიზმი). განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს, რომ არ გამოგვეპაროს ენდოკრინული პათოლოგია (თირეოტოქსიკოზი). ასაკოვანი ადამიანის ორგანიზმიდან გამოყოფილი ოფლის მძაფრი სუნი დაკავშირებულია ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან, კუჭ-ნაწლავისა და თირკმლების ფუნქციათა მოშლასთან, აგრეთვე კანის ეპითელიზაციის დაქვეითებასთან. გირჩევთ, ჩაიტაროთ ზოგადი სამედიცინო გამოკვლევა თერაპევტის მეთვალყურეობით.

**გვსურს შევიძინოთ ზაზუნა. მაგრამ ამას წინათ მე და ჩემმა მშობლებმა გაზეთში წავიკითხეთ, რომ თურმე ზაზუნა შესაძლებელია ცოფიანი იყოს და ადამიანს უკბინოს. როგორ გავარკვიოთ, არის თუ არა ცოფიანი ზაზუნა?**

***თქვენი ერთგული მკითხველი გიორგი ბერაძე, 13 წლის***

მღრღნელები მართლაც არიან ცოფის ვირუსის წყარო ადამიანისთვის — ცოფით დაავადებული მღრღნელის მიერ დაკბენის შედეგად ადამიანი შეიძლება დაავადდეს ამ უმძიმესი სენით. ამიტომ სიფრთხილის გამოჩენა მართლაც საჭიროა.

უნდა გითხრათ, რომ ცოფით დაავადებული ცხოველი დიდხანს ვერ ცოცხლობს — დაახლოებით 10-14 დღეში იღუპება. ამიტომ შეძენამდე შეგიძლიათ დააკვირდეთ ზაზუნას — თუ ჯანმრთელია, კარგად იკვებება, მისი მდგომარეობა სტაბილურია რამდენიმე დღის განმავლობაში, მაშინ შეგიძლიათ შეიძინოთ ცხოველი, თუმცა ზაზუნას ჯანმრთელობის პროფილაქტიკისთვის ვეტერინარულ სამსახურს უნდა მიმართოთ.

**შესაძლებელია თუ არა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოწესრიგება წამლების გარეშე?**

***პატივისცემით, ვ. ჯანიკაშვილი***

მკითხველი არ აზუსტებს, ფარისებრი ჯირკვლის კერძოდ რომელ დარღვევაზეა ლაპარაკი. ბევრი რამაა დამოკიდებული დიაგნოზზე. ფარისებრი ჯირკვალი პატარა ზომის ორგანოა, მაგრამ მასში მრავალგვარი დაავადება შეიძლება განვითარდეს.

თუ საუბარია ენდემურ ჩიყვზე, ამ შემთხვევაში არამედიკამენტური მკურნალობა შეიძლება გულისხმობდეს იოდის შემცველი პროდუქტების: იოდიზებული მარილის, ზღვის კომბოსტოს, თევზის მიღებას. მაგრამ იოდის დეფიციტის ბუნებრივი ზონები ზღვიდან შორს მდებარეობს, ზღვის ცოცხალი პროდუქტები ამ ზონებში ყოველთვის ვერ აღწევს, რაც შეეხება იოდიზებულ მარილს, იოდის დღიური დოზის (100-150 მგ იოდი) შესავსებად საჭიროა მისი საკმაოდ დიდი რაოდენობით მიღება. ყურადღება უნდა მიექცეს მისი შენახვის ვადას (ვადაგასული მარილიდან იოდი ქროლდება). ამჟამად შექმნილია იოდიზებული რძე, საფუარი და სხვა პროდუქტებიც.

თუ საკვების გზით მიღებული იოდი ვერ ავსებს იოდის დეფიციტს, საჭირო ხდება მისი პრეპარატების სახით მიღება.

ენდემური ჩიყვის გარდა, ფარისებრი ჯირკვლის ყველა სხვა პათოლოგია მედიკამენტურ მკურნალობას საჭიროებს. გირჩევთ, დროულად მიმართოთ ენდოკრინოლოგს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## პარკინსონის დაავადება ახალგაზრდებშიც გახშირდა

ამჟამად მსოფლიოში არაერთი მეცნიერი მუშაობს პარკინსონის დაავადებაზე, რომლითაც უმეტესად 60 წელს გადაცილებული ადამიანები ავადდებიან, თუმცა პარკინსონის დაავადება 15-18 წლის მოზარდსაც კი შეიძლება დაემართოს. ამიტომ პრობლემა ძალზე სერიოზულია.

ახლახან ჩვენს დედაქალაქში გაიმართა სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელიც პარკინსონის დაავადებას მიეძღვნა. რატომ არის საშური ამ დაავადებასთან ბრძოლა და რა საშიშროებას წარმოადგენს იგი ადამიანისთვის, სიმპოზიუმის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პარლამენტის წევრი, ექიმი-ნევროლოგი **გიორგი გეგელაშვილი** მოგვითხრობს:

— პარკინსონის დაავადება შეიძლება გენეტიკური იყოს, მაგრამ ასევე შესაძლებელია ტრავმის, რომელიმე პრეპარატის არადანიშნულებისამებრ ან ჭარბად მიღების, ან ანთებითი პროცესის შედეგად განვითარდეს. ორი საუკუნეა, რაც ექიმები პარკინსონის დაავადებას შეისწავლიან. უკვე აღმოჩენილია მისი გამომწვევი გენიც, თუმცა არსებობს შეძენილიც.

**— რამდენი კაცია პარკინსონით დაავადებული საქართველოში?**

— დაახლოებით 6000. სამწუხაროდ, ზუსტი სტატისტიკა არ გვაქვს. პარკინსონით დაავადებული ადამიანი თითქმის ჩამოშორებულია საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხშირ შემთხვევაში, იგი სავსებით უმწეოა. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის დახმარებას. მოგეხსენებათ, ამ დაავადების სამკურნალო პრეპარატები ძალიან ძვირი ღირს. არადა, ეფექტიანი და დროული მკურნალობით შეიძლება ბევრს მდგომარეობა არსებითად შეუმსუბუქდეს. იკურნება თუ არა პარკინსონი? — მეკითხებიან ხშირად. ვიმეორებ, დაავადებას სისტემატური მეთვალყურეობა და სათანადო მკურნალობა სჭირდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია პარკინსონით დაავადებულს სრულფასოვნად იცხოვროს.

**— თურმე პარკინსონით დაავადება ახალგაზრდებშიც ხშირია...**

— პარკინსონის მძიმე ფორმით განსაკუთრებით ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდები ავადდებიან. დაავადების ეს ფორმა ყველაზე ძნელად სამკურნალოა. მაგალითად, გვყავს პაციენტი, რომელიც 15 წლისაა და იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, რომ დამოუკიდებლად ვერ დადის.

**— რამდენად სწრაფად ავადდება ნარკოტიკების მომხმარებელი?**

— დღეს თბილისში ტოქსიკომანიაა „მოდაში“. სულ ექვსი თვეა საჭირო, რომ მძიმე პარკინსონიზმი განვითარდეს. ძალიან იმატა ასეთმა შემთხვევებმა. როცა დაძახებისას და მოტრიალებისას ადამიანი ეცემა, ეს დაავადების პირველი ნიშანია. მათ მხოლოდ „სწორ გზაზე“ შეუძლიათ გამართულად სიარული. შორსწასული დაავადებისას ესეც აღარ ძალუძთ. გარდა ამისა, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ასეთი ავადმყოფი თითქოს იღიმება. სინამდვილეში კი სახის კუნთები ეჭიმება. აღარ შეუძლიათ პირადი მომსახურება, ჩაცმა-დახურვა... ეს დიდი უბედურებაა მათთვისაც და მათი ოჯახებისთვისაც.

P.S. როგორც ხედავთ, პარკინსონით დაავადების პრობლემა დღეს მეტად მწვავედ დგას. მართალია, სპეციალისტები ძალ-ღონეს არ იშურებენ დაავადებულთა დასახმარებლად, მაგრამ ჩვენც გვმართებს დაფიქრება. ჩვენი აზრით, საზოგადოებამ განგაშის ზარი უნდა ჩამოჰკრას, ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ იმ საშიშროების წინააღმდეგ, რასაც პარკინსონის დაავადება ჰქვია.

***ლელა ჯიყაშვილი***


**სახსრები გტკივათ?**

**სწორი და დროული მკურნალობა საშუალებას მოგცემთ, თავიდან აიცილოთ დაავადებები!**






**მუვ ფრი**

«მუვ ფრი» – ბუნებრივი ქონდროპროტექტორი, წარმოდგენილია უნიკალური გლიკოზამინგლიკანების კომბინაციით და ორგანიზმში განაპირობებს შემდეგ ეფექტებს:
- მნიშვნელოვნად ამცირებს ტკივილის სინდრომის ინტენსივობას და ახანგრძლივებს რემისიას;
- აქრობს ანთებას და განაპირობებს სახსრის ხრტილოვანი ქსოვილის არსებული დეფექტების აღდგენას;
- შეგინარჩუნებთ მოძრაობის სიფართეს და სიმსუბუქეს;
- აჩქარებს მოტეხილობების რეაბილიტაციის პერიოდს.

მიიღეთ „მუვ ფრის“ დამცავი კაფსულები და გაიადვილეთ მოძრაობა!

ARTHRITIS FOUNDATION

ხარისხი გარანტირებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტით. რეკომენდებულია ამერიკის ართრიტის ფონდის მიერ.

**სიახლე! - „მუვ ფრი“ ახლა უკვე მსმ-ით**

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
Schiff 60 შიფი
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრებში: ქ. თბილისი, აბულაძის 8, ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80
ჯეოვიტი GEOVIT
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com


*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*


**homeopaTia**

დაავადებათა ჰომეოპათიური მკურნალობა გარანტიით, იაფად.

აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. №3 14-17სთ. (სპორტის სასახლის უკან) საგარეჯოს 13 ☎ 35-32-55

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

**სწრაფად და შესანიშნავი შედეგებით!**

**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწალისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა**



ინკურნება ეს პათოლოგიები ცნობილ მანუალურ თერაპევტ — ექიმ სოსო ფირცხალაიშვილთან: მანუალური თერაპიის მოდერნიზებული მეთოდი. სარტყელი „სწორდი“ — მოდუნებული კუნთების ტონუსში მოყვანა, ტანის გასწორება. „უნივერსალური ტახტი“ — ტოტალური და მიმართული (სეგმენტური) გაჭიმვა. სპექტრენაჟორი „ოქროს ღერძი“, მოძრაობის კოორდინაციის აღსადგენად და სხვ. კონსულტაცია უფასოა!!!

მობრძანდით კერძო კლინიკაში 10-20 სთ. შემდეგ მისამართზე: მარჯანიშვილის მოედანი, აღმაშენებლის 90/84 I სად, II სართ. ბინა 2.
ტელ: 95-47-67; 899-26-51-08 75-06-14 (საღამოს)

**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

შეიძინეთ!!!
- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური საჩხვლეტი
- კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი



შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03; 899-19-60-55

**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე;

ხუთშაბათობით კონსულტაციები უფასოა

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

**ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება:**



სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტები, კიფოზი, ნევროზი, შიშები, შაკიკი, პოსტინსულტური დამბლა, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t=37,2°C), სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება.

კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა.
მის: მ. „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18
ანატოლი შავიძე ☎ 61-65-03; 893-20-68-21

# ტერორისტების ახალი გამოწვევა

არაბულმა ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ" აჩვენა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც „ალ-ქაიდას" თავკაცი, უსამა ბინ ლადენი კვლავ ემუქრება ამერიკის შეერთებულ შტატებს. ის ირწმუნება, — არა აქვს მნიშვნელობა, ვის აირჩევს აშშ პრეზიდენტად — ჯორჯ ბუშსა თუ ჯონ კერის, ქვეყნის უსაფრთხოება მხოლოდ და მხოლოდ მის საგარეო პოლიტიკაზეა დამოკიდებულიო.

პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი მაშინვე გამოეხმაურა ბინ ლადენის ნათქვამს: ჯორჯ ბუშმა განაცხადა: — ამერიკელებს ვერავინ შეაშინებს, ჩვენი ქვეყნის მტერი ვერ შეძლებს მათზე გავლენის მოხდენას, დარწმუნებული ვარ, ამაში



სენატორი კერიც დამეთანხმებაო. ჯონ კერი, ცხადია, დაეთანხმა ჯორჯ ბუშს და, თავის მხრივ, დაურთო: — ამერიკელთა გადაწყვეტილება, გაანადგურონ უსამა ბინ ლადენი და ტერორისტები, უცვლელია, მეც არაფრის წინაშე უკან არ დავიხევ ამ გადაწყვეტილების შესასრულებლადო.

მიმომხილველების აზრით, ბინ ლადენს სურდა, თავისი გამოსვლით მსოფლიოსთვის თავი შეეხსენებინა — ცოცხალი ვარ და კვლავაც ძალიან საშიშიო.

ბინ ლადენის ჩანაწერი იწყება სიტყვებით: — ამერიკელო ხალხო, მოგმართავთ იმიტომ, რომ თავიდან ავიცილოთ კიდევ ერთი მანჰეტენი. ბუში გატყუებთ, სიმართლეს არ გეუბნებათ. ამიტომაც ისევ არსებობს მიზეზი იმისა, რაც უკვე მოხდა... აშშ-ზე თავდასხმის აზრი მაშინ გამიჩნდა, როცა 1982 წელს ვნახე ლიბანში ისრაელის ინტერვენციის შედეგად დანგრეული კოშკები. ისრაელმა ეს აშშ-ის მხარდაჭერით გააკეთაო.

ბინ ლადენის გამოჩენა, ერთი მხრივ, ხელს აძლევს ჯონ კერის, რომელიც გაუთავებლად საყვედურობს ჯორჯ ბუშს, — როგორ მიეცი ბინ ლადენს ავღანეთის მთებში მიმალვის საშუალება, ხელისუფლება აუცილებლად უნდა შეიცვალოსო. მეორე მხრივ, ბინ ლადენმა ისევ 11 სექტემბრის ტერაქტისაკენ მიმართა ამერიკელთა ყურადღება, მრავალრიცხოვანმა გამოკითხვამ კი დაადასტურა, რომ როცა ლაპარაკია ტერორიზმთან ბრძოლაზე, ამერიკელთა 61% ჯორჯ ბუშის მხარეზეა.

*ბი-ბი-სი*

# ბრაზილია აზიელებს კოსმოსს ეცილება

ცოტა ხნის წინ, ალკანტარის კოსმოდრომიდან, ბრაზილიამ პირველი რაკეტა — VSB-30 გაუშვა, მაგრამ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, რომ ბრაზილიელები ორბიტაზე დამოუკიდებლად მალე გაგზავნიან თავიანთ კოსმონავტს. რაკეტა VSB-30-ს შეუძლია დაახლოებით 400 კგ ტვირთის ზიდვა და 250 კმ-მდე ასვლა. კოსმოსში ადამიანის გამყვანი პილოტირებული აპარატები საშუალოდ 5-7 ტონას იწონის.

ბრაზილიის კოსმოსური სააგენტოს ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ რაკეტის გაშვება ქვეყანას მისცემს დიდი ხნის განზრახვის შესრულების საშუალებას — რაკეტები მიჰყიდოს ევროპის კოსმოსურ სააგენტოს. სავარაუდოდ, ევროპის კოსმოსური სააგენტო VSB-30-ს შეიძენს იმავე კლასის ბრიტანული რაკეტების სანაცვლოდ.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ბრაზილიის კოსმოსური ამბიციები. იაპონია და ინდოეთიც კი, რომლებიც ბრაზილიასთან შედარებით გაცილებით წინ არიან წასული, ვერ იწონებენ თავს ამ დარგში ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაკუთრებით.

ექსპერტების აზრით, რაკეტის გაშვება არ ნიშნავს იმას, რომ ბრაზილია სარაკეტო სახელმწიფოების რიგში დგება.

*კომერსანტი*

# როგორ ცხოვრობენ აშშ-ის პრეზიდენტები



აშშ-ის პრეზიდენტის უმთავრესი პრივილეგიაა უფასო საცხოვრებელი პენსილვანიის ავენიუზე, რომელიც თეთრი სახლის სახელით არის ცნობილი. ის 1792 წელს აშენდა. საპრეზიდენტო სასახლის ადგილი პირადად ჯორჯ ვაშინგტონმა აარჩია, თუმცა თავად არ უცხოვრია აქ. თეთრი სახლი ძალიან დიდია, მისი უმეტესი ნაწილი მიწისქვეშაა. აქ არის 132 ოთახი, 147 ფანჯარა, 28 ბუხარი, 8 კიბე და 3 ლიფტი. სახლს 100-ზე მეტი კაცი ემსახურება.

პრეზიდენტი შეიარაღებულ ძალთა დე ფაქტო მთავარსარდალია და შეუძლია ატაროს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალთა ფორმა, თუნდაც თვითმფრინავის შტურვალთან ერთხელაც არ იყოს ნაჯდომი.

## ბიბლიოთეკა

პრეზიდენტებმა, რომლებიც პოსტს ტოვებენ, იციან, რომ მათ სიცოცხლის ბოლომდე ეკუთვნით უფასო საფოსტო მომსახურება, უფასო ოფისი და თანაშემწეების შესანახი თანხა. გარდა ამისა, სურვილის შემთხვევაში, ეძლევათ თანხები საკუთარი საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის დასაარსებლად.

## ავტომობილი

პრეზიდენტ უილიამ ტაფტის ბრძანებით, 1909 წელს საჯინიბოები გარაჟებად გადაკეთდა. იმ დროიდან ყველა პრეზიდენტი, გრძელი, შავი ლიმუზინით დაბრძანდება. უმეტესად ეს არის ტყვიაგაუმტარმინებიანი და საბურავებიანი „კადილაკი".



## შვეულმფრენი

თავისუფალი სამყაროს ლიდერს მცირე მანძილის დასაფარავად შეუძლია გამოიყენოს მის განკარგულებაში მყოფი რომელიმე შვეულმფრენი. იმ შვეულმფრენს, რომლითაც პრეზიდენტი მიფრინავს, ჰქვია „Marine One".

## ბუნკერები

სამხედრო თათბირების ოთახი თეთრი სახლის დასავლეთი ფრთის სარდაფშია და მსოფლიოში საუკეთესო ტექნიკითაა აღჭურვილი: კედლებში ჩამონტაჟებულია ვიდეოეკრანები, ელექტრონული რუკები, თანამგზავრული დაზვერვის სისტემები და საათი, ისიც აჩვენებს იმ ზონის დროს, სადაც მიმდინარეობს კონფლიქტი, რომელსაც იმ მომენტში იხილავენ. იქ ყოველთვის მორიგეობს ოფიცერი, რომელიც იწერს აშშ-ის პრეზიდენტის მიერ მსოფლიოს სხვა ლიდერებისათვის ნათქვამ ყოველ სიტყვას.

სათათბირო ოთახი ის ბუნკერი არ არის, საითაც გაემართა ჯორჯ ბუში 2001 წლის 11 სექტემბერს. მას ჰქვია „საგანგებო შემთხვევების დროს საპრეზიდენტო ცენტრი". ამბობენ, ის ბირთვულ აფეთქებასაც კი გაუძლებსო.

## თვითმფრინავი

საზღვარგარეთ გასამგზავრებლად პრეზიდენტის განკარგულებაშია ათამდე თვითმფრინავი. რომლითაც გაფრინდება, იმ თვითმფრინავს ჰქვია „Air Force One". ყველაზე ხშირად პრეზიდენტი დაფრინავს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ბოინგ 747-200 Bs-ით. ამ თეთრ-ცისფერ თვითმფრინავში არის სათათბირო დარბაზი, 50-კაციანი სასადილო, მდიდრული საძინებელი, საშხაპე, ოფისი თანამშრომლებისათვის, 87 ტელეფონი და სპეციალური ოთახი ჟურნალისტებისათვის. 76-მდე მგზავრს 26-კაციანი ეკიპაჟი ემსახურება.

ჯორჯ ბუშის თხოვნით, თვითმფრინავში ტრენაჟორიც დააყენეს. Air Force One-ს „მფრინავ ოვალურ კაბინეტსაც" ეძახიან, მას თითქმის მთელი კვირის განმავლობაში შეუძლია ჰაერში ყოფნა.

## დაცვა

პრეზიდენტს ყოველთვის თან ახლავს დაცვა. ისინი თვალს არ აშორებენ სახელმწიფოს მეთაურს და მის ოჯახს. წინა წლებისგან განსხვავებით, როცა დაცვა სიცოცხლის ბოლომდე იცავდა თითოეულ პრეზიდენტს, ახლა უკვე, ბუშიდან დაწყებული, პოსტიდან წასვლის შემდეგ, პრეზიდენტებს დაცვა მხოლოდ 10 წლინადს ეყოლებათ.

## უფასო სასმელ-საჭმელი

თეთრი სახლის 5 სამზარეულო მორიგეობით დღედაღამ მუშაობს. თუ პრეზიდენტს შუაღამისას გამოეღვიძა და, მაგალითად, რომელიმე ეგზოტიკური ხილის ვაჟინში ჩადებული იხვის თეთრი ხორცის მირთმევა მოინდომა — მიირთმევს, არც ღვინოზე ეტყვიან უარს — თომას ჯეფერსონის პრეზიდენტობის დროიდან თეთრ სახლს კარგი მარანი აქვს. თუ პრეზიდენტი ალკოჰოლიან სასმელს არ მიირთმევს, როგორც ბუში-უმცროსი (რომელმაც ცხოვრების წესი შეიცვალა), შეუძლია გაზიანი წყალი დალიოს.

*ინდეპენდენტი*
*დიდი ბრიტანეთი*

# ერიდებიან თურქეთის განაწყენებას



ვარშავაში, პრეზიდენტის რეზიდენციაში, გაიმართა კონფერენცია „ევროკავშირის როლი XXI საუკუნეში". მასში ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მონაწილეობდა 50-ზე მეტი პოლიტიკოსი, დიპლომატი და ჟურნალისტი. კონფერენციაზე განიხილეს პრობლემა, რომელსაც ეს ორგანიზაცია შეეჯახა ახალი წევრების მიღების შემდეგ: ამ ათი ახალი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე საშუალო ევროპულზე გაცილებით დაბალია; ამიტომ ძველ წევრებს მოუწევთ მეტი წილის შეტანა საერთო ბიუჯეტში, რაც, ცხადია, არ მოსწონთ.

კონფერენციაზე განიხილეს საერთო ევროპული კონსტიტუციის მიღებისა და ევროკავშირში თურქეთის გაწევრების საკითხებიც.

კონფერენციის ერთ-ერთმა მონაწილემ კულუარებში განაცხადა: — მთავარია, თურქეთს არ ვაწყენინოთ, ევროკავშირში მის გაწევრებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დავიწყოთ და კარგა ხნით გავაგრძელოთო.

ევროპელებს აფრთხობს ევროკავშირში ისეთი დიდი ქვეყნის შესვლა, როგორიც თურქეთია, მით უმეტეს, რომ მისი მოსახლეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპელებისაგან.

სხვათა შორის, ვარშავაში, კონფერენციაზე, თურქეთიდან არავინ მიუწვევიათ.

*კომერსანტი*

# არაფატი პარიზში წაიყვანეს

სამი წლის განმავლობაში პალესტინის ლიდერმა პირველად დატოვა დასავლეთის სანაპირო. მის არყოფნაში ავტონომიის თავკაცის ფუნქციებს შეასრულებს პალესტინის ადმინისტრაცია, პრემიერ-მინისტრი და საკანონმდებლო საბჭო. 75 წლის იასირ არაფატს პარიზში გამგზავრებამდე ორი ღამე ექიმები და უახლოესი გარემოცვა ადგა თავს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლის, რანან გისინის განცხადებით, არაფატს მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ თავისუფლად შეეძლება რამალაში დაბრუნება.

ადრე ისრაელი აცხადებდა, — თუ არაფატი დასავლეთის სანაპიროს დატოვებს, უკან დაბრუნების ნებას არ მივცემთო.



პარიზის გადაწყვეტილება, სამედიცინო დახმარება გაუწიოს არაფატს, ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საფრანგეთი მხარს უჭერს პალესტინას, თუმცა ეს ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების უკმაყოფილებას იწვევს. პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ღია წერილი გაუგზავნა პალესტინის ლიდერს და მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

*ნიუს რუ*

## მოკლედ

**ლიბიის** ლიდერის, მუამარ კადაფის ვაჟმა საადიმ ლოს-ანჯელესში დააარსა კინოკომპანია, რომელშიც 11 მლნ დოლარი ჩადო. ის აპირებს ჰერბერტ უელსის ერთ-ერთი ნაწარმოების ეკრანიზებას ტომ კრუზის მონაწილეობით.

**ავღანეთის** პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ გაიმარჯვა ქვეყანაში გამართულ პირველ პირდაპირ საპრეზიდენტო არჩევნებში. რეგისტრირებული 8 მლნ ამომრჩევლიდან მას მხარი დაუჭირა 4,2 მლნ-მა ამომრჩეველმა.

**ეგვიპტელმა** პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, სამართალდამცავი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომელშიც ითხოვენ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის მმართველობის დასრულებას. მუბარაქი 15 წელზე მეტია მართავს ეგვიპტეს. 2005 წლის ოქტომბერში სრულდება მისი მორიგი, 6-წლიანი საპრეზიდენტო ვადა. მუბარაქს კი შემცვლელი არ დაუსახელებია. ვარაუდობენ, რომ 76 წლის ქვეყნის მეთაური შვილის გაპრეზიდენტებას მოინდომებს.

**საფრანგეთის** მთავარი დეტექტივი გახდება ქალბატონი მარტინ მინტეი. ის პოლიციაში სამუშაოდ 30 წლის წინ მივიდა და ბოლო ათი წელი პარიზის კრიმინალურ პოლიციას მეთაურობდა.

**თურქმენეთის** პრეზიდენტის, საფარმურატ ნიაზოვის მშობლიურ სოფელში გაიხსნა მეჩეთი, რომელიც 10 ათას მლოცველს იტევს. მისი მშენებლობა 100 მლნ დოლარი დაჯდა. მეჩეთის კედლებზე ამოტვიფრულია ციტატები „ყოველთა თურქმენთა მამის" — საფარმურატ ნიაზოვის თხზულებებიდან.

**ლიტვის** ექსპრეზიდენტი როლანდას პაქსასი რესპუბლიკის მთავრობას 1 მლნ ევროს სთხოვს მორალური ზარალის ასანაზღაურებლად. ვილნიუსის სასამართლომ მისი გადაყენება უკანონოდ ცნო.

**ერაყელმა** ექსტრემისტებმა სიკვდილით დასაჯეს იაპონიის მოქალაქე სოსეი კოდუ. ბოევიკებმა ორი დღით ადრე განაცხადეს, რომ თუ იაპონია თავის ჯარს არ გაიყვანდა ერაყიდან, მძევალს მოკლავდნენ. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ტერორისტთა ნება-სურვილს არ შეასრულებდა. 24 წლის სოსეი კოდუ სამოქალაქო პირი იყო.

*გვერდი მოამზადა*
*ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

„ტრონსტრონის" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიღუბის" გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ფაქსი 966-779

შპს „ბეოკორი"
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი"
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები სხვადასხვა
უმაღლესი ფერები და
ხარისხის საკეტები
პროფილით
დაბალ ფასებში
☎38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი"-ს უკან)

# კანონი არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ (პროექტი)

## მუხლი 1.

### კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია ქვეყანაში სამართლებრივი და ეკონომიური ხასიათის ლიბერალური გარემოს ფორმირების ხელშეწყობა. კერძოდ, არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების გამოვლენისა და აღიარების მიზნით ამ სახის შემოსავლების (ქონების) ლეგალიზების პირობებისა და წესის განსაზღვრა, შემოსავლების (ქონების) დაფარვისათვის პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლების დადგენა, როგორც ერთჯერადი ხასიათის განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიების განხორციელება.

## მუხლი 2.

### კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება:

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ გადასახადის გადამხდელ პირებზე, აგრეთვე საგადასახადო აგენტებზე, რომლებმაც 2004 წლის 1 იანვრამდე არ განახორციელეს საქართველოს საგადასახადო, საბაჟო კანონმდებლობითა და „საქართველოს საგზაო ფონდის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საგადასახადო ვალდებულებათა კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარირება და გადახდა.

ბ) იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებიდან 2005 წლის ბოლომდე მოახდენენ საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის, მათ შორის დაფარული ქონების დეკლარირებას ამ კანონით დადგენილი წესით.

2) ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარირებულ (დარიცხულ) და აღრიცხულ, მაგრამ გადაუხდელ საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებზე.

ბ) იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ამ კანონის ამოქმედების დღისათვის მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა ან კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო და საბაჟო სფეროებში ჩადენილი სამართალდარღვევისათვის.

გ) იმ პირებზე, რომლებმაც შემოსავალი (ქონება) დააგროვეს ისეთი დანაშაულის ჩადენის გზით, როგორიცაა: ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობა, ტერორიზმი, ტრეფიკინგი.

დ) პირებზე, რომლებსაც უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგების შედეგად ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილ გადასახადად დაუფიქსირდათ თანხები, რომლებიც ექვემდებარებიან უპირობო ანულირებას.

## მუხლი 3.

### კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის:

ა) საგადასახადო ვალდებულება — არის გადასახადის ცალკეული სახეების მიხედვით სახელმწიფოს წინაშე ფულადი ფორმით გამოხატული ვალდებულება, რომელიც საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით ექვემდებარება დეკლარირებასა და გადახდას.

ბ) დაფარული ქონება (შემოსავალი) — არის ქონება (შემოსავალი), რომელიც ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა მიიღეს საკუთრებაში ან სარგებლობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პროცედურების დარღვევით (უგულებელყოფით), მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე, 197-ე, 199-ე, მე-200, 201-ე, 204-ე, 211-ე, 213-ე, 214-ე, 216-221-ე, 332-ე, 333-ე 337-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შედეგად.

## მუხლი 4.

### არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციის წესი

1. არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაცია ამ კანონის საფუძველზე ხორციელდება საქართველოს საგადასახადო, საბაჟო კანონმდებლობითა და „საქართველოს საგზაო ფონდის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ გადასახდელებზე, რომლებიც 2004 წლის 1 იანვრამდე ნებისმიერ პერიოდში კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარებოდა დეკლარირება-გადახდას და ეს არ განხორციელებულა.

2. ამ კანონით გათვალისწინებულ პირთა არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებები ლეგალიზებულად ითვლება ამ კანონის ამოქმედების დღიდან.

3. ლეგალიზებულ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუსრულებელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები ითვლება შესრულებულად 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დაუშვებელია მათთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი დევნის, ადმინისტრაციული და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის სამართალწარმოების დაწყება ამ კანონის ამოქმედების დღიდან.

4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაკონტროლებელ ორგანოებს, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო, აგრეთვე სამართალდამცავ ორგანოებს, ეკრძალებათ ნებისმიერი ფორმით ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გადასახდელებთან დაკავშირებით რევიზიის (კონტროლი, შესწავლა, გადამოწმება) განხორციელება.

## მუხლი 5.

### პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირება- ლეგალიზაციის წესი

1. პირის ქონებრივი მდგომარეობის, მათ შორის დაფარული ქონების (შემოსავლის) დეკლარირება-ლეგალიზაცია ხორციელდება ამ კანონით გათვალისწინებულ პირთა მიერ ამავე კანონით დადგენილი წესით ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების გზით.

2. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირი კანონის ამოქმედებიდან 2005 წლის ბოლომდე უფლებამოსილია საგადასახადო ორგანოებში წარადგინოს საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ დეკლარაციაში აისახება დეკლარაციის შევსების მომენტისათვის პირის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა დაფარული ქონების (შემოსავლის) ჩათვლით. დეკლარაციაში შეტანილი მონაცემები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და მის მიმართ ვრცელდება გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემთა საიდუმლოების დაცვის თაობაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით (მუხლი 268) დადგენილი მოთხოვნები.

4. საგადასახადო ორგანო ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დეკლარაციას წარდგენისთანავე ატარებს რეგისტრაციაში, უბრუნებს დეკლარაციის დამოწმებულ ასლს და დაუყოვნებლივ გასცემს შესაბამის ცნობას.

5. დეკლარაციის ასლის დამოწმება, დეკლარაციის რეგისტრაციაში გატარება და აღნიშნულის შედეგად გაცემული შესაბამისი ცნობა წარმოადგენს ფიზიკური პირის მიერ დეკლარირებული ქონებრივი მდგომარეობის, მათ შორის დაფარული ქონების ლეგალიზაციის საფუძველსა და დამადასტურებელ საბუთს.

6. დეკლარირებული ფინანსური სახსრები ლეგალიზებულად ჩაითვლება, თუ კანონით გათვალისწინებულ ვადაში პირი განახორციელებს დეკლარირებული ფინანსური სახსრების საერთო ოდენობის 1%-ის გადახდას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

7. ლეგალიზებულ ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუსრულებელი საქართველოს საგადასახადო, საბაჟო კანონმდებლობითა და „საქართველოს საგზაო ფონდის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები ითვლება შესრულებულად 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დაუშვებელია მათთან და ამ კანონში გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი დევნის, ადმინისტრაციული ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის სამართალწარმოების დაწყება ამ კანონის ამოქმედების დღიდან.

8. ამ კანონის ამოქმედებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე გამოცხადდეს მორატორიუმი დაფარული ქონების მიღებასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე შესაბამისი საქმის წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით.

9. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებს ეკრძალებათ ნებისმიერი ფორმით ამ კანონის შესაბამისად ლეგალიზებული ქონებრივი მდგომარეობის, მათ შორის დაფარული ქონების რევიზია (კონტროლი, შესწავლა, გადამოწმება), გარდა მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ფორმას, დეკლარაციაში შესატან აუცილებელ მონაცემებს, დეკლარაციის რეგისტრაციისა და შესაბამისი ცნობის ფორმას და გაცემის წესს, იმ საგადასახადო ორგანოთა ჩამონათვალს, რომელშიც შესაძლებელია დეკლარაციის წარდგენა, ნორმატიული აქტით ადგენს საქართველოს მთავრობა.

## მუხლი 6.

### კანონის მოთხოვნათა დარღვევის შედეგი

2004 წლის 1 იანვრამდე არსებული საგადასახადო დოკუმენტების და/ან ლეგალიზებული ქონების წარმომავლობის შესახებ ფაქტების დადასტურების მოთხოვნა, აგრეთვე ამ კანონის სხვა მოთხოვნათა დარღვევა შესაბამის თანამდებობის პირთა მხრიდან გამოიწვევს მათ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

## მუხლი 7.

### გარდამავალი დებულებები

1. შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებათა თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთა დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში გაანადგურონ ან დეკლარანტს უკან დაუბრუნონ ამავე პირთა მიერ ამ კანონის ამოქმედებამდე წარდგენილი და შესაბამის დაწესებულებებში არსებული (შენახული) მათივე დეკლარაციები და შემოწმების გენერალური გეგმა.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 15 დღის ვადაში საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოცემა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

**ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

***საქართველოს პრეზიდენტი***
***მიხეილ სააკაშვილი***


## საშემოდგომო საჩუქარი „ვაზიანისგან“

### კიდევ ერთი ქართული ფილმის პრეზენტაცია „აპერკოტში“

გასულ კვირას, კინოსტუდია „აპერკოტში“ რეჟისორ ლევან ანჯაფარიძის ფილმის „არის ასეთი ქვეყანა“ პრეზენტაცია მოეწყო. „აპერკოტი“ ხშირად მასპინძლობს მსგავს პრეზენტაციებს, რომლებსაც, როგორც წესი, უმეტესად კერძო ბიზნესის წარმომადგენლები და უანგარო მეცენატები აფინანსებენ.

ფილმის ძირითადი ლეიტმოტივია უპატრონო ბავშვები, პროსტიტუცია და ნარკომანია. რეჟისორმა დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში მომხდარი კატაკლიზმების შესახებ, რომ საზოგადოება გაჯანსაღებას საჭიროებს, ხოლო ქვეყანა ისევ სტაგნაციაშია. ეს თემატიკა საკმაოდ გაცვეთილი და ტრაფარეტულია, თუმცა რეჟისორმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მისი ხედვა საკმაოდ ორიგინალური ყოფილიყო და ინერტული საზოგადოების რეაქცია გამოეწვია.

ფილმში კარგადაა ნაჩვენები თბილისის ქუჩებში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქაოსი და ის მწარე რეალობა, რაც პატარა მაწანწალებს, ნარკომანებსა და მეძავებს არსებულ ჭაობში კიდევ უფრო ღრმად ითრევს. ფილმი მხოლოდ ამ ფაქტების კონსტატაციაა და რეალურად გამოსავალს ვერ გვთავაზობს, რადგან პრობლემის არსი გაცილებით ღრმაა და მისი მოგვარება ისევ ხელისუფლების პრეროგატივაა.

პრეზენტაციაზე დამსწრე მაყურებლის რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ეს პრობლემატიკა საქართველოში დღემდე აქტუალურია და ჩვეულებრივი ობივატელი, რომელსაც საკუთარი პრობლემები ისედაც ჰყოფნის, მის მიმართ გულგრილი მაინც არ არის. როგორც ჩანს, მაყურებელზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფილმში დაკავებულ პროფესიონალ და არაპროფესიონალ მსახიობთა ანსამბლმაც.

შთამბეჭდავი სახე შექმნა ცნობილმა მსახიობმა ხათუნა იოსელიანმა, დანარჩენი პერსონაჟების პროტოტიპები კი ჩვენი საზოგადოების წევრები არიან. ფილმი იმდენად ახლოა რეალობასთან, რომ მისი ნახვის შემდეგ ბუნებრივად ჩნდება ფიქრი, რომ რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ ფილმს დადებითი შეფასება მისცა. მისი თქმით, დღეს ქართული კინო სიკვდილის პირასაა და მის პერმანენტულ გამოცოცხლებას საზოგადოება სპონსორებს უნდა უმადლოდეს.

ფილმის გადაღება დაასპონსორა მერიის კულტურის სამსახურმა, ხოლო მისი პრეზენტაცია და ფილმის კასეტების გამოშვება სააქციო საზოგადოება „ვაზიანმა“, რომელიც ალკოჰოლურ სასმელებს აწარმოებს და უკვე წარმატებით დაიპყრო არა მარტო საქართველოს, არამედ უცხოეთის ბაზარიც. კომპანიის ხელმძღვანელობა მსგავს აქციებში საკმაოდ ხშირად იღებს მონაწილეობას.

პრეზენტაცია მუსიკალური ნომრებით დასრულდა. მონაწილეობდნენ ჯგუფი „რონდო“, გიორგი ბოლაშვილი, სანდრო ლალანიძე, თამთა პატაშური, თამთა ქართველიშვილი და ჯაზ-ბალეტ-შოუ „აქცენტი“, რომლის ხელმძღვანელია ლელა მაქაცარია. მუსიკალური ნომრების შემდეგ სააქციო საზოგადოება „ვაზიანმა“ საღამო ფრომოუშენ აქციით დაასრულა და საზოგადოებას დეგუსტაციისთვის ცქრიალა ღვინოები: „სამეფო“ და „ოქრო“ შესთავაზა, რაც მსგავსი პრობლემატური ფილმის ნახვის შემდეგ მაყურებელს განტვირთვაში ნამდვილად დაეხმარა. R


# რამდენიმე აქტუალური კითხვა, რომელიც აქ მოყვანილი კანონის, ე. წ. ფინანსური ამნისტიის გარშემო ჩნდება

1. მუხლში, სადაც განმარტებულია აღნიშნული კანონის მიზანი, შავით თეთრზე წერია, რომ ეს არის „ერთჯერადი ხასიათის განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიება“. ხომ არ ნიშნავს სიტყვა „დროებითი“ იმას, რომ დამალული ქონების გამოჩენის შემდეგ და ამნისტიის ვადის ამოწურვისას, როდესმე სამართალდამცველები სიტყვა „დროებითს“ მოიშველიებენ და საქმეს აღძრავენ?

2. დღეს კანონი არ ვრცელდება იმ ადამიანებზე, რომელთა წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. რით განსხვავდებიან უკვე დაპატიმრებული ადამიანები იმათგან, ვისზეც პროკურატურამ ვერ მოასწრო საქმის აღძვრა? ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ეკონომიკური დანაშაულისათვის უკვე დაკავებულმა პირებმა მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს და საქართველოს ხელისუფლება ადამიანების დისკრიმინაციაში დაადანაშაულონ, საქმის მოგების შემთხვევაში კი მნიშვნელოვნად დააზარალონ ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი და ბიუჯეტი?

3. რა გარანტია არსებობს ამისგან თავის დასაზღვევად, რომ გადამალული ქონების დეკლარირების შემდეგ არ „აღმოჩნდება“, რომ კონკრეტულ პირზე საქმე უკვე წარმოებაში „ყოფილა“.

4. ჟურნალისტებისათვის ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო ჩინოვნიკების ქონებრივი დეკლარაციები. თუ ფინანსური ამნისტიის შემდეგ ახალშევსებული ქონებრივი დეკლარაციები ისევ ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებულ პირთათვის, მაშინ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული გარანტია დეკლარაციაში მონაცემთა კონფიდენციალურობის შესახებ ავტომატურად ბათილდება. სად არის იმის გარანტია, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ ჩაუვარდებათ ხელთ დამნაშავეებს, ან ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო ორგანოებში წარდგენილი დამალული ქონების შესახებ ინფორმაცია არ იქნება კრიმინალებისთვის ხელმისაწვდომი?

5. მე-7 მუხლი გარდამავალი დებულებების შესახებ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებათა თანამდებობის პირებს ავალდებულებს მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში გაანადგურონ ან დეკლარანტს უკან დაუბრუნონ კანონის ამოქმედებამდე წარდგენილი და შესაბამის დაწესებულებებში არსებული მათივე დეკლარაციები და შემოწმების გენერალური გეგმა. საინტერესოა, ვინ დაადასტურებს, რომ ადრე წარდგენილი დეკლარაცია ნამდვილად განადგურებულია და არ არის შენახული ასლის სახით?

***ემა ტუხაშვილი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 30 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8275 |
| ევრო | 2,3310 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3489 |
| რუსული რუბლი | 0,0635 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2419 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ვისია, ვისია!..



„კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებულ ჩემს და სხვა ავტორების კურიოზებს, ჩემი მეუღლე ჟულია ყოველთვის განსაკუთრებული ენთუზიაზმით კითხულობს და გულიანადაც იცინის ხოლმე.

ერთიც ვნახოთ და, თვითონაც მოინდომა კურიოზის გმირად გახდომა. ცხოვრებაში მრავალი კურიოზი გადაგვხდენია, მაგრამ ის მაინც ერთსა და იმავეს წამომაძახებს:

— შენ, აი იმ კურიოზის შესახებ დაწერე, მაღაზიაში ხუთმანეთიანი რომ იპოვე...

გადავწყვიტე მკითხველის სამსჯავროზე გამომეტანა ეს, თითქოსდა, კურიოზული ამბავი:

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდია. მე და ჟულია პლეხანოვის (ახლანდელი დავით აღმაშენებლის) პროსპექტზე მდებარე ბოსტნეულის მაღაზიაში შევედით. დახლთან მიახლოებისთანავე, იატაკზე ხუთმანეთიანი დავინახე. როგორც პატიოსან კაცს შეჰფერის, ავიღე კუპიურა და ხმამაღლა დავიძახე:

— ვინ დაკარგა ხუთმანეთიანი? ვისია ეს ხუთმანეთიანი?

სხვათა შორის, მაშინდელი ხუთმანეთიანი არ გახლდათ მთლად „ხელწამოსაკრავი" თანხა.

დახლთან მდგომმა ექვსიოდე მყიდველმა უარყოფის ნიშნად თავები გაიქნიეს — ჩვენი არ არისო. ასევე მოიქცა დახლს მიღმა მდგარი გამყიდველი ქალიც. მე კი განვაგრძობდი ზეაწეული ხუთმანეთიანის ქნევას და „ვისია, ვისიას" ძახილს...

ამ დროს მესმის ნაცნობი ხმა:

— ჩემია, ჩემია!..

და გასასვლელთან ვხედავ ჩემს მეუღლეს. გაოცებულმა მექანიკურად გადავეცი ხუთმანეთიანი.

გარეთ რომ გავედით, სიცილით მითხრა, — შენი ამბავი რომ ვიცი, ქუჩაშიც დაუწყებდი გამვლელ-გამომვლელს კითხვას, ვისია, ვისია, ხუთმანეთიანიო...

მოკლედ, ასე „გამამდიდრა" ცოლმა...

***იური ცუცქირიძე, თბილისი***

## 2. – რათ დაარტყა!..



ეს ანეკდოტი ხომ იცით — სვანის მამას ინფარქტმა რომ დაარტყა. სვანმა ხანჯალი იშიშვლა და გამწარებული დარბის — უნდა მოვკლა! უნდა მოვკლა! — ვინ უნდა მოკლაო! — შეეკითხნენ.

— ინფარქტი! მამაჩემს რათ დაარტყა!..

...აღნიშნული ანეკდოტი მოვუყევი ჩემს ძმაკაცებს, რომელთა შორის ერთ-ერთი, ზ., სვანია.. ყველამ სიცილი დაიწყო და ზ.-ს უყურებენ ნიშნის მოგებით, ზ.-მ გაბრაზებით წამოიძახა: — ჰოდა, რათ დაარტყა!!!

სიცილი მაშინ უნდა გენახათ!

***გიო ტურაშვილი, გურჯაანის რაიონი, სოფელი ჯიმითი***

## 3. ღორები



თავის დროზე (გასული საუკუნის 40-იან წლებში) სენაკის რაიონის სოფელ კოტიანეთის კოლმეურნეობის გამგეობის კრებას ორი, ხალხის „გამაბედნიერებელი" დადგენილება გამოუტანია:

1. კოლმეურნეებს კაცდღეზე გაუნაწილდეს 200 გრამი სიმინდი.

2. ღორებს, კერძოდ კი კერატებს გაუნაწილდეს 4 კგ სიმინდი დღიურად.

მთელი კრება ტაშით შეხვედრია ამ გადაწყვეტილებას.

თითის აწევით ამდგარა მოწინავე კოლმეურნე მიხა ხუხია და სიტყვა უთხოვია:

— მეც ღორების სიაში ჩამწერეთ, ბატონო!..

***პაატა მაჭავარიანი, სენაკი***

## 4. შანსიანი გიზო



გიზო გ., ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, გამოცდიდან პირდაპირ ბირჟაზე მივიდა ძმაკაცებთან.

— რა ქენი? ჩააბარე გამოცდა? — ეცნენ მისვლისთანავე.

— ჩავაბარე! — თავი მოიწონა გიზომ.

— ლექციებზე შენ არ გივლია, არც გიმეცადინია, ინჩიბინჩი არ იცოდი, არც მაყუთი გქონდა და როგორ ჩააბარე? — გადაირივნენ ბიჭები.

— სპეცსაგანი იყო და ლექტორმა 50 ლარს კაპიკი არ დაუკლო. რას ვიზამდით, დავთანხმდით სტუდენტები. ჯგუფხელთან მოლაპარაკების შემდეგ, აუდიტორიაში შეგვიყვანა, სია ამოიკითხა, რაოდენობა დააზუსტა და დერეფანში გამოგვიშვა, გამოცდაზე სათითაოდ რომ შევსულიყავით. როდის-როდის ჩემი ჯერიც დადგა. გამომცდელს მატრიკული მაგიდაზე დავუდე, პიჯაკის ფართო ჯიბისკენ, რომელშიც სტუდენტები „ბაჟს" იხდიდნენ, ხელი მშვიდად წავიღე... და ორ 50-ლარიანს „ჩავებლაუჭე"...

...გამოცდის დამთავრებისთანავე ლექტორმა თანხა დათვალა, სიას შეადარა, მაგრამ 150 ლარის „დანაკლისს" ვერაფერი გაეგო. მერე გაცეცხლებულმა ისევ შეგვკრიბა სტუდენტები, სულ ჯიბგირები და ყაჩაღები გვეძახა, მაგრამ „დამნაშავეს" რას მიაგნებდა.

„მოგებული" ფულით ბიჭებმა კარგად მოილხინეს.

***კარლო ხარატიშვილი, ხაშური***

## 5. ერთი კიდე – იგრე!..



ჩემს სოფელში, ერთი ბიჭი — დათო ცხოვრობს („კაიას" ვეძახით, ყველაფერზე კაია, კაიაო ამბობს და იმიტომ).

ერთხელ დათომ ბაზარში კურდღლები იყიდა, მოიყვანა სახლში გახარებულმა და მეგობრებს ასე უხსნის:

— სამი კურდღელი ვიყიდე: ერთი მამალი, ერთი დედალი, ერთი კიდე — იგრე...

***„გურჯაანელი"***

## გამოვლინდა კურიოზების კონკურსის კიდევ სამი გამარჯვებული

**პირველი ადგილი და პრემია** — 50 ლარი წილად ხვდა **რომან ზუკაკიშვილს** (საგარეჯო, სოფ, პატარძეული) — კურიოზისთვის **„გატეხილი ტუალეტი"**.

**მეორე ადგილი და პრემია** — 30 ლარი დაიმსახურა ბათუმელმა **რეზო ცისკარავამ** კურიოზით — **„ნუ ი, გრუზინ"**.

**მესამე პრემია** — 20 ლარი გადაეცემა ხაშურელ **კარლო ხარატიშვილს** კურიოზისთვის **„ფესვები"**.

**გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 4 ნოემბერს, 17 საათზე.**

კურიოზების კონკურსი გრძელდება.

წარმატებებს გისურვებთ!

## ყურადღება!
## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 3 ნოემბრის 10 საათამდე, თბილის— ხუთშაბათის, 4 ნოემბრის 13 საათამდე.*

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ______

______

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №44






**6.** სვანი შემომჯდარა ხეზე და იმავე ტოტს ჭრის, რომელზეც ზის. გამოიარა ჭიჭიკიამ და გააფრთხილა:

— ბიჯო, რა შობი? რომ მოჭრი, ხო ჩამოვარდები?

სვანმა ყური არ შეიბერტყა და საქმე განაგრძო... სულ მალე კი ძირს მოადინა ბრაგვანი.

— უხ, შენი, როგორ დამთარსა იმ შობელძაღლმა ქუთაისელმა! — ჩაილაპარაკა გაცეცხლებულმა.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



**ნაღვლიანი ანეკდოტი**

**7.** *ახალი ქართველების ბებიების დიალოგიდან:*

— ჩემი შვილიშვილი ნამდვილად ექიმი გამოვა!

— მართლა?

— ამ ბოლო დროს სულ ტაბლეტებით დადის, ხშირად ჯიბეში შპრიცებიც უდევს!

— მართლა?!

— აბა! ყველაზე გასახარი იცი, რა არის? ნემსსაც თვითონ იკეთებს!

***ანიკო, თბილისი***

## ვთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქეთევანი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). ანაზღაურება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი: მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ამერიკა-საფრანგეთის ერთობლივი კომპანია გთავაზობთ საოფისე სამსახურს მაღალი ანაზღაურებით, ყოველდღიური გამომუშავებით, თვეში – $150-300. აუცილებელია უმაღლესი განათლება და რუსულის ცოდნა. მის: მ. „რუსთაველი“, ჭოველიძის (ბელინსკის) ქ. №2, IV სართ, ოთახი 415. ტელ: 93-38-46; 66-54-95; 893 92-72-37. ბატონი მალხაზი

ორგანიზაციას ესაჭიროება პედაგოგიური ან ადმინისტრაციული სტაჟის მქონე პირი, ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ოფისში სამუშაოდ, უ/გ, 35-45 წლამდე. ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

საქართველოში, მ/წ სექტემბრიდან, კიდევ უფრო გააფართოვა თავის არეალი და შესაძლებლობები მსოფლიოში უძლიერესმა ფინანსურმა ჩინურმა კორპორაციამ. ის 170 ქვეყანაში ფუნქციონირებს. გიწვევთ უ/განათლების მქონე, 25-55 წლამდე პირებს თავისუფალი გრაფიკით. ვისაც გსურთ მყარი, ყოველთვიური, სოლიდური ხელფასი, გამოგვეხმაურეთ: 34-63-64; 899 17-69-24. ომარი (17 სთ-ის შემდეგ)

კორპორაცია გთავაზობთ მაღალანაზღაურებად სამსახურს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნამუშევარ პირებს, პედაგოგებს და მედიცინის მუშაკებს. ტელ: 95-91-73; 899 57-58-30. სერგო

ვესაჭიროება პარტნიორები საერთაშორისო კომპანიის გასაფართოებლად, რომელთაც ეძლევათ დიდი შესაძლებლობა, ფილიალების გაზრდა-ხელმძღვანელობით გამომუშაონ მზარდი შემოსავალი, ნებისმიერი პროფესიისა და ასაკის მიუხედავად. მუშაობის გრაფიკი თავისუფალია. მსურველებს ვიხმობთ რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტელ: 38-15-64; 899 38-10-01 (18-24 სთ)

საქმიან-საინფორმაციო ცენტრს „NL“ „ახალი ცხოვრება“ ესაჭიროება რამდენიმე სერიოზული პიროვნება საინფორმაციო ბიზნესში დასასაქმებლად. ანაზღაურება და სამუშაო საათები – შეთანხმებით. ინფორმაციისათვის მობრძანდით ყოველდღე, კვირის გარდა, 11-17 სთ. მის: ვაჟა-ფშაველას 16. VIII სართ. (მშენებლობის სამინისტრო). ოთახი №808

## მომსახურება

▸ ნებისმიერი სირთულის ტექსტის (დისერტაციები, ნაშრომები და ა.შ.) აკრეფა, ამობეჭდვა, სტილი, კორექტურა, სწრაფად, ხარისხიანად! ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

დავამონტაჟებ ელექტროგაყვანილობას საცხოვრებელ სახლებში, ოფისებში, სხვადასხვა შენობაში. დავაყენებ „ავტომატს“, ბრებს, ჭაღებს. შევცვლი დაზიანებულ წერტილებს. ტელ: 38-92-71; 893 98-23-80. მერაბი

სააგენტო LIBRA გთავაზობთ Au Pair პროგრამით გამგზავრებას გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში. ასევე გაივლიან ენის შემსწავლელ კურსებს. მის: ვაჟა-ფშაველას №16, ოფისი 12-16 ტელ: 37-60-35

კვალიფიციური ადვოკატები – მირიან ჭავჭანიძე და დალი აზვლედიანი მოგემსახურებიან სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, სამეწარმეო, სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადებასა და სხვადასხვა სახის დავებზე როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე. ასევე ადვოკატურა იწვევს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე-მეხუთე კურსის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სადვოკატო საქმიანობის შემსწავლელ კურსებზე. ტელ: 95-89-57; 96-64-77; 877 75-79-13

რბილი ავეჯის რესტავრაცია; სამელების, ტახტების, მატრასების, სკამების ნაჭრის შეცვლა; დარბილება, სრულად აღდგენა. ტელ: 76-01-33 გია (საღამოს)

ვაკეთებ ეპილაციას პოლიმერაშის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია პოლიმერაშის ნემსით, ანესთეზიით, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით (1 სთ – 6 ლარი). ყველანაირი კოსმეტიკური მომსახურება. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყოჩიძე, მ. „300 არაგველი“, „არმანცის“ სავაჭრო ფოთის ზედა კართან, ახმეტელის ქ. №15. მიღება წინასწარ ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ეპილაცია უნემსოდ, ფრანგული აპარატით – უმტკივნეულოდ, უვნებლად და ყველაზე შედეგიანად. ერთი ამოღებით გათავისუფლდებით ჭარბთმიანობისგან. მუწუკები და ნაწუწუკარი ლაქების გასუფთავება. შემოგთავაზებთ კოსმეტიკურ საპნებს, ლოსიონებს, კრემებს – დამზადებულს მცენარეულ ნაყენზე თქვენ უთუოდ კმაყოფილი დარჩებით. კოსმეტოლოგი ნათელა. ტელ: 33-33-18

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და გაყუჩებით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი პირველსავე სეანსზე. სახის გაწმენდა, მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: ოისეიძის 66. მე-2 სად. ბ. 46. ტელ: 37-74-22; 877 72-62-08. მანანა

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კოლიტი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

წამალი „მთაწმინდა“ კურნავს თმის დაავადებებს: ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. ვმკურნალობ ფრჩხილის სოკოს გარანტიით. გვაქვს თმის მცენარეული საპნები, ნატურალური კოსმეტიკური მალამოები; ვაკეთებ მასაჟს (ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი). მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2 (ჩაის სახლთან), სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 893 918-917. წამალი „მთაწმინდა“ შეგიძლიათ შეიძინოთ PSP აფთიაქებშიც.

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ხმაურის, ყურის ანთების, ტკივილის მკურნალობა ქირურგიოთერაპიის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტისთვის. ვმკურნალობ აგრეთვე სხვა დაავადებებს. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (სამების ეკლესიის უკან), თ. აბულაძის №8. სამუშაო საათები: 9-13 სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42. ლევან სეხნიაშვილი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თვითონ მცენარეზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშვილოსნო ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, რევმატოიდული პოლიართრიტი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! გასინჯვა-კონსულტაციები უფასოა. მიღება რენტგენის პოლიკლინიკაში. ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 61-02-97; 899 57-16-99

ფსიქოთერაპიული ცენტრი „არსი“ (ხელმძღვანელი პროფ. გოგი მერაბიშვილი) კურნავს ნევროზს, ფსიქოზს, ნარკომანიას, ეპილეფსიას, დიაბეტს, შიშებს, სექსუალური მოშლილობას. ამზადებს უმაღლესი დონის ფსიქოთერაპევტებს. მის: ბესიკის 1. ტელ: 93-11-05; 57-37-13. 6 ნოემბრის კონსულტაციები უფასოა

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაწლავის („პახმელიის“) სინდრომის მოხსნა, ჰალუცინაციები, აგრესიები, შიშები, უძილობა, დეპრესია, ჰეპატიტები, კოლიტები, მეხსიერების, ბუასილი. ალკოჰოლიზმისგან განკურნება შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად. პრეპარატები უსაფრთხოა, მაღალეფექტური, მცენარეული და გაჯერებულია ვიტამინებით. ტელ: 99-75-90 (სამს.); 53-08-02; 893 62-05-24 თამრიკო

სახლში ალკოჰოლიზმის მკურნალობა! კრემლის ყოფილი ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით (აკად. ლიხაროვის მეთოდით), ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, შიშის, გადაღლილობის, გულის, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება, ჰეპატიტები (C ჰეპატიტი). ალკოჰოლიზმის მკურნალობა შესაძლოა პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 899 22-63-90. ნინო

ალკოჰოლიზმისაგან განკურნება კრემლის ლაბორატორიის მცენარეული, სერტიფიცირებული, უვნებელი პრეპარატებით (შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც). გარდა ამისა ვმკურნალობ: ნევროზებს, აგრესიულობას, შარდის შეუკავებლობას (ენურეზი), ღვიძლის დაავადებებს, ასთმას, ბრონქიტებს, ფსორიაზს, შესაძლებელია ბავშვების სიმაღლეში გაზრდაც. ტელ: 893 35-45-35 (ნებისმიერ დროს); 99-75-90 (12-17 სთ, კვირის გარდა). მაკა

მაქსიმალური შედეგებით: კოლიტი, ბუასილი, ფსორიაზი, რევმატიზმი, რევმატოიდული ართრიტი, ბრონქული ასთმა, კატარაქტა, მასტოპათია, ეპილეფსია, ხშირი და უნებლიე შარდვა, კლიმაქსი, მაღალი წნევის დარეგულირება, სრული გარანტიით. ტელ: 899 78-45-03

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც) და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნიათ. დამზადებულია მოსკოვში აკად. ლიხაროვის ლაბორატორიაში. ტელ: 899 21-13-66; 99-75-90 ლალი

პროსტატიტის, ართრიტების, სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობა, ორგანიზმის წმენდა წიდებისა და მარილებისგან უძველესი აღმოსავლური მედიცინის გამოცდილების საფუძველზე მიღებული ექსკლუზიური ბუნებრივი, ფიტოთერაპიული და ნატუროპათიური პრეპარატებით. ფარულად მიმდინარე ქლამიდიური ინფექციის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ტელ: 22-11-47. თამარი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებების მკურნალობა ლაზერით – ალერგიული სურდო, ქრონიკული ფარინგიტი, ტონზილიტი, ყურის ანთებითი პროცესები. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“. მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 36-14-18; 899 54-79-97

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი-კომპიუტერი“ გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე. შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

მოვამზადებ საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

სახლში! ღრუტონული და მოწყობილი მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დაწყებიდან პროფესიონალამდე“. ჩაწერა ყოველდღე 12.00-15.00 სთ. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web-დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოცდებით. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამისასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველისა“ და ფილარმონიის შორის. ტელ: 98-80-23

შპს „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კომპიუტერული-ბუღალტერია; 2. მსაჯულები; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: დ. აღმაშენებლის 115 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მის. ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-40; 899 14-14-84

უცხო ენების ფირმა „ელიტა-სკ“ იწვევს 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში სასწავლებლად, აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის: ქავთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20

## იყიდება

რუმინული ავეჯი „რუქსანა“ ფართო საწოლებით და ფართო ლოგინებით, 2 ტუმბოთი, ტრილიაჟით. ფასი – $2000. ტელ: 37-48-14 (საღამოს)

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა. არჩევს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 40-დან 600-მდე ევროპული; 1-დან 4-მდე ქართული; 5-დან 18-მდე რუსული. ფასი $130-დან $$230-მდე. მხოლოდ 25 რუსული არხი. კომპლექტის ფასი – $200, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

ყაზახური მაკარონი, უმაღლესი ხარისხის, იტალიური ტექნოლოგიით დამზადებული, საბითუმო ფასში. ტელ: 877 40-41-21; 899 54-55-22

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, ტუია, ლევისტრუმი, თუჯა, იასამანი, წყავი, ნეკერჩხალი, ტირიფი, კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი, და სხვა. გვყავს მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობის დასახლება, თბილისის ზღვასთან. ტელ: 899 16-93-15; 69-97-05. ამირანი, გოგი

გვაქვს ასამდე ჯიშის ნამყენი ნერგი, აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. გაგიშენებთ ბაღებს, გაზონებს, ყვავილნარებს. გოგი, ამირანი. მის: თბილისის ზღვასთან, სანერგის დასახლება. ტელ: 69-97-05; 899 75-98-62

96 აბრეშის ტელევიზორი, პლეხანოვზე. ტელ: 32-82-69

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

ნახმარ საჭიდაო ხალიჩას ან ტატამს. ტელ: 64-28-64; 899 51-85-24

## სხვადასხვა

საქართველოს „აიკიდოს“ ფედერაცია იწვევს მსურველებს საინსტრუქტორო მოსამზადებელ ვარჯიშებზე. მომავალში დაგეხმარებით რეგიონალური კლუბის გახსნაში. ტ: 64-28-64; 899 51-85-24

ძვირფასო მეგობრებო! თუ თქვენ გაქვთ $500 და სურვილი, გქონდეთ საკუთარი ბიზნესი სტაბილური შემოსავლით, „გაცნობის და დაოჯახების ცენტრი“ და გაზეთ „პაემნის“ რედაქცია გიწვევთ სათანამშრომლოდ ფილიალების გასახსნელად, როგორც თბილისში, ასევე რაიონებში. მის: თბილისი, მ. კოსტავას 14, II სართ. ოთახი 210. ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო






შვილები: რატევ, ნუცა დუმბაძეები; რძალი მანანა მესხია; შვილიშვილი სოფო; სიძე ირაკლი ჭელიძე; შვილთაშვილი სანდრო; დისწული სანდრო ჯაფარიძე ოჯახით; სიძე დიმიტრი ჯაფარიძე; მძახლები: მარიამ მესხია, მარიკა, გია ჭელიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ქეთევან დუმბაძე**

*პანაშვიდი:* 1 ნოემბერს, 17 საათზე;
*დაკრძალვა:* 2 ნოემბერს, 14 საათზე.
*მისამართი:* ფალიაშვილის ქ. №22

გაზეთ **„ქვირის პალიტრის"** რედაქცია თანაუგრძნობს მთავარი რედაქტორის მოადგილეს, ქალბატონ *ნუცა დუმბაძეს*, დედის

**ქეთევან დუმბაძის**

გარდაცვალების გამო.

ელენე ყოფიანი-ტატიშვილი, თენგიზ, ნანა, ქეთი ტატიშვილები ოჯახებით, დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ

**ქეთევან დუმბაძის**

გარდაცვალების გამო.
ღმერთმა აცხონოს განსვენებულის სული.

ლიზა, თამარ, მარინა გოგიძეები ოჯახებით, დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ქეთევან დუმბაძე.**

ნანა ანტონოვა-ილურიძე, თინათინ მარგველაშვილი, ციცო ნიკოლაიშვილი, მერი ტარნავა, ნათელა კეშელავა, მანანა ჯანელიძე, სალომე ნიკოლეიშვილი ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი და უსათნოესი

**დეიდა ქეთოს**

გარდაცვალებას.
ღმერთო, დაუმკვიდრე სასუფეველი განსვენებულის სულს.

„საქინფორმკინო" გულწრფელად თანაუგრძნობს *ნუცა დუმბაძეს*, დედის

**ქეთევან დუმბაძის**

გარდაცვალების გამო.

ვიზიარებთ მწუხარებას

**რობინზონ მერაბაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

*პატივისცემით, თენგიზ ხელაიას ოჯახი*

მეუღლე ზოია თავაძე; შვილები: სოფო და თამარ ღლონტები; სიძე გია მამალაძე; შვილიშვილები: მარიამ, რევაზ მამალაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გერონტი ღლონტი.**

*დაკრძალვა:* სამშაბათს, 2 ნოემბერს, 16 საათზე.
*მისამართი:* ოზურგეთის რ-ნი, სოფ. ბოხვაური.

**კობა აბზიანიძის გახსენება**



12 ტკივილიანი წელიწადი გვაშორებს იმ დღეს, როცა მტრის ულმობელმა ტყვიამ გიმსხვერპლა. მას შემდეგ ეს ტკივილი სულ უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდება. მშობლების საამაყო შვილი, ქვეყნის სიამაყედაც იქეცი. აფხაზეთის ომმა ბევრი შენისთანა ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა. ჩვენს ოჯახს უშენობა შემორჩა მოუშუშებელ ჭრილობად.

ლოცვას და სანთელს არ მოვაკლებთ შენს სულს, ჩვენო კობა!

*რუსუდან და ოლივერ აბზიანიძეები*

**ვანო არაბულის მონატრება**



*„შენიარ შვილებს ანგელოზები*
*მაღლა ზეცაში ელოდებიან.*
*ოთხი წელია, ვცოცხლობთ უშენოდ,*
*ჯოჯოხეთია მისვონებლად".*

ძმაო ვანო, როგორ ძალიან გვენატრები ყველას. მოუშუშებელი ტკივილი და აუღმოსაგონარია ჩვენთვის 2001 წლის 30 იანვარი. მთელი თიანეთი ატირა, ძმაო, შენმა სიკვდილმა. შენ ხომ ამბობდი, — მე რომ მოვკვდები, თიანეთი დაბნელდებაო. მართლა დაბნელდა, ძმაო, 4 თებერვალს. შენ ხომ 3 შვილიშვილის პაპა ხარ, მაგრამ სიკვდილმა არ დაგაცალა მათი ნახვა. პატარა ვანიკოს რომ ვკითხავთ, ვინა ხარ-თქო? — ვანო არაბულიო, გვეტყვის.

ნათელში იყავით შენც და მამაც. მსუბუქი იყოს თქვენთვის სოფელ ჯიჯეთის მიწა.

*და-ძმები*

**დალი გაბუნია-მარშავას მონატრება**



ჩვენო საყვარელო დედა! 30 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. პირველად შევხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. ძალიან ძნელი ყოფილა უშენობა, ძალიან გვაკლიხარ. ყველას აკლია შენი ტკბილი სიტყვა და მოფერება დედა, შენ დატოვე სახელი ბრწყინვალე მეუღლის, დედის, ბებიის და მეგობრისა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

**ოლეგ ქორაიას ხსოვნას!**



ჩემო ოლეგ, ორი წელია, რაც გასული ხარ ამ წუთისოფლიდან. რა ძნელი ყოფილა ოჯახის უფროსის გარეშე ცხოვრება. ამ ორი წლის განმავლობაში ერთი დღეც არ გვიცხოვრია უშენოდ. შენ ხომ ჩვენი ოჯახის სახელი და ღირსება ხარ. შენი გაკვალული გზით მიდის შენი ოჯახი. ორივე ბიჭმა დაამთავრა მაგისტრატურა. დათო ასპირანტია და სწავლას ისრაელში თელ-ავივის უნივერსიტეტში აგრძელებს. 13 ოქტომბერს გავაცილეთ იერუსალიმში. 24 ოქტომბერს კი, აგინთებდა სანთლებს და ცრემლიანი თვალებით იტყოდა: დღეს ჩემი მამა 48 წლის გახდებოდაო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

**მამია დანელიას მონატრება**



შეწყვეტილი გედის სიმღერასავით უეცრად შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე, მამა. სამი წელი სრულდება, რაც უშენოდ ვართ. ასე გვგონია, სადღაც აქვე ხარ, მაგრამ ეს მხოლოდ მონატრებაა ჩვენი...

კეთილი და დიდსულოვანი იყავი მუდამ. შენ გული გატკინეს, მამა და იმ გულმა გიღალატა, რომელიც სიკეთით გქონდა სავსე. ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ შენი სახელით, ჩვენო მოსიყვარულე მამიკო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი ოჯახი*

**ნატო აროშიძის მონატრება**



დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო უსაზღვროდ მონატრებულო დაიკო! ამ შემოდგომაზე 34 წლის გახდებოდი. 28 ოქტომბერი შენი და ჩემი დაბადების დღეა, მაგრამ უკვე ორი უფერული წელიწადია, შენს საფლავთან ფრთამოტეხილი რომ ვხვდები ამ დღეს თითქოს დროც გავიდა, მაგრამ ვერაფერი მკურნალი გახდა ჩვენთვის. უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს, რომელმაც სამუდამოდ დაისადგურა ჩვენს გულებში, ვერაფერს ვშველით. გვიძნელს უშენოდ ცხოვრება და ის ჭრილობა არასოდეს შეხორცდება, რომელიც შენმა დაკარგვამ მოგვაყენა. მუდამ ვანთებთ შენს სახელზე სანთელს და უფალს ვევედრებით, მუდამ ნათელში ამყოფოს შენი ფაქიზი სული.

*შენზე უსაშველოდ მონატრებული ბიძაშვილები: ინგა და ნანა აროშიძეები*

**ლადო სიხარულიძეს!**



წლის მერვედ მოვიდა შენი დაბადების დღე უშენობით გამოწვეულ ტკივილს ვერაფერი შველის. მენატრები ნუთუ მართლა ვერასოდეს გნახავ?

მოგონებებით ვცოცხლობ და მჯერა, რომ ზეციდან დაგვყურებ უსაზღვროდ თბილი და მოსიყვარულე თვალებით, როგორიც იყავი. შენს საფლავზე მუდამ ახლობლების, მეგობრებისა და მეზობლების სიმრავლეა. ყველას ენატრები, ყველა გულდაწყვეტილი, ცრემლიანი თვალებით შესცქერის შენს სურათს.

ხვალ 2 ნოემბერია, ლადო! 55 წელი შეგისრულდებოდა. ჩვენი ქორწინებიდან 25 წელი ხდება. ვერცხლის ქორწილისთვის ვემზადებოდით, მაგრამ ასე ინება უფალმა. სიკვდილი მაშინ მოვიდა, როცა სიცოცხლე გწყუროდა. წახვედი და უსაშველო ტკივილად იქეცი. შემას მხოლოდ შენი სულის ცხონებისთვის აღვლენილი ლოცვა მაძლევს სამ ვარსებას, შენზე მლოცველი ვიქები და სინანულის ცრემლი არასოდეს მოაკლდება შენს საფლავს.

ნეტავ ჩვენ გვერდით იყო, ნეტავ შენი ალერსიანი ხმა გვესმოდეს... უშენოდ ყველაფერი თითქოს უაზროა... და ჭრილობას ჰგავს, ჭრილობას, რომელიც ყოველ წამს მახლდება...

მხოლოდ ისღა დამრჩენია, ღმერთს შენი სულის სასუფეველში დამკვიდრება ვთხოვო — „იქ სადაც მართალნი განისვენებენ".

*შენი მეუღლე — მარინა აცანელიძე*

**სიმონ შარვაძის ხსოვნას!**



მწარე და ტკივილიან დღედ იქცა 4 ნოემბერი ჩვენი ოჯახისათვის. მოულოდნელმა ტრაგედიამ თავზარი დაგვცა. დრომ ვერ განკურნა ჩვენი ჭრილობა. შენ მხოლოდ ფიზიკურად წახვედი ამ ქვეყნიდან. 4 წელი გავიდა, მაგრამ დღესაც ჩვენს იმედად დგახარ. ჩვენ მუდამ ვგრძნობთ შენს უხილავ თანადგომას. ამ ცხოვრებაში ისეთი ნათელი კვალი დატოვე, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. შენი სიცოცხლე შენს შვილებში გრძელდება. იმედია, ღირსეულად გააგრძელებენ მამის სახელს.

ჩვენ კი, ამ ტრაგიკულ დღეს, შენს საფლავთან თავდახრილები კიდევ ერთხელ გადმოვღვრით მწარე ცრემლს, ავანთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი სულის უკვდავებისათვის.

*შენი საყვარელი ოჯახი*

**ელდარ ასკილეისკირს!**



ჩვენო საუცხოო და ერთადერთო ვაჟკაცო ელდარ! დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო იმედო. გისურვებთ საუკეთესოს, რაც იმ ქვეყნად არსებობს.

1981 წლის 28 ოქტომბერი ასკილეისკირების ოჯახისთვის უბედნიერესი, სიკვდილზე გამარჯვების დღე იყო. რვა წლის განმავლობაში ამ ოჯახში ცრემლი არ დამშრალა, ტკივილი არ განელებულა უფროსი შვილის, 24 წლის ვაჟკაცის — ელდარის გარდაცვალების გამო... მაგრამ პატარა ელდარის დაბადებამ გაუბედურებულ ბებიას და ბაბუას ისევ დაუბრუნა შვილიშვილის ბედნიერი მომავლის იმედი...

ვაი, რომ ეს ბედნიერებაც მხოლოდ ოცი წელი გაგრძელდა. უბედურმა შემთხვევამ პატარა ელდარის სიცოცხლეც უდროოდ შეიწირა...

ჩვენო საამაყო შვილო! დღეს 23 წლის ვაჟკაცი გახდი. მესამედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. ოცი წლის იუბილეზე როგორი ბედნიერები ვიყავით, შენი სამეგობრო შენთან იყო, ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, ისედაც ყველა ჩვენ შემოგვნატროდა, — როგორი ბედნიერები ხართო... მაგრამ მოკლე დროში უეცრად შეიცვალა ჩვენი ბედნიერება, ტრაგიკულმა შემთხვევამ წამში გამოგვტაცა შენი თავი. დღესაც ყველასთვის თავზარდამცემია იმ საშინელი დღის მოგონება, როცა ქალაქში ხმა დაირხა, — ელდარი აღარ არისო... როგორ იბრძოდნენ შენს გადასარჩენად, არ უშურებოდით სიკვდილისათვის ვან-ლონით სავსე ახალგაზრდა, რომელსაც წინ დიდი მომავალი ჰქონდა, მაგრამ უშედეგოდ... უფალმა აღარ ინება ამ ცოდვილ მიწაზე შენი დატოვება და თავისთან დაგიდო სამუდამო ბინა. შენი მეგობრები დღემდე ვერ აცნობიერებენ უშენობას, მოდიან შენს საფლავთან და როგორც სიცოცხლეში, ისე გესიყვარულებიან...

ელდარ, შვილო, ჩვენგან ლოცვა აღარ მოგაკლდება. ღრმად გვწამს, რომ უფალი არ დაუშვებს შენნაირი ახალგაზრდების უკვალოდ გაქრობას და გვჯერა შენი სიცოცხლის გაგრძელებისა სხვა განზომილებაში.

ღმერთო მაღალო, ნუ მოაკლებ ღვთიურ ნათელს ჩვენი ელდარის სულს.

*მშობლები, ბებია და ელზა*

**გიორგი (გორა) ბერიშვილის ხსოვნას!**



ჩვენო თბილო და უსაზღვროდ მონატრებულო მამიკო! რაც დრო გადის, გაუსაძლისია სიცოცხლე უშენოდ. მოულოდნელად წახვედი და დაგვიტოვე უმძიმესი დარდი და ტკივილი. ძნელია ამ მწარე ხვედრთან შეგუება, მაგრამ ვინ წაუვა გარგების ნებას?

წარსულით ვცოცხლობთ, მამა! ვიხსენებთ შენს ჟესტებს, ღიმილს, გამოხედვას, საყვარელ ფრაზებს, ვფერებით შენს სურათებს. შენ ის გულისტკივილი ხარ, რომელსაც ვერასოდეს მოვინელებთ. შენ ხომ შეუდარებელი მეუღლე, განუმეორებელი მამა და უსაყვარლესი ბაბუა იყავი.

ძვირფასო მამა, 4 ნოემბერი შენი დაბადების დღეა. გილოცავთ დაბადების დღეს ზეციურ სასუფეველში. შენს დაბადების დღეს პირველად ვხვდებით უშენოდ. გულჩაკლულნი და ფრთებჩამოყრილნი, თვალცრემლიანნი ვემთხვევით შენს ხატად ქცეულ საფლავს და სიყვარულის უკვდავსაყოფად მოგიძღვნით ცრემლით დანამულ ლამაზ ყვავილებს. სინანულით აგინთებთ წმინდა სანთლებს და ჩურჩულით გიამბობთ ტკივილიანი მონატრების შესახებ.

ვიცით, რომ ამქვეყნად დარჩენილი შენი ხსოვნა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია. შენ ყოველთვის ჩვენთან იქნები და შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

იძინე მშვიდად, ჩვენო საყვარელო და კეთილო მამიკო.

*შენი ოჯახი*

**ნუგზარ კასაბურს!**



*დედის მონატრება*

ნუგზარ, შვილო, მოდის 7 ნოემბერი, შენი მეორე დაბადების დღე უშენოდ, 42 წელი გისრულდება. შენ მგზავრად შენს სურათს მივულოცავ. ვერაფერი მივსებს უშენობის სიცარიელეს. რაც დრო გადის, უფრო ძალიან მენატრები. მოურჩენელი ტკივილი ხარ ჩემთვის. ყველაფერმა აზრი დაკარგა, სრულიად გამანადგურა უშენობამ. სანამ ჩემი ბედისწერა მომიყვანს შენთან, ვილოცებ შენთვის, რათა დედის ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სამუდამო სასუფეველი.

ღმერთმა გაცხონოს და ნათელში ამყოფოს შენი სული.

*სამარადისო ხსოვნით, უბედური დედა*

**თემურ ჩაგელიშვილის გახსენება**

28 ოქტომბერს სამი წელი სრულდება, რაც შენ ჩემთან აღარ ხარ, თემო! შენს მონატრებაში გაილია გაუსაძლისი ტანჯვისა და წამების ტკივილიანი წლები.



ძალზე ძნელი ყოფილა მოგონებებით ცხოვრება და ფიქრი იმაზე, რომ შენ აღარ ხარ. მარადიული ცრემლი გამიჩინე თვალებში, დამიტოვე უდიდესი სევდა. ყველას უზომოდ დასწყვიტე გული, რადგან არავის ახსოვს შენი უხეში საქციელი ან სიტყვა. სათნო, ზნეკეთილი და გულისხმიერი იყავი.

*არ მასვენებენ შენზე ფიქრები, ისევ*
*სავსეა დარდით თვალები,*
*ჩვენ ქვეყანაზე ორნი ვიყავით, და ახლა ვილას შევეხრალები?*
*დავდივარ, ვწუხვარ და მენატრები, შენს იქით სავალს მე ვერა*
*ვხედავ,*
*სიკვდილი მართლაც ძნელი ყოფილა დაბრუნდებოდეს*
*სიცოცხლე, ნეტავ!*

ღმერთმა ნათელი მოჰფინოს შენს ლამაზ სულს!

*შენი უზომოდ მონატრებული მეუღლე ლეილა*

**მარინა ჩაჩავას გახსენება**

40 დღე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ჩვენო ლამაზო მარი!



შენი დახვეწილი გარეგნობითა და მანერებით ყველას სიყვარულსა და ყურადღებას იმსახურებდი. მხარში გვედგა ჭირსა თუ ლხინში, გვინაწილებდი სითბოსა და სინაზეს. ამიტომაც ვერ წარმოგვედგინა, უკურნებელი სენი ასე სწრაფად თუ გამოგვაცლიდა ხელიდან ჩვენს საყვარელ მამიდაშვილს.

დასანანია, მაგრამ ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავზე ცრემლებით, სანთლებით, ყვავილებით და ვილოცოთ შენი ლამაზი სულისთვის. გვეყურებით.

*შენი ბიძაშვილები*

**ლუიზა დავითის ასული კორაშვილი-ბეჟანიშვილის გახსენება**



შვილო ლუიზა! ჩემო ნუგეშო, ყოველთვის მენატრებოდი, ახლა კი სამუდამოდ მომანატრე თავი! მაინც ყოველ შაბათ-კვირას გელოდები, შვილო! მგონია, ჩამოხვალ და შენებურად მომიკითხავ, — როგორა ხარ დედიო? ძნელია შვილმკვდარი დედის ცხოვრება! ისღა დამრჩენია, შენს ნათელ სულს არაფერი მოვაკლო... აქ კი შენს შვილებზე ვიზრუნებ, სანამ ცოცხალი ვარ.

*შენი უბედური დედა*

**დედას!**

ტრაგედია... ეს სიტყვა ვერ იტევს იმას, რაც უშენობამ მოგვიტანა, დედი! საშინელებაა იმის გაფიქრება, რომ აღარ გვყავხარ შენ — ვინც ყველაზე მეტად ცხოვრობდი ჩვენი ცხოვრებით! შენ ხომ შენი არსებობითაც კი უდიდეს ძალას გვაძლევდი.

დე, ძნელია, იმით ვინუგეშოთ თავი, რომ მანდ უკეთესია... მაინც მოკვდავის სურვილი სჭარბობს და გვინდა, აქ — „უარეს" სამყაროში, ჩვენთან იყო და ხელშესახებად ვგრძნობდეთ შენს მზრუნველობას...

დედა, დავდივართ, თვალებით გეძებთ და ვნატრობთ, ნეტავ სადმე შეგვხვდებოდე.

*მარეხი, მაია, ბესო*

**ლუიზა!**

ჩვენო ძვირფასო დაო! შენმა ტრაგიკულად დაღუპვამ უზარმაზარი სიცარიელე დაგვიტოვა. სიტყვებიც ვერ გვპოვია, რომ დედაჩვენი და შენი შვილები ვანუგეშოთ. სიტყვები სიტყვებად დარჩება, ყველას მაინც უსაშველო მწუხარება დაგვძლევს და ძალიან, ძალიან მოგვინდება შენი ჭაღარის ნახვა, ჩვენო მარად ახალგაზრდა დაიკო.

*ლაურა და გულიკო*

**არველოდ გაბელაიას ხსოვნას!**



1 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, სასიქადულო მამავ, ტკბილო ბაბუ, ოჯახის ბურჯო! 70 წელი შეგისრულდებოდა და წრფელად დაგლოცავდით ყველასთვის კეთილისმქმნელს, კეთილისმქნელს. შენ კი აღარა ხარ, ჩვენს საყვარელ დედასა და ბებიასთან — შენს მეუღლესთან ერთად, ზეციური საქართველოდან გვლოცავ.

უდროო, მოულოდნელი გარდაცვალებით თავზარი დაგვეც ორიოდე წლის წინ, მაგრამ სამი ასულის, ერთადერთი ძის, მათი ოჯახების წევრთა, რვა შვილიშვილის, ბადიშის, ყველა შენიანის გულში წარუშლელია ხსოვნა, რომლის ცოცხალ ხატებად შენი ძის ძე დაგვიდის ამ სამზეოში.

ნათელი გეფინოს.

*შვილები*

**ჯემალ ლაზაშვილის მონატრება**

ძნელია იმ მონატრების სიტყვებით გამოხატვა, რასაც ახეთი მონატრება ჰქვია, ჩვენო ჯემალ, ჩვენო საყვარელო ძმაო, სამი დის ერთადერთო საფიცარო სანთელო, მართლა სანთელივით რომ ჩაიწვა შენი ლამაზი სიცოცხლე. 6 ნოემბერი მარტო შენი სიცოცხლის დასასრული არ ყოფილა, ჩვენც შენთან ერთად დავასრულეთ სიცოცხლე. აბა, მაშ რა ბედის ირონიაა, რომ შენზე წარსულში ვლაპარაკობთ. შენ ხომ ამქვეყნად სიკეთის, სიყვარულის, თავმდაბლობის, ვაჟკაცობის მაგალითით იცოცხლე და იცხოვრე. შენი სიცოცხლე მარტო ჩვენთვის ხომ არ იყო მთავარი, შენ სჭირდებოდი შენს ოჯახს, ხალხს, საზოგადოებას. დღეს ისევ ლაპარაკობენ შენს ადამიანობასა და კაიკაცობაზე.



ორი წელია, უცრემლოდ ვერ ვიგონებთ ჩვენი დედმამიშვილობის ლამაზად გატარებულ წლებს. თურმე რა ბედნიერები ვყოფილვართ; ეს ყველაფერი შენგან მოდიოდა და შენითვე დამთავრდა. დღეს კი რა?! — გულდამწვარნი შევყურებთ შენს სურათებს, საიდანაც შენი ლამაზი ღიმილით შემოგვყურებ, თითქოს გვამხნევებ და გვეუბნები: „მე ისევ თქვენთან ვარ".

შენს ლამაზ ოჯახში ცხოვრება გრძელდება, მაგრამ ყველაფერს სევდისა და დარდის კვალი აჩნევია. უშენოდ ყველაფერმა ხიბლი დაკარგა. ყველას შენს საფლავთან მოსვლა გვეჩქარება, იქიდან წამოსვლა კი გვიძნელდება.

ღმერთს რომ რჩეულები ნდომებია, უფრო დავრწმუნდით. ეჭვიც არ გვეპარება, რომ სასუფეველში ხარ და ჩვენც ვლოცულობთ შენი ნათელი და ლამაზი სულისათვის.

*შენი დები: მარიამი, ეთერი, ციური*

**ვაკო თოდუას გახსენება**



30 ოქტომბერი ვაკო თოდუას დაბადების დღეა. ამ წელს 25-ის გახდებოდა.

3 წელია, რაც ჩვენთან აღარ არის და ჩვენც ყოველ წელს ვიგონებთ ყველას (ვინც იცნობდა და არ იცნობდა) ვაკო თოდუას, წარმოსადეგ, გონიერსა და განათლებულ პიროვნებას, მეგობრების, ახლობლებისა და თავისი ქვეყნის ერთგულ ადამიანს, რომელიც მისნაირი ბიჭებივით ძლიერ დააკლდა ქალაქს.

ჩვენ კი დაგვიტოვა დიდი ტკივილი... იმედგაცრუება.

*მეგობრები*

**ზაალ ათაბეგაშვილის მონატრება**



ჩემო საყვარელო შვილო! რა ძნელია შენი მშობლებისთვის, ბურუსში მოცულილ, აუტანელ ფიქრებში ყოფნა. მოულოდნელმა სიკვდილმა მოგვტაცა შენი თავი, მაგრამ უცებ გარბიან ტკივილიანი წლები.

შენი ლამაზი 31 წლის სიცოცხლით მოასწარი ბავშვობა, სწავლა, შრომა, სამშობლოსათვის ბრძოლა, ცხოვრების შექმნა. მოგიკვდეს დედა. შენი სიკვდილით დედაც მკვდარია, სიცოცხლე სასჯელია ჩემთვის. უშენოდ ნუგეშად დატოვებულ ორ პატარასაც გაბედულად ვერ ვეფერები ჩემი გამწარებული სიბერით.

ჩემო ერთადერთო, 3 წლის უნახავო ბიჭო, უსპეტაკესი სულის მქონევ, ვერ გაგიფრთხილდით, ღმერთმა წაგიყვანა. ვის მოვკითხო შენი თავი, ცრემლითა და ძაძებით იმედგაცრუებული დავდივარ დღეს. იქნებ შენი სასუფევლიდან გამაგებინო, როგორ ვინუგეშო თავი. უხვი სიკეთისა და მადლის მქმნელად რატომ გაგზარდე?!

მშობლების, ახლობლების, მეგობრების, მოსიყვარულეებ, ყველას გვენატრები. რაც დრო გადის, უფრო მეტად ბრწყინდება შენი სახელი სოფელში.

მე კი ვიცი, რომ ზეცის კართან მელოდები. ღმერთს ვევედრები, მალე გამიღოს სამარის კარი, შენთან შესახვედრად, შვილო.

*უბედური დედ-მამა*

**ვალერი (ვალოდია) შანგუას გახსენება**



7 ნოემბერი შენი პირველი დაბადების დღეა, რომელსაც ჩვენ აქ უდიდესი გულისტკივილით, წარსულის მოგონებებით ვხვდებით, შენ კი — იქ, მარადისობაში.

შენი განვლილი ცხოვრება მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მხოლოდ საკუთარი ნიჭით, შრომითა და შემართებით მიაღწიო საწადელს და კაცური კაცის სახელი დატოვო. რომანტიკული, ბობოქარი, ფეთქებადი ბუნების, შეუდრეკელი და პრინციპული, პირდაპირი და სამართლიანი, კეთილი, კაცთმოყვარე, მრავალმხრივ განათლებული, ნაკითხი ინტელექტუალი, ცოდნისა და ნიჭის დამფასებელი იყავი.

ღრმად მორწმუნე არ ყოფილხარ, მაგრამ შენი ცხოვრების წესით ყველაზე მეტად შენ იყავი ქრისტესმიერი ათი მცნების მატარებელი, სულიერად ამაღლებული.

დიდია მონატრება, სევდა და გულისტკივილი შენი არყოფნისა. ახლა ვათვითცნობიერებთ, თუ რამხელა ძალა და იმედი ყოფილხარ ჩვენთვის.

დიდია ტვირთიც, რომელიც დაგვიტოვე — გავუფრთხილდეთ და ღირსეულად ვატაროთ ჩვენთვის მუდამ საამაყო, ღირსეული კაცის სახელი.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

**ირაკლი ელიაშვილის გახსენება**



შვილო ირაკლი! შენი მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ ტკივილიანმა წელმა გაიარა და 31-ში შენი დაბადების დღეა, მაგრამ რა აზრი აქვს ამ დღეს უშენოდ!

ძალიან მტკივნეულია 23 წლის ახალგაზრდაზე მხოლოდ მოგონებებით ილაპარაკო. შენ ხომ ძალიან გინდოდა სიცოცხლე და ყველაფერს აკეთებდი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

შენმა დაკარგვამ კიდევ ერთხელ გაგვახსენა შენი მამიდაშვილის, 22 წლის იას დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. თქვენ ხომ ასე ძალიან გიყვარდათ ერთმანეთი. იმედია, იმ ქვეყნად ერთად იქნებით და ერთმანეთს მიხედავთ.

უფალს შევთხოვთ, თქვენი სულები ნათელში ამყოფოს.

**დავით წულაძის ხსოვნას!**



ჩვენო საყვარელო დათუჩია, პირველი ნოემბერი შენი გარდაცვალების დღეა.

ერთი წელია, რაც ულმობელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. ძალიან გვიჭირს უშენობა, გვიყვარხარ, გვენატრები. ვერაფერი შეავსებს იმ სიცარიელეს, რასაც შენი მოგონება ჰქვია. უსაზღვროდ გიყვარდა შენი ძმა, ახლობლები, მეგობრები, რომელთაც შენი სითბო და სიყვარული დააკლდათ.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*მშობლები, ძმა, რძალი და ბებია*

**მერაბ როსებიშვილის მონატრება**



პირველად მოვიდა 3 ნოემბერი უშენოდ, მერაბ, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო.

დაბადების 41-ე წლისთავს შენს სამუდამო განსასვენებელთან მოგილოცავთ, დაგინთებთ სანთლებს, მოგართმევთ ყვავილებს და გულწრფელი ცრემლებით დაგიტირებთ.

ექვსი თვე სრულდება შენი ტრაგიკულად გარდაცვალებიდან. მისის გირგვინა დღე აღარ გაგითენდა, ძმაო!

თითქოს გრძნობდაო შენი კეთილი გული მოახლოებულ სიკვდილს, ისე დაუმშვიდობე შენს ბიჭებს — ჯაბასა და რომას, — იქნებ ცოცხალი ვეღარ დავბრუნდეო, და აკი ახდა კიდეც შენი წინასწარმეტყველური სიტყვები.

...გზას აბნელებდა შენს სამძიმარზე მოსულთა სიმრავლე. თითოეული შენს ჭირისუფლად თვლიდა თავს. დაგტიროდა ოჯახი, ნათესაობა, სამეგობრო, ნაცნობი თუ უცნობი.

ვერ ვიჯერებ, ჩემო მოუსვენარო, ხალასი იუმორით სავსე, მუდამ მოღიმარო ძმაო, რომ შენ ამქვეყნად აღარ ხარ, რომ შენ უმოძრაობას დაემორჩილე, რომ ვეღარასოდეს გავიგონებ შენს ხმას, რომ ვეღარასოდეს მიუჯდები შენი მანქანის საჭეს, რომელმაც იმსხვერპლა შენი ლამაზი სიცოცხლე.

წახვედი და დაგვიტოვე უსაშველო ტკივილისა და მონატრების გრძნობა. უშენოდ დარჩენილები ვცდილობთ, თანდათან შევეჩვიოთ უშენობას, ვისწავლოთ ცხოვრება უშენოდ, თუმცა ყოველი დღე მაინც შენზე ფიქრით იწყება და მთავრდება.

...გილოცავთ დაბადების დღეს, მერაბ!

სანთელ-საკმეველი ანათებდეს შენს ზეციურ სამყოფელს. გვენატრები, ჩვენო საფიცარო ძმაო!

*შენი და ლია*

**ქეთინო ფერაძის ხსოვნას!**



საშინლად ტკივილიანი ერთი წელი გავიდა, ჩვენო საყვარელო მეგობარო, რაც ჩვენთან აღარ ხარ. რომ იცოდე, როგორ მენატრები, ქეთი, ცრემლებს ვერ ვიკავებ, ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი.

ყოველმხრივ რჩეული იყავი — გარეგნობით, აღზრდით, ბუნებით... შენ გვერდით მყოფთ მოდუნებისა და მოწყენის ნებას არ გვაძლევდი. ყოველგვარი გასაჭირი ღიმილით გადაგქონდა.

წინასწარ გილოცავ გიორგობას, უზომოდ თბილო და კეთილო მეგობარო, როგორც ცოცხალს, მაგრამ ჩემგან შორს მყოფს.

შენი სული ისეთივე წმინდა და ნათელია, როგორიც ის სანთლები, რომლებსაც შენთვის ვანთებ. შენ მხოლოდ გადასახლდი იმ სამყაროში, რომელსაც სამოთხე ჰქვია და იქ განაგრძობ სიცოცხლეს.

მიყვარხარ, მაკლიხარ და აუტანლად მენატრები.

*შენი მეგობარი თამრიკო მჭალობლიშვილი*



# ბნელ გვირაბში გარდაცვლილი მამა გამომეცხადა

ქეთევან გ-ძე თავს მორწმუნედ თვლის და თუმცა ყველა საეკლესიო რიტუალის დაცვას ვერ ახერხებს, იმედი აქვს, უფალი ისევე არ მოაკლებს წყალობას მას და მის ახლობლებს, როგორც აქამდე ხდებოდა: „ვიცი, ბევრი არ დამეთანხმება, მაგრამ მე მაინც ჩემებური დამოკიდებულება მაქვს რწმენასთან, ღმერთთან. ვფიქრობ, მთავარი ის კი არაა, გარეგნულად როგორ გამოხატავ უფლისადმი მორჩილებას თუ მოწიწებას, არამედ ის, რაც სულში ხდება. შეიძლება ყოველდღე ვერ მივიდე ტაძარში, ვერც მარხვა შევინახო და ყოველდღიურ ურთიერთობებშიც უნებურად უამრავი შეცდომა დავუშვა, მაგრამ მოვინანიებ, ყოველნაირად ვეცდები გამოსწორებას, რაშიც აუცილებლად დამეხმარება უფალი. სიმართლე გითხრათ, მეშინია კიდეც იმ მორწმუნეების, რომლებიც მზად არიან შენიშვნა მოგცენ ნებისმიერი წვრილმანის გამო და შემოგიტიონ, გაიძულონ, უარი თქვა საკუთარ შეხედულებებზე და ამ დროს ავიწყდებათ ყველაზე მთავარი, უფლის ნათქვამი: „ნუ განსჯი და არ განისჯები!...“

*— ერთი სიტყვით, თქვენ რწმენაშიც კი ზომიერების მომხრე ხართ, ქალბატონო ქეთევან!*

— 1987 წელს მამა გარდამეცვალა. ეს ჩემთვის დიდი ტკივილი იყო. დედა ძალიან პატარამ, 9 წლისამ დავკარგე, ჩემი და ჩემი უმცროსი დისთვის მამა იყო ყველაფერი.

მაშინ არც ამდენი ვიცოდი, რაც ახლა ვიცი. მიხსნიდნენ, მაგრამ თითქოს გული დახურული მქონდა, ვისმენდი და ბოლომდე არ მესმოდა, მით უმეტეს, იმ ტრადიციებისა, რაზეც ბიბლიაში არაფერია ნათქვამი და ადამიანებმა მოიგონეს. იცით, ალბათ, რომ არის ასეთი ტრადიცია: გარდაცვლილს თავთან დაუდგამენ მაგიდას, სადაც ე.წ. საკურთხს უდებენ — წყალს, ღვინოს, მარილს, პურს და, რაც მთავარია, ჩაუქრობლად უნდა ენთოს კანდელი და სანთელი. ყველაფერ ამას მე დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, გვიანამდე ვიჯექი ხოლმე მამის ცხედართან. როცა ყველა დაიძინებდა, ვტიროდი, მამის ხელებს ვეფერებოდი და ათას რამეზე „ველაპარაკებოდი“, როგორც თავად იცოდა, როცა ავად ვხდებოდით — მოფერებით და საუბრებით გვიამებდა და გვავიწყებდა ტკივილს...

ოთხი დღე და ღამე გვყავდა მიცვალებული შინ და ყოველი დღე ერთნაირად მთავრდებოდა: ყველაზე ბოლოს მე ვრჩებოდი მასთან, მერე მაგიდიდან ყველაფერს ავულაგებდი, რადგან ზაფხული იყო, ცხელოდა და საკვები ადვილად ფუჭდებოდა. მერე ჩავაქრობდი კანდელს, გამოვიხურავდი კარს და თვალის მოსატყუებლად წავიდოდი.

პირველ და მეორე დღეს არაფერი და მესამე ღამეს მომესმა მამის ძახილი: — ქეთინო, ქეთინო!.. უცებ ვერ წავართვი ძილს თავი და ხმამაღლა გავეპასუხე, — რა იყო, მამა, ხომ არაფერი გიჭირს-მეთქი! ქმარს გაეღვიძა და შევეცოდე, მომეფერა: — მამა გესიზმრაო?! მეც დავიჯერე, რომ სიზმარში მომესმა მამის ხმა, ავტირდი. ისევ ჩავთვლიმე, და კვლავ გავიგონე: „ქეთინო... ქეთინო!..“ ახლა უცებ გამოვერკვიე, ქმარს აღარ გაღვიძებია. ავდექი და შევედი იმ ოთახში, სადაც მიცვალებული გვესვენა, დავჯექი და ავტირდი — ბოდიშს გიხდი, მარტო დაგტოვე-მეთქი... ნათურა ენთო, მაგრამ... იმ წუთში დაბნელდა. ვიფიქრე, შუქი გამოირთო-მეთქი. არ შემშინებია. მაგიდაზე ასანთი მეგულებოდა და ხელით მოვძებნე, თან ვცდილობდი, რამე დამენახა, მზერა შემეჩვია.

ჰოდა, გაჩნდა ჩემ წინ მოიისფრო ნათება. გვირაბივით გასასვლელი დავინახე, რომლის ფსკერზე სუფთა წყალი მიედინებოდა. შორიახლო მამაჩემი იდგა მუხლებზე და თითქოს მემუდარებოდა... არც კი ვიცი, მისი ხმა გავიგონე თუ გონებაში გახმიანდა ფრაზა: — რატომ აქრობ სანთელს, ქეთინო, როცა გზას მისი შუქი არ მინათებს, აი, ასე ვზივარ სიბნელეში, ვერ მივდივარ, არადა მაგვიანდება, წინ გრძელი გზა მიდევსო!..

წამოვხტი, ცხადი და სიზმარი ერთმანეთში ამერია, მინდოდა მამას მივვარდნოდი და წამომეყენებინა, მაგრამ სიბნელეში რაღაცას წამოვედე და წავიქეცი, ალბათ გონი დავკარგე... როცა აზრი დამიბრუნდა, ნათურა ისევ ენთო (შუქი მოსულიყო!), მე იატაკზე ვეგდე. ავდექი და იმ წუთში გამახსენდა ხილვა. კანდელიც ავანთე, სანთელიც, ფსალმუნი გადმოვიღე და დილამდე ვიკითხე. სკამზე ჩამომჯდარს წამართვა ძილმა თავი და რამ გამაღვიძა, იცით? მამა დავინახე, რომელიც ანთებული სანთლით ხელში მომიახლოვდა, სევდიანად გამიღიმა, პირჯვარი გადამწერა, შუბლზე მაკოცა და... იმ იისფერ გვირაბში შევიდა. სანთლის ალი გზას უნათებდა, თამამად მიიწევდა წინ!...

მამა-მეთქი, — მივაძახე. აღარ მობრუნებულა. მე საკუთარმა ხმამ რეალობაში დამაბრუნა. ქმარი მედგა გვერდით. მოვუყევი, რაც დამემართა ღამით. პირჯვარი გადაიწერა: — დიდება, უფალო, შენს ძალას და ნებასო.

დაკრძალვის დღეს კიდევ ერთი სასწაული მოხდა. ბუნებრივია, ახლა უკვე არავითარი წინააღმდეგობის სურვილი არ გამჩენია და თავად ყველაზე მეტს ვცდილობდი, რომ მიცვალებულისთვის საკურთხი გაგვეწყო. სული რომ უხსენეს, დავინახე მამაჩემის აჩრდილი, რომელიც ღია კარში შემოვიდა, კმაყოფილმა გადახედა სუფრას, მაგრამ მხოლოდ ვაშლი „აილო“, რომელიც თავად დარგო ჩვენს ეზოში და ძალიან უყვარდა. პირჯვარი გადაგვწერა ყველას და... წავიდა!...

არ ვიცი, სასწაული გაგრძელდა თუ შემთხვევით მოხდა, მაგრამ ის ვაშლის ხე, რომლის ნაყოფიც მამამ „თან წაიღო“, იმ წელიწადს გახმა. მოხუცებმა თქვეს: — ხდება ასე, როცა ოჯახის უფროსი გარდაიცვლება, მისმა ხელშენახებმა ხემაც იცის გახმობა და ზოგჯერ პირუტყვიც უმიზეზოდ იღუპებაო!..

თუ დაუჯერებენ ადამიანები ჩემს ხილვას და გაითვალისწინებენ, ისევ მათი სულის სიმშვიდისთვის იქნება კარგი, თუ არადა, არც ამით დაშავდება რამე. უფალმა უკეთ იცის, რა არის საჭირო ჩვენთვის და ყველაფერს გააკეთებს ჩვენი რწმენის გასაძლიერებლად!...

...მე დავუჯერე ქალბატონ ქეთევანს. უფრო სწორად, ვირწმუნე, რომ ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ხანმოკლე გასეირნებაა იმ დიდი მოგზაურობის წინ, რასაც გარდაცვალება ჰქვია...

***ინგა ჯაყელი***

# კაცუნამ თვალები დააბრიალა და...

ერთი წლის წინ დედაქალაქში ჩამოსულმა ბინა ვიქირავე და გადმობარგება ძლივს მოვასწარი, რომ უცნაური სატელეფონო ზარი გაისმა — ვიღაც ე.წ. „კეთილისმსურველმა“ იდუმალი ხმით გამაფრთხილა, რომ ამ ბინაში ცხოვრება უბედურებისა და მწუხარების მეტს არაფერს მომიტანდა. მაგ სახლში სამი სრულიად ჯანმრთელი ადამიანი ერთიმეორის მიყოლებით გარდაიცვალა, — მამცნო უცნობმა, — გული მიგრძნობს, თქვენც მათ ბედს გაიზიარებთ, თუ სასწრაფოდ თავს არ უშველითო...

მშიშარა და ცრუმორწმუნე არა ვარ. ვიფიქრე, ჩემს „კეთილისმყოფელს“ ალბათ ამ ბინაზე თვალი უჭირავს და ამგვარად ცდილობს ყოველი ახალმოსახლის დაფრთხობას, რათა, ბოლოს და ბოლოს, სახლის პატრონი აიძულოს, ბინა მიჰყიდოს-მეთქი. ასე რომ, უცნობი პასუხის ღირსადაც არ ჩამითვლია, ისე დავუკიდე ყურმილი.



არადა, დროთა განმავლობაში შევატყვე, რომ ახალგაცნობილი მეზობლები ჩემთან სტუმრობას ერიდებოდნენ, თუმცა საკმაოდ კეთილად მიყურებდნენ. ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და ნელნელა, თითქოსდა უწყინარი კითხვებით კარის მეზობლისგან რაღაც-რაღაცები მაინც შევიტყვე.

თურმე ბინა, რომელშიც ვცხოვრობდი, სამჯერ ყოფილა გაყიდული. პირველად ახალგაზრდა, მარტოხელა მამაკაცს შეუძენია, ერთ ავბედით დღეს კი, ყველასთვის მოულოდნელად, ამ ჯან-ღონით სავსე, ხალისიან კაცს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაუსრულებია. ახალმა მეპატრონემ მღვდელს აკურთხებინა სახლი და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოიყვანა ცოლ-შვილი საცხოვრებლად, ორი თვის თავზე კი თვითონ ავთვისებიანი სიმსივნით აღესრულა!

მისმა ცოლ-შვილმა იქ ცხოვრება აღარ ისურვა და ბინა დედა-შვილს მიჰყიდა, თუმცა, დატრიალებული ტრაგედიის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. ვაჟი სტუდენტი ყოფილა, კარგად აღზრდილი და დედის მოსიყვარულე. მშვენიერი გოგო დაუნიშნავს და ქორწილისთვისაც ემზადებოდა, მაგრამ... ცოტა ხანში შეუძლოდ შექნილა და მენინგიტით გარდაცვლილა...

ჰოდა, სწორედ დედამისისგან მიქირავებია ეს ბინა... შვილმკვდარ დედასთან ამ თემაზე საუბარი მომერიდა, მაგრამ გვარიანად კი დავფრთხი. არადა, თავს ჩინებულად ვგრძნობდი და ჯანმრთელობასაც არ ვუჩიოდი.

გავიდა რამდენიმე თვე.

კაცმა არ იცის, რა მიზეზით, უძილობა დამჩემდა — ღამეებს წიგნის კითხვაში ან ტელევიზორის ყურებაში ვატარებდი. ერთხელაც, შუაღამეს გადაცილებული იყო. ძილი მომერია, ბრა გამოვრთე, შემოსასვლელში გასვლა და შუქის ჩაქრობა კი დამეზარა. მკლავი თავქვეშ ამოვიდე და... ცოტა ხანში თითქოს ვიღაცის დაჟინებულმა მზერამ გამომაღვიძა. თვალი გავახილე და ელდა მეცა: ზუსტად ჩემი პირისახის გასწვრივ, თმაგაბურძგნილი, დიდთვალა, ქონდრისკაცი იდგა და ცნობისმოყვარეობით მომჩერებოდა! ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე, რათა რაც შეიძლება ხმამაღლა დამეყვირა, მაგრამ ყელიდან მხოლოდ ხრიალი აღმომხდა. ჯუჯას წარბიც არ შეუხრია — მხოლოდ თვალები დააჭყიტა უფრო ფართოდ და ტუჩები ააცმაცუნა.

ისევ ჩავისუნთქე ჰაერი და ამჯერად დაკივლება შევძელი. ის კვლავ არ განძრეულა, მაგრამ აშკარად აჩურჩულდა. ვიფიქრე, თუ მძინავს, ესე იგი, ცუდ სიზმარს ვხედავ, ხოლო თუ მღვიძავს, მაშასადამე, ეს ქონდრისკაცი მეჩვენება და სადაცაა, უნდა გაქრეს-მეთქი... ნურას უკაცრავად! მესამედაც დავიკივლე და საკუთარმა ხმამ დამარწმუნა, რომ ნამდვილად ცხადში ვიყავი. აი, მაშინ კი გაგულისდა ჩემი ჯუჯა, თმა ზღარბის ეკლებივით აეჯაგრა და თვალები დამიბრიალა: — ეს სახლი ჩემია, აქედან წაეთრიე, თორემ სულს გაგაფრთხობინებო, — ფეხები დამიბაკუნა და გაქრა!

ერთ კვირაში ბინა გამოვიცვალე... დღესაც არ ვიცი, ეს ყველაფერი ჩანერგილი შიშისაგან მომეჩვენა, თუ ცხადად გადამხდა თავს, მაგრამ უსიამოვნებებისთვის თავის გარიდება ვარჩიე. რა ვიცი, იქნებ ის ქონდრისკაცი, როგორც ამბობენ, სახლის სულიც კი იყო?!

***მ. ლ-ძე, თბილისი***

# ბიჭი ქალის ნაზოდვარი თუ...



***ბეტი ჰილი ყველაზე ცნობილი პიროვნება იყო მათ შორის, ვინც „უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს“. იგი ახლახან 85 წლის ასაკში მძიმე სენით გარდაიცვალა. მან დასაბამი მისცა „ამო-თი გატაცების“ ფენომენის ახსნას, რომელიც საფუძვლად დაედო ამ თემატიკაზე შექმნილ მსოფლიოში ყველაზე დიდტირაჟიან წიგნს და ყველაზე პოპულარულ ფილმებს.***

***ჰილი ირწმუნებოდა, რომ კანადიდან მომავალი ის და მისი ქმარი 1961 წლის 19 სექტემბერს გაიტაცეს უცხოპლანეტელებმა. მაშინ ქალს არაფერი ახსოვდა, უბრალოდ, შინ დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ მაჯის საათი გაჩერებულიყო, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი კი გაცვეთილიყო. მხოლოდ სამი წლის შემდეგ, ჰიპნოზის ზემოქმედებით გაიხსენა ბეტი ჰილმა, რომ იმყოფებოდა კოსმოსურ ხომალდზე და იმ ვარსკვლავიანი ცის რუკის დახატვაც კი შეძლო, რომელსაც უცხოპლანეტელები ხედავენ. სწორედ ამ რუკამ გამორიცხა ჰილის ნაამბობის ჭეშმარიტებაში ეჭვი.***

## ბეტი ჰილის ნაამბობი

„შეფს“ ვკითხე, — საიდან ხართ-მეთქი, რადგან ვიცოდი, რომ დედამიწელი არ იყო. მან მკითხა, სამყაროს შესახებ რამე თუ იცითო. არა-მეთქი, ვუპასუხე. მითხრა, — ვისურვებდი, მეტი გცოდნოდათო. მეც მინდა-მეთქი. იგი მაგიდასთან მივიდა, უჯრიდან რაღაც ამოიღო და წინ გამიშალა. მკითხა, — ადრე თუ გინახავთ ციური რუკებიო. რუკაზე აღნიშნული იყო წერტილები. ზოგიერთი პატარა, ქინძისთავისოდენა, სხვები უფრო მოზრდილი — მონეტასავით. წერტილები ხაზებით უერთდებოდნენ ერთმანეთს. ზოგი წვრილი იყო, ზოგიც — მსხვილი. ვკითხე, რას ნიშნავდა ეს წერტილები და ხაზები. მიპასუხა, — მსხვილი ხაზები — კოსმოსური გზებია, წვრილი ხაზები იმ ადგილებს აღნიშნავს, სადაც ზოგჯერ ვმგზავრობთო. პუნქტირით ექსპედიციები იყო აღნიშნული. თვითონ საიდან ხართ-მეთქი. კითხვაზე კითხვით მიპასუხა: ამ რუკის მიხედვით თქვენ საიდან ხართ? სიცილით მივუგე, რომ არ ვიცოდი. მაშინ მითხრა: თუკი თქვენ არ იცით, სად იმყოფებით ამ რუკაზე, მაშინ ვერც მე აგიხსნით, საიდან ვარ.“

ბეტი ჰილის რუკით დაინტერესდა მოყვარული ასტრონომი მარჯორი ფიში, რომელმაც ივარაუდა, რომ თუკი ჰილის რუკა შეიცავს ჭეშმარიტებას, მაშინ ის უნდა ასახავდეს ვარსკვლავიან ცას იმ წერტილიდან, საიდანაც „ჩამოფრინდა“ ხომალდი, რომლის მგზავრიც ესაუბრა ჰილს. უზარმაზარი ანალიტიკური შრომის შედეგად ფიშმა მიაკვლია ცის ამ უბანს.

პროფესიონალმა ასტრონომებმა ფიშის მიერ ჩატარებულ სამუშაოს მაღალი შეფასება მისცეს. ოჰაიოს შტატის პროფესორმა უოლტერ მიტჩელმა სტუდენტთა ჯგუფთან ერთად გადაწყვიტა, შეემოწმებინა ფიშის შედეგები. ბეტი ჰილის მიერ დახატული ორი დიდი წრე ფიშმა განსაზღვრა, როგორც რეტიკულის თანავარსკვლავედის ვარსკვლავები — ზეტა და ზეტა . მიტჩელმა კომპიუტერში შეიყვანა დედამიწასთან ახლოს მყოფი ვარსკვლავების მდებარეობა და შეადგინა პროგრამა, რომელიც ვარსკვლავიანი ცის იმგვარ მოდელს იძლევა, როგორსაც მას ხედავენ ზეტა რეტიკულის თანავარსკვლავედიდან მზის მიმართულებით. რუკა თითქმის დაემთხვა ჰილის ნახატს.

კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი ფაქტი: რუკა ჰილმა 1964 წელს შექმნა ჰიპნოზის ქვეშ. ფიშმა ამ ნახატის 10 ვარსკვლავი ამოიცნო, სამი კი ვერა. ეს სამი ვარსკვლავი ასტრონომებმა მოგვიანებით, 1969 წელს აღმოაჩინეს ...

1995 წელს ბეტი ჰილი შეეცადა განეხილა ამო-ს ფენომენი და ამ მიზნით გამოსცა წიგნი „ამო — საღი აზრის პოზიციიდან“, თუმცა, სანამ არ გარდაიცვალა, სკეპტიკოსებს ეს ქალი მარტოხელა გიჟ დედაბერად მიაჩნდათ...

***ტრუდი №200***

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I.** ალიონი

**II.** 1) — გ); 2) — ა); 3) — დ); ბ) — ზედმეტია.

**III. აბა, გამოიცანი**

1) — ა); 2) — დ); 3) — გ).

# ელიზაბეტ ტეილორი — მწერალი



ოდესღაც ულამაზესმა ქალბატონმა, ჰოლივუდის ვარსკვლავმა ელიზაბეტ ტეილორმა გამოსცა მემუარები „ელიზაბეტ ტეილორი — ჩემი სასიყვარულო კავშირი ბრილიანტებთან“. დღესდღეობით ეს წიგნი აშშ-ის, კანადისა და დიდი ბრიტანეთის წიგნის ბაზრის ლიდერია.

72 წლის ლიზ ტეილორი, მსოფლიოს ყველა მამაკაცის ოცნება, შვიდჯერ იყო გათხოვილი, ახლა კი თავის სასახლეში მსახურთან და საყვარელ ძაღლთან ერთად არის ჩაკეტილი და გარეთ გამოსვლაც არ უნდა.

ეკრანის ლეგენდა მწარედ განიცდის სიმარტოვეს, თანაც ჯანმრთელობის გაუარესების გამო როლებსაც აღარ სთავაზობენ. ეულად დარჩენილმა ქალმა ხმის გასაცემად დაიქირავა ახალგაზრდა ფრანგი მსახური ჟან-ლუკ ლაკმენტი. მსახიობს გული ატკინეს ჭორიკანებმა — ლიზმა სექსუალური სათამაშო შეიძინაო.

ტეილორს მხოლოდ მისი ერთგული მაიკლ ჯექსონი არ ივიწყებს, ხშირად ურეკავს და ამხნევებს ძველ მეგობარს.

***ექსპრეს-გაზეთა №42***

# ბავშვის სქესი — სურვილისამებრ



ჰონკონგის ახალ კლინიკაში ირწმუნებიან, რომ შეუძლიათ ბავშვის ჩასახვამდე განსაზღვრონ მისი სქესი. ამ მომსახურების ღირებულება 6 ათას დოლარზე მეტია. პროცედურა არ მოითხოვს სამედიცინო ჩარევას: საკმარისია სამედიცინო ანკეტის შევსება და სისხლის ჩაბარება. ამის შემდეგ პაციენტს მიუთითებენ დღეს, როცა შეუძლია ჩასახოს სასურველი სქესის ბავშვი, უნიშნავენ ვარჯიშებსა და დიეტას. თუ გავითვალისწინებთ ჩინეთის პოლიტიკას — „ერთი ოჯახი — ერთი შვილი“, ალბათ ამ მომსახურებაზე დიდი მოთხოვნილება იქნება, მით უმეტეს, რომ ტრადიციულად, წყვილთა უმეტესობას მემკვიდრის — ვაჟის ყოლა სურს.

***მირ ნოვოსტეი***

# ვისია ფული?

რამდენიმე ათეული წელია, რაც კალიფორნიაში არსებობს უნიკალური „პოვნის მაგიდა“. იქ ინახება ფული, რომელსაც არავინ მიაკითხა. მაგალითად, ერთხელ კომპანია Tribune Co-მ თავის თანამშრომელს 6 ათასი დოლარი ჩაურიცხა ანგარიშზე, მაგრამ ფულს არ მიაკითხეს. მას შემდეგ ფული „პოვნის მაგიდაში“ ინახება და ადრესატს ელოდება. ხშირად ფული იმ ადამიანებამდეც არ აღწევს, ვისაც მთელი მსოფლიო იცნობს. Tribune Co-ს გზავნილმა ვერ მიაღწია მსახიობ ჯორჯ კლუნამდე (180 დოლარი), რეჟისორ რონ ჰოვარდამდე (690 დოლარი), სილვესტერ სტალონემდე (5.378 დოლარი) და მწერალ რეი ბრედბერამდე (131 დოლარი). თავის დროზე კი სტუდია Arista Rekords-მა ვერ მიაგნო სტივ უანდერს და ვერ გადაუხადა 7.939 დოლარი. ყველაზე დიდი თანხა, რომელსაც არავინ მიაკითხა, 370 ათასი დოლარია.

***ოგონიოკი №42***

# ფეხსაცმელი, მერე როგორი




სპორტული ფეხსაცმლის მწარმოებელმა ფირმა Kr-მა გამოუშვა მსოფლიოში პირველი ბოტასები, რომლებიც ბავშვთან ერთად გაიზრდება. სიახლეს „მაქს-ჭიაყელა“ უწოდეს და მოწყობილობით აკორდეონს მოგვაგონებს — ღილაკზე ერთი დაჭერით ერთი ზომით იზრდება. ახალი თაობის ფეხსაცმლის შემქმნელები დარწმუნებული არიან სიახლის წარმატებაში — ამგვარი ბოტასები მნიშვნელოვნად დაზოგავს ფულს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მისი ფასი 50 დოლარია. ფეხსაცმლის მწარმოებლებმა არც სხვა მნიშვნელოვანი გარემოება დაივიწყეს: ბავშვის ბოტასები მოხერხებული და გამძლეა. ფეხსაცმელს მაღალი შეფასება მისცეს ორთოპედებმა.

***ნიუ ზუიქი***

# უძველესი შავი იუმორი

ცნობილმა ბრიტანელმა მკვლევარმა, კეროლ ენდრიუსმა ძველი ეგვიპტური კულტურის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სწორედ ეგვიპტეში ჩაისახა ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება — იუმორი. ძველეგვიპტელებს უყვარდათ უხამსი ხუმრობა, ჰქონდათ პოლიტიკური სატირა, პაროდია და ხელოვნება, რომელიც ძალიან წააგავდა მულტიპლიკაციას. ეგვიპტელებს განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდათ ეროტიკული და შავი იუმორისაკენ.

***ოკნა №41***

# ცნობილი ზარმაცები



— **უინსტონ ჩერჩილის** დევიზი იყო: „არავითარი სპორტი!“ ოჯახში მისი ერთადერთი აქტიური მდგომარეობა იყო მოქანავე სავარძელში ჯდომა. ჩერჩილს საფერფლის აღებაც კი ეზარებოდა, ამიტომ მისი სავარძლის ირგვლივ იატაკი მოფენილი იყო საყვარელი სიგარის ფერფლით.

— **ჩარლზ დარვინს** ძალიან უყვარდა მერხზე თავმიდებულს ძილი. უნივერსიტეტში ხშირად აცდენდა ლექციებს და იმით ერთობოდა, რომ საწოლიდან აუდგომლად ყვავებს თოფს ესროდა.

— **კარლ მარქსს** ეზარებოდა, თავი ერჩინა მუშაობით, ამიტომ დიდხანს მოხუცი დედის კმაყოფაზე იყო. 1869 წლიდან კი მეგობარი, ენგელსი ინახავდა.

— **ილია ილფს**, როგორც მეგობრებს მიაჩნდათ, შეიძლებოდა ჰქონოდა პრეტენზია „ყველაზე ზარმაცი“ ადამიანის ტიტულზე. მისი უსაყვარლესი საქმიანობა იყო წამოწოლა და საზღვაო ბრძოლებზე წიგნების კითხვა ან ძელსკამზე ჯდომა და გამვლელების თვალიერება.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

# მთავარი ასაკი არ ყოფილა

75 წლის ინგლისელი დაფნა ჰელფი, თავის დროზე ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელი ამტკიცებს, რომ ცხოვრება 70 წლის შემდეგ იწყება. სულ ახლახან ქალბატონი დაფნა „დოლჩე და გაბანას“ სახე გახდა.

— 4 შვილიშვილის ბებია მოულოდნელად მიმიწვიეს პოდიუმზე, — ამბობს ქალბატონი ჰელფი, — ახალგაზრდობაში მოდელად ვმუშაობდი, მაგრამ, როგორც მაშინ იყო მიღებული, 35 წლისამ მივატოვე პოდიუმი.

დღეს ქალბატონი დაფნა დღეში 2.500 ევროს იღებს მოდების ჟურნალისგან, ხოლო „დოლჩე და გაბანას“ სახლი თითო გამოსვლაში 120.000 ევროს უხდის. მას მოდის ბევრი მეფე იწვევს, მაგრამ დროის უქონლობის გამო უარს ამბობს მათთან თანამშრომლობაზე. „დაფნა გასაოცარი ქალია, რომელიც ჩვენთან სულ სხვა პლანეტიდან მოფრინდა, — ამბობენ მისი კოლეგები, — ის ენერგიით და ხალისით ნებისმიერ ახალგაზრდა მოდელს ჯობნის. მისი შემხედვარე, რწმუნდები, რომ 70 წლის ქალსაც შეუძლია ჩაიცვას მინიბოლოკაბა და გაიკეთოს კაშკაშა ბიჟუტერია. მთავარი ის კი არ არის, რამდენი წლის ხარ, არამედ ის, რამდენისად გრძნობ თავს“.

***ოჯი***

# მოდაშია 200 კგ-იანი კუ?



ათასობით ევროპელი მოდას ფეხდაფეხ მისდევს — ისინი ყიდულობენ პაწია კუებს და ზრდიან. ხშირად მათ ატყუებენ, აფრიკული გიგანტური კუს პაწია ნაშიერებს აჩეჩებენ, რომლებიც 200 კგ-იან მონსტრებად იქცევიან. მათ ისეთივე კვება სჭირდებათ, როგორიც ძროხას — დღეში ჭამენ ერთ ყუთ ბანანს, 5 თავ კომბოსტოს, უამრავ მწვანილსა და ბალახს.

აფრიკული კუ 10 წლის მანძილზე იზრდება, ზამთრობით არ იძინებს, სჭირდება განსაზღვრული ტემპერატურა, არანაკლებ +25 გრადუსისა. ცოცხლობს 100 წელზე მეტხანს და ხანდახან აგრესიულიც ხდება.

გაგიჟებულ პატრონებს კუები ქალაქგარეთ გაჰყავთ და იქ ბედის ანაბარა ტოვებენ.

***სანი***

# ძნელია იყო პრინცესას ქმარი?

27 წლის პრინცესა ვიქტორია უთანასწორო სიყვარულის მორიგი მსხვერპლი გახდა — მან თავისი არჩევანით ძალიან დაადარდიანა მშობლები — შვედეთის მეფე გუსტავი და დედოფალი სილვია. ვიქტორია ცოტა ხნის წინ დაშორდა თავის ძველ მეგობარ ვაჟს და სევდის გასაქარვებლად ფიტნეს-კლუბს მიაშურა. იქ გაიცნო კლუბის მფლობელი, 30 წლის დანიელ ვესტლინგი და... შეუყვარდა.

ვესტლინგი სპორტული აღნაგობის სანდომიანი ყმაწვილია, ოღონდ... არც ინგლისური იცის და არც... წერა-კითხვა — თავის დროზე მხოლოდ გიმნაზიის 2 კლასი დაუმთავრებია, მერე ჯარში მძღოლად უმსახურია. ამ ამბავმა სასიმამრო მეფე საგონებელში ჩააგდო და ქალიშვილთან ძალიან დაეძაბა ურთიერთობა. თავად პრინცესა აინუნში არ აგდებს სატრფოს გაუნათლებლობას — ძალიან ძნელია პრინცესას მეუღლეობა, ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ აღმოჩნდა ისეთი ვინმე, ვინც მოისურვა ჩემთან საქმის დაჭერაო, — თქვა მან.

ამბობენ, შეყვარებულები საშობაოდ დაინიშნებიან, იმის მიუხედავად, რომ მეფე და დედოფალი სასტიკი წინააღმდეგი არიან ამ ქორწინებისა. ახლა პრინცესამ უნდა გადაწყვიტოს — ან ტახტი, ან ქმარი...

***ტაიმი***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში თქვენ შეიტყობთ თუ სად გაატარა სიცოცხლის ბოლო ორი წელი კომპოზიტორმა რობერტ შუმანმა.**




**კ.** ფრანგი მწერალი; **ვ.** ფეოდალი შუა საუკუნეების ევროპაში, რომელიც დამოკიდებული იყო უფრო მსხვილ ფეოდალზე; **ი.** ქალაქ ტროას მეორენაირი სახელი; **რ.** ორბორბლიანი სამგზავრო ეტლი, რომელსაც ადამიანი დაატარებს; **ი.** დოსტოევსკის ნაწარმოები; **ს.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **პ.** იესოს ერთ-ერთი მოციქული; **ა.** ადამიანის მთავარი არტერია; **ლ.** ძველი ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** მონასტრის წინამძღვარი; **ტ.** სომხური კერძი, „კატორი უ ნას ნე უმეიუტ გატოვიტ“; **რ.** რისამე მარაგი; **ა.** შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც ფოსტით იგზავნება; **შ.** გემბანის საწმენდი ჯოხი; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ი.** მგალობელი ფრინველი; **ბ.** ჭადრაკის პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით სწირავენ პაიკს, ან სხვა რომელიმე ფიგურას; **ა.** ბლოკადა; **ზ.** ისრის წვერი; **ე.** აღგზნებული, მხიარული განწყობილება, კმაყოფილების, კეთილდღეობის გრძნობა, რომელიც არ შეესაბამება ობიექტურ მდგომარეობას; **თ.** ერთდროულად მცხოვრები, დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ი.** მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე; **ა.** გამოუწვავი აგური.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დიმიტრი; **ა.** აქსიომა; **ი.** იუანი; **ს.** სახნოვი; **ვ.** ვოიტილა; **ე.** ეზოპე; **ნ.** ნობელი; **ე.** ეკიპაჟი; **თ.** თასმა; **ჩ.** ჩხა; **ვ.** ვითა; **ე.** ერუდიტი; **ნ.** ნათლია; **თ.** თეირანი; **ა.** ავაზა; **ნ.** ნარცისი; **ე.** ექსცესი; **რ.** როენა; **თ.** თიბათვე; **ა.** ათაბაგი; **დ.** დიანა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მსახიობი სათუთი არსებაა.**

## საპატრულო პოლიცია 3 თვეში მთელ საქართველოს მოიცავს

— როდის დაიწყებს მუშაობას საპატრულო პოლიცია რეგიონებში და როგორ შეძლებს მათთან დაკავშირებას რიგითი მოქალაქე?

*დიმიტრი მარგველანი*

კითხვას უპასუხებს **გურამ დონაძე**, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი:




— საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საპატრულო პოლიცია, სავარაუდოდ, სამ თვეში დაიწყებს მუშაობას. ამჟამად მიმდინარეობს კადრების შერჩევა და ეკიპირების მომზადება, ანუ ავტომობილების, ტანსაცმლისა და სხვა აუცილებელი ატრიბუტიკის შეძენა. რაც შეეხება სატელეფონო ნომერს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციასთან დაკავშირება „022“-ის მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

## ბორის პაიჭაძის სტადიონს 10 ათასი სკამი შეემატება

— რამდენი წელია, რაც ლაპარაკია ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ახალი სკამების დამონტაჟებაზე. როგორც ვიცი, ამჟამად მხოლოდ 20 ათასი სკამია ახალი, არადა, სტადიონი 60 ათას მაყურებელს იტევს. გავიგე, თითქოს ახლა აპირებენ დამატებით სკამების დამონტაჟებას...

*იუზა ვაჩეიშვილი*

კითხვას უპასუხებს **ავთო ანთაძე**, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:



— დედაქალაქის მერია, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის აქციათა პაკეტის 53%-ის მფლობელია, ცდილობს დაეხმაროს სტადიონის ადმინისტრაციას და უზრუნველყოს მისი კეთილმოწყობა.

სტადიონის კეთილმოსაწყობად ქალაქის მერია გამოყოფს თანხას, რომლითაც წლის ბოლომდე კიდევ 10 ათას სკამს დავამონტაჟებთ. სავსებით შესაძლებელია, მომავალ წელს დედაქალაქის ბიუჯეტში კვლავაც შეიტანონ სტადიონის მოსაწყობი ხარჯები. ქალაქის მერია, ისევე, როგორც სტადიონის ადმინისტრაცია, დაინტერესებულია, რომ ხალხს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას და ეროვნული ტრადიციებიც აღორძინოს.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან პოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**



## სიტყვათა კონა

**კურკანტელი** — ეკალღიჭისა და კუნელის ნაყოფის სახელწოდება (იმერეთსა და გურიაში).

**კურკური** — 1. ჩუმი ლაპარაკი, ჩურჩული. 2. გადატ. (საუბ.) ტკბილად, ალერსით ხმადაბლა ლაპარაკი მოარშიყეთა. არშიყობა. 3. ქათმის ხმიანობა, როცა წიწილებს უხმობს.

**კუროსთავი** — სარეველა მცენარე.

**კურსივი** (ლათ.) — შრიფტი, რომელშიც ასოები მარჯვნივ არის დახრილი და ხელით ნაწერს მოგვაგონებს.

**კურტაკი** — მოკლე ზედა ტანსაცმელი.

**კურტანი** — 1. ტვირთის საზიდავი კეხი (სახედრისა). 2. (ძვ.) საზურგე, ადამიანის მიერ ზურგით ტვირთის საზიდავად.

**კურტუმი** — ფრინველის სხეულის ბოლო, ცხიმოვანი ნაწილი.

**კურცხალი** — მსხვილი ცრემლი.

**კურძალი** — ძაღლების მწვრთნელი, მეძებრის მომვლელი (ძველად — მებატონის მეურნეობაში — გურიასა და იმერეთში).

**კუსკუსებს** — მოუსვენრად არის, წრიალებს.

**კუსპარა** (საუბ.) — დაბალი, პატარა ტანის მოძრავი ადამიანი.

**კუტი** — 1. ადამიანი, რომელსაც ფეხები არ ემორჩილება, სიარული არ შეუძლია, საპყარი. 2. თონეში ჩავარდნილი და ნაკვერჩხლებზე გამომცხვარი პური.

**კუტალი** — ხის ჭურჭელი ტუჩიანი — წყლისათვის.

## კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების მინიკალენდარი კი ასეთია:



**1 ნოემბერი**

**პავლე ინგოროყვა**, მეცნიერი; **რიკ ალენი**, მუსიკოსი, ჯგუფ „DEF LEPPARD“-ის წევრი.

**2 ნოემბერი**

**ლუკინო ვისკონტი**, რეჟისორი; **ჟან ბატისტ შარდენი**, მხატვარი.

**3 ნოემბერი**

**სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკოგრაფი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე; **ვინჩენცო ბელინი**, კომპოზიტორი; **ალექსანდრ ბესტუჟევი**, დეკაბრისტი, პროზაიკოსი, პოეტი; **ლეონიდ ზორინი**, მწერალი, სცენარისტი; **დოლფ ლუნდგრენი**, მსახიობი; **სამუელ მარშაკი**, პოეტი, მთარგმნელი.

**4 ნოემბერი**

**ლუიშ ფიგუ**, ფეხბურთელი; **მეთიუ მაკონაჰი**, მსახიობი; **იგორ ტალკოვი**, მომღერალი, კომპოზიტორი.

**5 ნოემბერი**

**ბრაიან ადამსი**, მომღერალი; **ვივიენ ლი**, მსახიობი; **ოლეგ ბლოხინი**, ფეხბურთელი.

**6 ნოემბერი**

**ჩეზარე ლომბროზო**, ფსიქიატრი და კრიმინალისტი; **მარინა ხლებნიკოვა**, მომღერალი; **ტანდი ნიუტონი**, მსახიობი.

**7 ნოემბერი**

**ჯო დასენი**, მომღერალი; **ჯონათან კალმერი**, „ფორმულა-1“-ის ავტომრბოლელი, ფორმულა „პალმერ აუდი“-ს დამაარსებელი.

## თამუნა ამონაშვილს ჭორაობა არ უყვარს...

— გავიგე, რომ თამუნა ამონაშვილი გათხოვილა. ამბობენ, მისი მეუღლე მასზე ასაკით პატარააო. რამდენი წელია მათ შორის სხვაობა და რას საქმიანობს ჩვენი საყვარელი მომღერლის მეუღლე? ასევე მაინტერესებს, რა ვითარებაში გაიცნეს ერთმანეთი?

*თინა შენგელია*

კითხვას უპასუხებს **თამუნა ამონაშვილი**, მომღერალი:



— ყოველთვის მაინტერესებდა, რა სულიერ საზრდოს იღებს ადამიანი სხვაზე ჭორაობით. ბოლოს დავასკვენი, რომ ეს სენი იმ კატეგორიის ადამიანებს სჭირთ, რომელთაც საკუთარი, პირადი ცხოვრება არ გააჩნიათ. საბრალოა ასეთი კაცი. სიმართლე გითხრათ, ძალიან ვბრაზობ. რატომ ატყდა ასეთი აჟიოტაჟი ჩემ ირგვლივ, გაუგებარია. ნუთუ სხვა საქმე არ აქვთ? შოუბიზნესისთვის ეს ჩვეული ამბავია. როდესაც ჭეშმარიტ გრძნობაზეა ლაპარაკი, ასაკს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. შემიძლია უამრავი მაგალითი მოგიყვანოთ, როდესაც ქალები თავიანთ მეუღლეებზე ასაკით უფროსები ყოფილან. უფროსი თაყვანისმცემელიც მყოლია და უმცროსიც, მაგრამ ტრაგედიად არასოდეს მიმიჩნევია. ამასთან, ჩვენ შორის არც ისეთი საგანგაშო სხვაობაა, პირიქით, მასთან ურთიერთობისას თავი გაცილებით პატარა მგონია.

ჭორი, თითქოს გავთხოვდი ან საქმრო მყავს, შორს არის სინამდვილისგან. ჯერჯერობით არაფერი გადამიწყვეტია. რაში გადაიზრდება ჩვენი ურთიერთობა, არ ვიცი. ეს მხოლოდ უფლის ნებაა და როგორც იგი გადაწყვეტს, ისე იქნება.

რეზიკოსთან ლამაზი ურთიერთობები მაკავშირებს, მაგრამ როგორ დასრულდება იგი, არავინ იცის, მათ შორის, არც მე. რაც შეეხება იმას, თუ სად გავიცანი რეზიკო, ამაზე საუბარი არ მსურს (როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რეზიკო არჩვაძე თამუნამ ერთ-ერთი კლიპის გადაღებისას გაიცნო. ისიც შოუბიზნესში საქმიანობს. — რედ.).

## როგორ მივიღოთ ორდენი ან ჯილდო...

— ვცხოვრობ ახმეტის რაიონში. მყავს 5 შვილი. არავითარი დახმარებითა და შეღავათით არ ვსარგებლობ. მაინტერესებს, ვინ ანიჭებს „ქართველის დედის“ წოდებას ან რა საბუთებია საჭირო ამ წოდების მისაღებად?

*მოქალაქე*

კითხვას უპასუხებს **გიორგი სურგულაძე**, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქალაქეების საკითხთა, სახელმწიფო ჯილდოებისა და საპატიო წოდებების მინიჭების სამსახურის უფროსი:

— „ქართველის დედის“ წოდება საქართველოში ჯერ არ დაწესებულა და, შესაბამისად, მისი მიღება შეუძლებელია. ჯერჯერობით, არსებობს მხოლოდ პროექტი. დაამტკიცებს თუ არა მას პარლამენტი, არ ვიცით. თუმცა ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ საკმაოდ სერიოზულია, რადგან ქართველები და, მით უფრო მრავალშვილიანი ოჯახები, არც ისე ბევრი ვართ.

აქამდე არსებულ ჯილდოებს წელს მხოლოდ ორი შეემატა: 1. საქართველოს ეროვნული გმირის ორდენი, რომელიც არის საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო წოდება და იგი ენიჭება პირს, საქართველოსთვის გაწეული განსაკუთრებული და გმირული სამსახურისთვის. მეორე კი წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი, რომელიც ენიჭება პირს, საქართველოსთვის მოპოვებულ გამარჯვებებში შეტანილი წვლილისათვის.

საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება ხდება საქართველოს მინისტრთა კაბინეტის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების წარდგინებით. შუამდგომლობას აღძრავს ის დაწესებულება, რომელშიც მუშაობს დასაჯილდოებელი პირი ან ორგანო, რომლის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზეც ცხოვრობს დასაჯილდოებელი პირი.

## სტაჟის დადგენა შეგიძლიათ მოწმეთა ჩვენებით...

— შემისრულდა საპენსიო ასაკი. მინდა დავინიშნო პენსია, მაგრამ შრომის სტაჟი არ მყოფნის, მაკლია 5 წელიწადი. ფაქტობრივად, ეს წლები ნამუშევარი მაქვს, მაგრამ ოფიციალური დოკუმენტებით ვერ ვადასტურებ, რადგან ორგანიზაცია, სადაც ვმუშაობდი, რამდენიმე წელია, რაც ლიკვიდირებულია და არ არსებობს საარქივო მონაცემები. როგორ უნდა მოვიქცე, რომ ეს წლები ჩავითვალო შრომის საერთო სტაჟში?

*თამაზ ალასანია*

კითხვას უპასუხებს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:

— პენსიის დასანიშნად საჭირო დანაკლისი სტაჟის დადგენა შეიძლება მოწმეთა ჩვენების საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტურად დადასტურებულია პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟის სულ ცოტა ნახევარი მაინც.

რადგან თქვენი მონაცემები აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, დანაკლისი სტაჟის დადგენა შეგიძლიათ მოწმეთა ჩვენებებით, რომელთაც წარუდგენთ თქვენი რაიონის სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებას.

# „ჩვენთან კრივი კი არა, საკუთარი ბიზნესი აინტერესებთ...“

## „არავითარი არჩევნები 29 ოქტომბერს არ უნდა გამართულიყო და ეს გიორგიმაც იცოდა“

კრივის სამყაროში არსებულ დაპირისპირებას 29 ოქტომბერს გამართულმა კრივის ფედერაციის ყრილობამ საბოლოოდ ახადა ფარდა. სხვა საკითხებთან ერთად, დელეგატებს ფედერაციის ახალი პრეზიდენტიც უნდა აერჩიათ. თუმცა, ყრილობაზე სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა — რამაზ ფალიანმა მომხრეებთან ერთად, ყრილობა დატოვა. როგორც შევიტყვეთ, ქართულ კრივში არეულობის ერთ-ერთი მიზეზი მის „სამზარეულოში“ საკმაოდ „ავტორიტეტული“, გარეშე ძალების ჩარევაც გამხდარა. კულუარებში გავრცელებული ეს ვერსია საფუძველს მოკლებული არ არის, რამაც ქართული კრივის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის განხეთქილება გამოიწვია. ფალიანი შემდგომ გართულებას გაერიდა. გამგეობა კი, სავარაუდოდ, ყოველგვარი არჩევნების გარეშე გაუგრძელებს უფლებამოსილებას მოქმედ პრეზიდენტს — გიორგი კანდელაკს. ფალიანსა და კანდელაკს ერთმანეთთან ნათელმირონობა აკავშირებთ, ინტერვიუებშიც ცდილობდნენ, ერთმანეთზე ცუდი არაფერი ეთქვათ, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა და დღეს უკვე ნათელია,



რომ ფედერაციის თავკაცობის მსურველი ამ ორი მოქმედი მოკრივის დამოკიდებულება არც ისე „თბილია“. ყრილობის შემდეგ, **რამაზ ფალიანი** რედაქციაში გვესტუმრა და საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

— ყრილობაზე სიტუაცია ისე აირია, რომ ჩემს იქ ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. მე და ჩემი მხარდამჭერები იქ იმიტომ მივედით, რომ გავცნობოდით ფედერაციის მიერ შესრულებულ სამუშაოს და ჩვენთვის საინტერესო თემებზე გვესაუბრა, თორემ არავითარი არჩევნები 29 ოქტომბერს არ უნდა გამართულიყო და ეს გიორგიმაც იცოდა.

**— ჩვენთან საუბარში მას მსგავსი არაფერი უთქვამს.**

— საქართველოში ჩამოსვლამდე მეც ასე ვიცოდი, რომ ყრილობის მსვლელობისას აირჩევდნენ ახალ პრეზიდენტსაც, თუმცა, როდესაც დელეგატთა სიას გადავხედე, გაკვირვებული დავრჩი — ნამდვილად არ ველოდი, თუ ქართული კრივის 218 მწვრთნელს და სპორტის ამ სახეობის „სპეციალისტს“ აღმოვაჩენდი.

ვფიქრობ, ამდენი დელეგატი არაა საჭირო და გიორგი კანდელაკსაც და ფედერაციის სხვა წარმომადგენლებსაც შევუთანხმდი, რომ 2-3 თვე არჩევნები არ გაიმართებოდა. ასე რომ, ყრილობაზე ყველამ იცოდა, რომ პრეზიდენტის ასარჩევად კი არა, ფედერაციის მიერ ამ ორი წლის მანძილზე გაწეულ სამუშაოზე უნდა გვესაუბრა. თუმცა, როგორც შევიტყვე, ჩვენი წამოსვლის შემდეგ კანდელაკს 2006 წლამდე გაუზარდეს უფლებამოსილება.

**— თუ მართლაც ასე მოხდა, რას აპირებთ?**

— არ ყოფილა ჩვენს კრივში საშველი და ეგაა. თუმცა, მე ისევე, როგორც რინგზე, ამ საქმეშიც ბოლომდე, 12 რაუნდს ვიბრძოლებ. 31 წლის ვარ, მთელი ცხოვრება კრივს ვემსახურები და მინდა, ჩამოვიდე, ჩემი გამოცდილება ქართულ კრივს მოვახმარო. მხარდამჭერები ბევრი მყავს აქაც, საზღვარგარეთაც. და სხვათა შორის, ძალიან შეურაცხყოფილი დავრჩი, როცა შევიტყვე, რომ ყრილობაზე ძალზე უდიერად მოიხსენიეს ჩემი უახლოესი ადამიანი, კრივის მსოფლიოს ასოციაციის ვიცე-მდივანი, თურქი ერდოგანი. იქ რომ ვყოფილიყავი, ნამდვილად არ მოვითმენდი. სხვა რომ არაფერი, ჩვენი სპორტსმენები სხვადასხვა ტურნირზე ხომ იასპარეზებენ და თუ ერდოგანმა შეიტყო, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს, ქართველი სპორტსმენები დიდ წარმატებებს მიაღწევენ? კრივშიც, ისევე როგორც სპორტის ყველა სახეობაში, გავლენიანი ნაცნობები აუცილებელია და დაუმსახურებლად აუგი არავისზე არ უნდა ვთქვათ.

**— თქვენსა და გიორგი კანდელაკს შორის სიტუაცია დაიძაბა?**

— როდესაც ჩემი ძმა, კრივის ფედერაციის პრეზიდენტი — გარდაიცვალა, არჩევნებამდე ორი წელი იყო დარჩენილი. ტიტულებითა და გამოცდილებით, ჩემსა და გიორგის გარდა, ფედერაციის ხელმძღვანელობის პრეტენდენტი არავინ იყო. გიორგი ჩემთან მოვიდა და მითხრა, — თუ შენ სურვილი გექნება, ჩაუდექი სათავეში ფედერაციას, თუ არადა, მე გავუძღვებიო.

ძმის გარდაცვალება ძალზე მტკივნეულად განვიცადე და მაშინ არაფრის სურვილი არ მქონდა. გიორგის ვუთხარი — ორი წლის განმავლობაში იყავი პრეზიდენტი, შემდეგ თუ სხვაც გამოთქვამს სურვილს ჩემ გარდა, არჩევნები ჩავატაროთ, არადა საქმიანობას მე გავაგრძელებ-მეთქი. ასეც შევთანხმდით, თუმცა შემდეგ, როდესაც ამერიკიდან ჩამოვედი, უარი მითხრა, — ასეთი შეთანხმება არ გვქონიაო...

ვერ ვიტყვი, რომ მტრები ვართ მე და კანდელაკი, მაგრამ ადრინდელი, თბილი ურთიერთობა რომ აღარ გვაქვს, ფაქტია....

სხვათა შორის, აქ ჩამოსვლამდე მეგონა, ხალხი მიხვდება, საქმის გამკეთებელი რომ ვარ და მხარს დამიჭერს-მეთქი, მაგრამ როგორც მივხვდი, საქართველოში მხოლოდ ადგილობრივი კრივი და საკუთარი ბიზნესი აინტერესებთ, საერთაშორისო არენაზე წარმატებაზე კი ნაკლებად ფიქრობენ...

# ჭადრაკში პოზიციებს ვთმობთ



უკანასკნელი წლების ტრადიციისამებრ, 36-ე საჭადრაკო ოლიმპიადა ქართული გუნდებისათვის წარუმატებელი გამოდგა. თუ ქალთა ნაკრების მიერ მოპოვებული მეოთხე ადგილი მეტნაკლებად მისაღები შედეგია, ვაჟთა ოცდამეერთე პოზიციაზე დაქვეითება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. უკანასკნელი ტურის წინ, საქართველოს ვაჟთა ნაკრები მერვე ადგილზე იმყოფებოდა და ბრინჯაოს მედლის მოპოვების თეორიული შანსიც გააჩნდა. თურმე, მესამე ადგილი კი არა, ათეულშიც სანატრელი გაგვხდომია მოხვედრა, სომხეთის გუნდთან 0,5:3,5 დავმარცხდით და ოცდამეერთე პოზიციაზე ჩამოვინაცვლეთ.

რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით ასპარეზობს, საჭადრაკო ოლიმპიადებზე ათეულს ქვევით არასოდეს აღმოჩენილა. სომხეთის ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, თუმცა მათთან კატასტროფული მარცხის საპატიებლად მხოლოდ ეს არგუმენტი არ გამოდგება. ტურნირის ერთ-ერთ გადამწყვეტ დაპირისპირებაში საქართველოს ნაკრებს, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობით მოუხდა თამაში და სომხეთმა, რომელმაც წინა ოლიმპიადაზეც უკანასკნელ ტურში „აგვაცალა“ მესამე ადგილი, ახლა სულაც მესამე ათეულში გაგვისტუმრა.

რუსეთის უძლიერესი ნაკრების დამარცხების შემდეგ, მით უფრო გასაკვირია ქართველ ვაჟთა წარუმატებლობა, თუმცა, მარცხის მიზეზებს ცივი გონებით, დამშვიდებით უნდა განსჯა და ეს მხოლოდ ყველა — სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის დასახელებით შეიძლება.

საჭადრაკო ოლიმპიადიდან, სანუგეშოდ ბაადურ ჯობავას ჩინებული თამაში თუ წაგვადგება, რომელმაც მეოთხე დაფაზე მცირე ოქროს მედალი მოიპოვა. 10 მატჩიდან ბაადურმა 8,5 ქულა მოაგროვა, რაც შესანიშნავი შედეგია და ავტომატურად აისახება კიდეც მის რეიტინგზე.

რაც შეეხება ქალთა ნაკრებს, მათ ორი წლის წინანდელი, ბლედში მიღწეული შედეგი გაიმეორეს და კალვიაშიც მეოთხენი იყვნენ. ქართველმა მოჭადრაკეებმა უკანასკნელ ტურში უკრაინის ძლიერ ნაკრებს კი მოუგეს — 2,5:0,5, მაგრამ ჩვენმა კონკურენტებმა: აშშ-მა და რუსეთმაც მოიგეს, ჩვენ და ჩრდილოელ მეზობელს ერთნაირი ქულები დაგვიგროვდა, საქმეში კოეფიციენტები ჩაერია და... მეოთხე ადგილიღა გვერგო.

უკანასკნელ ტურებში ჩვენმა მანდილოსნებმა ჩინებულად იასპარეზეს და ძლიერი ჩინელი მოჭადრაკეებიც დაამარცხეს, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველ ადგილზე რომ არაფერი ვთქვათ, სამეულში შესვლაც ვერ მოახერხეს. თუმცა, ერთიცაა, ჩვენი ნაკრების შემადგენლობა საკმაოდ ახალგაზრდული იყო და შესაბამისად — ნაკლებად გამოცდილიც...

# კახა კალაძე „მილანიდან“ წასვლას არ აპირებს



კახა კალაძე ბოლო წლებში საქართველოს ყველაზე ტიტულიანი და ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. „მილანის“ ქართველ ლეგიონერს კარგა ხნის მანძილზე ჰქონდა „დაჯავშნული“ ადგილი ძირითად შემადგენლობაში და იტალიურ გრანდში „სკუდეტოსთან“ ერთად, „ევროპის საკლუბო ჩემპიონატი“ — ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. სამწუხაროდ, ვითარება შეიცვალა. ტრავმის შემდეგ ქართველმა მცველმა ვერარაფრით „იპოვა“ საკუთარი ადგილი მოედანზე და სათადარიგოთა სკამსაც გაუშინაურდა...

ბუნებრივია, ამან მაშინვე წარმოშვა ვერსიები, რომ კალაძე „მილანს“ „გაეცლებოდა“ და კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებდა, მით უფრო, რომ მისი შეძენით ევროპის არაერთი ძლიერი კლუბი იყო (და არის) დაინტერესებული. „ბაიერნის“, „ბარსელონას“, „რეალის“ და მსგავსი „გაბარიტების“ საფეხბურთო „მონსტრების“ გვერდით, კახას მომავალ, სავარაუდო „ნავთსაყუდელად“ რომან აბრამოვიჩის „ჩელსისაც“ ასახელებდნენ, რომელიც ყველა ძლიერ ფეხბურთელს სათავისოდ „ექაჩება“.

მიუხედავად იმისა, რომ თავად მოთამაშე კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას მის მიერ „მილანის“ შესაძლო დატოვების შესახებ, შესაძლოა, სიტუაცია სხვაგვარადაც იყოს. ევროტრანსფერები ხშირად მოულოდნელ სიურპრიზებად იქცევა ხოლმე და მათზე საუბარს კონტრაქტის გაფორმების მერელა იწყებენ. ქართველი ფეხბურთელის მომავალს დრო გვიჩვენებს, მასთან გასაუბრების საბაბი კი გასულ ოთხშაბათს, „სან სიროზე“ გამართულმა შეხვედრამ მოგვცა. „ატალანტასთან“ საშინაო მატჩი კახამ ძირითად შემადგენლობაში დაიწყო, 71-ე წუთზე კი გოლიც გაიტანა და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. **კახა კალაძეს** იტალიაში დავუკავშირდით.

— ძალიან კმაყოფილი ვარ. თამაშში პირველივე წუთიდან ჩავები და რაც მთავარია, გოლი გავიტანე. რუი კოშტამ, შევჩენკომ და მე სამსვლიანი კომბინაცია გავითამაშეთ. საბოლოო დარტყმაც ზუსტად შევასრულე და... ლამაზი გოლი „გამოვიდა“. მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა, „ატალანტა“ ძალზე უხერხული მეტოქეა ჩვენთვის და დიდი ანგარიშით — 3:0 გამარჯვებით კმაყოფილნი ვართ.

**— ამბობენ, „ინტერთან“ მატჩის შემდეგ, გადაღლილი ნესტასა და პანკაროსთვის დასვენების შესაძლებლობა რომ მიეცათ, კალაძე იმიტომ ათამაშესო...**

— ნაკლებად მაინტერესებს, ვინ რას ამბობს: „მილანში“ ძალიან დიდი კონკურენციაა, რიგრიგობით ვთამაშობთ ხან მე, ხან ნესტა, პანკარო და ა.შ. გარანტირებული არავის აქვს ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

**— თუმცა, ბოლო დროს, მათზე ნაკლებ დროს ატარებ მინდორზე და ამის გამო, ხშირად საუბრობენ, რომ „მილანს“ დატოვებ. ყველაზე მეტად „ჩელსი“ აქტუალობსო...**

— ეს აბსურდული ინფორმაციაა. მე არავინ დამკავშირებია და არც არავითარი მოლაპარაკება მიმდინარეობს. 2006 წლამდე „მილანის“ ფეხბურთელი ვარ და ჯერჯერობით არსად ვაპირებ წასვლას...

**— უკრაინის ნაკრებთან მატჩი გამოტოვე, მაგრამ ალბათ, ტელევიზიით მაინც მოგეცა მისი ხილვის შესაძლებლობა.**

— სამწუხაროდ, მატჩი არ მინახავს, მაგრამ როგორც მითხრეს, საქართველოს ნაკრებს ცუდად არ უთამაშია. ის ბურთებიც არ იყო „გასაშვები“, განსაკუთრებით, პირველი. თუმცა, ამ დამარცხებისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. წინ კიდევ არაერთი თამაშია და მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება.

**— დანიის ნაკრების „მილანელ“ თანაგუნდელებს თუ ესაუბრები მომავალ მატჩზე?**

— ბუნებრივია, ისინიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ 17 ნოემბერს გასამართ შეხვედრას და სერიოზულად ემზადებიან. დანიის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ თამაში ყველასთან შეიძლება და ჩვენ ჩვენსას ვეცდებით...

# ქართველი კალათბურთელები აზერბაიჯანში მკვიდრდებიან

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატმა გუშინ აიღო სტარტი. სამწუხაროდ, გუნდების უმეტესობა დასაწყისს არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში შეხვდა — ქართული კლუბები ფინანსებთან ერთად, წამყვანი მოთამაშეებისაგანაც დაიცალნენ და მათმა უმრავლესობამ საზღვარგარეთ არჩია კარიერის გაგრძელება. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის მსგავსად პირველობა არც აქ დაუთმო ვინმეს ბათუმის „ბასკომ“ და მწვრთნელიან-ლიდერებიანად მეზობელ ქვეყანას მიაშურა. ზღვისპირულ კლუბს სხვებზე ადრე შემოეძარცვა დამფინანსებლები და მართალია, ორი თვის უვარჯიშებელმა, უხელფასო ბათუმელებმა ფინალში მაინც მოახერხეს მათზე ბევრად დალხენილი „დინამოს“ ძლევა, მაგრამ ამით „ბასკოს“ სალაროს არაფერი შემატებია და კლუბი დაიშალა.

ბუნებრივია, ჩემპიონთა თავკაცს უმუშევრად არავინ დატოვებდა. ნუგზარ კანდელაკმა აზერბაიჯანს მიაშურა, იქაურ „ნტდ-დევონს“ ჩაუდგა სათავეში და საკუთარ კლუბში ყოფილი „ბასკოელების“: ირაკლი ბერიშვილის, დავით იმნაძის და ლაშა კეშელავას გარდა, „დინამოს“ ექსცენტრს — დავით მუშკუდიანსაც უხმო. ქართველი ლეგიონერებით გაძლიერებული „დევონის“ ძირითადი მიზანი აზერბაიჯანის ჩემპიონის — „გალას“ ჰეგემონიის დამხობა იქნება. შეგახსენებთ, ლეგიონერებით „გაძეძგილ“ ამ კლუბს სათავეში წარსულში ცნობილი ლიტველი კალათბურთელი — რიმას კურტინაიტისი უდგას და უკანასკნელ წლებში, „გალას“ ოქროს მედლები ვერავინ „გამოჰგლიჯა ხელიდან“.

ჩემპიონატის დაწყებამდე, „დევონმა“ ძირითადი კონკურენტის სპარინგ-მატჩზე დაყოლიება ვერ მოახერხა, სხვა აზერბაიჯანული კლუბები კი ისეთი სუსტები არიან, მათთან გაჯიბრებას აზრი არ აქვს და ნუგზარ კანდელაკი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუმცა „ხსნა“ ისევ სამშობლოდან მოვიდა. უკვე ტრადიციად ქცეულმა, დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირმა „სულზე მიუსწრო“ ქართველ მწვრთნელს, არც საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ უთხრა თხოვნაზე უარი და მართალია, აზერბაიჯანული კლუბი ტურნირზე მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა, მაგრამ მისთვის ესოდენ საჭირო სათამაშო პრაქტიკა მიიღო.

ტურნირის შემდეგ „ნტდ-დევონის“ მთავარ მწვრთნელს **ნუგზარ კანდელაკს** გავესაუბრეთ:

— დუდუ დადიანის სახელობის ტურნირი ძალზე სასარგებლო იყო ჩვენთვის. „ნტდ-დევონი“ ორიოდე თვის წინ ჩამოყალიბდა და ამ ხნის მანძილზე, ფაქტობრივად, ძლიერ გუნდთან არ გვითამაშია. აზერბაიჯანის ჩემპიონატში, ერთადერთი გუნდის წინააღმდეგ თამაშს აქვს აზრი, ის კი ჩვენთან შეხვედრას თავს არიდებს.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

— ვერ გეტყვით. ალბათ, არ უნდათ, „შევეჩვიოთ“ — ხშირად გვქონდეს მათ წინააღმდეგ თამაშის შესაძლებლობა, რადგან ასეთ შემთხვევაში „გალას“ სუსტი წერტილების აღმოჩენა უფრო ადვილი იქნება.

**— „დადიანის ტურნირმა“ რა მისცა თქვენს გუნდს?**

— ფაქტობრივად, გამოიკვეთა გუნდის ძირითადი ბირთვი. ზედიზედ ჩატარებულმა თამაშებმა მოთამაშეთა შესაძლებლობებზე სრული წარმოდგენა შემიქმნა. საუბარი აზერბაიჯანელ კალათბურთელებზე მაქვს, თორემ „ჩემებს“ რა შეუძლიათ, კარგად ვიცი. ცოტა მსაჯებს რომ არ „ევაჭკაცათ“, შეგვეძლო ჩემპიონებიც გავმხდარიყავით, მაგრამ საბოლოო ჯამში, მესამე ადგილითაც კმაყოფილი ვარ. მთავარია, რომ სათამაშო პრაქტიკა მივიღეთ...

**— აზერბაიჯანში უკვე საკმაო დრო გაატარეთ. რისი თქმა შეიძლება ამ ქვეყნის ჩემპიონატზე და ძალგიძთ თუ არა, რეალურად ებრძოლოთ „გალას“?**

— შემადგენლობითაც და გამოცდილებითაც, „გალა“ ძალიან ძლიერი გუნდია, ამის მიუხედავად, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. აზერბაიჯანში ყველანაირი პირობა გვაქვს კარგად მზადებისათვის და ისიც შემიძლია გითხრათ, რომ „დადიანის თასის“ წლევანდელი მონაწილეები რომ ჩამოსულიყვნენ ბაქოში, 20 ქულაზე ნაკლებით არც ერთს არ დავამარცხებდით. აქ კი მაინც სტუმრებად ვითვლებოდით და...

**— და როგორ გრძნობთ თავს სამშობლოში სტუმრის სტატუსით?**

— ბუნებრივია, სტუმრის ოფიციალური სტატუსი ვიგულისხმეთ, თორემ, საქართველოში სტუმრად არასოდეს ვიგრძნობთ თავს...

**გვერდი მოამზადა**
**რატი შელეგიამ**

## №43 (421) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგს 610 რესპონდენტი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 246-მა ქალმა და 362-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე საამაყო თანამედროვე ქართველი სპორტსმენი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, 2004 წლის პირველი ქართველი ოლიმპიელის გამარჯვებით მოტანილი სიხარული ჯერაც არ განელებიათ მკითხველებს — რესპონდენტთა 54%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური 8 ქულით.

**7,29** საშუალო ქულით ზურაბ ზვიადაური პირველ ადგილზეა.

მეორე ოლიმპიელი, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ძალოსანი გიორგი ასანიძე მეორე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,94. მკითხველთა 29%-მა მიაკუთვნა მას მაქსიმალური — 8 ქულა.

დაახლოებით ერთი წლის წინ მკითხველის რეიტინგის საშუალებით რესპონდენტებმა მოზარდი თაობისათვის ყველაზე ავტორიტეტულ და სამაგალითო ადამიანებად კახა კალაძე (13,6%) და გიორგი კანდელაკი (12,9%) დაასახელეს. დღეს, როგორც ვხედავთ, საამაყოთა რეიტინგში მათ „დიდსულოვნად“ დაუთმეს ადგილი წლის გმირებს — კახა კალაძე 5,32 საშუალო ქულით — მესამეზე, ხოლო გიორგი კანდელაკი 4,84 საშუალო ქულით მეოთხე ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პასუხებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა. გამონაკლისი მხოლოდ ის არის, რომ მანდილოსნები, მამაკაცებისაგან განსხვავებით, ზაზა ფაჩულიაზე მეტად შოთა არველაძეთი ამაყობენ.




საპრიზოს ზუსტად რვა ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 31 წლის **ქეთევან აბაშიძე,** 23 წლის **ქეთევან ჯინჭარაძე,** 19 წლის **ნინო მეტრეველი,** 41 წლის **ვაჟა გელაშვილი,** 44 წლის **გელა წინამძღვრიშვილი,** 28 წლის **პაატა კაჭარავა,** 50 წლის **ფრიდონ ოქროპირიძე** და მცხეთელი, 28 წლის **ლალი ჯაფარიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 3 ნოემბერს, 17 საათზე.

## №44 (422) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიაში».**

№44 (422) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 3 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 4 ნოემბრის 13 საათამდე.

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგში“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №44(422) — პრეზიდენტის კეთილგანწყობა

**თქვენი აზრით, პრეზიდენტის რომელი წარმომადგენელი/სამხარეო რწმუნებული იმსახურებს მიხეილ სააკაშვილის კეთილგანწყობას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№44(422) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | პეტრე ცისკარიშვილი – პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში | |
| 2 | გიგი უგულავა – პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთში | |
| 3 | სოსო მაზმიშვილი – პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში | |
| 4 | ლევან ვარშალომიძე – აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე | |
| 5 | გია გეწაძე – პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთში | |
| 6 | ირაკლი ალასანია – აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | |
| 7 | მიხეილ ქარელი – პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში | |
| 8 | გოგა ხაჩიძე – პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთში | |

**დამატებითი კითხვა**

**„ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე მთავრობა მოსახლეობის წინაშე ანგარიშით წარდგება. თქვენ როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ერთი წლის მუშაობას?**

| | |
|---|---|
| დადებითად | |
| უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად | |
| უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად | |
| უარყოფითად | |
| მიჭირს პასუხის გაცემა | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი ______ ტელეფონი ______

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**დამატებითი კითხვის შედეგები**

**„თბილისობის“ აღნიშვნის რომელი ფორმა უფრო მოგწონთ?**




1. ადრინდელი
2. ახლანდელი
3. არც ერთი
4. მიჭირს პასუხის გაცემა

***დამატებით კითხვას 528 რესპონდენტმა უპასუხა***

## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი

35-ე 45, პალ-45, ელიკო

„ფოტოანტიკვარის“ გასული ნომრის მინიშნებას — „ამ ცხენს ნამდვილად არ გავყიდი“ — მაინცდამაინც ბევრი თავსატეხი არ გაუჩენია ჩვენი მკითხველისთვის. მათთვის იმდენად ნაცნობია ამ ბოლო დროს სამთავრობო შეხვედრებსა თუ პრესკონფერენციებზე გამოსული საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ლამის „ფრთიან გამოთქმად“ ქცეული „გავყიდი!“, რომ ყველაფერს, რაც დღეს გაყიდვას (ყიდვაზე ფიქრს ჯერ არავინ აპირებს!) უკავშირდება, კახა ბენდუქიძის „გრიფი“ ადევს. ასე რომ, ბუტაფორიულ სათამაშო ცხენზე ამხედრებული პატარა ბიჭი დღევანდელი ეკონომიკის მინისტრი გახლავთ, რომელიც მკითხველთა 95%-მა ამოიცნო.

ცხენმა რესპონდენტთა მცირე ნაწილი (3%), როგორც ჩანს, რომანტიკულ განწყობაზე დააყენა და სერვანტესისეული როსინანტი გაახსენა. შესაბამისად, პატარა მხედარი „მწუხარე სახის რაინდად“, ანუ დონ-კიხოტად (მსახიობი კახი კავსაძე) მონათლეს. 2%-მა გაქცეული ლევან მამალაძე „მოისაკლისა“. დაასახელეს ასევე ჯუმბერ პატიაშვილი, მიხეილ ქარელი და... ყოფილი საბჭოთა მარშალი ბუდიონი!..



**კახა ბენდუქიძე, ? წლის**

აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— ??...

***ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი***






SAKAVIASERVICE
GEORGIAN AIRLINES
საქავიასერვისი
პირდაპირი ავიარეისები
თბილისი-სალონიკი-თბილისი
TBILISI-SALONIKI-TBILISI

თბილისი
SAKAVIASERVICE GEORGIAN AIRLINES
TEL: (995 32) 99 02 37; 98 30 59
FAX: (995 32) 921 831
4 MACHABELI STR.

სალონიკი
NORBIS
ტელ: (2310) 287 721
(6978) 990 130
ფაქსი: (2310) 287 764
MAKEDONIKIS AMINIS 7


## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. იაპონია; 4. სარდელი; 6. კრეტა; 7. ოპელი; 8. ოტელო; 9. ირისი; 10. ასპიტი; 13. ტირანა; 16. ლაიკა; 18. კურორტი; 19. კენგურუ; 20. ელადა; 22. ოდისეა; 23. ლიმიტი; 25. არაყი; 27. გრემი; 28. ლინზა; 29. ზანტი; 30. ანალიზი; 31. ავაზაკი.

**შვეულად:** 1. ინტონაცია; 2. აკროპოლი; 3. ტელეფერიკი; 4. საფირონი; 5. იუმორესკა; 11. პარკი; 12. ტურნე; 14. იანკი; 15. აგუტი; 16. ლიე; 17. აკა; 21. აგამემნონი; 22. ობლიგაცია; 24. ინვენტარი; 25. ანგელოზი; 26. ირიგაცია.

5/XI
უკანასკნელი მეოთხედი







**თარაზულად:** 1. რუსი მომღერალი; 4. მუდმივი მყიდველი; 6. ბორის ელცინის მეუღლის სახელი; 7. ესპანელი ფერმწერი; 8. რეჟისორი ფილმისა „ქალაქი ანარა“; 9. ეგვიპტის ყველა ფარაონის ღვთაებრივი დედა; 10. კურორტი თურქეთში; 13. რუკების კრებული; 16. მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს; 18. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი; 19. შორეული ნაოსნობის დიდი საოკეანო გემი; 20. სპირტიანი სასმელი; 22. საგაზეთო წერილი; 23. იაპონური მდოგვი; 25. ვერტიკალურად მოძრავი მანქანა მრავალსართულიან სახლებში; 27. მინის ჭურჭელი; 28. ხვიარა მცენარე; 29. ამერიკელი მსახიობი მიკი ...; 30. მხარე საქართველოში; 31. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე, მისი დაპყრობის მიზნით.

**შვეულად:** 1. ერთგვარი თამაში, პასუხების გაცემა კითხვებზე ცოდნის სხვადასხვა დარგიდან; 2. რისამე შესწავლის სურვილი; 3. თეორიული მექანიკის დარგი; 4. შუა საუკუნეების ესპანური და პორტუგალიური სამანძიანი ხომალდი; 5. უმაღლესი სასწავლებლის სახელწოდება; 11. კრება ძველ საბერძნეთში; 12. ქართული ტელეკომპანია; 14. ციმბირის ტყეები; 15. ერთუჯრედიანი უმარტივესი არსება; 16. მინის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 17. მდინარე აზიაში; 21. ნახევარწრიული უსახურავო ნაგებობა, თანდათანობით ამაღლებული ადგილებით, სადაც ძველ საბერძნეთსა და რომში იმართებოდა სხვადასხვა სანახაობა; 22. ქვის კუბო, პატარა აკლდამა. 24. სახელმწიფო აზიაში; 25. არამდგრადი, მერყევი, მოძრავი; 26. ვინმეს ან რაიმეს ზუსტი მიბაძვა.

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

## გაიხსნა კერკ დუგლასის სახელობის თეატრი



კალიფორნიის ქალაქ პალმ-სპრინგსის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას, სადაც 87 წლის ვარსკვლავმა კერკ დუგლასმა 40 წელზე მეტხანს იცხოვრა, დაერქვა მსახიობის სახელი. ქალაქის ხელისუფლებამ ამგვარად გამოხატა პატივისცემა დუგლასის ნიჭის მიმართ. ამ მიზეზით გამართულ საზეიმო ცერემონიაზე ბატონი კერკი ვაჟიშვილებთან: მაიკლთან, ჯოელთან, პიტერთან და უამრავ მეგობართან ერთად მივიდა. ზუსტად 2 დღის შემდეგ ჰოლივუდის ცოცხალი ლეგენდის სახელი მიანიჭეს ლოს-ანჯელესში ახალგახსნილ თეატრსაც.


მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის

წევრთა საერთო კრება

გაიმართება მიმდინარე წლის 12 ნოემბერს, 11.30 საათზე

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №43, პროფკავშირების კულტურის სახლი (მეტრო „გოცირიძესთან“), I სართ.



ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©


## 44 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№44 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 4 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

**„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.**


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.